ძლიერების ზენიტს სამურაებმა XVI საუკუნეში მიაღწიეს, როდესაც ისინი ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე პრივილეგირებულ კლასად ჩამოყალიბდნენ. თუმცა, მოგვიანებით, მათმა სტატუსმა რადიკალურად იცვალა სახე, რაც დაკავშირებული იყო 1867/1868 წლების ბურჟუაზიულ რევოლუციასთან და იაპონიაში მიმდინარე ე. წ. მეიჯის რეფორმებთან. აღნიშნული მოვლენების შედეგს წარმოადგენდა სამხედრო-ფეოდალური სისტემის - შიოგუნატის დამხობა და იმპერატორის ერთპიროვნული მმართველობის აღდგენა იაპონიაში. ახალ ისტორიულ რეალობაში, როდესაც იაპონია განვითარების ვესტერნიზაციის გზას დაადგა, სამურაების სამხედრო შენაერთები უკვე ფეოდალური წყობილების დრომოჭმულ გადმონაშთად იქნა აღიარებული. ამიტომაც სამურაების ლაშქარი გაუქმებულად გამოცხადდა და შესაბამისად, ის უკვე ისტორიის კუთვნილებად იქცა.

**საკვანძო სიტყვები:** სამურაი; იაპონია; მენ-ბუდიზმი; ბუშიდო; შიოგუნატი.

## **შესავალი**

პროფესიონალ მეომართა ფენის არსებობის ანალოგიები მრავლად მოიპოვება ფეოდალური ხანის ევროპისა თუ აზიის ქვეყნების ისტორიაში. მათგან სრულიად გამორჩეულია იაპონელი სამურაების ფენა თავისი სპეციფიკური და ორიგინალური მახასიათებლებით. ამიტომაც მის მიმართ გაუნელებელი ინტერესი ფიქსირდება როგორც ისტორიულ წარსულში, ისე თანამედროვე პერიოდში. ამის დასტურია დიდი რაოდენობით სამეცნიერო ნაშრომების, მხატვრული ლიტერატურის, სხვადასხვა ჟანრის ფილმებისა და თეატრალური წარმოდგენების არსებობა, რომლებიც ეძღვნება სამურაების ცხოვრება-მოღვაწეობას, მათ თავგანწირულ ბრძოლებს, საგმირო საქმეებს, სამხედრო ხელოვ-

ნებას და სხვ. მიუხედავად ამისა, ზოგადად, სამურაების თემა იმდენად მრავლისმომცველია, რომ ის კვლავაც ამოუწურავ მასალას შეიცავს კვლევისა და შესწავლისათვის. სწორედ ამ მიზანს ემსახურება წარმოდგენილი ნაშრომიც. კერძოდ, მასში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გადმოცემულია სამურაების ცხოვრება-მოდვარეობის ძირითადი ეტაპები, მათი წარმოშობის წანამდღერები და აღზევების გარემოებები. აღნიშნული პროცესები VIII საუკუნეში დაიწყო და XVI საუკუნეში დასრულებული სახე მიიღო, როდესაც სამურაების სამხედრო ფენა იაპონიის ერთ-ერთ ყველაზე პრივილეგიურულ კლასად ჩამოყალიბდა. აყვავების პერიოდს XIX საუკუნის შუა ხანებში სამურაების გავლენის სფეროების და პრივილეგიების შეზღუდვა მოჰყვა, საბოლოოდ კი ეს პროცესი სამურაების ფენის დამხობით დაგვირგვინდა. 1867/1868 წლებში დასავლური ნიმუშით იაპონიაში განხორციელებული მეიჯის რეფორმების ნუსხაში ერთ-ერთი უმთავრესი სწორედ სამურაების საკითხი იყო. კერძოდ, ცალკეული ფეოდალების დაქვემდებარებაში არსებული სამურაების საბრძოლო შენაერთები კანონგარეშედ გამოცხადდა, თავად სამურაებს სამუალება მიეცათ სამთავრობო სახელმწიფო სამსახურში ჩამდგარიყვნენ. რეფორმებით უკმაყოფილო სამურაებმა კი შეიარაღებული აჯანყება წამოიწყეს თავიანთი უფლებების აღდგენის მიზნით, თუმცა ამას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია - ხელისუფლებამ უმკაცრესი მეთოდებით ჩაახშო ამბოხება. ამით დასრულდა საუკუნეების მანძილზე ზენიტში მყოფი სამურაების ისტორიული ეპოპეა. ზემოთ ხსენებული საკითხები ნაშრომში წარმოდგენილია სამურაების დრამატული მოვლენებით აღსავსე ცხოვრება-მოდვარეობის შესახებ მოძიებული სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლის, მათში დაცული ცნობების ურთიერთშეჯერებისა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე.

### **მეთოდები**

ნაშრომში წარმოდგენილი საკითხების შესწავლის მიზნით, გამოყენებულია ისტორიულ-აღწერითი მეთოდი, რაც გულისხმობს ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების მოძიებას, მათი მახასიათებლების ობიექტუ-



რად წარმოიჩინას და ანალიზს, რის საფუძველზეც შესაძლებელი ხდება სათანადო დასკვნების გამოტანა. კვლევის პროცესში გამოყენებულია ასევე სამეცნიერო ლიტერატურის ურთიერთშეჯერებაზე და მათ მონაცემთა კრიტიკულ ანალიზზე დაფუძნებული ისტორიულ-მედარებითი, შინაარსობრივი გააზრების და კვლევის მეთოდი.

### **მსჯელობა**

მსოფლიოს ხალხთა ისტორიაში სრულიად გამორჩეულ ფენომენს წარმოადგენს იაპონელი სამურაების მეომართა ფენა, რომელიც რადიკალურად განსხვავდება ფეოდალური ხანის ევროპისა თუ აზიის ქვეყნებში არსებული სამხედრო ძალებისგან თავისი ორიგინალურობით, სპეციფიკური მახასიათებლებით, იდუმალებით მოცული ცხოვრების წესით, იდეოლოგიით და კულტურით. სწორედ ფეოდალური ხანის იაპონიის მკაცრმა ისტორიულმა რეალობამ განაპირობა ხსენებული ფენის წარმოშობას, რომლის მიმართ ინტერესი არ ცხრება. ამის დასტურია უამრავი რაოდენობის სამეცნიერო ნაშრომები და მხატვრული ლიტერატურა, ასევე სხვადასხვა ჟანრის ფილმები და თეატრალური წარმოდგენები, რომლებიც ეძღვნება სამურაების ცხოვრება-მოდვანეობას, მათ თავგანწირულ ბრძოლებს, საგმირო საქმეებს, სამხედრო ხელოვნებას და სხვ. თუმცა, ზოგადად, სამურაების თემა იმდენად მრავლისმომცველია, რომ ის კვლავაც ამოუწურავ მასალას მოიცავს კვლევისა და შესწავლისათვის.

ტერმინი „სამურაი“ მომდინარეობს იაპონური ზმნიდან „საბურაუ“ (რომელმაც შემდგომ ტრანსფორმაცია განიცადა „სამურაის“ ფორმით), რაც ნიშნავს – სამსახურს, ბატონის დაცვას. აქედან გამომდინარე, სამურაი ეწოდა წარჩინებული პირის ან ფეოდალის სამხედრო მოსამსახურეს. თავდაპირველად ტერმინები „სამურაი“ და „ბუში“ (იაპონურად ნიშნავს – მეომარს) გამოიყენებოდა იმ პირთა აღსანიშნავად, რომლებიც საგუშაგო სამსახურს ასრულებდნენ საიმპერატორო სასახლეში, პატრულირებდნენ ქალაქის ქუჩებში, მოედნებზე და ითავსებდნენ პოლიციის ფუნქციებსაც (Искендеров, 1984: 337-339; Теимс, 2009: 81-84). მოგვიანებით, იაპონიაში ფეოდალური ურთიერთობების განმტკიცების

კვალად, სამურაებს უწოდებდნენ შეიარაღებული რაზმების წევრებს, რომლებიც ჩამოაყალიბეს სპეციფიკური სახეობის მამულეების – შიონების მფლობელებმა, თავიანთი კარმიდამოს დასაცავად მოწინააღმდეგე ფეოდალთა თავდასხმებისგან და გლეხთა ამბოხებების ჩასახშობად.

სამურაები გლეხთა ფენას მიეკუთვნებოდნენ ანუ მდაბიო წარმომავლობის იყვნენ, რომლებიც თავდაპირველად მიწასთან იყვნენ დაკავშირებულნი. მათი გარკვეული ნაწილი, ძირითადად ფიზიკურად ძლიერი გლეხები ნებაყოფილობით გადადიოდნენ სიუზერენის სამხედრო სამსახურში მცველების ფუნქციით. სამურაების პირველი რაზმები იაპონიაში VIII საუკუნეში გაჩნდა, რომელთა მთავარ მოვალეობას წარმოადგენდა ბატონის მიმართ ერთგული სამსახური როგორც მშვიდობიან, ისე ომიანობის პერიოდში. ფეოდალურ საგვარეულოს შორის ურთიერთობების გამწვავების კვალდაკვალ სამურაების მცირერიცხოვანი რაზმები თანდათან ფართოვდებოდა და უკვე ლაშქრად ყალიბდებოდა. ერთგული სამსახურის საზღაურად ისინი ღებულობდნენ საკვებს, საცხოვრებელს, ზოგჯერ - მიწასაც გლეხებითურთ. ასე რომ, სამურაების გარკვეული ნაწილი დროთა ვითარებაში თავად ხდებოდა გავლენიანი ფეოდალი, რომელიც ექსპლოატაციას უწევდა თავის უწინდელ თანამომძეებს – გლეხებს. იმ დროისათვის სამურაები უკვე საბოლოოდ ჩამოშორებულნი იყვნენ მიწას და გლეხთა ფენას (გელაშვილი, 2012: 162). მეომართა ფენის ფორმირების მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორები იყო განუწყვეტელი ფეოდალური შინაომები, გლეხთა აჯანყებები, ასევე ომები ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მოსახლე აინების – იაპონიის უძველეს მკვიდრთა შთამომავლების წინააღმდეგ. ამ ბრძოლებში აქტიურად იყვნენ ჩართულნი სახელმწიფო მიწებიდან აყრილი გლეხებიც, რომლებიც სამურაების რაზმებში ერთიანდებოდნენ (Спеваковский, 1981: 11). რაც უფრო ხშირი იყო ქვეყანაში სამხედრო დაპირისპირება ფეოდალურ საგვარეულოებს შორის, მით უფრო აქტუალური ხდებოდა სამურაების ძალის საჭიროებაც. ასე რომ, ომები მათ უმთავრეს საარსებო წყაროს წარმოადგენდა.

გაძლიერების კვალდაკვალ, სამურაების ფენა რთულ იერ-არქიულ სისტემად ჩამოყალიბდა: დაიყო სხვადასხვა დონის რანგებად, რომელთა უფლება-მოვალეობანი, ქონებრივი და მატერიალური მდგომარეობა ერთმანეთისგან განსხვავდებოდა, ასევე თითოეულ მათგანს თავთავისი სახელწოდება ჰქონდა. შუა საუკუნეების იაპონიაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებიდან გამომდინარე, სამურაების პრივილეგიები სულ უფრო ფართოდებოდა და საბოლოოდ მათი დამოუკიდებელ კლასად ფორმირება მოხდა. შესაბამისად, ისინი იერარქიულ კიბეზე სულ უფრო ზევით მიწევდნენ, რითაც ძველ გვაროვნულ არისტოკრატიას უფლებამოსილებაში და პრივილეგიებში ეცილებოდნენ. ზოგიერთმა მათგანმა სახელისუფლებო პირამიდის უმაღლეს ეშელონებშიც შეაღწია და შიოგუნის უახლოეს გარემოცვაში ირიცხებოდა (Теимс, 2009: 100-101). აღნიშნული პროცესები XII საუკუნეში დაიწყო და XVI საუკუნეში დასრულებული სახე მიიღო, როდესაც სამურაების სამხედრო ფენამ თავის ძლიერების ზენიტს მიაღწია და იაპონიის ყველაზე პრივილეგიერებულ კლასად იქცა.

სამურაების ფენის ფორმირებას მოჰყვა მათი მორალურ-ეთიკური ნორმების კოდექსის – ბუშიდოს<sup>1</sup> შექმნა, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო სამურაების უფლება-მოვალეობები, ქცევის ნორმები, მორალური პრინციპების სისტემა, მსოფლმხედველობა და სხვ. ბუშიდოს თანახმად, სამურაის სამი მთავარი თვისება უნდა ჰქონოდა: სიბრძნე, ჰუმანურობა და სიმამაცე. ამ თვისებებზე იყო აგებული ის მორალური პრინციპები, რომლებსაც აღნიშნული კოდექსი შეიცავდა. მათ შორის განსაკუთრებული ყურადღება ფოკუსირებული იყო ისეთ სულიერ ფასეულობებზე, როგორცაა: საქმისადმი ერთგულება, პრინციპულობა, გამბედაობა, პატიოსნება, სისადავე, თვითკონტროლის და თავმეკავების უნარი, პირადი გამორჩენის და ფულის სიძულვილი (Japan in Modern History, 1995: 89-90; Inazo Nitobe, 2012: 56). ბუშიდო თავის მიმ-

---

<sup>1</sup>ბუშიდო სამი იერგლიფისგან შედგება: 1. ბუ – შუბის შეჩერება; 2. ში – მეომარი, რანდი, კეთილშობილი ადამიანი, ანუ ბუში ეს არის ადამიანი, რომელსაც ძალუძს შეინარჩუნოს მშვიდობა როგორც ბრძოლის საშუალებით, ისე ნებისმიერი სხვა გზით. 3. დო - გზა. მოკლედ კი ტერმინი “ბუშიდო” ითარგმნება, როგორც “მეომრის გზა”.

დევრებში აღვივებდა სიყვარულს და პატივისცემის გრძნობას იარაღის მიმართ, ამასთან, კიცხავდა მის უადგილოდ გამოყენებას. ბუშიდოს ეთიკური ნორმებიდან გამომდინარე, სამურაისთვის ყველაზე მაღალი შეფასება იყო მის საფლავზე გაკეთებული შემდეგი სახის ეპიტაფია: „მას არასოდეს დაუჩაგრავს სუსტი და არასოდეს დაუხევია უკან ძლიერის წინაშე“ (Pictorial Encyclopedia of Japanese Culture, 1990:34-35). დროთა განმავლობაში ბუშიდო ტრადიციად იქცა და თანამედროვე პერიოდშიც ახორციელებს იაპონიაში მარეგულირებელ ფუნქციას, მისი სული მრავალმხრივ მართავს იაპონელთა ქცევას, შეგნებულად თუ ქვეცნობიერად ისინი მიჰყვებიან მას (პრონიკოვი, ლადანოვი, 1991:131). ასე რომ, ბუშიდოს ფესვები მეტად ღრმად არის გამჯდარი იაპონელთა ცნობიერებაში.

სამურაების ბრძოლის ტაქტიკისა და სტრატეგიის ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ჩინურმა ტრაქტატებმა. მათგან ერთ-ერთ საუკეთესოდ აღიარებულია ძვ.წ. VI-V საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწე დიდი ჩინელი მხედართმთავრისა და სამხედრო თეორეტიკოსის –სუნ მის ტრაქტატი სამხედრო ხელოვნების შესახებ, რომელიც ხანგრძლივი დროის მანძილზე სამხედრო საქმის უმთავრეს სახელმძღვანელოს წარმოადგენდა არა მხოლოდ ჩინეთში, არამედ მის საზღვრებს მიღმაც, მათ შორის იაპონიაში. მასში დეტალურადაა აღწერილი ომის წარმართვის ტაქტიკისა და სტრატეგიის ყველა ნიუანსი. თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ხსენებული ნაშრომი მსოფლიოს არაერთ ენაზეა თარგმნილი, მათ შორის – ქართულად (სუნ ძი, 2009: 5-7).

სამურაისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას სწავლა-აღზრდის საგანგებოდ შემუშავებული სისტემა განსაზღვრავდა, რომელიც სხვადასხვა დისციპლინათა ფართო სპექტრს მოიცავდა. მომავალი სამურაებისთვის განკუთვნილ სკოლებში, საბრძოლო საგნებთან (ფარიკაობა, მშვილდოსნობა, ჯირითი, ორთაბრძოლის სხვადასხვა სახეობა) და სპორტულ ვარჯიშებთან ერთად, ისწავლებოდა: ფსიქოლოგია, ეთიკა, ჩინეთის და იაპონიის ისტორიები, ლიტერატურა, ფილოსოფია, ჩინური ენა და სხვ. ამის მიზანი ის იყო, რომ სამურაი არა მხოლოდ კარგი მე-

ომარი, არამედ ერუდირებული და ინტელექტუალურად დახვეწილი პიროვნება უნდა ყოფილიყო. სამურაის წოდება მემკვიდრეობით გადადიოდა: სამურაის ვაჟი აუცილებლად სამურაი ხდებოდა (თავდაპირველად ეს გოგონებზეც ვრცელდებოდა) და მას ეს პატარაობიდანვე ჰქონდა ჩანერგილი. ამიტომაც იყო, რომ უდიდესი ყურადღება ექცეოდა მომავალი თაობის ბუშიდოს სულისკვეთებით აღზრდას. ვაჟი ითვლებოდა ოჯახის მემკვიდრედ, გვარის გამგრძელებლად და შესაბამისად, მისი დაზადება ზარზემით აღინიშნებოდა. ერთი წლის თავზე მამა მას სათამაშო ხმალს ჩუქნიდა სიმბოლურად. მომავალ სამურაის პატარაობიდანვე ასწავლიდნენ უფროსების, უპირველეს ყოვლისა კი, მშობლების პატივისცემას, თავის სიუზერენისადმი ერთგულების გრძნობის გამომუშავებას (Спеваковский, 1981: 19). დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ ახალგაზრდა სამურაების მასწავლებლები, რომლებიც უვითარებდნენ მათ ისეთ თვისებებს, როგორცაა: სიმამაცე, ამტანობა, სიმშვიდე, მტკიცე ნებისყოფა. მათ ისეთ დავალებებს აძლევდნენ, რაც შიშის გადალახვასთან იყო დაკავშირებული, მაგალითად: ღამით სასაფლაოზე გზავნიდნენ, ზამთარში ფეხშიშველა ატარებდნენ, ღამეებს ათევიებდნენ ღია ცის ქვეშ, პერიოდულად ჭამას უკრძალავდნენ და სხვა.

15 წლის შესრულებისას, სამურაი უკვე სრულწლოვნად ითვლებოდა და მას ნამდვილი იარაღი გადაეცემოდა (მანამდე მას იარაღის ტარების უფლება არ ჰქონდა), უპირველეს ყოვლისა, ეს იყო ხმალი, გოგონებს კი პატარა ხანჯალი გადაეცემოდა. იმავდროულად სამურაის ახალი ვარცხნილობა – საკაიაკი უკეთდებოდა: თავის ზემო ნაწილს პარსავდნენ, დანარჩენ თმას ცხიმით უპრიალებდნენ, რომელსაც უკრავდნენ კეფაზე ცხენის კუდივით, ასევე ან ნაწნავს უკეთებდნენ ან ერთად შეუკრავდნენ (Clavell, 1999: 34-35). ახალგაზრდას თავზე სპეციალურ თავსაბურავს ახურავდნენ (იაპონურად - ებოში) და უფროსი სამურაის სამოსს აცმევდნენ. ეს საზეიმო ცერემონია მთავრდებოდა მთელი ოჯახის ტაძარში წასვლით, სადაც ვაჟის ახალი სახელით მონათვლა ხდებოდა (Спеваковский, 1981: 38-39). ამიერიდან ახალგაზრდა სამურაი თავისუფლებას იძენდა თავის ქმედებებსა და გა-

დაწყვეტილებებში, ის მეომართა ფენის სრულუფლებიანი წევრი ხდებოდა. ამ კონტექსტში აღსანიშნავია, რომ სამურაის სიტყვას ყოველგვარი გარანტიის გარეშე იჯერებდნენ, ის ფიცს არ დებდა, ვინაიდან ეს მისი ღირსების შელახვად ითვლებოდა. საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის, სამურაი ვალდებული იყო გამოეწროთ სული და სხეული, ეზრუნა თვითსრულყოფისათვის. მას მაქსიმალურად უნდა შეეზღუდა პირადი მოთხოვნილებები და საზოგადოებაში თავი ღირსეულად უნდა დაეჭირა. ამასთან ერთად, მას არ უნდა გამოემჟღავნებინა თავისი შინაგანი განცდები – მისი სახის გამომეტყველება დაცლილი იყო ემოციებისგან, გაშეშებული ნიღბის მსგავსად, რათა მოწინააღმდეგეს არ შეეცყო მისი სულიერი განწყობა.

სამურაის არა მხოლოდ შინაგანი სულიერი სამყარო და ცხოვრების წესი იყო გამორჩეული, ის ვიზუალურადაც განსხვავდებოდა საზოგადოების სხვა ფენებისაგან. ყოველდღიურობაში სამურაები ტრადიციული თარგის რუხი ფერის კიმონოს, ფართო შარვალს (ჰაკამა) და მოსასხამს (ჰეოსო) ატარებდნენ. კიმონოს სამურაის საგვარეულოს გერბი ანუ მონი ამშვენებდა, რომელზეც გამოსახული იყო რომელიმე გეომეტრიული ფიგურა ან კიდევ ცხოველები და ციური სხეულები, ხშირად მონი დატანებული იყო ჩაფხუტზე და იარაღზეც. საზეიმო ვითარებაში სამურაი ზემოდან გახამებულ მოსასხამს ატარებდა (ჰაორი ჰაკამა), რომელსაც ფრთების მსგავსი აწეული მხრები ჰქონდა, ზურგზე კი კონკრეტული სამურაის ბატონის მონი იყო გამოსახული (Тернбулл, 2007: 6).

სამურაი მუდამ განსაკუთრებულად მოწესრიგებული უნდა ყოფილიყო: ჩაცმულობით, ვარცხნილობით, სისუფთავით, რასაც ის ყოველდღიურ რეჟიმში გარკვეულ დროს უთმობდა, ვალდებული იყო ყოველ დილით ოთხ საათზე ამდგარიყო, შემდეგ ბანაობდა, პემზით იხეხავდა ხელებს და ფეხებს, იჭრიდა ფრჩხილებს, იპარსავდა შუბლზე თმას (როგორც ზემოთ აღინიშნა, სამურაებს განსაკუთრებული ვარცხნილობა ჰქონდათ), სპეციალურ სითხეს იკპურებდა. მისი კვების რაციონი ძირითადად შედგებოდა თევზისგან, ბრინჯისგან, წყალმცენარეებისგან, ხილ-ბოსტნ-

ეულისგან, ფართოდ გამოიყენებოდა ასევე სოიოს პროდუქტები. მშვიდობიანობის პერიოდში დროის უმეტეს ნაწილს სამურაები საბრძოლო ვარჯიშებს უთმობდნენ. იმხანად წარმოქმნილმა სხვადასხვა საბრძოლო ტექნიკამ საფუძველი ჩაუყარა არაერთ თანამედროვე სამხედრო ხელოვნების დარგს, მაგალითად: ფარიკაობას, აიკიდოს, კენდოს, ძიუდოს, კარატეს, სუმოს. მათი უმეტესობა დღეისათვის სამხედრო ხელოვნებიდან სპორტულ სახეობად იქცა, თუმცა, იმავდროულად მათში რელიგიური ფილოსოფიის, ასევე სულიერი და მორალური ასპექტებიცაა ჩართული (Naoki, 2001: 58-59).

ვარჯიშებთან ერთად, სამურაებს სათანადო დრო დასვენებისთვის ჰქონდათ გამოყოფილი. ასეთ დროს ისინი ხელოვნების სხვადასხვა დარგით იყვნენ დაკავებულნი, მაგალითად: ხატვით, პოეზიით, მუსიკის და ეპიკური ნაწარმოებების მთხრობელთა მოსმენით, იაპონური ჭადრაკის – შიოგის და ჩინური სამაგიდო თამაშის - გოს თამაშით. ეს უკანასკნელნი არა მხოლოდ უბრალო გასართობი საშუალებები იყო, არამედ სერიოზული ინტელექტუალური, გონებრივი სავარჯიშოებიც, ბრძოლის წარმოების სტრატეგიაში და ტაქტიკაში (Тернбулл, 2009:50-51). განტვირთვის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა ჩაის სმის ცერემონია ჩაის სახლებში. სამურაები ერთობოდნენ ასევე ე.წ. კემირით – ეს იყო ბურთით (რომელიც ირმის ტყავისგან მზადდებოდა და ნახერხით იტენებოდა) თამაში, რომელიც ჩინეთიდან გავრცელდა და პოპულარული იყო სასახლის კარის არისტოკრატთა შორის. აღსანიშნავია, რომ ხმაურიანი გართობის მოყვარული სამურაები ამჯობინებდნენ ალკოჰოლური სასმელების მიღებას და ე. წ. მხიარულ კვარტლებში ლამაზმანებთან დროსტარებას (Тернбулл, 2009:53). სანახაობრივი გასართობებიდან მათთვის ყველაზე საყვარელი იყო ნოს თეატრი, რომელიც თავისი არსით სამურაების იდეოლოგიას - ძენ-ბუდიზმის პრინციპებს ეფუძნებოდა.

ცხადია, რომ ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, საგანგებო ყურადღება ექცეოდა იარაღის წესრიგში ქონას, რომელიც მუდმივ საბრძოლო მზაობაში უნდა ყოფილიყო. თითოეული მათგანი საგულდაგულოდ იწმინდებოდა, პრიალდებოდა, მოწმდებოდა

და დაცულ ადგილას ინახებოდა. რაც შეეხება სამურაის საომარ ალჭურვილობას, ადრეულ ხანაში მთავარი საბრძოლო იარაღი იყო მშვილდისარი, ცოტა მოგვიანებით მას დაემატა ხმალი და შუბი. XVI საუკუნის შუა ხანებში კი იაპონიაში ევროპიდან (პორტუგალიელი ვაჭრების მეშვეობით) ცეცხლსასროლმა იარაღმა შეაღწია, რამაც ნამდვილი გადატრიალება მოახდინა სამხედრო სფეროში, შეიცვალა ბრძოლის წარმოების ტაქტიკა და სტრატეგია, დაიხვეწა სამხედრო ხელოვნება (Ebrey and others, 2009: 182-183). იაპონიაში მიმდინარე განუწყვეტელი შიდა ომები ხელს უწყობდა სამხედრო ხელოვნების სრულყოფას, სხვადასხვა ალჭურვილობის და იარაღის დამზადების ტექნიკის დახვეწას, რაც თავის მხრივ, გამოყენებითი ხელოსნობის უაღრესად მაღალ დონეზე განვითარების შედეგს წარმოადგენდა.

ხელოვნების რანგში იყო აყვანილი სამურაის იარაღის დამზადების ტექნოლოგია, რასაც მხოლოდ ოსტატთა რჩეული ნაწილი ფლობდა. ამ კონტექსტში, უპირველეს ყოვლისა, სამურაის ლეგენდარული ხმალი – კატანა უნდა ვახსენოთ. ხაზგასასმელია, რომ სამურაის ხმალი არ იყო ჩვეულებრივი საბრძოლო იარაღი, ის წმინდა ნივთად მიიჩნეოდა, მისი დამზადების ოსტატის ხელობა კი ერთ-ერთ ყველაზე საპატიო და პრესტიჟულ პროფესიად ითვლებოდა. ამიტომაც იყო, რომ ეს ოსტატები მსხვილი ფეოდალების (ანუ დაიმიოების) განსაკუთრებული მფარველობით სარგებლობდნენ. რამდენადაც მათი ხელობა საკრალურად მიიჩნეოდა, თითოეული იარაღის დამზადებაზე მუშაობის დაწყებამდე ოსტატი საგანგებო განწმენდის რიტუალს ასრულებდა, ლოცულობდა და თეთრ სუფთა ტანსაცმელს იცმევდა. დამკვიდრებული რწმენის თანახმად, ხმლის დამზადებისას, ოსტატი კეთილმოსურნე სურვილებს შთაბერავდა მას, რაც ბრძოლაში წარმატების და გამარჯვების საწინდრად აღიქმებოდა. აქედან გამომდინარე, ბრძოლის ველზე სამურაის მარცხი ან გამარჯვება ხმლის სულიერ სიძლიერეს და ოსტატის პროფესიონალიზმსაც მიეწერებოდა (Искендеров, 1984:56; Стэнли-Бейкер, 2002:112). ხმლის დამზადების ტექნოლოგია ძალზე რთული პროცესი იყო. რკინისა და ფოლადის უამრავი სიფრიფანა ფენა ერთმანეთთან ისე



მჭიდროდ უნდა შედუღაბებულიყო, რომ ხმლის პირი მტკიცე და მეტად ბასრი გამოსულიყო. საამისოდ კი ხანგრძლივი და გულმოდგინე შრომა იყო საჭირო. საინტერესოა, რომ როდესაც ხმალს პატრონი ჩაიბარებდა, მის გარდა აღარავინ უნდა შეხებოდა მას, რადგანაც ეს დიდ შეურაცხყოფად ითვლებოდა. სამურაის სიკვდილის შემთხვევაში, ხმალი მასთან ერთად იმარხებოდა მიწაში, თანაც გადატეხილი სახით, რათა აღარავის გამოეყენებინა. ხელოვნების ნიმუშებს წარმოადგენდნენ ასევე სამურაის შუბი, მშვილდისარი და ეგზოტიკური თავსაბურვები. შუბის და მშვილდისარის დასამზადებლად ხის განსაკუთრებული ჯიშები და მცენარეები გამოიყენებოდა, რომლებიც საგულდაგულოდ მუშავდებოდა, პრიალდებოდა და ლაქით იფარებოდა. სამურაის საბრძოლო ჩაფხუტი (კაბუტო) რკინისგან იყო დამზადებული, მისი ზემოთა ნაწილი მდიდრულად და პომპეზურად იყო გაფორმებული ირმისა და ხარის რქებით, ფერადი ბუმბულებით, პაპიემაშესგან დამზადებული ზღვის ნიჟარებით, თეატრალური ნიღბებით და სხვა მოსართავი საშუალებებით, რათა უფრო შთამბეჭდავი საბრძოლო იერი მისცემოდა და ვიზუალური ეფექტი მოეხდინა (Тернбулл, 2007: 33). ეს ყველაფერი ჩაფხუტს ხელოვნების ნატიფ ნიმუშად აქცევდა.

ბუშიდოს სულით აღზრდილ მეომარს სისხლ-ხორცეულად ჰქონდა გამჯდარი თავისი მოვალეობები და პასუხისმგებლობა სიუზერენის წინაშე. ჭეშმარიტ სამურაიდ ითვლებოდა ის, ვინც მზად იყო მომკვდარიყო ბრძოლის ველზე ან თავი მოეკლა, ოღონდ ტყვედ არ ჩავარდნილიყო. ამ მხრივ იაპონელი სამურაი მკვეთრად განსხვავდებოდა დასავლეთევროპელი შუა საუკუნეების რაინდისაგან. თუკი ამ უკანასკნელს ტყვეობაში ყოფნა სირცხვილის ჩრდილს არ აყენებდა, სამურაისთვის ეს უბრალოდ წარმოუდგენელი იყო: ტყვედ ჩაბარებას, ის სიკვდილს ამჯობინებდა. თუკი ის სულმოკლეობას გამოიჩენდა და ნებისმიერ ფასად სიცოცხლის შენარჩუნებას შეეცდებოდა, ის მთელ თავის საახლობლოსთან ერთად, სამუდამოდ შერცხვენილი და სახელგატეხილი იყო (Varley and Nobuko, 1970: 32-33). ამიტომაც ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც სამურაები ბრძოლის ველზე იკლავ-

დნენ თავს, რათა მტრის ხელთ ცოცხლები არ მოხვედრილიყვნენ. ამ სასტიკ რიტუალს, რომელიც საყოველთაოდაა ცნობილი, ჰარაკირი ეწოდება. ჰარა – იაპონურად სიტყვასიტყვით ნიშნავს – მუცელს, გადატანითი მნიშვნელობით კი აღნიშნავს – სულს, გონებას, დაფარულ აზრებს; კირი – ნიშნავს – გაკვეთას, გახსნას, გაფატვრას. ამრიგად, ჰარაკირი ნიშნავს მუცლის გაფატვრას. თუმცა, ამ ტერმინში უფრო ღრმა აზრი იყო ჩადებული; კერძოდ, ტრადიციულად, იაპონელები მუცელს ადამიანის ემოციური არსებობის შინაგან წყაროდ მიიჩნევდნენ, მისი გაკვეთა კი დაფარული და ქვეშაირი ზრახვების გამომზეურებად აღიქმებოდა. ამ ქმედებით მეომარი თავისი ცოდვებით დამძიმებული სხეულიდან თითქოს სულს ანთავისუფლებდა (პრონიკოვი, ლადანოვი, 1991: 131-132). აქვე შევნიშნავთ, რომ თავად იაპონელები ხსენებული რიტუალის აღმნიშვნელად უფრო ხშირად ხმარობენ ტერმინებს – “სეპუკუ” ან “კაპუკუ”, დასავლურ სამყაროში კი – “ჰარაკირის” სახით გავრცელდა. მართალია, ორივე სიტყვა (სეპუკუ და ჰარაკირი) ერთიდაიგივე იეროგლიფებით იწერება, მაგრამ სხვადასხვაგვარად იკითხება. ეს იმით აიხსნება, რომ ერთ შემთხვევაში იეროგლიფები ჩინური ენის შესატყვისად იკითხება (სეპუკუ), მეორე შემთხვევაში კი – იაპონურად ანუ ჰარაკირი (Кодекс Бусидо, 2003: 12).

სამურაი ჰარაკირის შემდეგ შემთხვევებში იკეთებდა: თუკი ბუშიდოს ნორმებს დაარღვევდა, მისი ღირსება შეილახებოდა, ტყვედ ჩაუვარდებოდა მოწინააღმდეგეს, ღალატს ჩაიდენდა ანდა ბატონის დავალებას რაიმე მიზეზით ვერ შეასრულებდა, ასევე მისი სიუზერენის გარდაცვალების შემთხვევაში. ხაზგასასმელია, რომ ჰარაკირი მხოლოდ სამურაების პრეროგატივას წარმოადგენდა, რითაც ხაზი ესმებოდა იმას, რომ ისინი გამორჩეულად მამაცები, უშიშრები და მტკიცე ნებისყოფისანი იყვნენ. სამურაის ხმლის დამზადების აღიარებული ოსტატი ცუკაჰარა ბოკუდენი წერდა: “საკუთარი ხმლით სიკვდილი უდიდესი პატივია ქვეშაირი სამურაისთვის, მისი ხმალი არასოდეს არის თვითმკვლელობის იარაღი, იგი სულიერი თვითგამორკვევისა და თვითდისციპლინის აღმასრულებელი ინსტრუმენტია: შეიცანი სული შენი,

შეითვისე ფიქრი შენი და სიკვდილი იქცევა არარაობად, სიცარიელედ, შენი დიდების წამად” (რატიანი, 2000: 65).

ხაზგასასმელია, რომ ჰარაკირი უბრალო თვითმკვლელობა კი არ იყო, არამედ ხელოვნების რანგში აყვანილი თეატრალიზებული წარმოდგენის ტოლფას რიტუალს წარმოადგენდა. ის მსჯავრდებული სამურაის ბატონის რეზიდენციაში ღამის საათებში, საზეიმო ვითარებაში ტარდებოდა. მუსიკალური საკრავების თანხლებით, აბრეშუმის წითელ ბალიშზე მუხლებზე მჯდომი (იშვიათად, ფეხზე მდგომი) სამურაი სპეციალური ხანჯლით (იაპ. –კუსუნგობო), რომელიც 25 სმ სიგრძისა იყო და ოჯახურ რელიკვიას წარმოადგენდა, მუცელს იჭრიდა ჯერ ჰორიზონტალური მიმართულებით – მარცხნიდან მარჯვნივ, შემდეგ კი – ვერტიკალურად. ამასთან, მუცელი ისე უნდა გაეჭრა, რომ გარშემომყოფთ მისი შიგნეულობა დაენახათ (თუმცა, არსებობდა განსხვავებული ჭრილობებიც). ითვლებოდა, რომ ამ გზით მეომარი თავისი სხეულიდან სულს ათავისუფლებდა, ამასთანავე ამით ამტკიცებდა, რომ ის მამაცი და უშიშარი რაინდი იყო. მოგვიანებით, კერძოდ მეიჯის რესტავრაციის (1867/1868წ.წ.) წინა პერიოდში აღნიშნული პროცედურა გაცილებით გამარტივდა: საკმარისი იყო მუცელში ხანჯლის ერთი შერჭობა, ან კიდევ დამხმარე პირი (იაპონურად -კაიშიაკუ) ხმლით თავს კვეთდა სიკვდილმისჯილს. დროთა ვითარებაში ეს ფუნქცია ჯალათს დაეკისრა (პრონიკოვი, ლადანოვი, 1991: 133-134; გელაშვილი, 2012: 171). საერთოდ, ჭრილობის მიყენების ხერხი თავად სამურაიზე იყო დამოკიდებული, მის ამტანობაზე, ნებისყოფაზე და მოთმინებაზე. იმ შემთხვევაში, როდესაც ჰარაკირის პროცესი ჭიანურდებოდა ანუ დაჭრილი სამურაი არ კვდებოდა, დამხმარე პირს ევალებოდა მისი ტანჯვა ყელის გამოჭრით შეემსუბუქებინა. ეს მისია თვითმკვლელის უახლოესი მეგობრის ან ნათესავის პრეროგატივას წარმოადგენდა. ამ უკანასკნელის გარდა, რიტუალში კიდევ ორი ადამიანი მონაწილეობდა: ერთი მათგანი ლანგრით პატარა ხმალს აწვდიდა სამურაის, მეორე კი მის მოკვეთილ თავს დამსწრეთ უჩვენებდა ამოსაცნობად (Спешковский, 1981: 41; Кодекс Бусидо, 2003: 15).

აღნიშნულმა ცერემონიამ საბოლოო ჩამოყალიბებული სახე ედოს ეპოქის დასაწყისში ანუ XVII საუკუნის დამდეგიდან მიიღო, როდესაც ის განსაკუთრებული პომპეზურობით სრულდებოდა. მკაცრად იყო განსაზღვრული ყველა დეტალი, რიტუალის მონაწილეთა ჩაცმულობა, პროცედურის მიმდინარეობის სცენარი და რეგლამენტი. ამასთან, სხვადასხვა შეძლების სამურაისტვის განსხვავებული იყო მისი შესრულების ადგილი, სადაც წინასწარ სპეციალური ფარდული იგებოდა. ჰარაკირის აქტის სისასტიკის მიუხედავად, საგანგებო ყურადღება ექცეოდა ესთეტიურ მხარეს და მთლიანობაში პროცედურა საზეიმო ხასიათს ატარებდა. სიკვდილმისჯილი სამურაი წინა სადამოს ახლობლებს პატიუბდა, მათთან ერთად მხიარულობდა და საკეს მიირთმევდა, ბოლოს კი გამოოსამშვიდობებელი სიტყვით მიმართავდა დამსწრეთ. ჰარაკირის შესრულების წესს და საჭირო უნარ-ჩვევებს ბავშვობიდან ასწავლიდნენ სამურაის შვილებს, როგორც ვაჟებს, ისე გოგონებს (Inazo, 2012:107). ადრეულ ხანებში სამურაის ცოლი მასთან ერთად იჭრიდა ყელს ხანჯლით, რომელიც ქმრისგან მიღებული საქორწილო საჩუქარი იყო ან კიდევ – ხმლით, რომელსაც მას მამა ჩუქნიდა სრულწლოვანად გახდომისას. სამურაის ცოლს თავი უნდა მოეკლა არა მხოლოდ მეუღლის სიკვდილის შემთხვევაში, არამედ თავმოყვარეობის შელახვისა და მეუღლისათვის მიცემული სიტყვის გატეხვის გამოც. საბედნიეროდ, დროთა ვითარებაში სამურაების ცოლებს ეს უმძიმესი ვალდებულება მოეხსნათ, მაგრამ დაქვრევების შემდეგ, მათ მეორედ გათხოვების უფლება არ ჰქონდათ.

ჰარაკირზე საუბრისას, საყურადღებოა კიდევ ერთი გარემოება; ცნობილია, რომ ქრისტიანული რწმენის მიხედვით, თვითმკვლელობა დიდ ცოდვად ითვლება. იაპონელებში კი აღნიშნული მოვლენა ტრადიციულად, სიმამაცის და ვაჟკაცობის სიმბოლოდ მიიჩნეოდა, პიროვნება კი, რომელიც სიცოცხლეს საკუთარი ხელით ხელყოფდა, ამით თავის სულიერ და ფიზიკურ ძლიერებას ამტკიცებდა. ამიტომაც მას სამარადისო დიდება ელოდა. საკითხისადმი ამგვარი მიდგომის შედეგს წარმოადგენდა, რომ იაპონიის მთელი ისტორია აღსავსეა სხვადასხვა სახის თვითმკვლელობებით, რომელიც ხშირად ჯგუფურ ხასიათს ატარებ-

და. მათ შორის პირველი ადგილი შეეყვარებულებს ეჭირათ, რასაც შინჯიუ (იაპონურად – შეთანხმებული თვითმკვლელობა), ასევე - დეაიოში (იაპონურად – რომანტიკული თვითმკვლელობა) ეწოდება (პრონიკოვი, ლადანოვი, 1991: 135). მართალია, XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან თვითმკვლელობის ეს სახეობები ოფიციალურად აიკრძალა, მაგრამ მათი ფესვები იმდენად ღრმად გამჯდარი აღმოჩნდა იაპონელთა ცნობიერებაში, რომ შემდგომ ხანებშიც არ გამქრალა. როგორც ჩანს, გარკვეულწილად ამას განაპირობებდა სოციალური გარემო, სპეციფიკური ეროვნული შტრიხები და ტრადიციები, ამ თვალსაზრისით არანაკლებ როლს ასრულებდა ბუშიდოს მორალურ-ეთიკური ნორმები. გასათვალისწინებელია ასევე ის გარემოებაც, რომ იაპონელებს ძველთაგან სწამდათ ადამიანის მრავალჯერადი დაბადება. აქედან გამომდინარე, ამქვეყნიური ცხოვრებიდან ღირსეულად წასვლა, უკეთესი ხელახალი დაბადებისათვის განმსაზღვრელ პირობად მიიჩნეოდა (Кодекс бусидо, 2003: 14).

საუკუნეთა მანძილზე, როდესაც სამურაები ქვეყნის წართველ ავანგარდს წარმოადგენდნენ, ისინი სათანადო ყურადღების არეალში იყვნენ მოქცეულები ხელოვნების მოღვაწეთა მხრიდანაც. მათ ცხოვრება-მოღვაწეობას, საგმირო საქმეებს ეძღვნებოდა თეატრალური წარმოდგენები, მხატვრული ნაწარმოებები, ოდეები, იქმნებოდა სახელოვანი სამურაების პორტრეტები და ა. შ. XII საუკუნის ბოლოს, ლიტერატურაში ფართოდ გავრცელდა ისტორიულ-საგმირო ხასიათის ახალი ჟანრი - გუნკები (იაპონურად ნიშნავს – ჩანაწერებს მეომრების შესახებ), რომლებშიც წარმოჩენილი იყო სამურაების სიმამაცე ბრძოლის ველზე, სიუზერენისადმი ერთგულების ამსახველი ეპიზოდები, სიკვდილის მიმართ მათი გულგრილი დამოკიდებულება, ასევე აღწერილი იყო შინაომების ცალკეული დრამატული სცენები. აღსანიშნავია, რომ გუნკების ზოგიერთი ავტორი აფიქსირებდა ასევე სამურაების ქცევისა და ხასიათის ნეგატიურ მხარეებსაც, როგორცაა: ვერაგობა, სისასტიკე, უხეში ქცევები, პირად გამორჩენასა და კეთილდღეობაზე ზრუნვა (Искендеров, 1984: 64). ცხადია, რომ სამურაის ამგვარი იმიჯი რადიკალურად განსხვავდებოდა ბუში-

დოს მორალისგან. შესაძლოა, სამხედრო ეპოსების ავტორები ამით იმაზე მიაჩნებოდნენ, რომ სამურაებსაც, როგორც უბრალო მოკვდავებს, დადებითთან ერთად, უარყოფითი თვისებებიც გააჩნდათ. სწორედ გუნკების ჟანრს განეკუთვნება კამაკურას პერიოდის (1192-1333) საუკეთესო ლიტერატურული ნაწარმოებები, რომლებშიც საბრძოლო ეპოპეების სხვადასხვა სეგმენტები სიღრმისეულად და სისრულითაა წარმოჩენილი.

ამ კონტექსტში საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ისტორიულ-ლიტერატურული ძეგლი „ჰაგაკურე“ („ფოთლებქვეშ და მალული“), რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ენაზეა თარგმნილი, მათ შორის - ქართულად (იამამოტო ცუნეტომო, 2010). ნაშრომში გაერთიანებული ტექსტები დაწერილია სამურაების კლანების მეთაურთა მიერ და მიმართულია მეომრებისადმი. რომლებიც კრებულის სახით გამოიცა XVIII საუკუნეში. ნაშრომს ლაიტმოტივად გასდევს დარიგებები და მოწოდებები განათლების მიღებისკენ, სწავლისკენ, მშობლებისა და ბატონის მორჩილებისკენ, ერთგულებისკენ, პატიოსნებისკენ. მთლიანობაში, „ჰაგაკურეში“ წარმოდგენილი მსჯელობები, აღწერილი მოვლენები და რჩევა-დარიგებები აღიარებულია სამურაის პატიოსნების, ღირსების, ინტელექტის და სიბრძნის ეტალონად.

**სამურაების იდეოლოგია.** ისევე როგორც ზოგადად სამურაების თემა, ინტერესს იწვევს მათი იდეოლოგია, რომელიც მთლიანად განსაზღვრავდა მათი ცხოვრების წესს და კრედოს. თავდაპირველად სამურაების რწმენის ობიექტს ბუდისტური სექტის – ჯიოდოს ღვთაება ამიდა (იგივე ამიტაბჰვა) წარმოადგენდა. ამთავითვე უნდა ითქვას, რომ სამურაებმა იაპონიაში გავრცელებული რელიგიური მოძღვრებებიდან ის ელემენტები გაითავისეს, რომლებიც განსაკუთრებულად ახლოს იყო მათ სულიერ სამყაროსთან. თვით ბუშიდოც მჭიდროდ იყო დაკავშირებული აღმოსავლურ რელიგიებთან და სწორედ მათგან საზრდოობდა ფილოსოფიური და ეთიკური დოქტრინებით. მაგალითად, ბუდიზმმა ბუშიდოში შეიტანა ბედის გარდუვალობის რწმენა, სიმტკიცის გრძნობა ხიფათისა და უბედურების წინაშე, ცხოვრებისადმი მშვიდი, სიკვდილისადმი კი – გულგრილი დამოკიდებულება. იაპო-

ნელთა უძველესი ეროვნული სარწმუნოებისგან – შინტოიზმისგან ბუშიდომ შეითვისა სამშობლოს სიყვარული, წინაპართა კულტი, შვილების მოკრძალება და მოვალეობები მშობლების მიმართ. შინტოიზმისთვის დამახასიათებელი გარკვეული ნივთების, მაგალითად, ხმლის გაღვთაებრივება კი პირდაპირ მიესადაგებოდა სამურაების საბრძოლო სულისკვეთებას (Спеваковский, 1981: 38). მათ მსოფლმხედველობაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ასევე კონფუციზმმა, კერძოდ, ადამიანთა შორის ურთიერობების შესახებ შემუშავებულმა ხუთმა დოგმამ: უფროსს ემორჩილება უმცროსი, მამას – შვილი, ბატონს – მსახური, ქმარს – ცოლი, მეგობართა შორის თანასწორუფლებიანი ურთიერთობა. ასე რომ, სამურაების რელიგიური მსოფლმხედველობა ყალიბდებოდა შინტოიზმის, ბუდიზმისა და კონფუციზმის დოგმების სინთეზის საფუძველზე ანუ მათი კონკრეტული ელემენტების შერწყმით (Inazo, 2012: 50-51). საბოლოოდ სამურაების ცხოვრებაში დომინანტური პოზიცია დაიმკვიდრა ბუდიზმის ერთ-ერთმა ორიგინალურმა მიმდინარეობამ (ზოგიერთი ავტორი მას სექტასაც უწოდებს) – ძენ-ბუდიზმმა,<sup>2</sup> რომელიც მათ მთავარ იდეოლოგიად იქცა.

ძენ-ბუდიზმის სტრუქტურა მოიცავს როგორც რელიგიურ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ საფუძვლებს, ისე ცხოვრებისეულ ფილოსოფიას, რაც ადამიანის ცხოვრება-მოღვაწეობის სხვადასხვა მხარეებთანაა დაკავშირებული. XII საუკუნის მიწურულს ძენმა ჩინეთიდან იაპონიაში შეაღწია, სადაც რამდენიმე მიმართულებად გაიყო. მათგან უმთავრესი და ყველაზე პოპულარული გახდა რინძაი და სოტო. მათი ფუძემდებლები იყვნენ ბუდისტი ბერები ეისაი (1141-1215) და დოგენი (1200-1253), რომლებმაც ჩინეთში „ძენის მოძღვარის“ ტიტული მიიღეს და სამშობლოში დაბრუნების შემდგომ, ახალი მოძღვრების ქადაგებას შეუდგნენ.

---

<sup>2</sup>ძენ-ბუდიზმი – ტერმინი “ძენ” (ჩინურად – ჩან) მიმდინარეობს სინსკრიტული “დჰიანა”-დან, რომელიც იაპონური ენის ფონეტიკური ნორმების შესაბამისად, “ძენ”-ად იქცა. ძენ – ნიშნავს თვითჩაღრმავებას, მედიტაციას, ყურადღების კონცენტრირებას, მზერას. მის ფუძემდებლად მიჩნეულია ინდოელი ბუდისტი ბერი ბოდჰიდაკარმა, რომელიც VI საუკუნის დასაწყისში ინდოეთიდან ჩინეთში ჩავიდა და ქადაგება დაიწყო.

აღსანიშნავია, რომ ეისაის მიეწერება იაპონიაში ჩაის სმის რიტუ-  
ალური ცერემონიის დამკვიდრება, როგორც ძენის განუყოფელი  
კომპონენტისა (The Cambridge History of Japan, 3, 1997: 585-587;  
Sources of Japanese Tradition, I, 2001: 308-309). ძენის ხსენებული  
ორი მიმართულებიდან სოტომ უფრო მეტი პოპულარობა სოფ-  
ლებში, საშუალო რანგის სამურაებსა და გლეხობაში მოიპოვა,  
რინძაიმ კი ფართო გავრცელება ჰპოვა საზოგადოების ინტელექ-  
ტუალურ ფენაში და უმაღლესი რანგის სამურაებში (Kaiten, 2002:  
5-7). ძენ-ბუდიზმმა იაპონიაში რელიგიურთან ერთად, ღრმა სო-  
ციალურ-ფსიქოლოგიური და ესთეტიკური დატვირთვა შეი-  
ძინა, თანამედროვე პერიოდში კი ის სოციოლოგიას, ფსიქიატ-  
რიას და გამოყენებით ფსიქოლოგიასაც დაუახლოვდა. საერთო  
ჯამში, ძენ-ბუდიზმის იდეები საუკუნეთა მანძილზე ისე შეეზარ-  
და იაპონურ რეალობას, რომ მისი არსებობა აღარც კი შეიმჩნევა  
ანუ ისე აღიქმება, როგორც თავისთავად არსებული და აუცილე-  
ბელი სეგმენტი.

სამურაების დაინტერესება ძენ-ბუდიზმით არ იყო შემთხ-  
ვევითი, რადგანაც მისი მოთხოვნები საოცარი სიზუსტით მიე-  
სადაგებოდა მეომართა ფენის ცხოვრების წესს, კერძოდ: მკაცრი  
თვითდისციპლინა, სიმამაცე, გულმოწყალება, მომჭირნეობა, სი-  
უზერენისადმი ვასალის ერთგულება, სისადავე, და რაც მთავა-  
რია, მამაკაცის მთავარ მოვალეობად ის სამხედრო საქმეს მიიჩნ-  
ევდა (Kaiten, 2002: 12). გარდა ამისა, ძენ-ბუდიზმი ტანჯვისაგან  
ხსნის გზას მხოლოდ შინაგან გასხივოსნებაში, ამქვეყნიური ყო-  
ველგვარი სიამოვნებისა და ფუფუნებისგან განდგომაში ხედავ-  
და. აღსანიშნავია, რომ ძენი კონფუციანურ იდეებსაც შეიცავდა -  
უფროსისადმი უმცროსის მორჩილებასთან და არსებული სოცია-  
ლური კანონების მარადიულობასთან დაკავშირებით (Michiko,  
2002: 96). ძენი ქადაგებდა, რომ ამქვეყნად ყველაფერი წარმავ-  
ლია და დროის მცირე მონაკვეთითაა შემოფარგლული. სიკვდი-  
ლი კი, გარდუვალი და მარადიულია, ამიტომ რაც უფრო ადრე  
დადგება მისი ჟამი, მით უფრო მშვენიერია ცხოვრება. ძენის  
თანახმად, ადამიანი, რომელიც მუდამ მზად არის სიკვდილისა-  
თვის, სრულყოფილია. სიკვდილი არ არის საშიში, საშიშია დაეჭ-



ვება – რაკი გადაწყვეტილება მიღებულია, უკან დასახევი გზა აღარ უნდა არსებობდეს (რატიანი, 2000: 61). აქედან მომდინარეობდა სამურაების გულცივი და უშიშარი დამოკიდებულება სიკვდილის მიმართ. „სიცოცხლე ხანმოკლეა, სიკვდილი - მარადიული“- სწორედ ამ დევიზით ხელმძღვანელობდნენ სამურაები. ძენი შთააგონებდა მეომარს, რომ მტრის პირისპირ აუღელვებელი და თავშეკავებული ყოფილიყო, სწორედ რკინისებრი მტკიცე ნებისყოფის წყალობით, ის ნებისმიერ დაბრკოლებას გადალახავდა და გამარჯვებასაც ადვილად მოიპოვებდა.

სამურაების სამხედრო ფენის არსებობის ხანგრძლივი დროის მანძილზე იყო მათი აღზევების, აყვავება-აღმასვლის, დაქვეითების და ბოლოს კი – დამხობის პერიოდები, რაც უშუალო კავშირში იყო იაპონიაში მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებთან. XVI საუკუნეში სამურაების ფენამ თავისი ძლიერების ზენიტს მიაღწია და როგორც სახელისუფლო ემელონის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტი, სოციალური კიბის უმაღლეს საფეხურზე მოექცა. ამას, უპირველეს ყოვლისა, ხელს უწყობდა ქვეყანაში მიმდინარე გაუთავებელი ფეოდალური შინაომები, რომელთა მთავარ მამოძრავებელ ძალას სამურაები წარმოადგენდნენ. სწორედ სამურაების განსაკუთრებული აღზევების პერიოდიდან იღებს სათავეს ცნობილი იაპონური ფრთიანი გამოთქმა: „ყვავილთა შორის – ალუბალი, ადამიანთა შორის - სამურაი“(Спеваковский, 1981: 19).

სამურაების მდგომარეობა იაპონიაში რადიკალურად შეიცვალა XIX საუკუნეში; კონკრეტულად, როდესაც ქვეყანა საომარი გასამხედროებული ცხოვრების რეჟიმიდან მშვიდობიან, სამოქალაქო ყოფაზე გადავიდა, სამურაებმა თავიანთი სტატუსი და პრივილეგიები თანდათან დაკარგეს. სიახლეებმა ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ სფეროებში, განსაკუთრებით 1867-1868 წლების ბურჟუაზიულმა რევოლუციამ, უკვე საბოლოოდ გადაწყვიტა მათი ბედი: 1867 წლის მიწურულს დაემხო ტოკუგავას დინასტია და დასრულდა შიოგუნატის ისტორიაც. ამ აქტით იაპონიაში აღდგენილ იქნა იმპერატორის ერთმმართველობა და ქვეყანა განვითარების ახალ საფეხურზე გადავიდა. გატა-

რებული რეფორმების ფონზე, სამურაებს საფუძველი გამოეცალათ და მათი სისხლსავს მოღვაწეობაც დასასრულს მიუახლოვდა. რა თქმა უნდა, ეს უმტკივნეულოდ არ მომხდარა და სამურაებს ნებით არ დაუთმიათ თავიანთი პოზიციები, ისინი თავიანთი პრივილეგიების და უფლებების აღდგენას მოითხოვდნენ, ადგილი ჰქონდა ლოკალურ ამბოხებებს და შეტაკებებს სახელისუფლებო საჯარისო ფორმირებებთან (Ravina, 2004: 188). ყველაზე მასშტაბური აჯანყება 1877 დაიწყო, რომელსაც იაპონიის ყოფილი სამხედრო მინისტრი საიგო ტაკამორი (1838-1877) მეთაურობდა. ამბოხების საბაზი გახდა მთავრობის მიერ გამოცემული კანონი იარაღის ტარების აკრძალვაზე იმ პირთათვის, ვინც ოფიციალურ სამხედრო სამსახურში არ იმყოფებოდა. სამურაებმა ეს პირად შეურაცხყოფად აღიქვეს და საცუმას სათავადოში კონცენტრირებული საიგო ტაკამორის ლაშქარი სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ - დედაქალაქისკენ დაიძრა. რამდენიმე თვიანი სისხლიანი კონფლიქტი ხელისუფლების საჯარისო ფორმირებებსა და ამბოხებულ სამურაებს შორის ამ უკანასკნელთა მარცხით დასრულდა 1877 წლის 24 სექტემბერს. ბრძოლაში დაჭრილმა საიგო ტაკამორიმ, როგორც ღირსეულმა სამურაიმ, მტერის ხელში ტყვედ ჩავარდნას სიკვდილი არჩია და ჰარაკირით მოისწრაფა სიცოცხლე - ერთ-ერთ თანამებრძოლს თავის მოკვება სთხოვა (Papinot, 1989: 526; Ravina, 2004: 191-193). იაპონელმა ხალხმა მისი სახელი ლეგენდად იქცა და 1899 წელს, როგორც ეროვნულ გმირს, ტოკიოს ერთ-ერთი ცენტრალური პარკის - უენოს შესასვლელში მას ძეგლიც დაუდგეს.

### **დასკვნა**

ხსენებული აჯანყების კრახით დასრულების შემდეგ, სამურაების დიდი ნაწილი მონარქიის სამსახურში ჩადგა (კერძოდ, სამთავრობო ჯარში, პოლიციაში, სამხედრო სასწავლებლებში, სახანძრო რაზმებში და სხვ.), მათი მცირე ნაწილი იატაკქვეშა ტერორისტულ ჯგუფებში გაერთიანდა და არასასურველ პოლიტიკურ პირებს ანადგურებდა. სამურაების გარკვეული ნაწილი, სახსრების უქონლობის გამო, უმდაბლეს დონემდე დაეცა, ზოგმა ვაჭრობასა და ხელოსნობას მიჰყო ხელი, რაც მათთვის მანამდე

საძრახის საქმიანობად ითვლებოდა. ზოგიერთმა მათგანმა კი სოფელს მიაშურა და მიწაზე დაიწყო მუშაობა (Varley, 1984: 213-214; Ebrey and others, 2009: 342). ასე დასრულდა სამურაების დრამატული მოვლენებით აღსავსე ეპოპეა იაპონიაში. რამდენადაც ეს ფენა შექმნილ პოლიტიკურ რეალობაში უკვე დრომოჭმული ფეოდალური წყობილების ერთ-ერთ მთავარ გადმონაშთს წარმოადგენდა, ამიტომ ლოგიკურად, ისტორიული განვითარების კონკრეტულ ეტაპზე ის ისტორიის კუთვნილება უნდა გამხდარიყო და ასეც მოხდა. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, იაპონელი ერის სულიერი ცხოვრების არსებით კრიტერიუმად უწინდებურად რჩებოდა სამურაების იდეოლოგია და მათი ტრადიციული მორალური ღირებულებები. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დროთა განმავლობაში ბუმიდოც ტრადიციად იქცა და გარკვეულწილად დღესაც ახორციელებს იაპონიაში მარეგულირებელ ფუნქციას, მისი სული მრავალმხრივ მართავს იაპონელთა ქცევას, შეგნებულად თუ ქვეცნობიერად ისინი მის პრინციპებს მიჰყვებიან.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- გელაშვილი, ნ. (2012). *იაპონია საუკუნეთა ლაბირინთებში*. თბილისი: „უნივერსალი“.
- პრონიკოვი, ვ., ლადანოვი, ი. (1991). *იაპონელები*. თბილისი: „მეცნიერება“.
- იამამოტო ცუნეტომო (2010). *ჰაგაკურე - ფოთლების ჩრდილში ნაამბობი*. თარგმანი ქ. ჩიგოგიძის, ვლ. ლუარსაბიშვილის, კომენტარები და წინასიტყვაობა გ. თევზაძის. თბილისი: „აზრი“.
- რატიანი, ი. (2000). *იაპონური დღიურები*. თბილისი: „საარი“.
- სუენ ძი. (2009). *სამხედრო ხელოვნების შესახებ*. ჩინურიდან ქართულ ენაზე მთარგმნელი ზ. მამნიაშვილი. თბილისი: “მერიდიანი”.
- Clavell, J. (1999). *Shogun*. London: “Hadder&Stoughton”.
- Ebrey, P., Walthall, A., Palais, J. (2009). *East Asia – a Cultural, Social and Political History*. USA: “Publishing house Wadsworth”.

- Japan in Modern History, vol. 1* (1995). Tokyo: “Kodansha”.
- Inazo, Nitobe. (2012). *Bushido the Soul of Japan*. USA: “Kodansha”.
- Kaiten, Nukariya. (2002). *Zen – the Religion of the Samurai*. USA: “ El Paso Northe Press”.
- Michiko, Yusa. (2002). *Japanese Religious traditions*, London- New York: “Prentice Hall”.
- Naoki, Takei. (2001). *Getting Closer to Japan – Japanese Culture*. Tokyo: “ASK. Co.Ltd”.
- Papinot, E. (1989). *Historical and Geographical Dictionary of Japan*. Tokyo: “Tuttle”.
- Pctoral Encyclopedia of Japanese Culture*. (1990). Editorial consultant Nakayama Kaneyoshi. Tokyo: “Gakken”.
- Ravina, M. (2004). *The Last Samurai: the Life and Battles of Saigo Takamori*. USA - New Jersey: “Ratings & Rewiews”.
- Sources of Japanese Tradition from the Early Times to 1600, vol. 1*. (2001). General editor Wm. Theodore de Bary. “Columbia University Press”.
- The Cambridge History of Japan*. (1997). Edited by J. W. Hall, M. B. Jansen, M. Kanai, D. Twitchett. vol. 3: “Cambridge University Press”.
- Varley, H. P. Ivan and Nabuko Morris. (1970). *Samurai*. London: “Weidenfeld & Nicoison”.
- Искендеров, А. А. (1984). *Тоётоми Хидэёси*. Москва: “Наука”.
- Кодекс Бусидо. Хагакуре*. (2003). Перевод А. Боченкова, В. Горбатько. Москва: “Наука”.
- Спеваковский, А. Б. (1981). *Самурай – военное сословие Японии*. Москва: “Наука”.
- Стэнли-Бейкер, Дж. (2002). *Искусство Японии*. Москва: «Слово».
- Теимс, Р. (2009). *Япония – история страны*. Москва – Санкт-Петербург: «Эксмо».
- Тёрнбулл, С. (2007). *Символика Японских самураев*. Москва: «Астрель».
- Тёрнбулл, С. (2009). *Самурай – вооружение, обучение, тактика*. Москва: «Эксмо».



## SAMURAI - AN INTEGRAL PART OF JAPANESE HISTORY

**Nana Gelashvili**

Doctor of historical  
sciences, professor Ivane Javakhishvili  
Tbilisi State University. Georgia,  
Tbilisi, Ilia Chavchavadze avenue #1, 0179,  
+995 599934977. nana.gelashvili@tsu.ge  
ORCID: 0000-0003-2293-2637  
DOI: <https://doi.org/10.61671/hos.7.2024.7796>

### **Abstract**

In the presented work are discussed and analyzed life and activities of samurai - the specific Japanese phenomenon, their rise in the military arena, and finally - the end. In this context, attention is focused on their code of moral and ethical behavior - bushido, ideology, lifestyle, military art, etc. From the very beginning, it should be emphasized that the samurai layer is an integral component of Japanese history, as throughout the long period of the Middle Ages it was one of the main actors in the political, military and socio-economic life of the country. The samurai first appeared in the arena of history in the 8<sup>th</sup> century as armed squads of individual feudal lords. Since that time, their status and importance gradually increased, which was directly related to the current processes in the country. This includes, first of all, permanent internal wars between feudal clans, the main actors of which were the samurai. They were obliged to serve faithfully their master, protecting his interests both in times of war and in times of peace.

Samurais reached the zenith of their power in the 16<sup>th</sup> century, when they became one of the most privileged classes of the country. However, later, their status changed radically, which was connected with the bourgeois revolution of 1867/1868 and with the current so-called Meiji reforms. The result of the mentioned events was the overthrow of the military-feudal system - the Shogunate and restoration of the sole rule of the emperor in Japan. In the new historical reality, when Japan embarked on the path of Westernization of development, the military units of the samurai were already recognized as a time-worn remnant of the feudal system. That is why the samurai army was declared abolished, and therefore, it has already become a part of history.

**Keywords:** Samurai; Japan; Zen-Buddhism; Bushido; Shogunate.

## **Introduction**

Analogies of the existence of a professional warrior stratum can be found in abundance in the history of European and Asian countries of the feudal age. Among them, the layer of Japanese samurai stands out its specific and original characteristics. That's why there is an inexhaustible interest in it both in the historical past and in the modern period. This is evidenced by existence of a large number of scientific works, fiction, films of various genres and theatrical performances dedicated to the life and activities of samurai, their selfless battles, heroic deeds, military art, etc. Nevertheless, in general, the topic of samurai is so all-embracing that it contains still inexhaustible material for research and study. This is exactly the purpose of the presented paper. In particular, there are presented the main stages of the life and activities of the samurai, the ground of their origin and the circumstances of their rise in chronological order. The mentioned processes started in the 8<sup>th</sup> century and obtained finished appearance in the 16<sup>th</sup> century, when the military layer of the samurai became one of the most privileged classes in Japan. The flourishing period in the middle of the 19<sup>th</sup> century was followed by the limitation of the spheres of

influence and privileges of the samurai, and finally this process was crowned with the overthrow of the samurai layer. In 1867/1868, one of the most important in the list of Meiji reforms, carried out in Japan according to the Western model, was the issue of the samurai. In particular, the combat formations of the samurai under individual feudal lords were declared illegal, and the samurai themselves were given the opportunity to enter the government state service. Dissatisfied with the reforms, the samurai started an armed rebellion to restore their rights, but this did not have the desired result - the government suppressed the rebellion with the harshest methods. In such a way ended the historical epic of the samurai, who were at their zenith for centuries. The above-mentioned issues are presented in the work, based on the study of various scientific literature, comparison and critical analysis of the information about the life and activities full of dramatic events of the samurai, preserved in them.

### **Methods**

In order to study the issues presented in the paper, we have used the historical-descriptive method, which means finding cause-effect relationships of historical facts and events, presenting their characteristics objectively and analyzing them, on the basis of which it becomes possible to draw appropriate conclusions. In the research process is also used the historical-comparative, content understanding and research method based on mutual comparison of scientific literature and critical analysis of their data.

### **Discussion**

A unique phenomenon in the history of the peoples of the world is the warrior class of the Japanese samurai, which is radically different from the military forces of the European or Asian countries of the feudal age with its originality, specific characteristics, mysterious way of life, ideology and culture. It was the strict historical conditions of Japan of the feudal age, which conditioned appearance of the mentioned layer, interest in which never dies away. This is evidenced by a great number of scientific works and fiction, as well as films and theater performances of various genres, dedicated to the life

and activities of the samurai, their self-sacrificing battles, heroic deeds, military art, etc. However, in general, the subject of the samurai is so multifaceted that it continues to be an inexhaustible source of material for research and study.

The term “samurai” comes from the Japanese verb “saburau”. later it underwent transformation into the form of “samurai”, which means service, protection of the master. From here, a military serviceman of a noble person or a feudal lord was called samurai. At first, the terms “samurai” and “bushi” (in Japanese it means - a warrior) were used for mentioning those persons, who served as sentinels in the Imperial Palace, patrolling in the streets of the city, on the squares and they also fulfilled the functions of the police (Iskenderov, 1984: 337-339; Teims, 2009: 81-84). Later, as a result of strengthening of feudal relationships in Japan, they called “samurai” the members of the armed squads, formed by the owners of the shioens – specific kinds of estate for protecting their territories from the attacks of the opposing feudal lords and suppressing the riots of the peasants.

Samurai belonged to the class of peasants, that is, they were of populace origin, who first were attached to the ground. Some of them, mostly physically strong peasants, voluntarily joined the suzerain’s military service as guards. The first samurai squads appeared in Japan in the 8<sup>th</sup> century. Their main obligation was serving their master with devotion both in the period of peace and war. In the wake of the aggravation of the relations between the feudal clans, a small number of samurai troops were spreading out and becoming an army. In return for faithful service, they were receiving food, shelter, and sometimes - even a land with peasants. So, a certain part of the samurai with time were becoming influential feudal lords, who exploited their former comrades - peasants. The samurai of that time were already far away from the land and the peasant class. (Gelashvili, 2012: 162). The significant contributing factors to the formation of the military layer were the incessant feudal internal wars, peasants’ riots, as well as wars against Ainu people – descendants of the ancient settlers of Japan, living in the north-west part of the country. In these battles were also



actively involved peasants, evicted from the state lands, who were uniting in the samurai squads (Spevakovsky, 1981: 11). More often in the country were the military oppositions between the feudal clans, more urgent was becoming the necessity of the samurais' force. So, wars were their main source of livelihood.

In consequence strengthening, the samurai stratum was formed into a complex hierarchical system: it was divided into ranks of different levels, whose rights and obligations, property and material condition were different from each other. Also, each of them had its own name. From the political processes in Japan of the Middle Ages, the privileges of the samurai became more and more wide, and finally they were formed into an independent class. Accordingly, they were moving higher and higher on the hierarchical ladder, they were competing with the old family aristocracy in the power and privileges. Some of them had penetrated into the highest echelons of the governmental pyramid and were included in the nearest circle of Shogun (Teims, 2009: 100-101). The aforementioned processes started in the 12<sup>th</sup> century and were completed in the 16<sup>th</sup> century, when the military layer of the samurai has reached the peak of its strength and turned into the most privileged class in Japan.

The formation of the layer of the samurai was followed by creation of codex of their moral and ethical norms – Bushido<sup>3</sup>, in which were included the rights and obligations of the samurai, the norms of behavior, system of moral principles, worldview etc. According to Bushido, a samurai should have three main traits: wisdom, humanity and courage. The moral principles which were mentioned in the codex were built on these features. Among them, a special attention was focused on such spiritual values as: devotion to work, principledness, courage, honesty, modesty, ability to self-control, abstinence, hatred for personal profit and money (Japan in Modern

---

<sup>3</sup>Bushido is made of three hieroglyphs: 1. Bu - stopping a spear; 2. Shi – warrior, knight, a noble man, that is, bushi is a man who is able to maintain peace either by fighting or by any other means. 3. Do – way. In short, the term “Bushido” is translated as “the way of the warrior”.

სალეჰმა ჰუთიების მოძრაობის შესახებ პირველად შეიტყო 2002 წელს საუდის არაბეთში მოგზაურობისას, როდესაც ჰუთიების მხარდამჭერები მის წინააღმდეგ შეიკრიბნენ მეჩეთის წინ, სადაში. ორი წლის შემდეგ, 2004 წლის ივნისში, სალეჰმა საადას გუბერნატორს ჰუსეინ ალ-ჰუთის დაპატიმრება დაავალა (Glossemeyer, 2004:210). ჰუსეინმა წინააღმდეგობა გაუწია მათ და სწორედ აქედან იწყება დაპირისპირებები იემენში ალ-ჰუთის მომხრეებსა და ქვეყნის პრეზიდენტს შორის.

XXI საუკუნის პირველ ათწლეულში იემენში სულ უფრო და უფრო ხშირი იყო დაპირისპირებები სხვადასხვა ეთნიკურ, სოციალურ, და რელიგიურ ჯგუფს შორის. ერთ-ერთი სწორედ ჰუთიების მოძრაობა გახლავთ. ჰუთიები არიან შიიტურ-ზაიდიტური მემბოხე ჯგუფი, რომელიც წარმოიშვა იემენის ჩრდილო-დასავლეთ პროვინციაში, საადაში. ისინი ცნობილნი არიან, როგორც, ჰუთიები ან ჰუთის ჯგუფი, მათი სულიერი ლიდერის ბადრ ალ-დინ ალ-ჰუთი-დან გამომდინარე. ეს მოძრაობა ასევე ცნობილია, როგორც „ანსარ ალაჰი“, ან მორწმუნე ახალგაზრდობა.

ეს მოძრაობა სათავეს იღებს „შაბაბ ალ-მუმანიინ“დან (მორწმუნე ახალგაზრდობა), ჯგუფი რომელიც მოქმედებდა 1990-იანი წლების დასაწყისში. მორწმუნე ახალგაზრდობა მუშაობდა შიიტური ისლამის ზაიდის მიმართულების შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე, რომელიც საუკუნეების განმავლობაში დომინირებდა იემენში, მაგრამ 1960-იანი წლებში სამოქალაქო ომის შემდეგ რეპრესირებულ იქნა იემენის მთავრობის მიერ.

2003 წელს ერაყში აშშ-ს ხელმძღვანელობით კოალიციის შეჭრის შემდეგ, ჰუსეინ ალ-ჰუთიმ, ცნობილმა ზაიდიტმა სასულიერო პირმა და პარლამენტის ყოფილმა წევრმა (1993-1997 წლებში), ასევე მორწმუნე ახალგაზრდობის ერთ-ერთმა ლიდერმა, დაიწყო ანტიამერიკული საპროტესტო აქციების მოწყობა. იგი გახდა მაშინდელი პრეზიდენტის ალი აბდულა სალეჰის ხმამაღალი კრიტიკოსი. მან მთავრობა დაადანაშაულა ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ისრაელთან მჭიდრო კავშირში. ჰუსეინ ალ-ჰუთი მოუწოდებდა მის მიმდევრებს პარასკევს ლოცვის შემდეგ ეყვირათ მის მიერ შექმნილი სლოგანი - „ალაჰი უდიდესია, სიკვდილი ამერიკას, სიკვდილი ისრაელს, წყევლა ებრაელებზე და გამარჯვება ისლამისთვის“ ( ، +أبريل 2022:17).

ზოგიერთი წყარო აცხადებდა, რომ ჰუსეინ ბადრ ალ-დინ ალ-ჰუთის მიმდევრების მიერ ამ ლოზუნგის გამოყენება მეჩეთში იყო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი ალ-ჰუთის ჯგუფსა და იემენის მთავრობას შორის დაპირისპირების დაწყებისა.

ჰუსეინ ბადრ ალ-დინ ალ-ჰუთის, შემდგომ კი მისი მიმდევრების, მთავარი მოტივი გახლდათ ჩრდილოეთ იემენის მეტი ავტონომია, ასევე ზაიდიტების რელიგიური და კულტურული დაცვა. ალ-ჰუთიმ და მისმა მიმდევრებმა დაიწყეს ღიად ბრძოლა მმართველ რეჟიმთან. ალ-ჰუთი იემენის ჩრდილოეთ პროვინციის გარკვეულ რეგიონებზე კონტროლის დამყარების შემდეგ შეუდგა შეიარაღებული რაზმების ჩამოყალიბებას. ასევე მან შექმნა თავისი დროშა, თავი გამოაცხადა იმამად და გადასახადების აკრეფა აიღო თავის თავზე. მისი ამ ქმედებების გამო იემენის მთავრობამ გასცა ორდერი ალ ჰუთის დაკავების შესახებ, ამიტომ მისმა მიმდევრებმა დაიწყეს ძალადობრივი შეტაკებები უსაფრთხოების ძალებთან. ალ ჰუთი 2004 წელს უშიშროების ძალებმა მოკლეს. ჰუსეინ ალ-ჰუთის გარდაცვალების შემდეგ ამ ჯგუფს ჰუთიები უწოდეს. მას შემდეგ მისმა ნათესავებმა და მხარდამჭერებმა არა ერთი აჯანყება მოაწყვეს მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც ცნობილია, როგორც ჰუთის ომები. 2005 წელს ჰუთიებსა და სამთავრობო ძალებს შორის შეტაკებები გაიზარდა, რის შედეგადაც ასობით ადამიანი დაიღუპა (<https://www.aljazeera.net/encyclopedia/2014/12/7/الحوثيون>).

შეტაკებები კვლავ გაგრძელდა. სიტუაციის დარეგულირების მიზნით 2006 წლის მარტში პრეზიდენტმა სალექჰმა ამნისტია გამოუცხადა 600 ჰუთიელ მეზობლოს. რის შედეგადაც 2006 წლის მან არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა. 2007 წლის დასაწყისში, ჰუთიელი მემბროები და სალექჰის მთავრობა კვლავ წინააღმდეგობაში აღმოჩნდნენ ერთმანეთთან. ბრძოლა გაგრძელდა იქამდე, სანამ აბდულ-მალიქ ალ-ჰუთიმ სალექჰთან ყატარის დახმარებით ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას არ მიაღწია. 2008 წლის აპრილში ბრძოლა კვლავ განახლდა. 2009 წელს ჰუთიების მოძრაობა ასევე სასაზღვრო დაპირისპირებაში შევიდა საუდის არაბეთის სამხედრო ძალებთან საადას საზღვარზე. იმავე წელს აგვისტოში იემენის სამხედროებმა დაიწყეს ოპერაცია „Scorched Earth“ („დამწვარი დედამიწა“). საადაში ჰუთიების აჯანყების ჩახშობის მიზნით. ბრძოლა გაგრძელდა მანამ, სანამ შეთავაზებებისა და კონტრშეთავაზებების რაუნდების შემდეგ სალექჰის მთავრობა არ

დათანხმდა ცეცხლის შეწყვეტას აბდულ-მალიქ ალ-ჰუთისთან და ამბოხებულებთან 2010 წლის თებერვალში (<https://www.aljazeera.net/encyclopedia/2014/12/7/الحوثيون>).

პრეზიდენტმა სალემმა ირანი დაადანაშაულა ამბოხების მხარდაჭერაში, ჰუთიების დაფინანსებაში ქვეყნის დესტაბილიზაციის მიზნით. არა ერთხელ ყოფილა ისეთი შემთხვევა, როდესაც იემენის ხელისუფლებას განუცხადებია, რომ დააკავეს ირანთან დაკავშირებული პირები, რომლებიც ირანს აწვდიდნენ ინფორმაციას იემენის საშინაო საქმეების შესახებ.

სისხლიანი ბრძოლების რამდენიმე ეტაპის შემდეგმდეგ 2010 წელს ჰუთიებმა ხელი მოაწერეს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას იემენის მთავრობასთან. თუმცა ჰუთიებისთვის ბევრი რამ არ შეცვლილა მთავრობის მხრიდან. ერთი წლის შემდეგ ისინი შეუერთდნენ სალემის წინააღმდეგ არაბული გაზაფხულის საპროტესტო აქციებს. რამაც გამოიწვია ჰუთიების სწრაფი წარმატება ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში (Gregory, 2021: 34-36).

პრეზიდენტი ალი აბდულა სალემი რკინის მუშტით მართავდა იემენს 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში და მიუხედავად იმისა, რომ თავად ზაიდიტია, ჰუთიების მოკავშირე არ იყო. სინამდვილეში მათი მტერი გახლდათ. როდესაც არაბული გაზაფხულის შედეგად წარმოქმნილმა საპროტესტო გამოსვლების ტალღამ მოიცვა ახლო აღმოსავლეთის დიდი ნაწილი, ჰუთიებმა ისარგებლეს იემენელი ხალხის მზარდი უკმაყოფილებით სალემის მთავრობის მიმართ და დაიწყეს კონტროლის დამყარება ქვეყნის ჩრდილოეთში.

სალემი დათანხმდა მოთხოვნას გადამდგარიყო. მან ძალაუფლება გადასცა მის მოადგილეს, აბდ რაბო მანსურ ჰადის. ახალი პრეზიდენტის დაპირებები სამთავრობო რეფორმების შესახებ, დაპირებებად დარჩა. იემენელების ცხოვრების პირობები, მათ შორის ჰუთიებისაც, სულ უფრო უარესდებოდა.

„არაბული გაზაფხული“ მოიცავს მთელ რიგ საპროტესტო აქციებს ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკის ნაწილში, რომელიც 2010 წლის ბოლოდან დაიწყო. საპროტესტო აქციების (ჯერ თუნ-

ისში, შედეგ ეგვიპტეში) მიზანი იყო ავტორიტარული რეჟიმების დამხობა და ქვეყნებში დემოკრატიის დამყარების იმედი. ხშირად საპროტესტო აქციები ძალადობრივ ხასიათსაც ატარებდა. ამ აქციების შედეგად თუნისსა და ეგვიპტეში რეჟიმების დამხობამ სხვა ქვეყნებსაც შთააგონა შეერთებოდნენ არაბულ გაზაფხულს (გაჩეჩილაძე, 2019:165-168). ერთ-ერთი სწორედ იემენი იყო.

იემენში გამართულ საპროტესტო აქციებს თუნისისა და ეგვიპტის ანალოგიურად, ოპოზიციის წევრები და დემოკრატიისკენ სწრაფვის მსურველები შეუერთდნენ. იემენის მოსახლეობა უკმაყოფილო იყო ხანგრძლივი ეკონომიკური სტაგნაციით. საპროტესტო აქციების გამო პრეზიდენტმა სალექმა შეცვალა ეკონომიკური პოლიტიკა და მოსახლეობას დაჰპირდა გადასახადების შემცირებას და ხელფასების გაზრდას. იგი ასევე დათანხმდა თანამდებობის დატოვებასაც, რაც შემდეგ არჩევნებში საშუალებას მისცემდა სხვა კანდიდატებს, წარედგინათ თავიანთი კანდიდატურები და დაეკავებინათ თანამდებობები. მისმა დათმობებმა არ დააკმაყოფილა მომიტინგეები, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ სხვა დროსაც ჰქონდა პრეზიდენტ სალექს მსგავსი დაპირებები, მაგრამ მათ ვერ ან არ ასრულებდა.

მომიტინგეებსა და პოლიციას შორის ხდებოდა შეტაკებები, რაც იწვევდა მსხვერპლს. პრეზიდენტი სალექი მხარდამჭერებს კარგავდა, რადგან საპროტესტო აქციები უფრო და უფრო ძალადობრივი ხდებოდა. რევოლუციის გარდამტეხ პერიოდად ითვლება ის მომენტი, როდესაც სამხედროები დემოკრატიის მომხრე მომიტინგეებს შეუერთდნენ, რამაც მნიშვნელოვნად დაასუსტა პრეზიდენტ სალექის ძალა. საბოლოოდ, 2011 წელს ხელი მოაწერეს საერთაშორისო შუამავლობით მიღებულ შეთანხმებას, რომელშიც გაწერილი იყო, რომ სალექს პრეზიდენტობა უნდა გადაეცა ვიცე-პრეზიდენტ აბდუ რაბო მანსურ ჰადისთვის. თუმცა, ჰადიმ ვერ შეძლო ქვეყნის ეფექტური მართვა, რამაც შემდგომში იემენის არასტაბილურობა და ეკონომიკური ვარდნა კიდევ უფრო გააღრმავა. ჰადის მთავრობასაც მსგავსი ბედი ეწია, მიტინგები და ამბოხებები კვლავ გაგრძელდა (, , 2022:17).

ქვეყანაში არსებული ისედაც მძიმე ვითარება, გაამწვავა ჯიჰადისტთა თავდასხმებმა იემენზე სამხრეთიდან. ირანმა აიღო კონტროლი ქვეყნის ჩრდილოეთ საზღვარზე, რომელიც მხარს ამბოხებულ შიიტ ზაიდიტებს უჭერდა. ამ სიტუაციაში ჰადიმ გადაწყვიტა ქვეყნიდან გაქცეულიყო. მან იემენი სამოქალაქო ომში დატოვა. არაორგანიზებულობისა და წინასწარ დაუგეგმავობის გამო შეიძლება ვთქვათ, რომ რევოლუციის შემდეგ იემენი უფრო ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ვიდრე მის დაწყებამდე. სრულიად საპირისპირო შედეგი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს პოლიტიკური პროტესტის ხასიათს. იემენის საზოგადოება მრავალფეროვანია, რის გამოც მათ შორის არის კონფლიქტები. ცალკეულ დაჯგუფებებს შორის ქვეყანის შიგნით არაერთი ამბოხება სხვადასხვა დროს 1962 წლიდან, ასევე 2004 წლიდან და ბოლოს დამანგრეველი სამოქალაქო ომი 2015 წელს, რომელიც დღემდე გრძელდება. როდესაც სალექჰმა თავისი პოზიცია ჰადის დაუთმო, იემენის სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციის სტაბილიზაციისთვის, ახალმა მთავრობამ ვერ შეძლო შიდა კონფლიქტების გაკონტროლება და საბოლოოდ 2015 წელს ჰადის მთავრობამ დატოვა ქვეყნის დედაქალაქი და იემენის სამხრეთში გადავიდა. იემენის დედაქალაქი სანაა კი ამბოხებულმა ჰუთიებმა დაიკავეს.

სალექს გადადგომამდე სურდა მისი შვილის დანიშვნა იემენის სამხედრო მეთაურად, მაგრამ სამხედრო მეთაურს აჰმარს არ უნდოდა თანამდებობის დათმობა, ამიტომ იემენის მთელი სამხედრო ნაწილი გაიყო ორ კონკრეტულ ჯგუფად: აჰმარის ერთგულებად და სალექსის ერთგულებად. ამ სიტუაციით ისარგებლეს ჰუთიებმა და დაიწყეს ჩრდილოეთ იემენის ტერიტორიების დაკავება, რადგან სამხედროები ძალიან სუსტები იყვნენ და მათ წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ. ამის პარალელურად, ტერორისტულმა ორგანიზაცია ალ-ყაიდამ ისარგებლა კონფლიქტით და გავრცელდა იემენში 2011 წლიდან, განსაკუთრებით კი სამხრეთ იემენის რაიონებში.

იემენში სამოქალაქო ომის გაჩაღების არაერთი მიზეზი იყო:



პირველი, ალ-ჰუთის აჯანყება ჰუთიების ზაიდიტურ-შიიტურმა ჯგუფმა, რომელიც მარგინალიზებული იყო იემენის პოლიტიკაში, ხმა აიმაღლეს თავიანთი უფლებების დასაცავად. ეს გაცილებით ადრე დაიწყო. პირველად ეს მოხდა როცა დასრულდა იმამათის მმართველობა 1970 წელს. მთავრობა მათ სხვადასხვა პოლიტიკით მართავდა. საბოლოოდ, ჰუთიებმა დაიპყრეს ჩრდილოეთ იემენის ცალკეული ტერიტორიები და დედაქალაქი სანაა, ასევე გაამევეს ჰადის მთავრობა სამხრეთ იემენში, რომელიც დღემდე იქ იმყოფება და დედაქალაქად ადენი აქვთ გამოცხადებული.

მეორე მიზეზი გახლავთ, აბდუ რაზუ მანსურ ჰადის პრეზიდენტად დანიშვნის შემდეგ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ზეწოლის ქვეშ მყოფ, ჰადის მთავრობის მიერ საწვავის სუბსიდიების გაუქმება 2014 წლის ივლისში. ჰუთიებს, რომლებიც აქტიურად აპროტესტებდნენ მთავრობის პოლიტიკას, მიეცათ შესაძლებლობა, მოეხდინათ ხალხის მობილიზება მთავრობის წინააღმდეგ და გაეკრიტიკებინათ გაეროს გარდამავალი პროცესი, მოაწყვეს მასობრივი საპროტესტო აქციები საწვავის ფასების დაწვეის და ახალი მთავრობის მოთხოვნით.

ჰადის მხარდამჭერებმა და „მუსლიმ ძმებთან“ დაკავშირებულიმა პარტიამ „ალ-ისლაჰმა“ მოაწყვეს კონტრპროტესტი. ჰუთიების პროტესტი ძირითადად ჩრდილოეთ იემენში გავრცელდა.

შეიარაღებული ძალების გაყოფა იემენის სამოქალაქო ომის კიდევ ერთი მიზეზია. ყოფილი პრეზიდენტის, სალექის ერთგული სამხედრო შენაერთები შეუერთდნენ ჰუთიებს, რამაც ხელი შეუწყო მათ ბრძოლის ველზე წარმატებას. სხვა სამხედროები მობილიზებულნი იყვნენ ჰუთი-სალექის ძალების წინააღმდეგ, შეუერთდნენ სამხედრო ელემენტებს, რომლებიც რჩებოდნენ ჰადის მთავრობის ერთგულნი. სამხრეთელმა სეპარატისტებმა გააძლიერეს გამოყოფის მოწოდებები. ქვეყნის მთელი სამხრეთი ნაწილი კიდევ დაიყო.

და ბოლოს, საუდის არაბეთის სამხედრო ინტერვენცია ასევე მნიშვნელოვანი მიზეზია. ჰუთიებმა დაიპყრეს ადენი, ჰადი გადასახლებაში წავიდა საუდის არაბეთში, 2015 წლის მარტიდან,

საუდის არაბეთის მეთაურობით, სპარსეთის ყურის ქვეყნების კოალიციამ, წამოიწყო ეკონომიკური იზოლაციისა და საჰაერო თავდასხმების კამპანია ჰუთების წინააღმდეგ, აშშ-ს ლოგისტიკური და დაზვერვის მხარდაჭერით. სამხედრო ინტერვენციის დაწყების შემდეგ იემენის მდგომარეობა გაუარესდა. სხვადასხვა ჯგუფები იბრძვიან ძალაუფლების ხელში ჩაგდებაზე, როგორცაა ჰუთები ჩრდილოეთ იემენში, ალ-ყაიდა და ISIS სამხრეთ იემენში, ასევე იემენის სამხრეთელი დაჯგუფებები (Gregory, 2021:34-36).

ჰადიმ გადადგომაზე უარი თქვა და 2015 წლის სექტემბერში დაბრუნდა ადენში და მას შემდეგ ბრძოლა გაგრძელდა. გაეროს მცდელობა, ხელი შეუწყოს სამშვიდობო მოლაპარაკებებს მოკავშირე ჰუთებსა და საერთაშორისოდ აღიარებულ იემენის მთავრობას შორის 2016 წლის ზაფხულში შეჩერდა.

2016 წლის ივლისში, ჰუთებმა და ყოფილი პრეზიდენტის, ალი აბდულა სალექის, მთავრობამ, რომელიც 2011 წელს გადაყენებულ იქნა ხელისუფლებაში თითქმის ოცდაათი წლის ყოფნის შემდეგ, შექმნეს „პოლიტიკური საბჭო“, რომელიც სანაას და ჩრდილოეთ იემენის დიდ ნაწილს მართავდა. თუმცა, 2017 წლის დეკემბერში როცა სალექმა კვლავ გაწყვიტა ჰუთებთან ურთიერთობა, თავის მიმდევრებს მოუწოდა, რომ აეღოთ იარაღი ჰუთების წინააღმდეგ. ჰუთებმა სალექი მოკლეს, მისი ძალები კი მეორე დღესვე დამარცხდა.

რეგიონული ძალების ჩარევა, როგორცაა ირანი და ყურის ქვეყნები საუდის არაბეთის მეთაურობით, იემენის სამოქალაქო ომში, საფრთხეს უქმნის ქვეყანას და კონფლიქტი გადადის უფრო ფართო სუნიტურ-შიიტურ დაპირისპირებაში. 2015 წლის აპრილიდან მოყოლებული საუდის არაბეთის საზღვაო ბლოკადამ ადენის ყურეში იარაღის მასიური ტვირთი ჩამირა, რომელსაც ირანი ჰუთიელი მემამბოხეებისთვის გზავნიდა.

ამის საპასუხოდ, ირანმა გაგზავნა საზღვაო კოლონა, რამაც კიდევ უფრო საფრთხე შეუქმნა ორ ქვეყანას შორის სამხედრო ესკალაციას.

რეგიონში სუნიტი მუსლიმების ლიდერი, საუდის არაბეთი და შიიტი მუსლიმების ლიდერი, ირანი, ერთმანეთის მეტოქე ქვეყნებია. ორივეს სურს თავისი პოლიტიკური გავლენის გავრცელება ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. ირანის როლი დაფარულია და მას არასდროს უთქვამს, რომ ისინი ეხმარებიან ჰუთიებს. აშშ ასევე თამაშობს დიდ როლს თავის მოკავშირე საუდის არაბეთთან ერთად. საუდის არაბეთი კვლავ მხარს უჭერს ჰადის მთავრობას და, შესაბამისად, აწარმოებს სამხედრო ოპერაციებს იემენში ჰუთიების წინააღმდეგ. სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოს წევრებთან ერთად (ომანის გარდა), საუდის არაბეთი ხელმძღვანელობდა იემენში სამოქალაქო ინფრასტრუქტურის წინააღმდეგ განხორციელებულ საჰაერო თავდასხმების სერიას, რომელიც მიზნად ისახავდა ჰუთიების საყრდენების განადგურებას. ასევე, საუდის არაბეთის საჰაერო ძალები ინტენსიურად იყო ჩართული ჰუთიების საჰაერო თავდაცვის განადგურებაში.

2021 წლის თებერვალში, ჰუთიებმა წამოიწყეს შეტევა მარიბის, იემენის საერთაშორისოდ აღიარებული მთავრობის ბოლო დასაყრდენის დასაკავებლად, ხოლო მარტის დასაწყისში ჰუთიელ მემბოხეებმა განახორციელეს სარაკეტო საჰაერო თავდასხმები საუდის არაბეთში, მათი სამიზნე გახლდათ ნავთობის ტანკერები, სხვადასხვა ობიექტები და საერთაშორისო აეროპორტები. საუდის არაბეთის ხელმძღვანელობით კოალიციამ თავდასხმების ზრდას უპასუხა საჰაერო დარტყმებით იემენის დედაქალაქ სანააზე. ეს შეტევა იყო ყველაზე სასიკვდილო შეტაკება 2018 წლის შემდეგ, უამრავი მებრძოლი დაიღუპა და სამშვიდობო პროცესების წარმოება უფრო გართულდა (Gregory, 2021:34-36).

იმავედროულად, კონფლიქტი მეტად მძიმე ზარალს აყენებს იემენელ მშვიდობიან მოსახლეობას, რამაც იემენი მსოფლიოში უმძიმეს ჰუმანიტარულ კრიზისამდე მიიყვანა. გაეროს შეფასებით, 2015 წლიდან იემენში სავარაუდო 377 000 დაღუპულთა 60% გახლავთ შედეგი ისეთი მიზეზების, როგორცაა საკვების დაუცველობა და ჯანდაცვის სერვისების ხელმიუწვდომლობა. დაახლოებით 74%, ანუ ოცდახუთი მილიონი იემენელი კვლავ

საჭიროებს სხვადასხვა სახის დახმარებას. თითქმის, ხუთ მილიონს შიმშილობა ემუქრება, ხოლო ქოლერის ეპიდემია მილიონზე მეტ ადამიანს აზარალებს. კონფლიქტის ყველა მხარის მიერ დაირღვა ადამიანის უფლებები და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმები.

ჰუმანიტარულ კრიზისს ემატება ეკონომიკური კრიზისი იემენში. 2019 წლის ბოლოს, კონფლიქტმა გამოიწვია ეკონომიკის დაშლა ორ ფართო ეკონომიკურ ზონად, ჰუთიების და საუდის არაბეთის მხარდაჭერილი მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებად. 2021 წლის შემოდგომაზე, იემენის ვალუტის მკვეთრმა გაუფასურებამ, განსაკუთრებით მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე, მნიშვნელოვნად შეამცირა ხალხის მსყიდველობითი უნარი და მათთვის მრავალი ძირითადი საჭიროება კიდევ უფრო მიუწვდომელი გახადა, რამაც გამოიწვია ფართო პროტესტი სამხრეთ იემენის ქალაქებში. უშიშროების ძალებმა საპროტესტო აქციებზე ძალისმიერი რეაგირება მოახდინეს.

საუდის არაბეთის ხელმძღვანელობით კოალიციამ და ირანის მიერ მხარდაჭერილმა ჰუთიებმა მიაღწიეს გაეროს შუამავლობით ცეცხლის შეწყვეტას 2022 წლის აპრილში; ცეცხლის შეწყვეტა ორჯერ განახლდა. ექვსი თვის შემდეგ ცეცხლის შეწყვეტის ოფიციალური ვადის გასვლის მიუხედავად, ორივე მხარემ თავი შეიკავა ძირითადი ესკალატორული ქმედებებისგან.

ირანსა და საუდის არაბეთს შორის ბოლო მოლაპარაკებებმა 2023 წლის აპრილში, ჩინეთის შუამავლობით, გააჩინა იემენში კონფლიქტის დასრულების პოლიტიკური მოგვარების იმედი. მოლაპარაკებებს მივყავართ გარღვევისაკენ შეთანხმებამდე დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენისა და ორივე მხარის საელჩოების გახსნის შესახებ, წლების დამაბულობისა და მტრობის შემდეგ. ირანის გაეროს მისიამ განაცხადა, რომ შეთანხმებამ შესაძლოა დააჩქაროს მცდელობები ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესახებ.

## დასკვნა

იემენის სამოქალაქო ომი იმიტომ გახანგრძლივდა, რომ მასში ჩართულები არიან როგორც შიდა რეგიონული, ისე გარე პოლიტიკური აქტორები. ყოველ მათგანს ამ სამოქალაქო ომში თავისი ინტერესები გააჩნიათ. აქედან გამომდინარე, იემენში არსებული პოლიტიკური კრიზისი გახანგრძლივდა.

## გამოყენებული ლიტერატურა:

- გაჩეჩილაძე, რ. (2019). *ახლო აღმოსავლეთი*, ტომი, II, გამომცემლობა - „ბაკურ სულაკაური“. თბილისი.
- გელოვანი, ნ. (2008). *თანამედროვე არაბული ქვეყნები*, გამომცემლობა - „უნივერსალი“. თბილისი.
- ელერდაშვილი, ა. (2006). *უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი*, თბილისი.
- Dresch, P. A. (2000). *History of Modern Yemen*, New York: Cambridge University Press.
- Glosemeyer, I. (2004). „*Local Conflict, Global Spin*“, Middle East Report 232.
- Gregory, D. Hohnsen. (2021). *Foreign Actors In Yemen: The History, The Politics, And The Future*.
- Gregory, D. Hohnsen. (2012). *The Last Refuge: Yemen, Al-Qaeda, and America's War in Arabia* (New York: WW Norton).
- Hoagland, J. (1979). „*N. Yemen Seen Shaky Despite U.S. Aid*“, The Washington Post, April 11.
- Clark, V. (2010). *Yemen: Dancing on the Heads of Snakes*, (New Haven and New York: Yale University Press).
- Philips, S. (2011). *Yemen and the Politics of Permanent Crisis*, (Routledge: London and New York).
- UN Panel of Experts on Yemen, “Final Report to UN Security Council”, Distributed by the UNSC on January 31, 2017.
- الاتفاقيات الهشة مع الحوثيين و فشل مبادرات السلام في اليمن, مركز أبعاد للدراسات والبحوث, اليمن \_ مارب, أبريل 2022
- 2021 (1) حسين عبدالله الحمري "تاريخ اليمن المعاصر" ( اليمن: دار الفكر , 20, (الحوثيون/2014/12/7/ency clop edia /www.aljazeera.net).



## Peculiarities of the Yemeni Civil War

**Maia Kapanadze**

Doctor of History, Associate Professor,  
Caucasus International University,  
Tbilisi 73 Chargali str., 0179, Georgia,  
+995558766887. maia.kapanadze@ciu.edu.ge.  
<https://orcid.org/0000-0002-7460-5374>  
DOI: <https://doi.org/10.61671/hos.7.2024.7797>

**Tamar Kiknadze**

Doctor of Political Science  
Georgian Technical University, Professor, Head of the  
Department of Politics and International Relations  
Tbilisi 14, Kipshidze str., Georgia,  
+995558766887. tamar.kiknadze@ciu.edu.ge  
<https://orcid.org/0009-0007-1071-6490>  
DOI: <https://doi.org/10.61671/hos.7.2024.7797>

### Abstract

The Middle East is one of the most complex regions in the world. It is characterized by many conflicts. There are frequent conflicts and confrontations between the countries of the region or even within the countries, which affect the security of the entire region.

The civil war in Yemen has been going on for years. As soon as the war started, the processes went far beyond the boundaries of this country. Both internal and external actors were actively involved in it. Therefore, the civil war in Yemen has become one of the most urgent problems in the Middle East region. In this war, not only the country's government and its opposition group, in the form of the Houthis, are facing each other, but it has also acquired a religious confrontation.

The “defender of the Shiites” - the Islamic Republic of Iran and the state of Saudi Arabia, which considers itself the banner of the Sunnis, got involved in the Yemeni civil war. Other external regional actors are also involved directly or indirectly.

Because of all this, the war took on a rather resonant character and was prolonged. The reason for the prolongation of the mentioned civil war is the disagreement between both internal and external political actors. We are talking about the bays of Aden and Babel Mandab, which are of great strategic importance. There is not even an assumption about the end of the war yet. The country is divided into two camps, there is a humanitarian crisis. Accordingly, the economic situation is also difficult.

**Keywords:** Yemen; Region; Active; War; Conflict; Religion; Gulf; Country; Security.

## **Introduction**

The current political conflict in Yemen has been brewing for a long time. The beginning of this process was given by the wave of revolutions that developed because of the Arab Spring in the Middle East region. The reason for the protests that took place in Yemen is very different from the protests in other countries of the region. In addition to the autocratic regime, the religious factor also became the reason for the protest. Due to this, the current political crisis in Yemen has been extended and it has gone far beyond the borders of this particular country.

## **Method**

The article is based on: comparative analysis, retrospective analysis, and structural-functional analysis research methods.

## **Result**

The current civil war in Yemen is characterized by a number of peculiarities. This war had a significant impact on the regional security of the Middle East. Actors operating inside and outside the country are involved in it. Based on the religious factor, the participants in the

conflict are Iran and Saudi Arabia. Although the relations between these two countries - Iran and Saudi Arabia - improved considerably in March of this year, it still did not contribute to the process of ending the Yemeni civil war, which indicates that despite some positive signs, both Iran and Saudi Arabia are changing their positions in the region to reveal their influence. They are not going to give up yet.

### **Discussion**

Yemen is one of the most ancient civilizations in the Middle East. From the 7th century, Yemen was greatly influenced by the Arab Caliphate. Islam began to spread here from 628/630, Sunni Islam spread to North Yemen. In 1839, South Yemen was occupied by Britain, and the north was dominated by the Ottomans, which lasted until 1924. From 1517 to 1924, the country was part of the Ottoman Empire (Gelovani, 2008:159-160).

On October 30, 1918, North Yemen was declared an independent state by Imam Yahya Muhammad of the Al-Qasim dynasty. In 1926, he declared North Yemen as Mutawakilit kingdom. The name Mutawakilit is derived from the full name of Imam Yahya Muhammad, the Imam who declared North Yemen a kingdom. He became both a temporary king and (Zayd) a spiritual leader and gained international recognition for his state. In 1926, the Italo-Yemen Treaty was concluded. This treaty is also known as Sana'a Treaty. At this time British influence was considerable in the region, with the British colony of Aden and the Aden Protectorate to the south of Yemen. Italy also had its own colonies in the region, in the form of Eritrea and Somaliland, which were characterized by low profitability. Italy's expectation was that in case of strengthening ties with Yemen, it would increase trade in the region, thus expanding Italy's sphere of influence. The Kingdom of Yemen wanted the annexation of Aden, because the Imam's desire was to become a "Greater Yemen". In this treaty, Italy recognized Imam Yahya as the king of Yemen and his claim to Aden. In the 1920s, Yahya expanded his power north into Tihama, but he ran into the growing influence of Abdul Aziz ibn Saud of Nejd and Hijaz (the future king of Saudi Arabia). Ibn Saud announced the merger of



the Kingdoms of Nejd and Hijaz in 1932, establishing the Kingdom of Saudi Arabia. Most of the borders remained unmapped. Kuwait, Bahrain, Aden, etc.). By 1932, Ibn Saud controlled almost the entire Arabian Peninsula, except for Yemen and the small coastal states then under British protectorate (Oman, Kuwait, Bahrain, Aden, etc.) (عبدالله، احمرى+2022: 16).

Between the Hijaz and Yemen there were several warring tribal units that both Ibn Saud and the Imam of Yemen sought to control. Finally, today's border with Saudi Arabia was demarcated on May 20, 1934 by the Treaty of Taif, after the Saudi-Yemen war.

The Kingdom of Yemen became one of the founding member states of the League of Arab States in 1945. It joined the United Nations on September 30, 1947. Yemen also involved a small force in the 1948 Arab-Israeli war.

In 1948, Imam Yahya bin Muhammad Hamid was assassinated, as a result of a coup d'etat by the AL Wazirs, they took power for a while, but Yahya's son Imam Ahmad bin Yahya was soon able to regain power. His reign was marked by the growing development and openness of the country. Imam Ahmad was slightly more prudent and more open to foreign contacts than his father. His regime, like his father's, was autocratic and semi-medieval in nature. All decisions made required his personal approval (عبدالله احمرى، 2022; 27).

In March 1955, King Ahmed bin Mohammed was briefly forced to abdicate due to a coup organized by a group of officers and his two brothers, but the coup was quickly suppressed. King Ahmed was under increasing pressure from the Arab nationalists and pan-Arabists of Egyptian President Gamal Abdel Nasser. In 1956, the Imam of Yemen signed a mutual defense pact with Egypt.

In March 1958, Yemen expressed its desire to join the United Arab Republic, but at the last moment refrained from taking this step. It disbanded soon after (December 1961) after Syria withdrew from the United Arab Republic. After that, Yemen's relations with Egypt worsen.

Imam Ahmed died in September 1962 and was succeeded by his son, Muhammad al-Badri, whose reign was short-lived, Egyptian-trained Yemeni military officers inspired by Nasser led by the head of the royal guard, Abdullah al-Salal, deposed him in the same year that the crown stood up, took control of the capital Sana'a and created the Yemen Arab Republic (YAR). This led to a civil war in North Yemen and created a new front in the "Arab Cold War" with Egypt helping the YAR with troops. The monarchs of Saudi Arabia and Jordan supported the forces of the deposed emirate against the newly created republic. The conflict continued intermittently until 1967, when Egypt withdrew its troops. By 1968, most of Sanaa's adversaries had reached reconciliation. Saudi Arabia recognized the Republic of Yemen in 1970.

Since 1962, the country has been in a civil war for ten years. In the north, an anti-monarchy revolution overthrew the Imam's rule and established the Yemen Arab Republic with Sana'a as its capital. The Republicans were supported by Egypt - its back was supported by the Soviet Union, and the monarchists were supported by Saudi Arabia, behind which the Western countries stood. It was a "war by other hand" between the communist bloc and the imperialist bloc, this fratricidal war killed about 200,000 Yemenis, which was 4 percent of the country's population at the time (Gachechiladze, 2019: 289).

At the same time, an anti-colonial war against the British began in South Yemen, in Aden, which escalated between different factions in the government of Aden. Britain left Aden in 1967. Three years later, in 1970, the People's Democratic Republic of Yemen (PDRY) was established.

The People's Democratic Republic of Yemen was a one-party Marxist-Leninist state. The Socialist Party of Yemen was the sole ruling party and had almost total power over both the legislative and executive branches.

For the next two decades, the People's Democratic Republic of Yemen was heavily dependent on foreign aid from the Soviet Union. The country was often the scene of short, bloody battles between

separate factions for control of Aden. One of them took place in 1986, in which thousands of people died (Dresch, 2000; 69).

Similar civil conflicts took place in North Yemen. The first two presidents of the republic - Abdullah al-Salal and Abd al-Rahman al-Irian were overthrown as a result of a coup (in 1967 and 1973). The next two presidents, Ibrahim al-Hamdi and Ahmed al-Gham, were killed in the night - first Ibrahim, and 9 months later - Ahmed. All this allowed a relatively unknown military officer, Ali Abdullah Saleh, to become the president of North Yemen in 1978. Saleh quickly restructured the Yemeni military and security apparatus, strengthening his relatives and trusted clans from the Sanhan tribe. He gave them the posts of high military commissars and security forces (UN Panel, 2017: 304). Later, Saleh boasted that his presidency would last six months at most, and he was president for three decades (Hoagland, 1979:87).

In fact, two countries with different political systems were formed on the territory of "Happy Arabia". There were socialist fanatics in South Yemen who tried to establish socialism in that part of the country. In the north, a closed political system was established, the ideology of which was Islamic religious fundamentalism. A situation typical of the "Cold War" was created, when a country was divided along ideological lines.

Relations between the two Yemeni republics became strained in the early 1970s, when southern party functionaries vowed to unify the country by force. All this turned into a war that started in 1972 and lasted until 1979. This year, negotiations between the opposing sides began at the summit of the League of Arab States, which was held in Kuwait. At the summit, the parties expressed their readiness to end the conflict. They expressed their desire for the unity of Yemen, which was supported by the Arab countries as well as the West, because this, in turn, would create a kind of stability in the Middle East. However, this attempt was unsuccessful (عبدالله احمدى ، 2021: 18).

In 1988, serious discussions began regarding the unification of the Yemen Arab Republic and the People's Democratic Republic of

Yemen, which would lead to the restoration of good relations between them. A set of principles was formed:

1. Disarmament of the existing border forces between the two sides;
2. Creation of a common area on the borders of both sides and joint work during oil exploration operations;
3. Unconditional permission to cross the border for Yemenis, and any Yemeni from the north could go to the south only with a national identity card;
4. Creation of a government whose members would be from both sides and would work for the interests of the Yemeni people on both sides, without discrimination;
5. Integration of ministries and logistical government agencies in a manner consistent with the interests of the Yemeni people.

Work has really started to implement the 'principles'. This was the beginning of the real unification of North and South Yemen. In May 1990. In fact, the two Yemeni ministries and government agencies have begun to merge. The border forces have been disarmed. The first postage stamp with the name of the United Republic of Yemen was issued in October 1990.

Unification of North and South Yemen and internal political difficulties in 1990, when the Soviet Union was collapsing and it was becoming clear that it could no longer guarantee the independence of the People's Democratic Republic of Yemen (PDR), its leadership proposed reunification to North-North Yemen itself. At the same time, oil and gas deposits were discovered in the disputed border zone of Yemen, which is also divided into two. A unified Republic of Yemen was created, the capital of which became North. The center of Yemen - Sana'a.

This marriage of the "two Alis," as it was sometimes called (Ali Abdullah Saleh in the north and Ali Salem al-Beydi in the south), did not go well. Both sides tried to degrade and weaken the other. Saleh has drawn back tribal families who lost their land during socialist redistribution in the 1960s and 70s, as well as former jihadists who

fought against the Soviet Union in Afghanistan in the 1980s, which Saleh said was also fighting communists (Gregory, 2012:45-76).

The process of creating a unified state was not easy for Yemen, the unity of the country was very weak. In South Yemen, the North was following religious (Islamic) laws, which the inhabitants of a secular country like South Yemen could not adapt to.

Relations between them were also strained by newly discovered oil fields, most of which were discovered in the southern part of Yemen. According to the decision of the government of South Yemen, the money received from the extracted oil should remain with them. It was this circumstance that contributed to the aggravation of the political crisis in the Republic of Yemen.

In May 1994, the tension between the north and south of the country turned into a civil war. The South tried to secede from the United Republic. Saudi Arabia supported the secession attempt, but Saleh, with the help of former jihadists and the Islamist party Islah, was able to crush the secession attempt within weeks. The conflict between them lasted until July 1994, and in the end North Yemen emerged as the winner. Saleh announced a political amnesty to all, except for 16 leaders who participated in the military conflict. Separatist leaders were confiscated all their property and forbidden to return to Yemen.

The unstable economic situation of your country has become a very serious problem. More than 200,000 Yemenis were forced to work in Saudi Arabia and other rich Gulf countries. President Saleh again managed to maintain his power through various political manoeuvres. He won the presidential elections in 1999 and 2006. However, they protested that representatives of small and medium-sized businesses did not have political freedom. They also demanded economic reforms and fight against corruption. At the same time, they wanted the resignation of President Saleh, who had been at the head of the country since 1978 with his clan.

Saleh named Abdorabu Mansour Hadi, a southern Abyan who did not support the separation of southern Yemen from the north, as

his vice president. To ensure that his rule would not face any threat or challenge in the future, Saleh began to weaken groups such as Islah that had helped him win the civil war. Saleh had a characteristic of pitting his domestic rivals against each other, which he often referred to as "dancing on the heads of snakes" (Clark, V,2010). Some scholars, including Sarah Phillips, have called this "the politics of permanent crisis" (Philips, 2022: 217-222).

After the 1997 parliamentary elections, concerned that Islah was becoming too powerful, Saleh began to support some of Islah's internal rivals, including the traditionalist Zaydi political party Hizb al-Haqqi (Party of Truth). This support included direct payments to Zaydi leaders such as Hussein Badr al-Din al-Houthi, who was a member of parliament from the Hizb al-Haqq party in 1993-97. Also, in order to gain the loyalty of the Zaydis, they allowed the establishment of control over such ministries as the Ministry of Education. These "bribes" of President Saleh were known as charity. Hussein al-Houthi used the money received by Saleh to finance his master's studies in Sudan (1999-2000).

By 2000, the political situation had changed again, so Saleh stopped paying Hussein al-Houthi. Former member of parliament Husayn al-Houthi returned to Yemen and in his home of Saada, he formed an alliance with members of the Shabaab al-Mu'manin ("Faithful Youth"), students who wanted to revive Zaydism. This movement was formed in the 1980s, initially as summer camps to promote the teachings of traditional Zaydism. He believed that society was threatened by both Salafism and Sunnism in general. The Faithful Youth Movement was founded by Muhammad Izzan and Muhammad Badr al-Din al-Houthi, one of Hussein al-Houthi's half-brothers. They later formed the core of the Houthi movement known today as Ansar Allah.

Saleh first learned about the Houthi movement in 2002 during a trip to Saudi Arabia, when Houthi supporters staged a rally against him in front of the Saada Mosque. Two years later, in June 2004, Saleh ordered the arrest of the governor of Saada, Hussein al-Houthi (Glosmeyer,1994: 210). Hussein resisted them and this is where the conf-

licts between the supporters of al-Houthi in Yemen and the country's president begin.

In the first decade of the 21st century, conflicts between different ethnic, social, and religious groups in Yemen became more and more frequent. The Houthi movement is a participant in one of these conflicts. The Houthis are a Shia-Zaidi rebel group that originated in Yemen's north-western province of Saada. They are known as the Houthis or the Houthi group after their spiritual leader, Badr al-Din al-Houthi. This movement is also known as "Ansar Allah", or the believing youth.

The movement originates from Shabaab al-Mumanin (Believing Youth), a group active in the early 1990s. The devout youth worked to raise awareness of the Zaydi branch of Shiite Islam, which had dominated Yemen for centuries but was repressed by the Yemeni government after a civil war in the 1960s.

After the US-led coalition invaded Iraq in 2003, Hussein al-Houthi, a prominent Zaydi cleric and former member of parliament (1993-1997), as well as one of the leaders of religious youth, began organizing anti-American protests. He accused the government of close ties with the United States of America and Israel. Hussein al-Houthi called on his followers after Friday prayers to shout a slogan he created - "Allah is Greatest, Death to America, Death to Israel, Curse on the Jews and Victory to Islam (أبريل 2022:110).

Some sources claimed that the use of this slogan by the followers of Hussein Badr al-Din al-Houthi in the mosque was one of the most important reasons for the start of the conflict between the al-Houthi group and the Yemeni government.

The main motivation of Hussein Badr al-Din al-Houthi, and later his followers, was greater autonomy for North Yemen, as well as the religious and cultural protection of the Zaydis. Al-Houthi and his followers began to openly fight the ruling regime. Al-Houthi, after establishing control over certain regions of Yemen's northern province, began to form armed groups. He also created his own flag, declared himself an imam, and took upon himself the collection of

taxes. Because of his actions, the Yemeni government issued an arrest warrant for al-Houthi, so his followers began violent clashes with security forces. Al Houthi was killed by security forces in 2004. After the death of Hussein al-Houthi, this group was called the Houthis. Since then, his relatives and supporters have staged multiple rebellions against the government, known as the Houthi Wars. In 2005, clashes between the Houthis and government forces escalated, resulting in hundreds of casualties (<https://www.aljazeera.net/encyclopedia/2014/12/7/الحوثيون>).

Clashes continued. To settle the situation, in March 2006, President Saleh announced amnesty to 600 Houthi fighters. As a result, he won the elections in 2006. In early 2007, the Houthi rebels and Saleh's government were again at odds with each other. The fighting continued until Abdul-Malik al-Houthi reached an agreement with Saleh on a ceasefire with the help of Qatar. In April 2008, the battle resumed. In 2009, the Houthi movement also entered a border conflict with the Saudi military forces on the Saada border. In August of the same year, the Yemeni military launched Operation "Scorched Earth" to suppress the Houthi rebellion in Saada. Fighting continued until, after rounds of offers and counteroffers, Saleh's government agreed to a ceasefire with Abdul-Malik al-Houthi and the rebels in February 2010 ([https://www.aljazeera.net/encyclopedia/2014/12/7/\(\(الحوث\)\)](https://www.aljazeera.net/encyclopedia/2014/12/7/((الحوث)))).

President Saleh accused Iran of supporting the rebellion, funding the Houthis to destabilize the country. There have been several instances where the Yemeni authorities have announced that they have arrested individuals linked to Iran who were providing information to Iran about Yemen's domestic affairs.

After several stages of bloody fighting, in 2010, the Houthis signed a cease-fire agreement with the Yemeni government. However, not much has changed for the Houthis from the government side. A year later, they joined the Arab Spring protests against Saleh. This led to the rapid success of the Houthis in the fight against the government (Gregory, 2021:34-36).



President Ali Abdullah Saleh has ruled Yemen with an iron fist for more than 30 years, and despite being a Zaydi himself, has not been allied with the Houthis. In fact, they were their enemies. As a wave of protests in the wake of the Arab Spring swept across much of the Middle East, the Houthis took advantage of the Yemeni people's growing discontent with Saleh's government and began to take control of the country's north.

Saleh agreed to the request to resign. He transferred power to his deputy, Abd Rabbo Mansur Hadi. The new president's promises about government reforms remained promises. The living conditions of Yemenis, including the Houthis, were getting worse.

The "Arab Spring" includes a series of protests in the Middle East and parts of Africa that began in late 2010. The purpose of the protests (first in Tunisia, then in Egypt) was to overthrow the authoritarian regimes and hope to establish democracy in the countries. Protests were often violent. The overthrow of regimes in Tunisia and Egypt as a result of these actions inspired other countries to join the Arab Spring (Gachechiladze, 2019: 165-168). One of them was Yemen. Similar to Tunisia and Egypt, members of the opposition and those who want to strive for democracy joined the protests held in Yemen. The population of Yemen was dissatisfied with the long economic stagnation. Because of the protests, President Saleh changed his economic policy and promised the population tax cuts and wage increases. He also agreed to step down, which would allow other candidates to run for office in the next election. His concessions did not satisfy the protesters, who pointed out that President Saleh had made similar promises at other times but failed or failed to fulfil them.

There were clashes between the protesters and the police, which resulted in casualties. President Saleh was losing supporters as the protests became more and more violent. The turning point of the revolution is considered to be the moment when the military joined the pro-democracy protesters, which significantly weakened the power of President Saleh. Finally, in 2011, an internationally brokered agreement was signed, which stipulated that Saleh was to hand over

the presidency to Vice President Abd Rabbo Mansour Hadi. However, Hadi was unable to govern the country effectively, further deepening Yemen's instability and economic decline. Hadi's government suffered a similar fate, and the rallies and riots continued (, 2022: 112).

The country's already dire situation has been exacerbated by jihadist attacks on Yemen from the south. Iran has taken control of the country's northern border, which has been supporting the Shiite Zaydi rebels. In this situation, Hadi decided to flee the country. He left Yemen in a civil war. Due to disorganization and lack of advance planning, we can say that after the revolution, Yemen was in a worse situation than before it started. The very opposite result calls into question the nature of political protest. Yemeni society is diverse, which is why there are conflicts between them. The country has been wracked by numerous insurgencies at different times since 1962, as well as since 2004, and finally a devastating civil war since 2015, which continues to this day. When Saleh gave his position to Hadi, in order to stabilize the socio-political situation in Yemen, the new government was unable to control the internal conflicts and finally in 2015, Hadi's government left the country's capital and moved to the south of Yemen. The capital of Yemen, Sana'a, was occupied by rebel Houthis.

### ***Conclusion***

The Yemeni civil war has been prolonged because both internal regional and external political actors are involved in it. Each of them has their own interests in this civil war. Therefore, the political crisis in Yemen has been prolonged.

### **References:**

- Gachechiladze, R. (2019). *Near East*, Volume II, published in "Bakur Sulakauri". Tbilisi.
- Gelovani, N. (2008). *Modern Arab countries*. published in "Universal". Tbilisi.

- Elerdashvili, al. (2006). *Universal Encyclopedic Dictionary*. Tbilisi.
- Dresch, P. A. (2000). *History of Modern Yemen*, (New York: Cambridge University Press).
- Glosemeyer, I. (2004). „*Local Conflict, Global Spin*“, Middle East Report 232, Fall.
- Gregory, D. Hohnsen. (2021). *Foreign Actors in Yemen: The History, The Politics, And the Future*.
- Gregory, D. Hohnsen. (2012). *The Last Refuge: Yemen, Al-Qaeda, and America's War in Arabia* (New York: WW Norton).
- Hoagland, J. N. (1979). *Yemen Seen Shaky Despite U.S. Aid*, The Washington Post, April 11.
- Clark, V. (2010). *Yemen: Dancing on the Heads of Snakes*, (New Haven and New York: Yale University Press).
- Philips, S. (2011). *Yemen and the Politics of Permanent Crisis*, (Routledge: London and New York).
- UN Panel of Experts on Yemen, “Final Report to UN Security Council”, Distributed by the UNSC on January 31, 2017.
- الاتفاقيات الهشة مع الحوثيين و فشل مبادرات السلام في اليمن, مركز أبعاد للدراسات و البحوث, اليمن\_ مأرب, أبريل 2022
- (1) 202 حسين عبدالله الحمري "تاريخ اليمن المعاصر" ( اليمن: دار الفكر, 20, الحوثيون/2014/12/7/ency clopedia /www.aljazeera.net).



**სანჯაყ-ბეგ აბაშიძეების მიწათმფლობელობა - მიწათსარგებლობა აჭარაში ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიების მმართველობის დროს**

**ოთარ თურმანიძე**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი,  
საქართველო, 6010. ბათუმი, ნინოშვილის ქ. 32/35.  
+995 599 291507. Otar.turmanidze@bsu.edu.ge  
<https://orcid.org/0009-0004-0482-2404>  
DOI: <https://doi.org/10.61671/hos.7.2024.7798>

**აბსტრაქტი**

ბათუმელი სანჯაყ-ბეგ აბაშიძეები აჭარაში იმერეთიდან, კერძოდ, არგვეთის საერისთავოდან ჩამოსახლდნენ XVI საუკუნეში. აჭარა მაშინ ოსმალებს ჰქონდათ დაპყრობილი. აბაშიძეები აქ გამუსლიმანდნენ და ოსმალეთის სახელმწიფოს სამსახურში ჩადგნენ. ოსმალეთის სულთანმა მათ ადგილ-მამულები უბოძა და ლაზისტანის სანჯაყის ბეგის წოდებაც მიანიჭა

აბაშიძეები აჭარაში მსხვილი მიწათმფლობელები იყვნენ. სტატიაში განხილულია ბათუმელი სანჯაყ-ბეგ აბაშიძეების მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის საკითხები. ოსმალეთში აგრარული რეფორმის (თანზიმათი) განხორციელების შემდეგ ადა-ბეგებს ადგილ-მამულები კერძო საკუთრებაში აღარ ჰქონდათ. სანაცვლოდ მათ სამემკვიდრო პენსიები დაუნიშნეს, მაგრამ აბაშიძეებს, როგორც ოსმალეთის იმპერიის დანარჩენ ადა-ბეგებს, ადგილ-მამულები დარჩათ მფლობელობა-სარგებლობის უფლებით.

ოსმალეთის ხელისუფლების დროს განუწყვეტლივ მიმდინარეობდა ბრძოლა ადგილ-მამულების თაობაზე სახელმწიფო უწყებებსა და ადგილობრივ მიწათმფლობელებს შორის. ეს ბრძოლა გაგრძელდა რუსეთის ბატონობის დროსაც. ამ პერიოდში ბათუმელმა სანჯაყ-ბეგ აბაშიძეებმა დაიწყეს ადგილ-მამულების მასობრივი გაყიდვა. ისინი ეწეოდნენ აგრეთვე მიწების დაგირავებასა და იჯარით გაცემას. აქედან მიღებული ნატურალური თუ ფულადი შემოსავალი მათი არსებობის ძირითადი წყარო იყო. სტატიაში განხილულია ბათუმელი სანჯაყ-ბეგ აბაშიძეების საადგილმამულო უფლებრივი მდგომარეობა. ხაზგასმულია იმის შესახებ, რომ საბჭოთა რეჟიმის დროს მან მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური ჩაგვრა განიცადეს.

**საკვანძო სიტყვები:** მიწათმფლობელობა; მიწათსარგებლობა; თანზიმათი; აშარი; იჯარა; ყიდვა-გაყიდვა.

## **შესავალი**

ადგილ-მამული იყო და არის საზოგადოების არსებობისა და განვითარების ძირითადი საშუალება. მისი მნიშვნელობა ილია ჭავჭავაძემ განსაზღვრა ფორმულაში: „მამული, ენა, სარწმუნოება“. მამულისათვის ბრძოლაში უცხოელი მოძალადეების წინააღმდეგ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სანჯაყ-ბეგ აბაშიძეებმა.

სანჯაყ-ბეგ აბაშიძეები მსხვილი მიწათმფლობელები იყვნენ. ოსმალეთის იმპერიაში მათ XVI-XVII საუკუნეებში გადაეცათ სოფლები სამხედრო ლენის სახით. მაგრამ სამხედრო-ლენური სისტემის გაუქმების შემდეგ აბაშიძეებს ჩამოართვეს კერძო საკუთრების უფლება ადგილ-მამულზე და მიწები მათ მფლობელობა-სარგებლობაში დარჩათ. ამის გამო აბაშიძეები პროტესტს გამოთქვამდნენ და შეურიგებლად იბრძოდნენ ოსმალეთის სულთნის რეჟიმის წინააღმდეგ.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში გადაცემის შემდეგ მეფის ხელისუფლებამ შეინა-

რჩუნა ოსმალეთის იმპერიის მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის წესები და არ ცნობდა სანჯაყ-ბეგ აბაშიძეები მესაკუთრულ უფლებებს ადგილ-მამულზე. აბაშიძეები არ ემორჩილებოდნენ ცარიზმის მოთხოვნებს და მიწების დიდი ნაწილი გაყიდეს დაკარგვის შიშით. ამის შედეგად სანჯაყ-ბეგ აბაშიძეები მსხვილი მემამულის კატეგორიიდან საშუალო რანგში აღმოჩნდნენ.

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ალაბეგების ადგილ-მამულების კონფისკაცია განხორციელდა. აბაშიძეებს უსასყიდლოდ ჩამოართვეს მამულები და სხვა უძრავ-მოძრავი ქონება. ისინი, როგორც მემამულეები, გადაასახლეს აჭარიდან, ხოლო 1937 წელს მათი წარმომადგენელი მემედ აბაშიძე დახვრიტეს, ხოლო მისი შვილები გადაასახლეს რუსეთის უკაცრიელ მხარეში.

### **მეთოდი**

ნაშრომი დაწერილია მეცნიერული მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო პრინციპების ისტორიზმისა და ლოგიკურობის საფუძველზე. მასალა შერჩეული, დაჯგუფებული და გაანალიზებულია მეცნიერებაში აპრობირებული მეთოდოლოგიით. რაც შეეხება კვლევის მეთოდებს, გამოყენებულია ანალიზისა და სინთეზის, შედარების, შეჯერების მეთოდები.

### **შედეგი**

კვლევის შედეგი ის არის, რომ შეიქმნა შედარებით სრულყოფილი მეცნიერული ნაშრომი აჭარაში გავლენიანი ბეგების აბაშიძეების მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის შესახებ. საკითხი დღემდე მეცნიერულად სრულყოფილად შესწავლილი არ ყოფილა. ამ ნაშრომის მეშვეობით სამეცნიერო პირველად შემოდის ახალი, დღემდე უცნობი საარქივო მასალა. ამასთან, სანჯაყ-ბეგ აბაშიძეების მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის მაგალითზე ნაჩვენებია ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიების კოლონიური პოლიტიკა აჭარის მიმართ, რაც არამარტო ზოგადად საინტერესოა, არამედ პრაქტიკულ-გამოყენებითი ღირებულებითაც მნიშვნელოვანია.

## დისკუსია

აბაშიძეების საგვარეულო საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ საკმაოდ ცნობილია.

სოციალური წარმომავლობით ისინი ეკუთვნიან როგორც თავადთა, ასევე გლეხთა ფენას. ქართულ ისტორიულ წყაროებში აბაშიძეები მოხსენებული არიან XV საუკუნის მეორე ნახევარში. ამ ხანაში აბაშიძეების სათავადო არსებობდა არგვეთის საერისთავოში და ერთ-ერთი უძლიერესი სათავადო იყო (სოსელია, 1973:153).

აჭარაში აბაშიძეების ჩამოსახლების შესახებ განსხვავებული შეხედულება არსებობს. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ოლღა სოსელიას ვარაუდით აბაშიძეები აჭარაში ჩამოსახლებულან XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. გამუსლიმანდნენ და ოსმალეთის სახელმწიფოს სამსახურში ჩამდგარან. ხ. ახვლედიანის, ს. გერსამიას, გ. შარაძის, თ. კომახიძის, ი. სიხარულიძის, აბ. სურგულაძის და სხვათა აზრით აბაშიძეები ბათუმის მხარეში დასახლებულან XVI საუკუნეში, გამუსლიმანდნენ და ოსმალეთის სულთანმა მათ ლაზისტანის სანჯაყის ბეგის წოდება და ადგილ-მამულები უბოძა. აქედან იწყება მათი აღზევება. ამის დამტკიცებისათვის მათ დამაჯერებელი საბუთები მოაქვთ. ასეთი შეხედულება განავითარა იუსუფ აბაშიძემაც, რომელმაც შეადგინა ბათუმელი სანჯაყ-ბეგ აბაშიძეების მოკლე ისტორია (ასმა, ფ, 5, ან. 1, ს. 48; თურმანიძე, 2001:44).

ამჟამად ბათუმელი სანჯაყ-ბეგ აბაშიძეების შესახებ საკმაო ლიტერატურა არსებობს, რომლებშიც ძირითადად ამ საგვარეულოს გენეალოგია, პოლიტიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო და პუბლიცისტური მოღვაწეობაა განხილული. მაგრამ ხ. ახვლედიანის გარდა ამ საგვარეულოს მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის შესახებ აღნიშნული ავტორების შრომებში საერთოდ არ არის ლაპარაკი. ამ ჭრილში წინამდებარე სტატია მეცნიერებაში სიახლეს წარმოადგენს.

ბათუმელ სანჯაყ-ბეგ აბაშიძეებს ადგილ-მამულზე ოსმალეთის სულთანის ფირმანი არაერთხელ მიუღიათ. ოსმალეთში არსებული წესის მიხედვით, ამ ფირმანების განახლება ხდებოდა

ახალი სულთნის ტახტზე ასვლის შედეგად. მაგალითად, ოსმალეთის სულთანმა ახმედ მესამემ (1703-1760) ბათუმელ აბაშიძეებს 1715 წლის ფირმანით სამხედრო ლენი უბოძა, რომელიც 16 სოფლისაგან შედგებოდა. ეს სოფლები განფენილი იყო მდინარე ჭოროხიდან ჩაქვამდე მდებარე ტერიტორიაზე (სცსსა, ფ. 231, ან. 1, ს. 99, ფურც. 7; თურმანიძე, 2001:44). ამავე სულთნის ახმედ მესამის 1717 წლის ფირმანით აბაშიძეებს გადაეცათ სახასო მამული, რომლის წლიური შემოსავალი 200 ათას ახჩას შეადგენდა. ამ თანხიდან 11040 ახჩა უნდა შეეტანათ სახელმწიფო ხაზინაში, დანარჩენი კი მათ სარგებლობაში რჩებოდათ (ახვლედიანი, 1944: 95; თურმანიძე, 2001:44). ამრიგად, აბაშიძეების საკუთრებაში მოექცა ბათუმისა და მისი შემოგარენის მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი. ეს იყო როგორც დაუსახლებელი, ისე დასახლებული მიწები. ამ მიწებს გლეხები ამუშავებდნენ და აბაშიძეებს გადასახადებს უხდიდნენ.

XVI საუკუნიდან მოკიდებული 1848 წლამდე ლაზისტანის სანჯაყს აბაშიძეები მართავდნენ. ამის შემდეგ ბათუმელი სანჯაყბეგ აბაშიძეები ლაზისტანის სანჯაყის მმართველები აღარ ყოფილან. ლაზისტანის სანჯაყის უკანასკნელი მმართველი იყო იუსუფ აბაშიძე, რომელიც 1848 წელს გარდაიცვალა. მას 5 შვილი ჰყავდა: ემინი, სალიხი, ხუსეინი, იბრაიმი, ახმედი. მათგან ორი იყო უშვილო (ემინი და ახმედი). შთამომავლები დარჩათ სალიხს, ხუსეინსა და იბრაიმს (შარაძე, 1995:36). რუსეთის მფლობელობის დროს მიწების ნასყიდობის საბუთებს აფორმებდნენ სალიხი, ხუსეინი, იბრაიმი და მათი შთამომავლები. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოკიდებული აბაშიძეების არსებობის ძირითადი წყარო ადგილ-მამულებიდან მიღებული შემოსავალი იყო.

XIX საუკუნის 30-იან წლებში ოსმალეთის იმპერიაში იწყება აგრარული რეფორმა, რომელიც ცნობილია თანზიმათის სახელწოდებით. 1839 წელს გამოქვეყნდა ოსმალეთის სულთნის განკარგულება, რომლის საფუძველზე ფეოდალებს ადგილ-მამულები და ყმა-გლეხები კერძო საკუთრებაში აღარ რჩებოდათ. ახალი აგრარული რეფორმით დასრულდა მიწათმფლობელობის სამხედრო ლენური სისტემა. მიწები სახელმწიფო საკუთრებად გამო-



ცხადდა, ხოლო აღები (აზნაურები) უფლებრივად გლეხებს გაუ-  
თანასწორეს. თანზიმათის მიხედვით ოსმალეთის იმპერიის ყვე-  
ლა მოქალაქე (ქვეშევრდომი) ერთნაირად იხდის გადასახადებს.  
სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, მათ შორის ლაზისტანის  
სანჯაყში აგრარული რეფორმა XIX საუკუნის 60-იანი წლების  
მეორე ნახევარში დასრულდა. ფეოდალებს, მათ შორის აბაში-  
ძეებს ადგილ-მამულები სარგებლობის უფლებით დაუტოვეს. ამ  
სარგებლობისათვის ისინი იხდიდნენ მიწის შემოსავლის ერთ  
მეთედს, რომელსაც აშარი ეწოდებოდა.

ბათუმელი სანჯაყ-ბეგ აბაშიძეები მსხვილი ფეოდალები  
იყვნენ. ადგილ-მამულების სიდიდით ისინი სამხრეთ-დასავლეთ  
საქართველოში მხოლოდ ხიმშიაშვილებსა და თავდგირიძეებს  
ჩამოუვარდებოდნენ. ბათუმის ოლქის საადგილმამულო კომი-  
სიის ერთი ცნობით, თანზიმათის შემდეგ აბაშიძეებს რჩებოდათ  
73 დესეტინა (125 კილი) ადგილ-მამული; ამავე კომისიის მეორე  
ცნობით (1880 წლის მაის-ივნისი) აბაშიძეებს ეკუთვნოდათ 500-  
600 დესეტინა (აცსა, ფ. ი. –81, ან, 1, ს. 1, ფურც. 65-70; ასმა, ს. 48,  
ფურც. 10). აბაშიძეები კი პრეტენზიას გაცილებით მეტ ტერიტ-  
ორიაზე აცხადებდნენ, რომელიც მოიცავდა ქალაქ ბათუმის დიდ  
ნაწილს და მისი შემოგარენის სოფლებს (ურები, ფერია, ბარც-  
ხანა, იჯადიე, გოროდოკი, ანგისა და სხვა). ამ მიწებს სარგებ-  
ლობის უფლებით ფლობდნენ და გასცემდნენ იჯარით.

ოსმალეთის მთავრობამ ბათუმელ სანჯაყ-ბეგ აბაშიძეებს,  
როგორც სხვა მიწათმფლობელებს, თანზიმათის შემდეგ სამემ-  
კვიდრეო პენსიები დაუნიშნა. XIX საუკუნის 60-70-იანი წლებში  
საადგილმამულო სამემკვიდრეო პენსიას იღებდა აბაშიძეების 6  
პირი. მათგან ხუსეინი, სალიხი, იბრაიმი და ახმედი იღებდნენ  
633 ყურუშს, ხოლო დურსუნი და ისმაილი – 317 ყურუშს (სცსსა,  
ფ. 231, ან. 1, ს. 36, ფურც. 6-7)<sup>5</sup>.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოსმალთა მფლობელ-  
ობისაგან განთავისუფლების შემდეგ აბაშიძეების, როგორც სხვა  
მიწათმფლობელების, მდგომარეობა შეიცვალა. რუსეთის ხელის-  
უფლება, ოსმალეთის კანონმდებლობის გამოყენებით, აქაური

---

<sup>5</sup> ერთი ყურუში უდრიდა 5 კაპიკს.

მოსახლეობის კერძომესაკუთრულ უფლებას მიწაზე არ ცნობდა. მიწები ხაზინის საკუთრებად გამოცხადდა. მიწათმფლობელებს დაეკისრათ საღალო გამოსაღების გადახდა, როგორც ეს ოსმალეთში იყო. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიწათმფლობელები შეუპოვრად იბრძოდნენ ცარიზმის აგრარული პოლიტიკის წინააღმდეგ, დაბეჯითებით მოითხოვდნენ მიწების კერძო საკუთრებაში დამტკიცებას.

აგრარული მოძრაობა, მათ შორის თხოვნა-საჩივრები მიწაზე ცარიზმის მფლობელობის ბოლომდე გაგრძელდა, მაგრამ უშედეგოდ. გამონაკლისი იყვნენ ხიმშიაშვილები, რომლებსაც რუსეთის ხელისუფლებამ, შერიგ ხიმშიაშვილის 1877-1878 წლების ომში დამსახურების გათვალისწინებით, 1912 წელს კერძო საკუთრებაში დაუმტკიცა 8295 დესეტინა ადგილ-მამული (თურმანიძე, 2009:132). ბათუმელმა აბაშიძეებმა არაერთხელ მიმართეს კავკასიის უმაღლეს ხელისუფლებას მათ სარგებლობაში არსებული მიწების კერძო საკუთრებაში დამტკიცების შესახებ, მაგრამ ყოველთვის უარყოფით პასუხს იღებდნენ.

რუსეთის მფლობელობის დროს ბათუმელი სანჯაყ-ბეგ აბაშიძეები ოსმალეთის მთავრობის მიერ დანიშნულ საადგილმამულო სამემკვიდრეო პენსიას აღარ იღებდნენ. ისინი არც სახელმწიფო სამსახურში არ იყვნენ, კერძო სამეწარმეო საქმიანობასაც არ ეწეოდნენ. ძირითადად დაკავებული იყვნენ პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობით. ამ მიმართულებით გამოირჩეოდნენ მემედ აბაშიძე, ზია და ჰაიდარ აბაშიძეები. ასეთ პირობებში აბაშიძეების არსებობის ერთადერთ წყაროდ რჩებოდა ადგილ-მამულებიდან მიღებული შემოსავალი. XIX საუკუნის 80-90-იან წლებში აბაშიძეების მიწები გამიჯნული არ იყო. ამიტომ ისინი მიწებს კოლექტიურად აძლევდნენ იჯარით. ამასთან, კოლექტიურად, ზოგჯერ ინდივიდუალურადაც ყიდდნენ მიწებს.

აბაშიძეების მიერ მიწების გაყიდვა 1879 წლიდან იწყება და გაგრძელდა საქართველოს გასაბჭოებამდე. მიწების ნასყიდობის საბუთებს ბათუმისა და ქუთაისის ნოტარიუსები ამტკიცებდნენ. მაგრამ რუსეთის ხელისუფლება მათ არ აღიარებდა. ამიტომ გან-

უწყვეტლივ მიმდინარეობდა დავა-საჩივრები აბაშიძეებს, ნოტარიუსის მოხელეებსა და სახელმწიფო საადგილმამულო უწყებებს შორის.

აბაშიძეებმა მიწების ძირითადი ნაწილი 1879-1890 წლებში გაყიდეს. მიწის ნასყიდობის პირველი აქტი ფეხლი სალიხის ძე აბაშიძემ გააფორმა, რომელმაც 1879 წელს ბათუმის ტერიტორიაზე 22 კვადრატული საჟენი მიწა მიყიდა შტაბსკაპიტანს ნიკოლოზ ივანეს ძე უსპენსკის. აბაშიძეებმა ყველაზე დიდი გარიგება მიწის ნასყიდობის შესახებ განახორციელეს 1880 წელს. 457 დესეტინა და 1527 კვადრატული საჟენი მიწა მიყიდეს ვიცე პოლკოვნიკს იასონ სოფრომის ძე იოსელიანს, ივანე სიმონის ძე შადუნოვს და დურმიშხან ჟურულს. აბაშიძეების მხრიდან ხელშეკრულებას ხელი მოაწერა იბრაიმ აბაშიძემ, რომელსაც რწმუნების სიგელი ჰქონდა სალიხ, ხუსეინ, სულეიმან, ახმედ, დურსუნ, ისმაილ აბაშიძეებისაგან. ამ საერთო ადგილ-მამულიდან იასონ იოსელიანმა იყიდა მისი დიდი ნაწილი – 456 დესეტინა და 773 კვადრატული საჟენი, რისთვისაც გადაიხადა 60 ათასი რუბლი. დურმიშხან ჟურულმა იყიდა 1554 კვადრატული საჟენი, ხოლო ივანე შადუნოვმა – 1600 კვადრატული საჟენი. ნასყიდობის საბუთი დაამტკიცა ქუთაისის ნოტარიუსმა.

აღნიშნული ადგილ-მამულის ერთი ნაწილი (33 დესეტინა და 939 კვადრატული საჟენი) მდებარეობდა ბათუმის პორტოფრანკოს ტერიტორიაზე, დანარჩენი – ბათუმის შემოგარენის სოფლებში (სტეპანოვკა, ანგისა, ურეხი, ყოროლისწყალის ზღვის სანაპირო). კერძოდ, ურეხში მდებარეობდა 320 დესეტინა, ანგისაში – 60. ადგილ-მამული რამდენიმე ასეული ნაკვეთისაგან შედგებოდა. მაგალითად, სტეპანოვკაში იყო 11 ნაკვეთი, ურეხში – 43, ანგისაში – 48, ბათუმის ნავთობის უბანში (თამარის დასახლება) – 643, ლიმან-მეღეში – 61 ნაკვეთი და სხვა (აცსა, ფ. 25, ან. 1, ს. 9, ფურც. 51-52), ტერიტორიის ნაწილი ტყით იყო დაფარული. მეორე ნაწილს გლეხები სარგებლობდნენ, რისთვისაც სახელმწიფო ხაზინის სასარგებლოდ საღალო გამოსაღებს (აშარი) იხდიდნენ. საღალო გამოსაღების მოსახლეობისათვის დაკისრება იმით იყო განპირობებული, რომ რუსეთის ხელისუფლება აბა-

შიძეების მფლობელობაში არსებულ ადგილ-მამულებს სახელმწიფო საკუთრად მიიჩნევდა და მათ მიერ მიწების გაყიდვას არაკანონიერად თვლიდა. ამიტომ, როგორც ითქვა დავა-საჩივრები განუწყვეტლივ მიმდინარეობდა სასამართლო ორგანოებში. საკითხი არაერთხელ განიხილეს ქუთაისის საოკრუგო სასამართლომ და თბილისის სასამართლო პალატამ. ამ უკანასკნელის განჩინებით, როგორც უზენაესი სამართლებრივი აქტი, უკანონოდ გამოცხადდა მიწის ყიდვა-გაყიდვა (აცსა,ფ.ი.–81, ან.1,ს.1, ფურც.50-56, 162-170;ფ.ი.– 25, ან.1,ს.1,ფურც. 10). მიუხედავად ამისა, მიწების გაყიდვა მაინც გრძელდებოდა. იასონ იოსელიანმა ბათუმის ტერიტორიაზე ახმედ-ბეგ აბაშიძისაგან 1882 წელს კიდევ იყიდა 20 კვადრატული საჟენის მიწა (აცსა,ფ.ი.–25,ან.1,ს.1, ფურც. 92).

იასონ იოსელიანი 1889 წელს გარდაიცვალა. მისი ერთადერთი მემკვიდრე იყო ქალიშვილი ელენე, რომელიც ცოლად გაყვა კონსტანტინე აფხაზს. იასონ იოსელიანმა სიცოცხლეში მიწების ნაწილი გაყიდა. მისი გარდაცვალების შემდეგ ქალიშვილი ელენე ქმართან ერთად იბრძოდა იასონ იოსელიანის მიერ ნაყიდი მიწების კერძო საკუთრებაში დამტკიცებისათვის. მათ არაერთი თხოვნა-საჩივარი შეიტანეს რუსეთის ხელისუფლების ორგანოებში ამ საკითხზე. მაგრამ თხოვნა-საჩივარს შედეგი არ მოჰყოლია.

ხაზინისა და აბაშიძეების მიწები ბათუმის საზღვრებში გამოიჯნული არ ყოფილა. ამიტომ ამ საკითხზე სახელმწიფო უწყებებს, აბაშიძეებსა და მყიდველებს შორის დავა-საჩივრები ასევე განუწყვეტლივ მიმდინარეობდა. 1881 წელს, მაგალითად, უშუალოდ ბათუმის ტერიტორიაზე აბაშიძეებმა მიწა მიყიდეს გადამდგარ პორუჩიკს მიხეილ პავლეს ძე მეფისოვს. გარიგებას აბაშიძეებიდან ხელი მოაწერეს ხუსეინ და იბრაიმ აბაშიძეებმა. მიხეილ მეფისოვმა მოინდომა ამ მიწის შემოღობვა, მაგრამ ბათუმის ქალაქის გამგეობამ და სათათბირომ ნება არ დართო იმ მოტივით რომ ეს გარიგება უკანონო იყო, რადგან აღნიშნული მიწის ნაკვეთი სახელმწიფო საკუთრებად ითვლებოდა (აცსა, ფ.ი.–7, ან. 1, ს. 57, ფურც. 10-19).

ბათუმის შემოგარენის სოფლებში აბაშიძეები როგორც მსხვილ, ისე პატარა მოცულობის მიწის ნაკვეთებს ყიდნენ. 1882

წელს სოფელ ფერიაში ხუსეინ, ახმედ, სალიხ, იბრაიმ და დურსუნ სანჯაყ-ბეგ აბაშიძეებმა თურქეთის მოქალაქეებს მუსტაფა ეფენდი ჰაჯიოღლის და ოსმან ეფენდი ხაიასოღლის მიყიდეს მიწის ერთი ნაკვეთი, რომელიც შეადგენდა 10 დესეტინასა და 1846 კვადრატულ საჟენს. მყიდველებმა აბაშიძეებს 40 000 რუბლი გადაუხადეს (აცსა, ფ. ი. 25, ან. 1, ს. 25, ფურც. 93). 1889 წლის 27 ოქტომბერს ხუსეინ სანჯაყ-ბეგ აბაშიძის მეუღლემ (დაქვრივებული) აიშე თუნთულ ხანუმმა სოფელ ბარცხანაში მიწის ერთი ნაკვეთი 600 რუბლად მიყიდა ქუთაისელ ვერა მღებროვსა და აზერბაიჯანელ (ქ. შუშა) ვერდი ოგანესოვს (ფ. ი.–25, ან. 1, ს. 25, ფურც. 93, ფ. ი. – 81, ან. 1, ს. 5, ფურც. 174). ნასყიდობის საბუთები ბათუმის ნოტარიუსმა გააფორმა. აბაშიძეები უშუალოდ ქალაქ ბათუმის ფარგლებში მხოლოდ პატარა მოცულობის მიწებს ყიდდნენ, რასაც მყიდველები შენობა-ნაგებობათა ასაგებად და საბოსტნედ იყენებდნენ.

აბაშიძეებმა მიწების მასობრივად გაყიდვა დაიწყეს XIX საუკუნის 90-იან წლებში. ეს განპირობებული იყო არამარტო ფულადი შემოსავლის გაზრდის სურვილით, არამედ იმითაც, რომ ცარიზმის მოხელეებმა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიწების ახალი აღწერა დაიწყეს. აჭარის ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლების შემდეგ აქაური ადგილმამულები სამხედრო-სამოქალაქო მართველობის უწყებაში შედიოდა, მაგრამ 1890-იანი წლების მეორე ნახევარში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიწები მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მმართველობაში გადავიდა. ბათუმის ოლქის მიწები, როგორც სახელმწიფო საკუთრება, უშუალოდ დაექვემდებარა ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს. ამან მიწისმფლობელი მოსახლეობის მკვეთრი პროტესტი გამოიწვია. ასეთ ვითარებაში ბათუმელმა სანჯაყ-ბეგ აბაშიძეებმა მიწების გაყიდვა დიდი მასშტაბით დაიწყეს. 1894-1900 წლებში მათ გაყიდეს 62 მიწის ნაკვეთი. 1898 წელს 4 ნაკვეთი, 1899 წელს – 19, ხოლო 1900 წელს – 33 ნაკვეთი. ყიდვა-გაყიდვის საბუთებს კვლავ ბათუმის ნოტარიუსი ამტკიცებდა.

აბაშიძეები XIX საუკუნის 90-იან წლებში, როგორც მანამდე, მიწებს ყიდდნენ როგორც ჯგუფურად, ისე ინდივიდუალურად. 1894 წელს 2 ნაკვეთი გაყიდეს. პირველი ნაკვეთი, რომელიც 1160 კვადრატულ საჟენს შეადგენდა და ქალაქის ტერიტორიაზე მდებარეობდა, დურსუნ და ალი ბეგ აბაშიძეებმა მიყიდეს პარმენ სიმონის ძე გეგენავას და კონსტანტინე სიმონის ძე ჯაველიძეს. მეორე ნაკვეთი (88,5 კვადრატული საჟენი) გაყიდა იბრაიმ აბაშიძის მეუღლემ სალიე ხანუმმა. მიწის ნაკვეთი მდებარეობდა ასევე ბათუმის ქალაქის ფარგლებში. მიწა იყიდა ბათუმის მცხოვრებელმა პეტრე კარლოს ძე მედუსმა, რისთვისაც შესაბამისი საფასური გადაიხადა (აცსა, ფ. ი-81, ან. 1, ს. 5, ფურც. 15, 17). იმავე სალიე ხანუმმა 1895 წელს ბათუმის ტერიტორიაზე მიწა მიყიდა ართურ ვარდანის ძე ონანიანცს, რომელმაც ვერცხლის ფულზე გადაიხადა 1215 რუბლი (აცსა, ფ. ი-81, ან. 1, ს. 5, ფურც. 30).

ბათუმის ფარგლებში 1896 წელს მემედ აბაშიძემ ლუთბიე ჩილინგაროვს მიყიდა მიწის 2 ნაკვეთი. პირველი შეადგენდა 154 კვადრატულ საჟენს, მეორე – 155,5 კვადრატულ საჟენს, ლუთბიე ჩილინგაროვმა მემედ აბაშიძეს გადაუხადა ვერცხლის ფულით 774 რუბლი (აცსა, ფ. ი-81, ან. 1, ს. 5, ფურც. 40,96). პირველი ნაკვეთი, რომელიც 756 კვადრატულ საჟენს შეადგენდა, ალი-ბეგ აბაშიძემ მიყიდა ახალციხელ პავლე ლუკას ძე მჭედლოვს, მეორე ნაკვეთი 223 კვადრატული საჟენი ფევზი აბაშიძემ მიყიდა „შტაბს კაპიტანს“ ნიკოლოზ ივანესძე უსპენსკის (აცსა, ი-81, ან. 1, ს. 5, ფურც. 56, 61, 71).

მომდევნო წლებში აბაშიძეების მიერ მიწების გაყიდვა მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1898 წელს ზია, დურსუნ, მემედ, ალი და ფეხლი აბაშიძეებმა ანგისაში 229 დესეტინა მიყიდეს ბათუმელ მცხოვრებლებს იულიონ ნიკოლოზის ძე შარაშენიძესა და ალექსანდრე მაქსიმეს ძე მიქელაიშვილს. ნასყიდობის საბუთი, როგორც ჩვეულებრივ ხდებოდა, ბათუმის ნოტარიუსმა დაამტკიცა ამავე წლის 30 ივლისს. 1890-იან - 1900-იან წლებში გაყიდული მიწებიდან ეს ყველაზე დიდი გარიგება იყო. 1898 წელს აბაშიძეებმა კიდევ მიწის 3 ნაკვეთი გაყიდეს. ბათუმის ქალაქის ტერიტორიაზე 68 კვადრატული საჟენი მიწა გაყიდეს ხუსეინ აბაშიძის

მეუღლემ აიშე თუნთულ ხანუმმა და იბრაიმ აბაშიძის მეუღლემ სალიე ხანუმმა. მიწა იყიდა ივანე ისაკის ძე ცავინოვმა. ნასყიდების ხელშეკრულება ბათუმის ნოტარიუსმა დაამტკიცა 1 მაისს. 1898 წლის 28 აგვისტოს ხელშეკრულებით დურსუნ-ბეგ აბაშიძემ ბათუმის ტერიტორიაზე მიწის პატარა ნაკვეთი მიყიდა ქუთაისელ ვერა მღებროვსა და აზერბაიჯანელ ვერდი ოგანესოვს. 1898 წლის გარიგებით ზია-ბეგ აბაშიძემ ანგისაში 50 კვადრატული საჟენი მიწა მიყიდა ოზურგეთელ მიხეილ ჩხარტიშვილს (აცსა, ფ. ი-81, ან. 1, ს. 5, ფურც. 133, 151, 156, 162, 178).

1899-1900 წლებში აბაშიძეების მიერ მიწების გაყიდვამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია, მათ ორი წლის განმავლობაში გაყიდეს 52 მიწის ნაკვეთი. მიწები მდებარეობდა ქ. ბათუმში, ანგისაში და ბარცხანაში. 1899-1900 წლებში სანჯაყ-ბეგ აბაშიძეები პატარა მოცულობის მიწებს ყიდნენ ინდივიდუალურად. ორი წლის განმავლობაში ყველაზე დიდი რაოდენობით მიწა გაყიდა ზია და მემედ აბაშიძეებმა. ზია აბაშიძემ გაყიდა 34 მიწის ნაკვეთი, ხოლო მემედ აბაშიძემ—17. აბაშიძეები მიწებს ყიდნენ როგორც საჟენებში, ისე ნაკვეთობით. ამიტომ გაყიდული მიწების საერთო ფართობის ზუსტი განსაზღვრა გაძნელებულია. მიწები სხვადასხვა ფასში იყიდებოდა. მიწის ღირებულება დამოკიდებული იყო ბაზრის მოთხოვნილებაზე, ნიადაგის ნაყოფიერებაზე, ტერიტორიულ მდებარეობაზე. ბათუმის ქალაქის ფარგლებში მიწა გაცილებით ძვირი ღირდა, უფრო ნაკლები, მაგრამ მაინც მაღალი ფასი ჰქონდა ზღვის სანაპიროზე მდებარე მიწებს.

ზია აბაშიძემ 1899-1900 წლებში ქალაქ ბათუმსა და მის შემოგარენში მიწები მიყიდა ტრიანტაფილ მავროპულოს, არტემ ქევხიშვილს, ჟოზეფინა შევარდნაძეს, ძმებს ტარიელ და ვლადიმერ თავართქილაძეებს, კარუნ ჩილინგაროვს, ვასილ ბარდანოვს, ჯამბულ საუდიას, მათე ვლასოვს, პავლე კრენკეს, აპოლონ რუხაძეს, ზაქარია დეკანოზოვს, მიხეილ ხრისტანცს, ივანე გარაყანიძეს, გიორგი კუკულაძეს, კუკულიასა და ძამამიას, ივანე ტარაკანოვს და სხვებს. მიწის ნასყიდობის ფასები განსხვავებული იყო. მაგალითად, ტ. მავროპულომ 500 კვადრატულ მიწის ნაკვეთში, რომელიც ანგისაში მდებარეობდა, გადაიხადა 505 რუბლი,

ჟ. შევარდნაძემ 195 კვადრატულ საჟენში (ქ. ბათუმში) – 400 რუბლი, ძმებმა ტარიელ და ვლადიმერ თავართქილაძეებმა 12327 კვადრატული საჟენი-500 რუბლი (მდებარეობდა ანგისაში), სილნაღელმა (კახეთი) ა.ქევიშვილმა 3236 კვადრატულ საჟენში – 1000 რუბლი, ა.ჩილინგაროვმა 505 კვადრატულ საჟენში 510 რუბლი, ვ. ბარდანოვმა 300 კვადრატულ საჟენში – 400 რუბლი და ა.შ. (აცსა, ფ. ი. 81, ან. 1, ს. 5, ფურც. 187-388).

მემედ აბაშიძემ (1899-1900 წლებში) ქალაქ ბათუმში და მის შემოგარენში მიწები მიყიდა დავით გამყრელიძეს, მაკრინე ჩიკვაძეს, ფედოსი მიქელაძეს, რობერტ გუნრიზეს, მიხეილ ხრისტანცს, სამუელ ჩახვაძეს, მიხეილ ანთაძეს და სხვებს. მაგალითად, დ. გამყრელიძემ 1000 კვადრატულ საჟენ მიწაში გადაიხადა 2000 რუბლი, ფ. მიქელაძემ 2017 კვადრატულ საჟენში-500 რუბლი, რ. გუნრიზემ 100 კვადრატულ საჟენში-40 რუბლი, ს. ჩახვაძემ 525 კვადრატულ საჟენში - 1100 რუბლი, ა. ანთაძემ 200 კვადრატული საჟენში – 45 რუბლი და ა.შ. (აცსა, ფ.ი-81, ან. 1, ს. 5, ფურც. 188, 239, 243, 276, 291, 307, 319, 327).

აბაშიძეების მიერ მიწების გაყიდვა 1900 წლის შემდეგ შემცირდა, რადგან ძირითადი ნაწილი მანამდე გაიყიდა. 1901-1904 წლებში აბაშიძეებმა გაყიდეს 8 მიწის ნაკვეთი, რომლებიც მდებარეობდა ქალაქ ბათუმში და ანგისის ტერიტორიაზე. მაგალითად, ხუსეინ აბაშიძის მეუღლემ აიშე თუნთულ ხანუმმა ბათუმში გაყიდა 70,12 კვადრატული საჟენი მიწა. იგი იყიდა აბგარ სტეფანესძე აბგარიანმა, რომელმაც გადაიხადა 600 რუბლი, მემედ აბაშიძემ 126 კვადრატული საჟენი მიწის ნაკვეთი მიყიდა მარიამ ილიას ასულ თურქიას. მყიდველმა გამყიდველს გადაუხადა 2080 რუბლი. დურსუნ-ბეგ აბაშიძემ 249,6 კვადრატული საჟენი მიწა გაყიდა 2743 რუბლად. მიწა იყიდა პარასკევა სიმონისძე ანჯაფარიძემ.

1900-იან წლებში, როგორც მანამდე, მიწებს მეტწილად ყიდდა ზია აბაშიძე. 1901 წელს 4 მიწის ნაკვეთი გაყიდა: 19018 კვადრატული საჟენი 9000 რუბლად მიყიდა არტემ ქრისტეფორისძე ქევიშვილს, 143 კვადრატული საჟენი 600 რუბლად ძმებს თავართქილაძეებს, 50 კვადრატული საჟენი 100 რუბლად ჟარკ-



ოვას და სხვა (აცსა, ფ. ი-81, ან. 1, ს. 5, ფურც. 416, 417, 425, 447, 453, 457, 460). 1905 წელს რუსეთის ხელისუფლებამ აჭარის ზღვისპირეთში ჩაატარა მიწების ახალი აღწერა. ამ აღწერის მიხედვით აბაშიძეებს მფლობელობაში ჰქონდათ 316 დესეტინა და 227 კვადრატული ადგილ-მამული, რომელიც ძირითადად მდებარეობდა ურეხსა და ანგისაში. ამ ადგილ-მამულიდან მემედ აბაშიძეს ეკუთვნოდა 38 დესეტინა და 1171 კვადრატული საყენი, დურსუნ ბეგს – 42 დესეტინა და 1200 კვადრატული საყენი, ფევზის და მის შვილებს – 33 დესეტინა და 846 კვადრატული საყენი, ზია აბაშიძეებსა და რიზა აბაშიძეებს – 200 დესეტინა (სცსსა, ფ. 13, ან. 10, ს. 604, ფურც. 26-27. 37-38).

აბაშიძეების მიერ მიწების მიერ მიწების გაყიდვა 1921 წლამდე გაგრძელდა. აჭარის გასაბჭოებისას ბათუმელი სანჯაყ-ბეგ აბაშიძეების მფლობელობაში იყო 237 დესეტინა მიწა. გამოდის, რომ 1905 წლის შემდეგ მათ გაყიდეს 79 დესეტინაზე მეტი ადგილ-მამული. ამ წლებში მიწები გაყიდეს მემედ, ზია, ალი, ასლან აბაშიძეებმა და სხვებმა. მაგალითად, 1913-1919 წლებში მემედ აბაშიძემ 10400 კვადრატული საყენი მიწა 5000 რუბლად მიყიდა ზაქარია სიმონისძე ბესტავაშვილს, ზია აბაშიძემ გაყიდა მიწის სამი ნაკვეთი: 642 კვადრატული საყენი მიყიდა ხასან თავდგირიძეს 300 რუბლად, მეორე ნაკვეთი 1104 რუბლად მიყიდა ბათუმელ კაპტოლლის, 100 კვადრატული საყენი – აპოლონ მამუკასძე რუხაძეს. სულეიმან სანჯაყ-ბეგ აბაშიძის მეუღლემ 100 კვადრატული საყენი მიწა შენობებითურთ გაყიდა 14300 რუბლად. ამავე წლებში აბაშიძეებმა კოლექტიური ხელშეკრულებით ანგისაში მიწა მიყიდეს სპარსეთის ქვეშევრდომს სულეიმან დაიროღლის (აცსა, ფ. ი-81, ან. 1, ს. 5, ფურც. 416, 418, 428, 435, 436, 438, 443, 446, 448; ს. 22, ფურც. 261).

ბათუმელი სანჯაყ-ბეგ აბაშიძეები მიწების დაგირავებითა და იჯარით გაცემით, მნიშვნელოვან თანხას იღებდნენ. მაგალითად, 1901 წელს ფეზლი და ალი აბაშიძეებმა აბგარ აბგარიანისაგან სესხის საღით აიღეს 2500 რუბლი მიწის დაგირავებით. ამავე საფუძველზე იბრაიმ აბაშიძის მეუღლემ სალიე ხანუმმა ბათუმელი კომერსანტისაგან ისესხა 1000 რუბლი ორი წლის

ვადით (აცსა, ფ. ი-81, ან. 1, ს. 5, ფურც. 405, 421). მიწის დაგირავებით ფულის დასესხება გამონაკლისი იყო. ცხადია, იგი გამოწვეული იყო აუცილებლობით. უფრო სარფიანი და სისტემატური იყო მიწების იჯარით გაცემა.

ოფიციალურ წყაროებში აღნიშნულია, რომ ბათუმელი სანჯაყ-ბეგ აბაშიძეები ნიადაგის დამუშავებისა და მოსავლის მოწვევისათვის ფიზიკურ შრომას არ ეწეოდნენ. ამიტომ მიწებს იჯარით აძლევდნენ მსურველებს. ასეთი მსურველები აჭარაში მრავლად იყვნენ. ცხადია, საიჯარო ფულადი თანხა აბაშიძეების ასევე ძირითადი შემოსავალი იყო. 1901 წელს, მაგალითად, მემედ აბაშიძემ ანგისაში იჯარით გასცა 625 კვადრატული საჟენი მიწის ნაკვეთი ქვემო აჭარის სოფელ დანდალოს მაცხოვრებელს დურსუნ ბარკალოღლის 12 წლის ვადით. საიჯარო გადასახადი 300 რუბლს შეადგენდა (წლიურად 25 რუბლი). ამავე წელს აბაშიძეებმა კოლექტიური ხელშეკრულებით 12-წლიანი ვადით 1452 კვადრატული საჟენი მიწის ნაკვეთი მისცეს დიმიტრიადს. აღნიშნული მიწის ნაკვეთი ასევე ანგისაში მდებარეობდა და ყოველწლიური საიჯარო გადასახადი 15 რუბლს, მთლიანად კი 180 რუბლს შეადგენდა. სალიხ აბაშიძის მეუღლემ აიშე ხანუმმა 12 წლით იჯარით გასცა 596,6 კვადრატული საჟენი მიწის ნაკვეთი (ადლიაში) კირილე ჯორბენაძეს და ჰავლე ზაქარაძეს. საიჯარო გადასახადი 360 რუბლს შეადგენდა (ყოველწლიურად 30 რუბლი). ხელშეკრულებას აიშე ხანუმის სახელით ხელი მოაწერეს ფეხლი და ალი აბაშიძეებმა. ხელშეკრულების დარღვევისათვის მხარეებს ეკისრებოდათ ჯარიმა 1500 რუბლის ოდენობით (აცსა, ფ. ი-81, ან. 1, ს. 5, ფურც. 433, 445, 457, 464).

აბაშიძეების მიერ მიწების იჯარით გაცემა მომდევნო წლებში კიდევ მეტად გაიზარდა, მაგრამ ზოგიერთი ნაკვეთი ოფიციალური ხელშეკრულებით გაფორმებული არ ყოფილა. წვრილ ნაკვეთებთან ერთად მსხვილ ფართობსაც აძლევდნენ იჯარით. მაგალითად, 1911 წელს ფეხლი და ალი აბაშიძეებმა ანგისაში 8 დესეტინა მიწა იჯარით მისცეს ანდრია სიმონის ძე რუსიას. იჯარის ვადა იყო 3 წელი, ხოლო საიჯარო წლიური გადასახადი-100 რუბლი (აცსა, ფ. ი-81, ან. 1, ს. 22, ფურც. 457). 1916 წელს ალი

ბეგ აბაშიძემ იჯარით მისცა მიწის ნაკვეთები ნესტორ მანჯგალაძეს, ს. შამათავას, ს. ანდლულაძეს და ი. გოგმაჩაძეს. წყაროებში მითითებული არ არის მიწის ფართობის სიდიდე, საიჯარო ქირა და იჯარის ვადა (აცსა, ფ. ი-81, ან. 1, ს. 5, ფურც. 434). მიუხედავად ამისა, ეს მასალა ამ კუთხით მაინც საყურადღებოა.

ბათუმის ოლქის მიწისმფლობელები, რომელთა რიგში ბათუმელი სანჯაყ-ბეგ აბაშიძეებიც შედიოდნენ, განაგრძობდნენ დავას რუსეთის ხელისუფლების წინაშე ადგილ-მამულების კერძო საკუთრებაში დამტკიცებისათვის. ამ დავა-საჩივრების გამო კავკასიის მეფისნაცვლის საბჭომ, ხანგრძლივი განხილვის შედეგად, 1912 წლის 18 აპრილს მოიწონა კანონპროექტი ყარსისა და ბათუმის ოლქებში ადგილ-მამულების საკუთრებაში დამტკიცების შესახებ, ამისათვის მიწისმფლობელებს 28 წლის განმავლობაში უნდა გადაეხადათ გამოსასყიდი თანხა, რომელიც 517440 რუბლს შეადგენდა (სცსსა, ფ. 13, ან. 7, ს. 2909, ფურც. 116-120; თურმანიძე, 2009:69-70). საკითხის ამგვარი გადაწყვეტა მიწისმფლობელ მოსახლეობას, მათ შორის ბათუმელ სანჯაყ-ბეგ აბაშიძეებს არ აწყობდათ. ამასობაში პირველი მსოფლიო ომი დაიწყო. აჭარა 1918 წლის აპრილიდან 1920 ივლისამდე თურქი და ინგლისელი ოკუპანტების ბატონობაში იმყოფებოდა. საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ველარ მოასწრო აჭარაში აგრარული საკითხის კანონმდებლობით გადაწყვეტა, როგორც ეს დანარჩენ საქართველოში განხორციელდა.

აჭარის მიწისმფლობელი მოსახლეობისათვის, მათ შორის ბათუმელი სანჯაყ-ბეგ აბაშიძეებისათვის ტრაგედიას წარმოადგენდა საბჭოთა ხელისუფლების აგრარული პოლიტიკა. გასაბჭოების შემდეგ მიწის ნაციონალიზაცია გამოცხადდა. გაუქმდა კერძო საკუთრება, აიკრძალა მიწის ყიდვა-გაყიდვა, დაგირავება და იჯარით გაცემა, განხორციელდა აღა-ბეგების მიწების კონფისკაცია. აბაშიძეებს უსასყიდლოდ ჩამოართვეს 237 დესეტინა და უმიწაწყლო და მცირემიწიან გლეხებს გადაეცათ. აჭარის თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლების შემდეგ 1921 წლამდე აბაშიძეების რამდენიმე თაობა შეიცვალა. გასაბჭოებისას ცოცხლები იყვნენ მემედ, ხასან, ზია, იუსუფი, ჰაიდარ, ყადირ, ნური

აბაშიძეები. აგრარული რეფორმის განხორციელების წინააღმდეგობის მოტივაციით ბევრი აჭარიდან გადასახლეს. აბაშიძეებიდან აჭარიდან გადასახლეს ხასანი, რიზა და იუსუფი. მემედ აბაშიძე დააპატიმრეს და ჯერ ბაქოში გადასახლეს, შემდეგ კი თბილისში იხდიდა სასჯელს. შემდგომ აბაშიძეების ზოგიერთი ბეგი თურქეთში მიიძალნენ. გამონაკლისი იყო ჰაიდარ აბაშიძე, რომელიც დაპატიმრების შემდეგ მალე გაათავისუფლეს.

ადგილ-მამულებთან ერთად აბაშიძეებს ჩამოართვეს სამი საცხოვრებელი სახლი 10 ოთახით. მსუბუქი ავტომობილიც კი წაართვეს. აბაშიძეების ოჯახებში ქალები და მცირეწლოვანი ბავშვები დარჩნენ. ისინი სასიკვდილოდ იყვნენ განწირული. მემედ აბაშიძე გადასახლებიდან ბათუმში 1928 წელს დაბრუნდა, მაგრამ ფაქტობრივად პოლიტიკურ ზედამხედველობაში იმყოფებოდა. კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული საქმიანობის ყალბი ბრალდებით იგი დააპატიმრეს და 1937 წელს დახვრიტეს. იმავე ბრალდებით 1937 წელს დააპატიმრეს მემედ აბაშიძის ორი შვილი – იბრაიმი და იფეთი, რომლებიც 15 წლის განმავლობაში გადასახლებაში იმყოფებოდნენ. ასე ტრაგიკულად დასრულდა ბათუმელი სანჯაყ-ბეგ აბაშიძეების ცხოვრება და მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის ისტორია, მათი პოლიტიკური რეაბილიტაცია განხორციელდა XX საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევარში. მაგრამ რაც აჭარელმა სანჯაყ-ბეგ აბაშიძეებმა განიცადეს ცარიზმისა და საბჭოთა ხელისუფლების დროს, განუკურნებელი ტკივილია და ასე დარჩება მომდევნო წლებშიც.

### **დასკვნა**

ამრიგად, აჭარაში გადმოსახლების შემდეგ აბაშიძეებს ოსმალეთის ხელისუფლება იყენებდა ამ მხარეში თავისი კოლონიური პოლიტიკის განხორციელებისათვის. ამის გამო მათ გადაეცათ სამხედრო ლენი და მსხვილი მიწათმფლობელები გახდნენ. მაგრამ აგრარული რეფორმის შემდეგ აბაშიძეებს ადგილ-მამულები მხოლოდ მფლობელობა-სარგებლობაში რჩებოდათ. კიდევ მეტად გაუარესდა აბაშიძეების მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობა რუსეთის იმპერიის დროს. მათ ეკრძალებოდათ მიწების გასხვისება. მიუხედავად ამისა, აბაშიძეებმა მიწების დიდი

ნაწილი გაყიდეს, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების დროს აბაშიძეების მთლიანი მიწების კონფისკაცია განხორციელდა და, როგორც მემამულეები, რეპრესირებული იყვნენ. ასე დასრულდა სანჯაყ-ზეგ აბაშიძეების მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობა და ამჟამად იგი ისტორიის კუთვნილებაა

### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

- სცსსა* – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ (ფონდი), ან (ანაწერი) სს (საქმეები) 36, 99.
- სცსსა*, ფ. 13, ან. 7, ს. 2909; ან. 10, ს. 604.
- ასსცსა* – აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. ი- 81, ან. 1, სს. 1, 5, 22.
- ასსცსა*, ფ. ი- 25, ან. 1, სს. 1, 25.
- ასსცსა*, ფ. – 7, ან. 1, ს. 57.
- ასმა* – აჭარის სახელმწიფო მუზეუმის არქივი, ფ. 5, ან. 1, ს. 48.
- ოსოელია, ო. (1944). *ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიიდან* (სათავადოები), წიგნი I. თბილისი.
- ახვლედიანი, ხ. (1944). *ნარკვევები აჭარის ისტორიიდან (მე-16-19 საუკუნეები)*. ბათუმი.
- თურმანიძე, ო. (2001). *საადგილმამულო ურთიერთობანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ოსმალთა ბატონობის ხანაში*. ბათუმი.
- თურმანიძე, ო. (2009). *საადგილმამულო ურთიერთობანი და აგრარული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (1878-1928 წლებში)*. ბათუმი.
- სიხარულიძე, ი. (1960). *მემედ აბაშიძე*. ბათუმი.
- შარაძე, გ. (1995). *მემედ აბაშიძე*. ბათუმი.
- სურგულაძე, აბ. (1994). *ცხოვრება და ღვაწლი ჰაიდარ აბაშიძისა*. ბათუმი.
- კომახიძე, თ. (1993). *მემედ აბაშიძე*. ბათუმი.



**The Sanjak-Beg Abashidzes' land ownership-land use in Adjara during  
the rule of the Ottoman and Russian empires**

**Otar Turmanidze**

Doctor in History Science

Batumi Shota Rustaveli State University

Niko Berdzenishvili Institute

N 32/35 Ninoshvili st.; Batumi, 6010, Georgia

+995 599 291507. Otar.turmanidze@bsu.edu.ge

<https://orcid.org/0009-0004-0482-2404>

DOI: <https://doi.org/10.61671/hos.7.2024.7798>

**Abstract**

The Sanjak-Beg Abashidzes from Batumi settled in Adjara from Imereti, namely from Saeri-Stavo of Argveti, in the 16<sup>th</sup> century. Adjara was then conquered by the Ottomans. The Abashidzes converted to Islam here and entered the service of the Ottoman state. The Ottoman Sultan gave them lands and estates and gave them the title of Sanjak Beg of Lazistan.

The Abashidzes were large landowners in Adjara. The article discusses the land ownership and land use issues of the Sanjak-Beg Abashidzes of Batumi. After the implementation of the agrarian reform (Tanzimat) in the Ottoman Empire, the Agha-Begs no longer had private property. In return, they were assigned hereditary pensions, but the Abashidzes, like the rest of the Agha-begs of the Ottoman Empire, were left with the right of ownership and use.

During the Ottoman rule, there was a continuous struggle between the state agencies and local landowners regarding land and estates. This struggle continued during Russian domination. During this period, the Sanjak-Beg Abashidzes from Batumi started mass sale of land and estates. They were also engaged in leasing and mortgaging pieces of land. The income in a form of natural products or money received from this was the main source of their existence. The article discusses the legal status of the Sanjak-Beg Abashidzes of Batumi. It is emphasized that during the Soviet regime they suffered severe economic and political oppression.

**Keywords:** land ownership; Tanzimat; Ashari; Rent; Buying-selling.

## **Introduction**

The estate was and is the main means of existence and development of society. Ilia Chavchavadze defined its meaning in the formula: "Estate, language, faith". The Sanjak-Beg Abashidzes made a significant contribution to the fight for the estate against foreign oppressors.

The Sanjak-Beg Abashidzes were large landowners. In the 16<sup>th</sup> and 17<sup>th</sup> centuries, villages were given to them in the form of a military Leni in the Ottoman Empire. But after the abolition of the military-teni system, the Abashidzes were deprived of the right to private ownership of the land and the land remained in their possession. Because of this, the Abashidzes protested and fought irreconcilably against the regime of the Ottoman sultan.

After Southwestern Georgia was transferred to the Russian Empire, the king's authority maintained the land ownership and land use rules of the Ottoman Empire and did not recognize the ownership rights of the Sanjak-Beg Abashidzes over the land. The Abashidzes did not comply with the demands of the Tsarism and sold a large part of their land for fear of losing it. As a result, the Sanjak-Beg Abashidzes found themselves in the middle rank from the category of large landlords.

After the establishment of the Soviet government in Adjara, the estates of the Agha Begs were confiscated. Estates and other immovable and real estate were confiscated from Abashidzes for free. As landlords, they were deported from Adjara, and in 1937, their representative, Memed Abashidze, was shot, and his children were deported to a remote part of Russia.

### **Methodology**

The paper is written based on the historicism and logic of the guiding principles of scientific methodology. The material is selected, grouped and analyzed using proven methodology in science. As for the research methods, the methods of analysis and synthesis, comparison, reconciliation are used.

### **Outcomes**

The outcome of the research is that a relatively complete scientific work was created on the land ownership and land use of the Abashidzes, the influential Begs in Adjara. The issue has not been fully studied scientifically. Through this work, new, unknown archival material is introduced for the first time. In addition, the colonial policy of the Ottoman and Russian empires towards Adjara is depicted on the example of the Sanjak-Beg Abashidzes' land ownership and land use, which is not only interesting in general, but also important in terms of practical value.

### **Discussion**

The Abashidzes family is well known in Georgia as well as abroad. By social origin, they belong to the status of both nobles and peasants. The Abashidzes are mentioned in Georgian historical sources in the second half of the 15<sup>th</sup> century. In this era, the Abashidze family's principality existed in the Saeristavo of Argveti, and it was one of the strongest principalities (Soselia, 1973:153).

There is a different opinion about the Abashidzes settling in Adjara. According to Olgha Soselia, Doctor of History, the Abashidzes settled in Adjara in the first half of the 18<sup>th</sup> century. They converted to Islam and joined the service of the Ottoman state. Based on Kh. Akhvediani, S. Gersamia, G. Sharadze, T. Komakhidze, I. Sikharulidze, Ab.



Surguladze and others, the Abashidzes settled in the area of Batumi in the 16<sup>th</sup> century, converted to Islam, and the Ottoman Sultan gave them the title of Sanjak Beg of Lazistan and transferred the estates to them. This is where their rise begins. They bring convincing documents to prove this. Such a view was also developed by Iusuf Abashidze, who compiled a short history of the Sanjak-Beg Abashidzes of Batumi (asma, F, 5, inscription. 1, c. 48; Turmanidze, 2001:44).

At present, there is a lot of literature about the Sanjak-Beg Abashidze from Batumi, in which the genealogy, political, cultural-educational and journalistic activities of this lineage are discussed. But Apart from Kh. Akhvlediani, there is no mention at all about the land ownership and land use of this lineage in the works of the mentioned authors. In this sense, the present article represents a novelty in science.

The Sanjak-Beg Abashidzes from Batumi received the Ottoman Sultan's firman on the estate more than once. According to the rule existing in the Ottoman Empire, these firmen were renewed as a result of the accession of a new Sultan to the throne. For example, Ottoman Sultan Ahmed III (1703-1760) gave the Abashidzes of Batumi a military Leni, which consisted of 16 villages, in a contract dated 1715. These villages were spread over the territory from Chorokhi River to Chakvi (stssa, F. 231, inscription 1, c. 99, sheet 7; Turmanidze, 2001: 44). According to the same Sultan Akhmed III 1717 firman, the Abashidzes were given a tax estate, the annual income of which was 200 thousand Achchas. Of this amount, 11,040 Akhchas were to be contributed to the state treasury, and the rest remained for their use (Akhvlediani, 1944: 95; Turmanidze, 2001:44). Thus, a significant part of the lands of Batumi and its surroundings became the property of the Abashidzes. These were both uninhabited and inhabited lands. Peasants cultivated these lands and paid taxes to the Abashidzes.

From the 16<sup>th</sup> century until 1848, the Abashidzes ruled the Sanjak of Lazistan. After that, the Sanjak-Beg Abashidzes of Batumi were no longer rulers of the Lazistan Sanjak. The last ruler of Sanjak of Lazistan was Yusuf Abashidze, who died in 1848. He had 5 children: Emin, Salih, Husein, Ibrahim, Ahmed. Two of them were childless

(Emin and Akhmed). Descendants were left to Salih, Husein and Ibraim (Sharadze, 1995:36). During the Russian occupation, documents for the purchase of lands were signed by Salih, Husayn, Ibrahim and their descendants. From the second half of the 19<sup>th</sup> century, the main source of existence of the Abashidze family was the income from the estates.

In the 30s of the 19<sup>th</sup> century, the agrarian reform began in the Ottoman Empire, which is also known under the name of Tanzimat. In 1839, the Decree of the Ottoman Sultan was published, on the basis of which feudal estates and servants and peasants no longer remained in private ownership. The new agrarian reform put an end to the military leniency system of land ownership. The lands were declared state property, and the Aghas (nobles) were equalized with the peasants with their right. According to the Tanzimat, all citizens (subordinates) of the Ottoman Empire pay taxes in the same way. The agrarian reform in South-West Georgia, including the Lazistan Sanjak, was completed in the second half of the 60s of the 19<sup>th</sup> century. The feudal lords, including the Abashidzes, were left with the right to use the estates. For this benefit, they paid one-tenth of the land revenue, which was called *ashar*.

The Sanjak-Beg Abashidzes of Batumi were big feudal lords. In terms of the size of their estates, they were inferior only to the Khimshiashvilis and Tavdgiridzes in South-West Georgia. According to one report of the Commission of Batumi District, after Tanzimat, the Abashidzes had 73 *desyatina*s (125 *kili*) of land. According to the second report of the same commission (May-June 1880), the Abashidzes owned 500-600 *desetinas* (atssa, F. I. -81, inscription 1, c. 1, sheets 65-70; asma, c. 48, sheet 10). The Abashidzes claimed a much larger territory, which included a large part of the city of Batumi and its surrounding villages (Urekhi, Peria, Bartskhana, Ijadie, Gorodoki, Angisa and others). These lands were owned under the usufruct rights and leased.

The Ottoman government assigned hereditary pensions to the Sanjak-Beg Abashidzes from Batumi, like other landowners, after

Tanzimati. In the 60s and 70s of the 19<sup>th</sup> century, 6 people from the Abashidze family received vicarious hereditary pension. From them, Khusein, Salih, Ibrahim and Ahmed received 633 kurushes, and Dur-sun and Ismail - 317 kurushes (stsssa, F. 231, inscription. 1, sheet. 36, sheet. 6-7).<sup>6</sup>

After the liberation of southwestern Georgia from Ottoman possession, the situation of the Abashidzes, like other landowners, changed. The Russian government, using the Ottoman legislation, did not recognize the private property rights of the local population to the land. The lands were declared the property of the treasury. The landowners were obliged to pay rent, as was the case in the Ottoman Empire. The landowners of South-West Georgia relentlessly fought against the agrarian policy of tsarism, they demanded the confirmation of private ownership of land.

Land movement, including petitions and complaints, continued until the end of Tsarism's ownership, but to no avail. The Khimshiashvili family was an exception, to whom the Russian government, taking into account the merits of Sherip Khimshiashvili in the war of 1877-1878, approved 8,295 desyatinas of estate as private property in 1912 (Turmanidze, 2009:132). The Abashidzes of Batumi repeatedly appealed to the highest authorities of the Caucasus to approve the land in their use as private property, but they always received a negative answer.

During the Russian occupation, the Sanjak-Beg Abashidzes of Batumi no longer received the local hereditary pension appointed by the Ottoman government. They were not in the state service, nor were they engaged in private entrepreneurial activities. They were mainly engaged in political and cultural-educational activities. Memed Abashidze, Zia and Haidar Abashidze distinguished in this direction. In such conditions, the only source of Abashidze's existence was the income from the estates. In the 80s and 90s of the 19<sup>th</sup> century, the Abashidze lands were not separated. Therefore, they leased the lands collectively. In addition, they sold lands collectively, sometimes individually.

---

<sup>6</sup> One kurush was equal to 5 kopecks.

The sale of land by the Abashidzes began in 1879 and continued until the Sovietization of Georgia. The land purchase documents were approved by notaries of Batumi and Kutaisi. But the Russian authorities did not recognize them. Therefore, there were continuous disputes and complaints between the Abashidzes, notary officials and local estate agencies.

The Abashidze family sold the main part of the land in 1879-1890. The first deed of land purchase was signed by Pezli Abashidze son of Salikhi Abashidze, who in 1879 sold 22 square sazhen (land measurement unit in Russia that equals to 7ft) of land in the territory of Batumi to Staff Captain Nikolay Uspenksi, son of Vasily. The Abashidze family made the biggest deal on the purchase of land in 1880. 457 desyatina and 1527 square meters of land were sold to the vice-colonel Jason Soprom dze Ioselian, Ivane Simoni dze Shadunov and Durmishkhan Zhurul. The contract was signed by Ibraim Abashidze, who had a deed of trust from Salikh, Husein, Suleiman, Akhmed, Dursun, Ismail Abashidze. Jason Ioselian bought a large part of this common estate - 456 desyatina and 773 square sazhen, for which he paid 60 thousand rubbles. Durmishkhan Zhurul bought 1554 square meters, and Ivane Shadunov - 1600 square meters. The purchase document was approved by the notary of Kutaisi.

The Abashidze family made the biggest deal on the purchase of land in 1880. 457 desyatina and 1527 square sazhen of land were sold to the vice-colonel Iason Ioseliani, son of Soprom, Ivane Shadunov, son of Simon and Durmishkhan Zhuruli. The contract was signed by Ibraim Abashidze, from the Abashidzes' side, who had a deed of trust from Salikh, Husein, Suleiman, Akhmed, Dursun, Ismail Abashidze. Iason Ioseliani bought a large part of this common estate - 456 desyatina and 773 square sazhen, for which he paid 60 thousand rubbles. Durmishkhan Zhuruli bought 1554 square sazhen, and Ivane Shadunov - 1600 square sazhen. The purchase document was approved by the notary of Kutaisi.

One part of the mentioned land-estate (33 desyatina and 939 square sazhen) was located in the Porto-Franco area of Batumi, the

rest - in the villages of the surroundings of Batumi (Stepanovka, Angisa, Urekhi, Korolistskali sea coast). In particular, 320 desyatinas were located in Urekhi, 60 in Angisa. The estate consisted of several hundred plots. For example, there were 11 plots in Stepanovka, 43 in Urekhi, 48 in Angisa, 643 in the Batumi oil district (Tamari settlement), 61 in Liman-Meele, etc. (atssa, F. 25, inscription 1, c. 9, sheet. 51-52); part of the territory was covered with forest. The second part was used by the peasants, for which they paid ashari (rent payment for land usage) to the state treasury. Charging the population to rent for land usage was determined by the fact that the Russian government considered the lands owned by the Abashidzes to be state property and considered their sale of land illegal. Therefore, as it was said, the disputes-complaints were constantly going to the judicial bodies. The issue was repeatedly discussed by the Kutaisi Okrug Court and the Tbilisi Judicial Chamber. By the decision of the latter, as a supreme legal act, the purchase and sale of land was declared illegal (atssa, F. I.-81, inscription. 1, S. 1, sheets 50-56, 162 -170; F. i- 25, inscription. 1, c. 1, sheet. 10). Nevertheless, land sales continued. In 1882, Iason Ioseliani bought another 20 square sazhen of land from Akhmed-Beg Abashidze in the territory of Batumi (atssa, F. i-25, inscription 1, c. 1, sheet. 92).

Iason Ioseliani died in 1889. His only heir was his daughter Elena, who married Konstantine Abkhazi. Iason Ioseliani sold part of the land when he was alive. After his death, his daughter Elene fought with her husband for the private ownership of the lands bought by Iason Ioseliani. They filed a number of requests and complaints to the Russian authorities on this issue. But the request-complaint did not lead to any results.

The lands of the Treasury and the Abashidzes were not separated within the borders of Batumi. Therefore, disputes and complaints between the state agencies, the Abashidzes and buyers on this issue continued without an end. In 1881, for example, the Abashidze family sold land to the retired Poruchik (messenger, officer for orders) Michael Pavlovich Mefisov, right in the territory of Batumi. The

agreement was signed by Husein and Ibrahim Abashidze from the Abashidze family. Mikheil Mefisov wanted to fence this land, but the Batumi City Council and Satatbiro (Duma) did not allow him on the grounds that this agreement was illegal, as the mentioned plot of land was considered state property (atssa, F.I,-7, inscription, c. 57, sheets 10-19).

In the villages of the vicinity of Batumi, the Abashidzes sold both large and small land plots. In 1882, in the village of Peria, Khussein, Akhmed, Salikh, Ibrahim and Dursun Sanjak Abashidzes sold a piece of land to Turkish citizens-Mustafa Ependi Hajioghlu and Osman Ependi Khaiasoghli; the piece of land consisted of 10 desyatina and 1846 square sazhen. Buyers paid 40,000 rubles to the Abashidzes (atssa, F. 25, inscription 1, c. 25, sheet 93). On October 27, 1889, Khusain Sanjak-Beg Abashidze's wife (widowed) Aishe Tuntul Khanum sold one piece of land in the village of Bartskhana for 600 rubles to Vera Mghebrov from Kutaisi and Verdi Oganessov from Azerbaijan (city of Shusha) (F. 25, F. 93, F. I - 81, inscription. 1, c. 5, sheet 174). The notary of Batumi has signed the procurement documents. The Abashidzes sold only small volumes of land directly within the city of Batumi, which the buyers used to build buildings and establish orchard.

The Abashidzes started to sell their lands in mass volumes in the 90s of the 19<sup>th</sup> century. This was due not only to the desire to increase monetary income, but also to the fact that the Tsarist officials started a new census of the lands of southwestern Georgia. After the liberation of Adjara from the Ottoman rule, local estates were included in the military-civilian administration, but in the second half of the 1890s, the lands of southwestern Georgia were transferred to the Ministry of Land and State Property. The lands of Batumi District, as state property, were directly subordinated to the State Property Division of Kutaisi Governorate. This caused a sharp protest of the land-owning population. In such a situation, the Sanjak-Beg Abashidzes from Batumi started selling land on a large scale. In 1894-1900, they sold 62 plots of land. 4 plots in 1898, 19 in 1899, and 33 plots in 1900. The purchase and sale documents were again approved by the Batumi notary.

In the 90s of the 19<sup>th</sup> century, as before, the Abashidzes sold land both as a group and individually. In 1894, 2 plots were sold. The first plot, which consisted of 1160 square sazhen and was located on the territory of the city, was sold by Dursun and Ali Beg Abashidze to Parmen Gegenava, son of Simon and Konstantine Javelidze, son of Simon. The second plot (88.5 square sazhen) was sold by Ibraim Abashidze's wife Salie Khanum. The plot of land was also located within the city of Batumi. The land was bought by Petre Medus, son of Karlo, a resident of Batumi, for which he paid the appropriate price (atssa, F. i-81, inscription. 1, p. 5, pages 15, 17). In 1895, the same Salie Khanum sold land in the territory of Batumi to Artur Onanyants, son of Vardan, who paid 1215 rubles of silver money (atssa, F. i-81, inscription. 1, c. 5, c. 30).

Within Batumi, in 1896, Memed Abashidze sold 2 plots of land to Lutbie Chilingarov. The first was 154 square sazhen, the second - 155.5 square sazhen, Lutbie Chilingarov paid Memed Abashidze 774 rubles in silver money (atssa, F. i-81, inscription. 1, c. 5, sheets 40,96). Ali-Beg Abashidze sold the first plot of 756 square sazhen to Pavle Mchedlov, son of Luka from Akhaltsikhe, the second plot of 223 square sazhen was sold by Pevzi Abashidze to the "Staff Captain" Nikoloz Uspenski, son of Ivan (atssa, I-81, inscription. 1, c. 5, sheets 56, 61, 71).

In the following years, the sale of land by the Abashidze family increased significantly. In 1898, Zia, Dursun, Memed, Ali and Pezli Abashidze sold 229 desyatinas in Angisa to Iulion Sharashenidze, son of Nikoloz and Aleksandre Mikelaishvili, so of Maksime, residents of Batumi. As usual, the purchase document was approved by the Batumi notary on July 30 of the same year. It was the largest land sale in the 1890s and 1900s. In 1898, the Abashidze family sold 3 more plots of land. Aishe Tuntul Khanum, the wife of Khusein Abashidze, and Salie Khanum, the wife of Ibraim Ab Tsavinov, son of Isak. The purchase agreement was approved by the Batumi notary on May 1. According to the contract of August 28, 1898, Dursun-Beg Abashidze sold a small plot of land in the territory of Batumi to Vera Mghebrov from Kutaisi

and Verdi Oganosov from Azerbaijan. Under the agreement of 1898, Zia-Beg Abashidze sold 50 square sazhen of land in Angisa to Mikheil Chkhartishvili from Ozurgeti (atssa, F. i-81, inscription. 1, p. 5, sheets 133, 151, 156, 162, 178).

In 1899-1900, the sale of lands by the Abashidze family reached its climax, they sold 52 plots of land in two years. The lands were located in the city of Batumi, Angisa and Bartskhana. In 1899-1900, the Sanjak-Beg Abashidzes sold small amounts of land individually. Zia and Memed Abashidze sold the largest amount of land in two years. Zia Abashidze sold 34 plots of land, and Memed Abashidze - 17. The Abashidzes sold land both in sazhen and plots. Therefore, the exact determination of the total area of sold land is difficult. The lands were sold at different prices. The value of the land depended on market demand, soil fertility, and territorial location. The land within the city of Batumi was much more expensive, the land on the sea coast had a lower, but still high price.

In 1899-1900, Zia Abashidze sold lands in the city of Batumi and its surroundings to Triantapil Mavropoulos, Artem Kevkhashvili, Josephina Shevardnadze, brothers Taniel and Vladimir Tavartkiladze, Karun Chilingarov, Vasil Bardanov, Jambul Saudia, Mate Vlasov, Pavle Krenke, Apolon Rukhadze, Zakaria Dekanozov, Mikheil Khristants, Ivane Garakanidze, Giorgi Kukuladze, Kukulia and Dzadzamia, Ivane Tarakanov and others. Land purchase prices were different. For example, T. Mavropoulo paid 505 rubles for a 500 square meter plot of land located in Angisa. Zh. Shevardnadze bought 195 square meters in sazheni (Batumi) - 400 rubles, brothers Taniel and Vladimir Tavartkiladze bought 12327 square sazhen - 500 rubles (located in Angisa), A. Kevkhashvili from Sighnaghi (Kakheti) paid 1000 rubles for 3236 square meters. A Chilingarov paid 510 rubles in 505 square sazhen, V. Bardanov paid 400 rubles in 300 square sazhen, etc. (atssa, F. i. 81, inscription. 1, c. 5, sheets 187-388).

Memed Abashidze (in 1899-1900) sold lands in the city of Batumi and its surroundings to Davit Gamkrelidze, Makrine Chikvaidze, Pedosi Mikeladze, Robert Gunrize, Mikheil Khristants, Samuel Chak-



hvadze, Mikheil Antadze and others. For example, D. Gamkrelidze paid 2000 rubles for 1000 square sazhen of land. P. Mikeladze paid 500 rubles in 2017, R. Gurnize- 40 rubles in 100 square sazhen, S. Chakhvadze paid 1100 rubles in 525 square sazhen, A. Antadze paid 45 rubles in 200 square sazhen, etc. (atssa, F.I-81, An. 1, S. 5, sheets 188, 239, 243, 276, 291, 307, 319, 327).

The sale of land by the Abashidzes decreased after 1900, because the main part was sold before that. In 1901-1904, the Abashidzes sold 8 plots of land, which were located in the city of Batumi and in the territory of Angisa. For example, Husein Abashidze's wife Aishe Tuntul Khanum sold 70.12 square sazhen of land in Batumi. It was bought by Abgar Abgarian, son of Stepane, who paid 600 rubles, Memed Abashidze sold a 126 square sazhen of plot of land to Mariam Turkia, daughter of Ilia. The buyer paid the seller 2080 rubles. Dursun-Beg Abashidze sold 249.6 square sazhen of land for 2743 rubles. The land was bought by Paraskeva Anjaparidze, son of Simon.

In the 1900s, as before, most of the lands were sold by Zia Abashidze. In 1901, 4 plots of land were sold: 19,018 square sazhen, for 9,000 rubles, were sold to Artem Kevkhashvili, son of Kristepore, 143 square sazhen were sold for 600 rubles to the brothers Tavar-kiladzes, 50 square sazhen were sold for 100 rubles to Zharkova and etc.; (atssa, F. i-81, inscription. 1, c. 5, sheet. 416, 417, 425, 447, 453, 457, 460). In 1905, the Russian authorities conducted a new census of the lands in the coastal area of Adjara. According to this census, the Abashidzes owned 316 desyatinas and 227 square estate which were mainly located in Urekhi and Angisa. From this place, Memed Abashidze possessed 38 desyatinas and 1171 square sazhen, Dursun Beg possessed 42 desyatinas and 1200 square sazhen, Pevzi and his children-33 desyatinas and 846 square sazhen, Zia Abashidze and Riza Abashidze-200 desyatinas, (stssa, F. 13, inscription 10, c 604, sheets. 26-27. 37-38).

The sale of lands by the Abashidzes continued until 1921. During the sovietization of Adjara, 237 sazhen of lands were owned by the Sanjak-Beg Abashidzes from Batumi. It turns out that after 1905

they sold more than 79 desyatinas of estates. In these years, lands were sold by Memed, Zia, Ali, Aslan Abashidze and others. For example, in 1913-1919, Memed Abashidze sold 10,400 square sazhen of land to Zakaria Bestavashvili, son of Simon for 5,000 rubles, Zia Abashidze sold three plots of land: 642 square sazhen to Khasan Tavdgiridze for 300 rubles, the second plot for 1,104 rubles to Kaptoghli from Batumi, 100 square sazhen to Apollon Rukhadze, son of Mamuka. The wife of Suleiman Sanjak-Beg Abashidze sold 100 square sazhen of land with buildings for 14,300 rubles. In the same years, the Abashidzes sold land in Angisa to the Persian subordinate Suleiman Dairoqli by a collective agreement (atssa, f. i-81, inscription. 1, c. 5, sheets 416, 418, 428, 435, 436, 438, 443, 446, 448; c. 22, sheet 261).

The Sanjak-Beg Abashidze from Batumi, by land leasing and mortgage, received a significant amount of money. In 1901, for example, Pezli and Ali Abashidze took 2500 rubles as a loan from Abgar Abgaryan by leasing a piece of land. On the same ground, Ibraim Abashidze's wife, Salie Khanum, borrowed 1000 rubles from Batumi commersant (a person involved in commerce) for a two-year term (atssa, F. i-81, inscription. 1, c 5, sheets 405, 421). Giving loan through the land leasing was an exception. Obviously, it was caused by necessity. It was more profitable and frequent to lease the land.

It is mentioned in official sources that the Sanjak-Beg Abashidzes of Batumi did not engage in physical labor for tilling the soil and harvesting crops. Therefore, the lands were leased to those who wished. There were many such people in Adjara. Obviously, the rental money was also the main income of the Abashidzes. In 1901, for example, Memed Abashidze leased a 625 square meter plot of land in Angisa to Dursun Barkalogli, a resident of the village of Dandalo in Kvemo Adjara, for a period of 12 years. The rental fee was 300 rubles (25 rubles per year). In the same year, the Abashidzes gave 1452 square meters sazheni of land to Dimitriad under a collective agreement for a 12-year term. The mentioned plot of land was also located in Angisa and the annual rental fee was 15 Rubles, and the whole was 180 rubles. Aishe Khanum, the wife of Salikh Abashidze, leased a 596.6 square

sazheni plot of land (in Adlia) to Kirile Jorbenadze and Pavle Zakaradze for 12 years. The rental fee was 360 Rubles (30 rubles annually). Pezli and Ali Abashidze signed the agreement on behalf of Aishe Khanum. For the violation of the contract, the parties were liable to a fine of 1500 rubles (atssa, F. i-81, inscription. 1, c. 5, sheet 433, 445, 457, 464).

Land leasing by the Abashidzes increased even more in the following years, but some plots were not signed under an official contract. Along with small plots, they also leased large areas. For example, in 1911, Pezli and Ali Abashidze leased 8 desyatinas of land in Angisa to Andria Rusia son of Simon. The term of the lease was 3 years, and the annual lease fee was 100 Rubles (atssa, F. i-81, inscription, 1, c. 22, sheet. 457). In 1916, Ali Beg Abashidze leased land plots to Nestor Manjgaladze, S. Shamatava, S. Andghuladze and I. Gogmachadze. The sources do not indicate the size of the land area, lease rent and lease term (atssa, F. i-81, inscription. 1, c. 5, sheet. 434). Nevertheless, this material is still noteworthy in this respect.

The landowners of Batumi province including the Sanjak-Beg Abashidzes from Batumi, continued to dispute with the Russian authorities for the approval of the land-estate in private ownership. Due to these disputes and complaints, the Viceroy Council of the Caucasus, as a result of a long discussion, on April 18, 1912, approved the draft law on approving the ownership of land and estates in the provinces of Kars and Batumi, for which the landowners had to pay a ransom amount equaling to 517,440 Rubles for 28 years (stsssa, F. 13, inscription 7, c. 2909, sheets 116-120; Turmanidze 2009:69-70).

This kind of solution of the issue did not suit the land-owning population, including the Sanjak-Beg Abashidzes from Batumi. Meanwhile, the First World War began. From April 1918 to July 1920, Adjara was under the rule of the Turkish and British invaders. The Democratic Republic of Georgia could not manage to resolve the agrarian issue in Adjara by legislation, as it was done in the rest of Georgia.

The agrarian policy of the Soviet government was a tragedy for the land-owning population of Adjara, including the Sanjak-Beg Aba-

shidzes of Batumi. After Sovietization, land nationalization was announced. Private property was abolished, buying and selling, mortgaging and leasing of land was prohibited, the lands of Agha Begs were confiscated. Abashidze were deprived of 237 desyatinas free of charge and given to peasants with no water and small land. After the liberation of Adjara from the domination of the Turks until 1921, several generations of the Abashidzes changed. Memed, Khasan, Zia, Iusuf, Haidar, Kadir, Nuri Abashidze were alive during Sovietization. Motivated by opposition to the implementation of agrarian reform, the Begs were exiled from Adjara. Among the Abashidzes, Khasan, Riza and Iusuf were deported from Adjara. Memed Abashidze was arrested and first was exiled to Baku, and then served his sentence in Tbilisi. Later, some Abashidze begs hid in Turkey. An exception was Haidar Abashidze, who was released soon after his arrest.

Along with the lands, three residential houses with 10 rooms were confiscated from the Abashidzes. Even a car was taken away. Women and young children remained in Abashidze's families. They were doomed to die. Memed Abashidze returned to Batumi from exile in 1928, but was actually under political supervision. He was arrested and shot in 1937 on false charges of counter-revolutionary-Trotskyist activities. In 1937, two children of Memed Abashidze - Ibraimi and Ifeti, who were in exile for 15 years, were arrested on the same charge. This is how the life and history of land ownership and land use of the Sanjak-Beg Abashidze of Batumi ended tragically, their political rehabilitation was carried out in the second half of the 50s of the 20<sup>th</sup> century. But what the Sanjak-Beg Abashidzes of Adjara experienced during the Tsarism and the Soviet government is an incurable pain and will remain so in the years to come.

### **Conclusion**

Thus, after moving to Adjara, the Abashidzes were used by the Ottoman authorities to implement their colonial policy in this area. Because of this, they were given a military Leni and became large landowners. But after the agrarian reform, the Abashidzes estates remained only in ownership. The Abashidze's land ownership and land use

worsened even more during the Russian Empire. They were forbidden to transfer lands to other's ownership. Nevertheless, the Abashidzes sold a large part of their land, and during the Soviet rule, the entire land of the Abashidzes was confiscated and they were repressed as landlords. This is how the Sanjak-Beg Abashidze's land ownership and land use ended, and now it belongs to history.

## References and Literature

- stsssa* – Central State Historical Archive of Georgia; F.(fond), or (Inscription) cs (cases) 36, 99. (in Georgian).
- stsssa, F. 13, inscription 7, c. (case) 2909; inscription 10, c. 604.* (in Georgian).
- asstssa-Central State Archive of Archival Division of Ajara, F. i-81, inscription 1, cs. 1, 5,22.* (in Georgian).
- asstssa, F.i. -25, inscription. 1, cs, 25.* (in Georgian).
- asstssa, F-7, inscription. 1, c. 57.* (in Georgian).
- asma-Ajara State Museum Archive, F.5, inscription. 1, c. 48.* (in Georgian).
- Soselia, O. (1944). *Essays from the socio-economic history of Western Georgia of the feudal age (satavados), book I.* Tbilisi. (in Georgian).
- Akhvlediani, Kh. (1944). *Essays from the history of Adjara (16th-19th centuries).* Batumi. (in Georgian).
- Turmanidze, O. (2001). *Local relations in South-West Georgia during the period of Ottoman domination.* Batumi. (in Georgian).
- Turmanidze, O. (2009). *Local relations and agrarian movement in South-West Georgia (1878-1928).* Batumi. (in Georgian).
- Sikharulidze, I. (1960). *Memed Abashidze.* Batumi. (in Georgian).
- Sharadze, G. (1995). *Memed Abashidze,* Batumi. (in Georgian).
- Surguladze, Ab. (1994). *Life and achievements of Haidar Abashidze.* Batumi. (in Georgian).
- Komakhidze, T. (1993). *Memed Abashidze.* Batumi. (in Georgian).



ისტორია, პოლიტიკა, წყაროთმცოდნეობა  
**HISTORY, POLITICS, PRIMARY SOURCE STUDIES**

---

**„თურქი-მესხების“ დეპორტაციის წანამძღვრები და მასთან  
დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი**

**უჩა ოქროპირიძე**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი,  
საქართველო, 6010. ბათუმი, ნინოშვილის ქ. 32/35.  
+995 593 931711. ucha.okropiridze@bsu.edu.ge  
<https://orcid.org/0000-0002-1696-0781>  
DOI: <https://doi.org/10.61671/hos.7.2024.7799>

**აბსტრაქტი**

ნაშრომში განხილულია ე. წ. თურქი-მესხების დეპორტაციის პირობების შესამზადებლად რუსეთის კოლონიური პოლიტიკის (როგორც იმპერიის, ისე საბჭოთა) მიერ გატარებული ის ღონისძიებანი, რომელთაც მესხეთის მოსახლეობის უმრავლესობა საქართველოსა და ქართველობის მოძულე მანქურთებად და ქართული სახელმწიფოს უბოროტეს მტრებად უნდა ექციათ.

მასში მოკლედ არის გადმოცემული აღნიშნული რეგიონის მოსახლეობის მდგომარეობა ოსმალთა ბატონობის პერიოდში, შემდეგ კი აქ შექმნილი ვითარება რუსეთის ამიერკავკასიაში და კერძოდ საქართველოში დამკვიდრების დროს. 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში რუსეთის გამარჯვების შედეგად აქ შექმნილი უმძიმესი მდგომარეობა - კავკასიაში ქართული ელემენტის შესუსტების მიზნით გატარებული სპეციალური ღონისძიებანი. აღნიშნულია, „მფარველად“ მოსულმა რუსეთმა ისეთ დღეში ჩააგდო ქართველობა, რომ მის წინააღმდეგ არაერთი აჯანყება მოხდა. მდგომარეობა არ შეცვლილა საბჭოთა პერიოდშიც, პირიქით, იგი კიდევ უფრო დამძიმდა და სრულად დაექვემდებარა

ბარა რეგიონში საბჭოთა სახელმწიფოს ვერაგულ მიზნებს, რომლის საბოლოო შედეგი იქედან ქართველი მუსლიმანი მოსახლეობის დეპორტაცია იყო. მხილებულია ამ საქმეში სომხების როლი და ქართველებისაგან თითქმის დაცლილ ადგილების მათგან მითვისების მცდელობა.

აქვე აღნიშნულია, რომ ცნობილი რუსი ადამიანის უფლებათა და სამართალ დამცველის, ნობელის პრემიის ლაურეატის, აკადემიკოს ანდრეი სახაროვის ძალისხმევით, რომელიც შეცდომაში შეიყვანეს, მესხები თურქებად მოინათლნენ და მათ მიმართ დამკვიდრდა ტერმინი „თურქი-მესხები“. რასაც მოყვა ქართველი უფლებადამცველის, საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას სათანადო პასუხი ჭეშმარიტი ისტორიისა და მათი ნამდვილი ქართული წარმოშობის ახსნით და ანდრეი სახაროვისაგან საკუთარი შეცდომის აღიარება

ამავე სტატიაში მოცემულია ანდრეი სახაროვის წიგნზე - „ქვეყნისა და მსოფლიოს შესახებ“ მერაბ კოსტავას მიერ გამოთქმული საგულისხმო მოსაზრებანი სხვადასხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, რომლებიც სრულად ეხმიანება მსოფლიოს თანამედროვე მდგომარეობას.

**საკვანძო სიტყვები:** თურქი-მესხები; დეპორტაცია; მესხთა რეპატრიაცია; ერთმორწმუნე რუსეთი; სომეხ-რუსთა აგენტურა; შურისგების სურვილი.

## **შესავალი**

„თურქი-მესხების დეპორტაციისაკენ ჯერ რუსეთის, შემდეგ საბჭოთა კავშირის იმპერიულ მანქანას თავისი კოლონიური ღონისძიებებით ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყავდა საქმე და იგი 1944 წლის ნოემბერში 200 ათასი მესხის შუა აზიაში გადასახლებით დასრულდა. აღნიშნულ ღონისძიებებში შედიოდა რუსეთთან შეერთების შემდეგ მესხეთიდან მისი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ოსმალეთში გადასახლება და მათ ადგილზე აქ ანატოლიიდან სომხების ჩამოსახლება; ადგილზე დარჩენილი ქართული მოსახლეობის საქართველოსთან ხელოვნურად გაუცხოება

- აქ ოსმალეთიდან, ხოლო საბჭოთა პერიოდში აზერბაიჯანიდან ხოჯა-მოლების მასწავლებლებად მოწვევა და მათი ანტიქართული მოღვაწეობა, ამის შედეგად აქ ქართული გავლენისა და ელემენტის შესუსტება და სხვა. მესხების სამშობლოში რეპატრაციისათვის ბრძოლის პერიოდში აკადემიკოს ანდრეი სახაროვის მიერ ისინი თურქ-მესხებად მოინათლნენ, რასაც მოყვა მერაბ კოსტავას სათანადო პასუხი მესხების ჭეშმარიტი ისტორიისა და მათი ნამდვილი ქართული ვინაობის გახსნით.

### **მეთოდი**

ნაშრომი დაწერილია მეცნიერული მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო პრინციპების ისტორიზმისა და ლოგიკურობის საფუძველზე. მასალა შერჩეული, დაჯგუფებული და გაანალიზებულია მეცნიერებაში აპრობირებული მეთოდოლოგიით. რაც შეეხება კვლევის მეთოდებს, გამოყენებულია ანალიზისა და სინთეზის, შედარების, შეჯერების მეთოდები.

### **შედეგი**

კვლევის შედეგია ის, რომ შეიქმნა შედარებით სრულყოფილი მეცნიერული ნაშრომი „თურქი-მესხების“ დეპორტაციისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ. ამ საკითხისადმი არსებული უდიდესი ინტერესის მიუხედავად იგი თანამედროვე ისტორიული მეცნიერების მოთხოვნათა დონეზე სრულყოფილად შესწავლილი არ ყოფილა. აღნიშნული ნაშრომის სახით სამეცნიერო ბრუნვაში შემოდის მხოლოდ არაფორმალური გამოცემებისათვის ცნობილი ისტორიული ლიტერატურა და მასალები, რომელთა ახლებურად გადააზრების შედეგად შექმნილია თურქი-მესხების დეპორტაციის წანამძღვრების შედარებით სრულყოფილი სურათი, რომელშიც განხილულია საქართველოში ოსმალეთის, შემდეგ რუსეთისა და საბჭოთა რუსეთის დროინდელი იმპერიული პოლიტიკის სავალალო შედეგები მესხების „თურქ-მესხებად“ ქცევის საქმეში. გადმოცემულია ამ საქმეში აკადემიკოს ანდრეი სახაროვის როლის და ამ თვალსაზრისთან დაკავშირებით მერაბ კოსტავას მიერ მიცემული ახსნა-განმარტების შემდეგ მის მიერ შეცდომის აღიარების შესახებ. გაკეთებულია სათანადო დასკვნები ამ საკითხის



მართებულად გააზრების თვალსაზრისით და ახსნილია ყოველივე ამის სამეცნიერო პრაქტიკული მნიშვნელობა.

### **დისკუსია**

საბჭოთა სახელმწიფოს მიერ ქართველი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილ უმძიმეს დანაშაულთა რიგს მიეკუთვნება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის, ე. წ. „თურქი-მესხების“ დეპორტაცია XX საუკუნის 40-იან წლებში და მათ საკუთარ სამშობლოში რეპატრაციის პრობლემები. პირველ რიგში, მთელი რიგი ანტიქართული სახელმწიფოებრივი ღონისძიებები ჩატარებული ამ რეგიონში, რომლებიც სწორედ იქითკენ იყო მიმართული, რომ საქმე ბოლოს და ბოლოს ამ შედეგამდე მისულიყო და მესხეთის და ნაწილობრივ აჭარის ასსრ-ს მოსახლეობაში თავის თანამომძე ქართველებისადმი გაუცხოება, უკიდურეს დაპირისპირებად და სიძულვილად ქცეულიყო; რომლის შემდეგ უბოროტესი საბჭოთა სადამსჯელო მანქანა, ამ უსასტიკესი ანტიადამიანური და საქართველოს სახელმწიფოებრივი სიმტკიცის წინააღმდეგ მიმართული აქციის გამართლებას შესძლებდა. შემდეგ ეს, ყველაფერი სტალინურ რეჟიმსა და პიროვნების კულტს დააბრალებს. მაგრამ სტალინის სიკვდილის შემდეგაც, ნიკიტა ხრუშჩოვის ე. წ. დათბობის პოლიტიკის დროს, საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რეპრესირებული ხალხები შეწყალებულ-რეაბილიტირებული დააბრუნეს თავიანთ ადრინდელ სამშობლოში და საცხოვრისზე, მესხეთის მაჰმადიანი ქართველების გარდა მათ საქართველოში დაბრუნება აეკრძალათ და მათთვის სპეციალურად შექმნილი სახელწოდების – „თურქი-მესხების“- ქვეშ, ისინი დღესაც აგრძელებენ ბრძოლას თავიანთი უმთავრესი უფლების, მშობლიურ მიწა-წყალზე დაბრუნებისათვის. მაგრამ საბჭოთა სახელმწიფოებრივი მანქანის მიერ გატარებული უბინძურესი ღონისძიებებისა და უსაშინლესი რეპრესიული მაქინაციების გამოყენებით „ბოროტების იმპერიაში“ შეძლო მათი უმრავლესობის საქართველოსა და ქართველების მოძულე მანქურთებად და ქართული სახელმწიფოს უბოროტეს მტრებად ჩამოყალიბება და დღესაც ცდილობს მისი მეგვიდრე რუსეთის სახელმწიფო მათ ჩვენს წინააღმდეგ გამოყენებას. ამიტომაც ამ ვით-

არების შემქმნელი გარემოებების შესწავლა, გამოკვლევა-ანალიზი და სათანადო დასკვნების გამოტანა მეტად საშური საქმეა.

საქართველოს ერთიანი სამეფოს XV საუკუნის ბოლოს დაშლის შემდეგ, მის შემადგენელ სამეფო-სამთავროებს დიდად დაღვინებული ცხოვრება არ ჰქონიათ. კონსტანტინეპოლის დაცემის შედეგად თანდათანობით გაძლიერებული ოსმალთა იმპერია სულ უფრო და უფრო იფართოებდა თავის სამფლობელოებს და XVI საუკუნის შუახანებში მან თავისი სიუზერენიტეტი სამცხე-საათაბაგოზეც გაავრცელა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ამ ქართული სამთავროსათვის მეტად ძნელი სატარებელი გამოდგა ოსმალთა დამპყრობლების უღელი და საუკუნეთა განმავლობაში მისი გამაჰმადიანება ფაქტად იქცა. ამას მოყვა მისი მოსახლეობის ნაწილის მიგრაცია ყოფილ საქართველოს სამეფოს სხვადასხვა რეგიონებში, ნაწილმა კი ვერ დათმო მშობლიური სამანები და ოსმალთა ბატონობას შეეგუა, თუმცა მათ წინააღმდეგ არაერთხელ აღმართა აჯანყების დროშა.

რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიაში შემოღწევას და ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების (1801 წ.) შემდეგ, რუსეთმა დაარღვია საქართველოს ცალკეულ ნაწილებთან დადებული ყველა ხელშეკრულება და მისი შემადგენელი სამეფო-სამთავროები აღგავა პირისაგან მიწისა, სიტყვა „საქართველო“ პოლიტიკური ლექსიკონიდან ამოიღო და მოსპო და მის ნაცვლად შექმნა ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიები რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. საფუძველი ჩაუყარა ქართული ენის დევნისა და ქართველთა გარუსების პოლიტიკას. საქართველოდან გადაიხვეწნენ მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაუცხრომელი მებრძოლნი – ალექსანდრე ბატონიშვილი, იმერეთის გმირი მეფე სოლომონ II, რომელნიც სწორედ მესხეთმა შეიფარა და უმასპინძლა მათ ახალციხესა თუ სოფელ კოთელიაში (რცხილაძე, 1977:10).

1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ ყოფილი სამცხის საათაბაგოს ნაწილი რუსეთის მფლობელობაში მოექცა და იმედი გაჩნდა ამ ქართულ რეგიონში ეროვნული სულის აღორძინებისა. რუსეთ-ოსმალეთის ამ ომში ბევრი ქართვე-

ელი რუსეთის არმიაში იბრძოდა, ზოგი ჩინ-მედლებისათვის, ზოგი რელიგიური პროპაგანდით დამუშავებული, ზოგსაც კი ნამდვილად სჯეროდა, რომ პასკევიჩი საქართველოს ისტორიულ მიწა-წყლის დაბრუნებას ლამობდა.

წარმოუდგენელი გამირობა და თავდადება უჩვენა მომხედურს მესხეთმა. დაინგრა და ცეცხლში გაეხვია ახალქალაქი და ახალციხე. ქალაქის ნანგრევებში დახოცილთა შორის ასობით მამაკაცის ტანსაცმელში გამოწყობილი მეომარი ქალი აღმოაჩინეს (რცხილაძე, 1977:11; ლომსაძე, 1975:170). დამარცხების შემდეგ სამშობლოდან ძალად გარეკილი მესხები ათასობით ბრუნდებოდნენ სამშობლოში და რუსეთის ხელისუფალთ ეხვეწებოდნენ: **„ოღონდაც ისევ სამშობლოში დაგვასახლეთ და ქრისტიანობას მივიღებთ“**. რუსის მოხელენი კი მათ ულმობლად კვლავ ოსმალეთში ერეკებოდნენ... (რცხილაძე, 1977:11). რუსეთის იმპერიის ზრახვათა მსახურებმა დიდად იღვაწეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ამ უძველესი ისტორიული ნაწილიდან ქართული ელემენტის მნიშვნელოვანი ნაწილის გასანდევნად და აქ მათ მაგივრად ოსმალეთიდან 30 ათასი სომეხი ჩამოსახლეს, რითაც დემოგრაფიული ვითარება აღნიშნულ რეგიონში ქართველთა საზიანოდ მნიშვნელოვნად შეცვალეს. რუსეთის მიზანი იყო არ დაეშვა ქართული ელემენტის გაძლიერება კავკასიაში, როგორც მათთვის ყველაზე უფრო საშიში ხალხისა, რადგან ახლახან სახელმწიფოებრიობა დაკარგულ ქართველებს ყველაზე მეტად ექნებოდა სეპარატისტული მიდრეკილებანი. ამიტომ რუსეთი ყველანაირად ხელს უშლიდა მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველების გაერთიანებას ერთ ეროვნულ ორგანიზმში. ფაქტობრივად ხდებოდა წარმოუდგენელი პარადოქსი – მძლავრი ქრისტიანი იმპერიის მესვეურნი თურქეთის შიდა პროვინციებიდან, ანატოლიიდან იწვევდნენ მოლებს მესხებისათვის, რომლებიც კიდევ უფრო ძირავდნენ მესხებს მუსულმანურ ფანატიზმში. **„ის, რაც ვერ გაკეთდა თურქთა ორასწლოვანი ბატონობის დროს, - გვაუწყებს ისტორიკოსი შოთა ლომსაძე, - სამწუხაროდ ახლა, XIX საუკუნეში, ე. ი. შემოერთების შემდეგ სრულდებოდა** (რცხილაძე, 1977: 12; ლომსაძე, 1975: 309).

როგორც ვხედავთ, რუსეთმა ბიზანტიისაგან მემკვიდრეობით მიიღო არა მარტო „მესამე რომის“ წოდება, არამედ საქართველოს მიმართ მისი უსამართლო, დამპყრობლური პოლიტიკაც. და როდესაც ამის ძალა და საშუალება მიეცა, უფრო მეტი მონდომებითა და სისასტიკით შეუდგა მასზე მინდობილი „ქრისტიანების“ თუ მათი მაჰმადიანი თანამომძემეხების განადგურება-აღმოფხვრას. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ის ამ საქმეში შეუდარებლად დაუნდობელი და ვერაგი აღმოჩნდა, ვიდრე მისი წინამორბედი „პირველი თუ მეორე რომი“ ერთად აღებული, რადგან აქ ბიზანტიურ ქვეგამხედვარობას თან დაერთო რუსების მიერ მონღოლთაგან შეთვისებული, მოწინააღმდეგედ მიჩნეული ძალის გაჩანაგება-განადგურების და მისი საბოლოო მოსპობის სტრატეგია და ტაქტიკა.

ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი მესხეთის გამაჰმადიანებული ქართველები ერთმანეთისაგან ვეღარ არჩევდნენ სარწმუნოებასა და ეროვნებას. ქართველი მისთვის ქრისტიანული რელიგიის აღმნიშვნელი ტერმინი გახდა. თავისი ვინაობის განსაზღვრისათვის მან შექმნა უფრო დაკონკრეტებული ცნება „**იერლი**“, - **ადგილობრივი, ან „ბინალი“ - ამ ქვეყნის ბინადარი** - ახლა მისი თათრობა რამდენადმე შეზღუდული იყო გარკვეული ადგილობრივი ადათებითა და ისტორიული ზნე-ჩვეულებებით – „**იერლობით**“. **მაგალითად, „იერლი“ ქალს ცოლად თათარს არ მიათხოვებდა, ისევე როგორც ქრისტიანს.** მათი გაგებით, ვინც იერლია, მან იცის, რომ „თურქი“ არაა, არც ქურთი, არც თარაქამა, არც „**ქართველი**“, იერლია – ე. ი. ქართველი მაჰმადიანია, ამ ქვეყნის ნამდვილი პატრონი და ბინადარი (ლომსაძე, 1977: 308; ბერძენიშვილი, 1941: 131).

რუსთაგან ქართველთა „გათათრების“ პოლიტიკა სრულიად ბუნებრივად გამოიყურება მას შემდეგ რაც „ერთმორწმუნე“ რუსეთმა საქართველოს უძველესი ეკლესია გააუქმა ყოველგვარი საეკლესიო და საერთაშორისო კანონთა დარღვევით. მან მოსპო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, ფიზიკურად განადგურა მისი რიგი მოძღვრები და მიიტაცა-განმარცვა ქართული ეკლესიის სიმდიდრენი, ხოლო თვით ეკლესია აქცია თავისი

ბინძური პოლიტიკური მიზნების აღსრულების ინსტრუმენტად. საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ საქართველოში მოღვაწე რუს მღვდელმთავართაგან და უბრალო მღვდელთაგან ბევრი პოლიციის აგენტი იყო. ასე, რომ კაცს აღსარების ჩაბარებაც კი, პრობლემად ექცა და ერიდებოდა. ამასთან საქართველოს მართავდნენ შოვინისტი რუსი ეგზარხოსები, რომელთაც ქართული ენა არ იცოდნენ და დევნიდნენ მას. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილმა „მოახდინა ქრისტიანული ეკლესიის დისკრედიტაცია საქართველოში, საფუძველი ჩაუყარა იმ რელიგიურ განურჩევლობას და ვულგარულ მატერიალისტურ მსოფლმხედველობას, რითაც ასე გამოირჩეოდა XIX საუკუნისა და XX საუკუნის 80-იან წლებამდეელი საქართველო. აი, რა სულიერი ბოროტების მოტანა შეუძლია სხვა ბოროტებასთან ერთად, ნაციონალური ეგოიზმისაგან აღმოცენებულ შოვინისტურ იმპერიულ პოლიტიკას“ (Цагарели, 1912; ОРТНОДОХА, 1906; Джавахов, 1906; Священник, 1917).

„მფარველად“ მოსულმა ერთმორწმუნე რუსეთმა ისეთ დღეში ჩააგდო ქართველობა, რომ მის წინააღმდეგ აჯანყებას აჯანყება მოსდევდა. რუსეთმა დაარღვია საქართველოსთან დადებული ყველა ხელშეკრულება და მის მიერ ქართულ მიწაზე ქართული ელემენტის შესუსტება-აღმოფხვრის პოლიტიკის გატარებამ, მთელი რიგი ქართული სოფლებისა და რეგიონების გასომხება გამოიწვია. დღეს გასომხებული ქართული სოფლები ბევრია მაგალითად დმანისის რაიონში. სოფლებში – მაშავერა, უკანგორი, ვარდისუბანი, დიდი დმანისი და სხვაგან, სადაც წმინდა ქართულით მეტყველებდნენ და ბავშვებიც ქართულ სკოლებში დადიოდნენ, მოსახლეობა მაინც „სომხებად“ იწოდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სოფლებიდან პეტიცია პეტიციაზე იგზავნებოდა საქართველოს საბჭოთა მთავრობის მისამართით ეროვნების აღდგენის თაობაზე. ამ სოფლების ზოგიერთმა მკვიდრმა XX საუკუნის 70-იან წლებში თავისი ქართული გვარი დაიბრუნა პასპორტში, მაგრამ ეროვნების დაბრუნებაზე უარი უთხრეს. რაიონის ხელმძღვანელობა მათ უცხადებდა, რომ „ეროვნებას ვერ დაგიბრუნებთ, თუ საქართველოს მთავრობიდან არ იქნება შესაბამისი მითითება წერილობით, საკითხისადმი ამგვ-

არი მიდგომის გამო აღშფოთებული წერილის ავტორი კითხულობს: „საინტერესოა რას მივაწერთ ეგოდენი დარღვევა საბჭოთა კანონმდებლობისა: დანაშაულებრივ ინდეფერენტიზმს, სომეხ ნაციონალისტთაგან ქრთამის აღებას თუ დიდმპყრობელურ რუს შოვინისტთაგან თითის დაქნევას, რომლებიც ხელმძღვანელობენ იმპერიალისტთა კლასიკური ფორმულით – „devide et impera” (რცხილაძე, 1977:10)

ამას, ქართველ კომუნისტთა ბუნებასთან ერთად, განაპირობებდა ისიც, რომ ისინი ცდილობდნენ ამ რეგიონში შეენარჩუნებინათ დამაბულობის მუხტი და სომხებისათვის საჭირო დროს პრეტენზიების წამოყენების შანსი, იქ ქართულ სახელმწიფოებრიობის განმტკიცების საზიანოდ და საკუთარი ხალხის კიდევ ერთხელ დასამარცხებლად. სამწუხაროდ, ეს პოლიტიკა დღესაც გრძელდება... და ეს სჭირდებათ (აფხაზეთი, ე. წ. სამხრეთ ოსეთი და სხვა) საქართველოს მთლიანობის წინააღმდეგ ხელოვნური კერების დასაფიქსირებლად, რაც ბოლშევიკური მოღალატური პოლიტიკის ჩვეულებრივი გაგრძელებაა. რაც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ „ძაღლის კუდი არ განიმართების და არც კირჩხიბი ვალს მართლად“...

ეს პოლიტიკა ძალიან დიდხანს, ამიერკავკასიაში რუსეთის მფლობელობის მთელ პერიოდში გრძელდებოდა. 1878 წელსაც, ბათუმისა და ყარსის ოლქების რუსეთის მიერ შეერთების შემდეგ გაგრძელდა ძველი და ნაცადი პოლიტიკა „რუსეთის ხელისუფალთა ძალმომრეობის აქტებით და საშინელი პირობების შექმნით მაჰმადიანური ქართული მოსახლეობა იძულებული გახდა კვლავ თურქეთის სიღრმეში გახიზნულიყო.

**ქართველთაგან დაცლილ ადგილებზე კვლავ სომხებს ასახლებენ.** სამშობლოში დარჩენილ ქართველ მაჰმადიანებს კი კვლავ ხოჯა-მოლები მიუსიეს, მედრესეები გაუმრავლეს და დღენიადაგ მათ შორის აგიტაციას ეწეოდნენ, რომ „**თქვენ თურქები ხართ და ქართველებთან არაფერი საერთო არა გაქვთო**“ შემდეგშიც, საბჭოთა პერიოდშიც, მესხეთში აზერბაიჯანიდან მასწავლებლებად ჩამოიყვანეს ხოჯა-მოლები და სცადეს მესხთა საბოლოოდ გადაჯიშება. ხოლო ამ პოლიტიკით გზა ახნეულ, შუა

აზიაში გადასახლებულ მესხებს, ახალი, ხელოვნურად შექმნილი სახელი „თურქი-მესხები“ მოუგონეს და კვლავ განაგრძობდნენ მათი სულის სასტიკ ჯიჯგნას ქართველობაზე საბოლოოდ ჩამოშორების მიზნით. ეს რუსული იმპერიალისტური პოლიტიკის თანამედროვე, მოდერნიზებული ფორმით გაგრძელებაა, რაც საქართველოს წინააღმდეგ ჰიბრიდული ომის სახეს ღებულობს და სრულიად ეწერება თანამედროვე მსოფლიოს გლობალიზაციის სცენარში. ყველაფერი კეთდება, რომ ამ ხალხმა ქართველად თავი არ იგრძნოს და ვინც უნდა ის იყოს...

აი, „ერთმორწმუნე“ რუსეთის სარწმუნო, რეალური პოლიტიკის მთელი შიგთავსი...

სწორედ, რუსეთის ცარიზმის დიდმპყრობელურმა პოლიტიკამ, სომეხთა დაუცხრომელ მადასთან ერთად, აიძულა ილია მართალი დაეწერა „ქვათა ღაღადი“, ივანე ჯავახიშვილის კი მთელი სერიალი მიემდგნა მისი მხილებისთვის, როგორც ზემოთ აღნიშნულ ნაშრომში, ისე 1903-1906 წლებში გამოცემულ კრებულში „Русский вестник“, (განსაკუთრებით 1903 წლის აპრილის, მაისის და ივნისის ნომრები); (რცხილაძე, 1977: 15; Русский... СПб, 1903 (апрел, май, июнь)), ხოლო თვით რუსი ავტორი ვ. ველოჩკოც კი თანაგრძნობით ადავსო კავკასიელთა, განსაკუთრებით ქართველთა, ხვედრისადმი რუსთმფლობელობის პერიოდში (რცხილაძე, 1977: 15; Величко, Русское ...на Кавказе, 1920; Кариби, 1920).

ცნობილია, რომ ლენინმა ბრესტის ზავით 1918 წლის 3 მარტს თურქეთს დაუთმო საქართველოს ტერიტორიები - ბათუმი, არტანუჯი და სომხური ტერიტორიის ნაწილი - ყარსის ოლქი (რცხილაძე, 1977: 16. СИЗ., 1918), რომლებიც მას იმ დროისთვის სრულებითაც არ ეკუთვნოდა. ამ დროს ჯერაც სუსტ ამიერკავკასიას არ შეემძლო საკუთარი ძალებით თურქეთის მოგერიება და დახმარება სთხოვა გერმანიის მთავრობას, გერმანიამ საქართველოში „ბავარიის დივიზია“ გადმოისროლა. მათ ქართველებთან ერთად შეაჩერეს თურქების წინსვლა და განსაკუთრებით დაიცვეს თურქთაგან გაჟლეტისაგან სომხური მოსახლეობა ბორჩალოს მაზრაში (რცხილაძე, 1977: 17; Джугели, 1920:93), მაშინ,

როდესაც სომხური ჯარი ერთი ხუთად ნაკლებ მტერს სამარცხვინოდ გამოექცა და ყარსი დატოვა (რცხილაძე, 1977:17. БСЭ., 1926: – Армянский вопрос...).

ქართველმა ერმა მის კეთილისმყოფელ გერმანელებს სამაგალითო გაცილება მოუწყო, ხოლო სომეხ-რუსთა აგენტურა შეეცადა უკანდახეულ გერმანელებისათვის ზიანი მიეყენებინა და ამით შუღლი ჩამოეგდოთ ქართველთა და გერმანელთა შორის, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, რადგან ძეგვის ხიდი მაშინ ააფეთქეს, როდესაც გერმანული ემელონები მას უკვე გაცილებულნი იყვნენ (რცხილაძე, 1977: 17; Из истории ...,1976). ცნობილია სომეხთა მიერ ამიერკავკასიაში ჩადენილი კიდევ არა ერთი ვერაგობის შესახებ. რომ არაფერი ვთქვათ ე. წ. ბროკჰაუზის (რცხილაძე, 1977: 17; Brochau...,1966: 726) და ამერიკულ ენციკლოპედიაზე (რცხილაძე, 1977:17. The Amerikan..., 1954) რომლებში საქართველოს ძირძველი ისტორიული ოლქები და განსაკუთრებით ქალაქი ბათუმი სომხურ ტერიტორიადაა გამოცხადებული, მაგრამ ამ საქმეში ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის ბოლო გამოცემა, რომელშიც „სომხეთზე განკუთვნილ სტატიაში მოცემულია „ისტორიული რუკა (1917-1921 წ. წ.)“, სადაც დღევანდელი თურქეთის საზღვრებში მოქცეული ქართული მიწა-წყალი, ისტორიული მესხეთი, სოფელ სარფის სამხრეთით და შავი ზღვის სანაპიროდან დაწყებული, არტაან-ოლთისით დამთავრებული, „სომხეთადაა“ გამოცხადებული (რცხილაძე, 1977: 18; БСЭ., 1970: 224).

აქედან გამომდინარე, სრულიად ნათელია თუ რა პოლიტიკას ატარებდა საბჭოთა კავშირი და რა პოლიტიკას ატარებს დღესაც, მისი მემკვიდრე რუსეთი საქართველოს მიმართ. ამის შესახებ რუსეთში ჯერჯერობით ხმა არავის არ აუმაღლებია... საქართველოშიც ერთადერთმა ჩვენმა კოლეგამ სიმონ გოგიტიძემ სცადა ამ უმსგავსობაზე მეცნიერულად დასაბუთებული პასუხის გაცემა, მაგრამ აქაც სიტყვიერი მხარდაჭერის გარდა ვერაფერი მიიღო თვით ქართველი ისტორიკოსების მიერ და მისი რეცენზია ამ საკითხზე გამოუქვეყნებელი დარჩა... - აი, ასეთია ვითარება დღესაც და საბჭოთა შავ-ბნელ წარსულში, ვინღა



აღმოჩნდებოდა, ხმა აემალლებინა გაურკვეველ და უსამართლო ბრალდებათა საფუძველზე დეპორტირებულ მაჰმადიან მესხთა დასაცავად, რომლებიც შემდგომში ცნობილი რუსი ადამიანთა უფლებების დამცველის, ნობელის პრემიის ლაურეატის, აკადემიკოს ანდრეი სახაროვის ძალისხმევით თურქ-მესხებად მონა-თლნენ, - თავად ის კი, შეცდომაში შეიყვანა ამ ე. წ. თურქი-მესხების ერთერთმა ლიდერმა ოდობაშევ-ხოზრევანიძემ.

ამას მოყვა საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას პასუხი, რომელშიც აღნიშნული პრობლემა შემდეგნაირად აისახა: „პატიმრობაშია ათასობით ყირიმელი თათარი და „თურქი მესხი“... ვინ არიან ეს „თურქი მესხები“? საიდან გაჩნდნენ ისინი შუა აზიასა, აზერბაიჯანსა და ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე? საიდან იშვა ეს შედგენილი სიტყვა?... (კოსტავა, 1977: 93-107), - კითხულობს ავტორი და იქვე წარმოაჩენს მესხთა ნამდვილ ისტორიას, მათ უდიდეს დამსახურებას ქართული სახელმწიფოს წინაშე და ბოლოს, გულმოკლული აღნიშნავს: „დოლაბი უნდა დატრიალებულიყო ამ ხალხის თავს, მათთვის თურქნი რომ ეწოდებინათ (კოსტავა, 1977:96). შემდეგ კვლავ აგრძელებს ამ რეგიონისათვის ოსმალთა ბატონობის პირობებში თავს დამტყდარ უამრავ უბედურებათა ისტორიებს, აქ რუსეთის მფლობელობის დამყარებისა, 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ შექმნილი ვითარების ჩათვლით ახალციხესა და ახალქალაქის რაიონებში, რომელსაც ასე აღწერს: „დატრიალდა წისქვილის დოლაბი მესხების თავს. თავად ხელ-ფეხ შებორკილ საქართველოს აღარ ძაღედვა თურანის წყვიდადით დაზიანებული თანამემამულეების საკუთარი კულტურის წიაღთან კვლავ ზიარება, რადგან შეერთებისთანავე ველიკორუსული შოვინიზმი ყოველნაირად ახშობდა თვით ქართულ კულტურას, სკოლებში კრძალავდა მშობლიურ ენას, თავის ბილწ ხელს უფათურებდა საქართველოს სულში და საკუთარი ჭკუით წყვეტდა მისთვის სასიცოცხლო საკითხებს... ავტოკეფალია წაართვა ქართველი ერის ბურჯსა და ქომავს საქართველოს ეკლესიას, რითაც შეარყია სვეტი ეროვნული სიმტკიცისა... სწორედ, მესხებით დაიწყო რუს-

ების ვერაგული პოლიტიკა, მიზნად რომ ისახავდა და ამჟამადაც ისახავს საქართველოს ასიმილაციას“ (კოსტავა, 1977:96-97).

„თურქი-მესხების“ ტერმინის წარმოქმნასთან დაკავშირებით ავტორი განიხილავს რა მის სხვადასხვა ასპექტს, საბოლოოდ აკეთებს სრულიად მოსალოდნელ მართებულ დასკვნას, რომ „როდესაც ამბობენ მესხს, იქ არაფერ შუაშია თურქი და პირიქით, ნონსენსია ამ სიტყვების ერთად ხმარება. მესხი უძველესი ქართველი ტომია, ამჟამად საკუთარი მიწიდან აყრილი და სამშობლოში დაბრუნებისათვის თავგანწირვით მეზრძოლი, ამიტომაც საშურია ამ სიტყვების ნებისმიერ კონტექსტში მართებულად ხმარება“ (კოსტავა, 1977:100). შემდეგ მერაბ კოსტავა განიხილავს ეროვნულ ჩაგვრასა და მის გამომწვევ მიზეზებს რუსეთის იმპერიაში და მისი მრავალი ასპექტის გაანალიზება-გააზრების შემდეგ ახდენს მის შედარებას „დასავლეთთან“.

„დასავლელი უფრო რაციონალისტია ბუნებით, დასავლეთში თავის ფუნქცია მძლავრობს გულისაზე. დასავლეთს მხრებით მოაქვს უზარმაზარი კულტურა სპეკულიატიური ფილოსოფიისა... ერთგვარი სიცივე ანგლოსაქსური პრაგმატულობისა. სლავიანელი კი ვერ ასადავებს ემოციების ქაოსს. მასთან აშკარაა გრძნობების პრიმატი... დასავლეთეგროპელი უფრო კოსმოპოლიტია, ვიდრე რუსი“ (კოსტავა, 1977:105-106).

მაგრამ აქ, ჩვენ გამოცდილება და ჩვეულებრივი ისტორიული პრაქტიკა გვკარნახობს, რომ დასავლეთეგროპელი და შეიძლება ითქვას, საერთოდ დასავლელი, კოსმოპოლიტ-პრაგმატიკოსია, რომელსაც თავისი თავი არასდროს ავიწყდება. ხოლო რუსი კოსმოპოლიტიზმს საკუთარი მიზნების მისაღწევად იბრალებს და ისადაგებს; ამიტომაც, მისი მსოფლიო მოქალაქეობა პრიმიტიული და ყალბია, - მოკლედ, მის დონეზეა დაყვანილი და მისთვის გაუგებარია, რადგან საკუთარი ინტერესების გარდა, სხვა პრიმატი ვერც კი წარმოუდგენია.

დასავლეთი კი ათასგვარი ფერუმარილით „ამაკიაჟებს“ თავის სახესა და არც თუ კეთილშობილურ მისწრაფებებს მისი ინტერესებისა და ექსპლოატაციის სფეროდ მიჩნეულ რეგიონებში. მისი საბოლოო მიზნები კი, დიდად არაფრით განსხვავ-

დება რუსეთის გამიშვლებული ექსპანსიისა და ველიკორუსული შოვინიზმისაგან; აქედან გამომდინარე კი, უფრო ვერაგული და საშიშია, რადგან შენიღბულია კეთილმოსურნისა და ქველმოქმედის შირმით. ამიტომაც, მისი მხილება და მასთან ბრძოლა გაცილებით ძნელია. ამასთან, აქ გამოყენებულია ძველი ცნობილი მოშიანისტური მეთოდი - „დრო არის ქვების შეგროვებისა და დრო არის ქვების სროლისა“, რასაც თანამედროვეობაშიც წარმატებით იყენებენ და ასეთი ფარისევლობით ცდილობენ მთელი დანარჩენი მსოფლიოს შეუგნებელ უმადურებად გამოყვანას, რომელთაგანაც ანგარიშსწორების სამართლიანობაში ეჭვი ვერავინ უნდა შეიტანოს!

ბოლოს მერაბ კოსტავა ლაპარაკობს ეროვნული გრძნობის მრავალმხრივ ბუნებაზე და აღნიშნავს: „ნებისმიერი პოლიტიკური ექსტრემიზმისა დაუხვეწავი ემოციებისა და დაბალი, პრაქტიკულ უტილიტარული აზროვნების შეუღლების შედეგია“... რომლისგანაც თავის დაღწევა შესაძლებელია „კაცთა წიაღში შთასული სინდისის ცეცხლით... სჯობს ეროვნული სირცხვილელის ცეცხლმა გაადვივოს შიგნიდან ნაციონალური მესიანიზმის და ტოტალიტარული გამყინვარების ციტადელი, ვიდრე გარედან სხვა უფრო უხეშმა ძალამ უმოწყალოდ მოსრას იგი. შემზარავი იქნება მამინ მსოფლიო შურისგება“ (კოსტავა, 1977:106-107), - ამბობს ეროვნული გმირი და უცებ თვალწინ წარმოგიდგება თანამედროვე, დღევანდელი სამწუხარო, ურთიერთ მტრობითა და შურისგების სურვილით განმსჭვალული რეალობა. „თურქ-მესხების“ პრობლემა და მისი შემამზადებელი, წინმსწრები მოვლენები კი, მხოლოდ ერთ-ერთი მცირედი ასპექტია მსოფლიო გლობალურ უსამართლობათა მკვებავი მეტად მგრძობიარე პულსისა.

### **დასკვნა**

„თურქი მესხების“ დეპორტაციის წანამძღვრების ნაშრომში განხილულ ასპექტთა კვლევა-ძიება, მეტად საინტერესო და სამომავლოდ პრაქტიკულ მიზნებზე გათვლილი აქტივობაა, რომელმაც კიდევ ერთხელ თვალნათლივ დაგვანახა, რომ დიდი ხნით იმპერიულ სახელმწიფოთა უღელქვეშ მოქცეულ ერთა მომავალს,

იგი არაფერ სასიკეთოს არ უქადის. პირიქით, ისტორიული მეხსიერების მქონე უძველესი ერებისთვისაც კი, მათი სამომავლო ნორმალური განვითარებისათვის, კოლონიური მმართველობა მეტად საშიშ რეციდივებს წარმოშობს და იგი ამ ერის პერსპექტიული სახელმწიფოებრიობისათვის, უდიდეს პრობლემად შეიძლება იქცეს. ამიტომაც, მისი მეცნიერული შესწავლა და სათანადო დასკვნების გამოტანა მომავლისაკენ იმედით მოცქირალი ქვეყნისათვის მეტად საშურ საქმეს წარმოადგენს.

### დამოწმებული ლიტერატურა

- არაფორმალური გამოცემა ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ (1977). N2. თბილისი.
- რცხილაძე, ვ. (1977). *დანაშაული ქართველი ერის წინააღმდეგ, მესხეთის ტრაგედია*, „საქართველოს მოამბე“, N2, თბილისი.
- ლომსაძე, შ. (1975). *სამცხე-ჯავახეთი*, თბილისი.
- ბერძენიშვილი, ნ. (1971). *საქართველოს ისტორიის საკითხები*, ტ. I, თბილისი.
- კოსტავა, მ. 1976. 2. 08. (1977). ანდრეი სახაროვის წიგნი „ქვეყნისა და მსოფლიოს შესახებ“, ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, N2, თბილისი.
- Цагарели, А. (1912). *Статья и заметки по грузинскому церковному вопросу (К столетию 1811 - 1911г.г. – Вдовство Грузинской церкви*, С.-Петербург.
- Дурново, Н.Н. (1906) . *ОРТНОДОХА. Протоиерий Иоанн Иванович Восторгов и его политическая деятельность*, Москва.
- Джавахов, И. (1906). *Политическое и социальное движение в Грузии в XIX в.*, СПб.
- Священник Владимир Егоров, (1917). К истории провозглашения грузинами автокефалии своей церкви 1917 году, Москва.
- Русский Вестни*. (1903). (апрел, май, июнь).

- Величко, В. (1904). *Русское дело и междуплеменные вопросы на Кавказе*, СПб.
- Кариби, (1920). *Армянская «Красная книга»*, Тифлис.
- Брестский мир*. (1962). – 1918. СИЗ, т. II, Москва.
- Джугели, В. (1920). *Тяжелый крест*, Тифлиси.
- Армянский вопрос*. (1926). БСЭ (Большая советская энциклопедия), Москва.
- Из истории иностранной интервенции в Армении в 1918 году*. (1976). «Документы и материалы». Ереван.
- Brockhau Enziklopedie, Erater Band*. (1966). Wiesbaden.
- The American Neu Enciclopedia*. (1954). Eiditorinche C. Ralph Teylov, Publichens Books, Ine., New York.
- БСЭ (Большая советская энциклопедия)*, (III издат.), т.2. (1970). Москва.



ისტორია, პოლიტიკა, წყაროთმცოდნეობა  
**HISTORY, POLITICS, PRIMARY SOURCE STUDIES**

**GUIDELINES FOR THE DEPORTATION OF „TURKISH–  
MESKHETIANS“ AND VARIOUS RELATED ISSUES**

**Ucha Okropiridze**

Doctor of History,

Batumi Shota Rustaveli State University

Institute of Niko Berdzenishvili,

Georgia, 6010, Batumi, 32/35 Ninoshvili str.

+995 593 931711. ucha.okropiridze@bsu.edu.ge

<https://orcid.org/0000-0002-1696-0781>

DOI: <https://doi.org/10.61671/hos.7.2024.7799>

**Abstract**

This paper discusses the so-called plans to prepare the conditions for the deportation of the ‘Turkish–Meskhetians’ (aka Ahiska Turks), which are the measures taken by Russia via its colonial policy (both imperial and Soviet) to turn the majority of the population of Meskheta into Mankurts, and turn them into the haters of Georgia and Georgians, and the worst enemies of the Georgian state.

It briefly describes the situation of the population of the mentioned region during the period of the Ottoman domination, and then the situation created there during the establishment of Russia in the Caucasus and Georgia in particular. Russia’s victory in the Russo-Ottoman War of 1828–1829, resulted in the most lamentable situation – special measures taken to weaken the Georgian element in the Caucasus. Russia, which arrived posing as a ‘protector’, threw the Georgians into such a dire state that it prompted numerous rebellions.

This situation did not change, even during the Soviet period. On the contrary, Georgians became even more depleted and was completely subordinated by the ambitious goals of the Soviet state in the region, the result of which was the deportation of the Georgian Muslim population. The role of the Armenians in this situation and the attempt to appropriate the areas almost empty of Georgians from them are exposed.

It is mentioned that due to the efforts of the famous Russian human rights and law defender, Nobel Prize laureate, academician Andrei Sakharov, who was misled, the Meskhetians were baptised as Turks and the term ‘Turkish–Meskhetian’ was established for them. What followed was the proper response of Merab Kostava, the Georgian human rights defender, and the national hero of Georgia, explaining the true history and Georgian origin, and Andrei Sakharov admitting his mistake.

In the same article, the important opinions expressed by Merab Kostava on Andrei Sakharov’s book, ‘On the Country and the World’, are given on various prominent issues, which have relevance to the current state of the world.

**Keywords:** Turkish–Meskhetian; deportation; repatriation of Meskhetians; same-religion Russia; Armenian/Russian Intelligence; desire for revenge.

## **Introduction**

The imperial machine of Russia, and then the Soviet Union, led a step-by-step plan with its colonial measures for the deportation of the Turkish–Meskhetians, ending with the resettlement of 200,000 Meskhetians to Central Asia in November 1944. This effort included the relocation of a significant portion of Meskheti’s population to Ottoman after joining Russia and the settlement of Armenians from Anatolia in their place; the artificial alienation of the remaining

Georgian population from Georgia, and invitation of Khoja-Moles from the Ottoman Empire first, and then from Azerbaijan during the Soviet period to become teachers and the spread of their anti-Georgian activity, which resulted in the weakening of the Georgian influence and element in Georgia. During the struggle for the repatriation of the Meskhetians to their homeland, they were baptised as Turkish–Meskhetians by academician Andrei Sakharov, which was followed by human rights defender Merab Kostava’s appropriate response in revealing the true history of the Meskhetians and their true Georgian identity.

### **Method**

This paper is written based on the historicism and logic of the guiding principles of scientific methodology. The material is selected, grouped and analysed using proven methodology in science. The research methods used are analysis and synthesis, comparison and reconciliation.

### **Result**

The result of the research is the creation of an in-depth study on the deportation of the ‘Turkish–Meskhetian’ people and various critical issues related to it. Despite widespread interest in the central issue, it has not been studied fully at the level required by modern historical science. In this paper, historical literature and materials ordinarily seen only in informal publications are included in a scientific appraisal. A result of this reinterpretation is a relatively complete picture of the principles of the deportation of the ‘Turkish–Meskhetians’, in which the deplorable results of Ottoman imperial policy, and later Russia and Soviet Russia in Georgia, of referring to the Meskhetians as ‘Turkish–Meskhetians’. The role of academician Andrei Sakharov and his admission of error after the explanation given by Merab Kostava regarding this point of view is also presented. Appropriate conclusions are made from the point of view of a revised understanding of this issue and its scientific-practical significance is explained.



## Discussion

Strife committed by the Soviet state against the Georgian people is against the population of southwest Georgia, the years of deportation of ‘Turkish–Meskhetians’ in the 1940s, and the issues with repatriation. First of all, several anti-Georgian state efforts have been carried out in this region, which were aimed precisely at alienating the population of Meskhети and partially Adjara ASSR from their fellow Georgians, which led to harsh confrontation and hatred, after which the extreme Soviet punishment regime could justify this cruellest of anti-human action directed against the state of Georgia. The Soviet state then blamed everything on the Stalinist regime and its ‘cult of personality’. However, even after Stalin’s death, during Nikita Khrushchev’s premiership, a warmer approach to policy meant that almost all of the repressed peoples of the Soviet Union were pardoned, returned to their homelands and rehabilitated, except for the Muslim Georgians of Meskhети, who were forced to return to Georgia under the name specially created for them – ‘Turkish–Meskhetians’, and continue to fight for their basic right to return to their native land to this day. The underhand measures and repressive machinations of Soviet powers, or the ‘Empire of Evil’, were able to turn the majority of the Meskhети into Mankurts who were opposed to Georgia and Georgians and were the worst enemies of the Georgian state. Even today, its successor, the Russian state, is trying to use the Mankurts against Georgians. Therefore, it is extremely important to implement the study of the circumstances that created this situation, involving research, analysis and drawing the appropriate conclusions.

After the collapse of the United Kingdom of Georgia at the end of the 15<sup>th</sup> century, its principalities within it did not prosper much. As a result of the fall of Constantinople, the Ottoman Empire gradually strengthened and expanded its territories, and in the middle of the 16<sup>th</sup> century, it extended its suzerainty to Samtskhe-Saatabago as well. The yoke of the Ottoman conquerors turned out to be difficult for the Georgian principality of southwestern Georgia, and over the centuries it converted to Islam. This resulted in the migration of some of its

inhabitants to different regions of the former Kingdom of Georgia, and in part they got used to the rule of the Ottomans, although they repeatedly raised the flag of rebellion against them.

Upon the annexation of the Kingdom of Kartli-Kakheti (1801), Russia broke all the agreements made with the separate parts of Georgia, its constituent principalities were deprived of their land, and the word 'Georgia' was removed from the political dictionary. Instead, Russia created the Tiflis and Kutaisi governorates as part of the Russian Empire. It laid the foundation for the policy of persecution of the Georgian language and Russification of Georgians. Indefatigable fighters for freedom and independence left Georgia, such as Alexander Batonishvili, the hero of Imereti King Solomon II, and it was Meskheti that sheltered and hosted them in Akhaltsikhe or Kotelia village (Rtskhiladze, 1977:10).

After the Russo–Ottoman war of 1828–1829, part of the former Samtskhe-Saatabago came under the ownership of Russia and there was hope for the rebirth of the national spirit in this Georgian region. During the Russo-Ottoman war, many Georgians joined the Russian army – some for positions and medals, some propelled by religious propaganda, and some even really believed that Paskevich was striving for return of Georgia's historical land.

Meskheti showed incredible heroism and dedication against the attackers. The towns of Akhalkalaki and Akhaltsikhe were destroyed and engulfed in flames. Among those found killed in the ruins of the city were hundreds of women warriors dressed in the men's clothes (- Rtskhiladze, 1977:11; Lomsadze, 1975:170). After the defeat, thousands of Meskhetians who were forced from their homeland returned in their thousands and begged the Russian government: **"If only you resettle in our homeland and we will even accept Christianity."** And the Russian officials were still herding them to the Ottoman Empire (Rtskhiladze, 1977:11). The servants of the will of the Russian Empire worked hard to expel a significant part of the Georgian element from this ancient historical part of southwestern Georgia, and resettled

30,000 Armenians from the Ottoman Empire instead of them, thereby significantly changing the demographics of the region to the detriment of the Georgians. Russia's goal was to prevent the strengthening of the Georgian element in the Caucasus because the Georgians, who had recently lost their sovereignty, would be threatening as they would have the most separatist tendencies. Therefore, Russia prevented the unification of Muslim and Christian Georgians as a nation. In fact, an incredible paradox was taking place – the rulers of the powerful Christian empire recruited mullahs from the inner provinces of Turkey, from Anatolia, for the Meskhetians, who further immersed them in Muslim fanaticism. **“What could not be done during the two-hundred-year rule of the Turks,” informs historian Shota Lomsadze, “unfortunately, now, in the 19th century, was completed after the accession”** (Rtskhiladze, 1977: 12; Lomsadze, 1975: 309).

As we can see, Russia inherited from Byzantium not only the title of ‘Messa and Rome’, but also its unfair and corrupt policy - towards Georgia. And when it was given the power and opportunity to do so, it began to destroy the Christians or the Muslim brothers who were entrusted to it with more determination and ruthlessness. However, it should be noted here that Russia turned out to get incomparably merciless and deceptive in this matter than its predecessor ‘the first or the second Rome’ because here the Byzantine sub-vision was added to the development and destruction of the power that the Russians assimilated from the Mongols, and its final annihilation strategy and tactics against those considered as opponents.

Falling into such a situation, the converted Georgians of Meskheti could no longer separate religion and nationality from one another. For them, Georgian became a term denoting the Christian religion. To define their identity, they created a more specific term, which was ‘Yerli’ – meaning ‘local’ – or ‘Binali’ – ‘inhabitant of this country’. However, their Tatariness was somewhat limited by certain local and historical customs – ‘Yearlism’. **For example, a ‘Yerli’ woman could not marry a Tatar or a Christian.** According to the understanding of those who are ‘Yerli’, they know that they are not Turks, Kurds,

Tarakama, or “**Georgian**”, Yerli – is a Georgian muslim, the true owner and inhabitant of this country (Lomsadze, 1977: 308; Berdzenishvili, 1941: 131).

The policy of separating Georgians from Russians seems completely inevitable after ‘same-religion’ Russia abolished the ancient church of Georgia in violation of all ecclesiastical and international laws. It destroyed the autocephaly of the Georgian church, physically attacked a number of its pastors, and stole its wealth, while turning the church itself into an instrument for the fulfilment of its corrupt - political goals. Suffice it to say that many of the Russian high priests and lay priests working in Georgia served as agents to the police, so even going to confession became a problem and people avoided it. In addition, Georgia was ruled by chauvinist Russian exarchs who did not know the Georgian language and persecuted it. All of the above “discredited the Christian Church in Georgia, and laid the foundation for the religious indiscriminateness and vulgar materialistic worldview that characterised Georgia during the 19th century and until the 1980s. This is what spiritual evil, along with other evils, the chauvinist imperial policy, born out of national egoism, could bring” (Tsagareli, 1912).

The “same-religion” Russia, which arrived as a ‘protector’, threw Georgians into such a dire situation that rebellion followed rebellion. Russia had violated all agreements with Georgia and De Bulle, and its - policy of weakening and eliminating the Georgian element on Georgian land led to the destruction of several Georgian villages and regions. Today, there are many cultivated Georgian villages, in Dmanisi region, for example. In the villages of Mashavera, Akngori, Vardisubani, Didi Dmanisi and elsewhere, where purely Georgian was spoken and children went to Georgian schools, the population was still called Armenian, even though several petitions were sent to the Soviet government of Georgia for the restoration of nationality. In the 1970s, some residents of these villages regained their Georgian surname in their passports, but Russia refused to return their nationality. The district leadership told them that “we will not return your nationality

**unless there is a written instruction from the government of Georgia.”**

The author of the request letter, outraged by such an approach to the issue, asks, “I wonder what we should attribute this violation of Soviet legislation to: criminal indifference, taking bribes from Armenian nationalists, or the invading Russians. A finger-wagging from the chauvinists who lead the imperialists with the classic formula – ‘divide et impera’” (Rtskhiladze, 1977:10).

This, together with the nature of the Georgian communists, was caused by the fact that Russia tried to maintain the charge of tension in this region and the opportunity to raise claims for the Armenian - government at any time, to the detriment of strengthening the Georgian government and the defeat of their own people once again. Unfortunately, this policy continues today and it is needed (Abkhazia, the so-called South Ossetia, etc.) to fix artificial foci against the integrity of Georgia, which is the usual continuation of the treacherous Bolshevik policy. This once again assures us that “the dog's tail can never be straightened, nor will cancer walk straight“...

This policy continued for a long time, during the entire period of Russian possession in Transcaucasia. Even in 1878, after Russia's annexation of the Batumi and Kars districts, the tried and tested policy continued, “by the violent acts of the Russian authorities and the creation of terrible conditions, the Muslim Georgian population was forced to move to the depths of Turkey again”.

**Armenians are still resettled in the places emptied of Georgians.**

The Georgian Muslims who remained in their homeland were again visited by Khoja-Moles, madrasahs were multiplied, and they were agitating a sentiment among them of “**you are Turks and have nothing to do with Georgians.**” Even later, during the Soviet period, Khoja-Moles were brought from Azerbaijan to Meskheta as teachers and tried to finally convert the Meskhetaians. The Meskhetaians who were confused by this policy and migrated to Central Asia produced a new, artificially created name, ‘Turkish–Meskhetaians’, and continued to brutally torture their souls in finally separating themselves from the

Georgians. This is a continuation of the Russian imperialist policy in modernised form, which takes the form of a hybrid war before Georgia and is completely written into the globalisation of the contemporary world. Everything is being done so that these people do not feel Georgian and let them be whoever they want to be...

Here is the entire content of the credible, real policy of “the same religion” Russia...

It was the grandiose policy of Russian tsarism, together with the Armenians’ insatiable appetite, which forced Ilia Chavchavadze to write ‘Kvata Ghagadi’, and Ivane Javakhishvili to dedicate an entire series to his exposés, both in the work mentioned and in the collection ‘Русский вестник’, published between 1903 and 1906 (especially the April, May and June 1903 issues) (Rtskhiladze, 1977:15; Русский... СПБ, 1903 (April, May, June)); and even the Russian author Velochko was filled with sympathy for the fate of the Caucasians, especially Georgians, during the period of Russian rule (Rtskhiladze, 1977; Величко, Кавказъ - Русское ..., 1904; Кариби, 1920).

It is known that on March 3, 1918, in the Treaty of Brest, Lenin ceded the Georgian territories to Turkey. This comprised Batumi, Artan and part of the Kars district of the Armenian territory (Rtskhiladze, 1977: 16. СИЗ., 1918), which did not belong to it at the time. Transcaucasia, which was still weak, could not repel Turkey with its own forces and asked the German government for help, so Germany sent the ‘Bavarian Division’ to Georgia. Together with the Georgians, they stopped the advance of the Turks and protected the Armenian population in the Borchalo Mazra from them (Rtskhiladze, 1977:17), while the Armenian army shamefully escaped from an enemy army one-fifth of its own size and left Kars (Rtskhiladze, 1977: 17; БСЭ., 1970: – Армянский вопрос..., 223-224).

The Georgian nation organised an exemplary send-off for the benevolent Germans, while the Armenian–Russian agency tried to harm the retreating Germans and thereby start a war between the Georgians and the Germans, but nothing came of it, because the

Dzegvi bridge was blown up when the German echelons had already left (Rtskhiladze, 1977: 17; Из истории ..., 1970). More than one crime committed by Armenians in Transcaucasia is known about, to say nothing of the year Brockhaus (Rtskhiladze, 1977: 17; Brochau..., 1966: 726) and the American encyclopaedia (Rtskhiladze, 1977: 17; The American..., 1954) proclaimed that the most ancient historical districts of Georgia, and especially the city of Batumi, are declared to be Armenian territory. However, in this regard, the latest edition of the Great Soviet Encyclopaedia exceeds all expectations, and presents the 'Historical Map (1917-1921)' in the entry on Armenia, showing the Georgian land, historical Meskhети, beginning with south of the village of Sarpi, and the Black Sea coast located within the borders of today's Turkey finishing with Artaan-Oltis, is declared Armenian (Rtskhiladze, 1977: 18; БСЭ., 1970: 224).

Therefore, it is completely clear what policy was pursued by Soviet Union and what policy is being pursued by its successor, Russia, towards Georgia. No one in Russia has raised their voice about this yet. In Georgia, our colleague Simon Gogitidze tried to scientifically substantiate the response to this disgrace, and has received nothing but verbal support even from Georgian historians, yet his review on this issue remained unpublished. This is still the situation today, so in the dark Soviet past, who would raise their voice in defence of the Muslim Meskhetians deported on basis of the unclear and unjust accusations, and who were subsequently converted to 'Turkish-Meskhetians' through the efforts of the famous Russian defender of human rights, Nobel Prize laureate, and academician Andrei Sakharov, when he himself was misled by Odobashev-Khozrevanidze, one of the leaders of 'Turkish-Meskhetians'.

This was followed by the reply of Merab Kostava, the national hero of Georgia, in which the problem was characterised as: "Thousands of Crimean Tatars and 'Turkish-Meskhetians' are in prison... - Who are these 'Turkish-Meskhetians'? Where did they come from in Central Asia, Azerbaijan, and North Caucasus? Where did this made-up word come from?" (Kostava, 1977: 93-107) asks the author, and

presents the real history of the Meskhetians, their great merit to the Georgian state, and finally, finally adds heartbroken: “the millstone must have turned over the heads of these people, to be called Turks” - (Kostava, 1977: 96). Then he continues with the stories of the many troubles that befell this region during the Ottoman domination, including the events created after the Russian–Ottoman war of 1828–1829 in the Akhaltsikhe and Akhalkalaki regions, which he describes as “The millstone turned over the heads of these people. Georgia itself being tied, hand and foot, was no longer able to re-commune with the core of its own culture and that of the injured fellows. As soon as it was rejoined, the Great Russian chauvinism stifled the Georgian culture in every possible way, forbade the native language in schools, and spread its filthy hands in the soul of Georgia, taking its own decisions on the issues vital for Georgia. The autocephaly the pillar of the Georgian nation and the support of the Georgian Church, was - taken away, thus shaking the pillar of national strength. It was with the Meskhetians that the Russians’ treacherous policy began, which aimed and still aims at the assimilation of Georgia” (Kostava, 1977:96).

Regarding the origin of the term ‘Turkish–Meskhetians’, Kostava discusses its various aspects, finally making the completely expected and correct conclusion that “when they say Meskhetian, it is nothing to do with Turks, and on the contrary, it is nonsense to use these words together. Meskhetian is an ancient Georgian tribe, currently expelled from its own land and fighting selflessly to return to their native land, that is why these words need to be used correctly in any context” (Kostava, 1977:100). Kostava then discusses national oppression and its causes in the Russian Empire, and after analysing and understanding its many aspects, compares it with ‘the West’.

“The Westerner is more rationalist in nature, the function of the mind in the West always comes before the heart. The West brings with it a huge culture of speculative philosophy...a kind of coldness of Anglo-Saxon pragmatism. The Slav, on the other hand, cannot handle the chaos of emotions. The primacy of feelings is obvious with him...a



Western European is more cosmopolitan than a Russian” (Kostava, 1977:105-106).

Here however, experience and common historical practice dictate that the Western European, and one might say, the Westerner in general, is a cosmopolitan pragmatist who never forgets oneself; whereas, a Russian claims and uses cosmopolitanism to achieve his own goals. That is why his worldview is primitive and fake – in short, it is limited to his level and anything else is incomprehensible to him, because he cannot imagine any primacy other than his own interests.

The West applies thousand types of “makeup” to its face and negative aspirations in the regions considered to be in the sphere of its interests and exploitation. Its goals are not much different from Russia’s naked expansionism and Great Russian chauvinism. Therefore, the West is more cunning and dangerous than Russia, because it is disguised by the shadow of benevolence and charity. That is why it is much more difficult to expose and fight it. In addition, this is where the famous old method comes in: ‘there is time to scatter stones and time to collect’, which is successfully used in modern times, and with such hypocrisy, they try to paint the rest of the world as ungrateful, to whom no one should doubt the justice of the reckoning.

Finally, Merab Kostava writes about the multifaceted nature of the national feeling and says: “Any political extremism is the result of a combination of unsophisticated emotions and low, practical utilitarian thinking”, from which it is possible to get rid of with “the fire of conscience set in the hearts of men...better the fire of a national shame to rouse the citadel of national messianism and totalitarianism from within, rather than be mercilessly eroded by some other, cruder force from outside. Then the world revenge will be terrible” (Kostava, 1977: 106–107), says the national hero, and suddenly the modern one, today’s sad reality permeated with mutual hostility and the desire for revenge will appear before our eyes. Yes, it is only one small aspect of the highly sensitive pulse feeding the world’s global injustices.

## Conclusion

Researching the aspects discussed in the work on the deportation of 'Turkish-Meskhetians' is an interesting and future-oriented activity, which once again clearly shows us that it does not bode well for the future of nations that have been under the yoke of imperial states for a significant period of time. On the contrary, even for the ancient nations with historical memory, which are aiming for normal development in the future, colonial rule creates dangerous relapses, and it can become the biggest problem for the prospective statehood of this nation. Therefore, its scientific study and drawing appropriate conclusions is an important task for a country full of hope for the future.

## References:

- Informal publication, journal "Georgian Messenger". (1977). N2. Tbilisi.
- Trskhiladze, V. (1977). *A crime against the Georgian nation, the tragedy of Meskhети*, "Georgian Messenger", N2, Tbilisi.
- Lomsadze, Sh. (1975). *Samtskhe-Javakheti*, Tbilisi.
- Berdzenishvili, N. (1971). *Issues of Georgian history*, vol. I, Tbilisi.
- Kostava, M. (1977). *Andrey Sakharov's book "About the country and the world"*, journal "Georgian Messenger", N2, Tbilisi;
- Tsagareli, A. (1912). *Article and notes on the Georgian church issue (On the centenary of 1811-1911 - Widowhood of the Georgian Church*, St. Petersburg.
- Durnovo, N. N. (1906). *ORTHODOCHA*. Archpriest John Ivanovich Vostorgov and his political activities, Moscow.
- Javakhov, I. (1906). *Political and social movement in Georgia in the 19th century*, St. Petersburg.
- Priest Vladimir Egorov, (1917). *On the history of the Georgians' proclamation of autocephaly for their church in 1917*, Moscow.
- Russian Bulletin*. (1903). (April May June).
- Velichko, V. (1904). *Russian affairs and intertribal issues in the Caucasus*, St. Petersburg.

Caribi. (1920). *Armenian "Red Book"*, Tiflis.

Peace of Brest-Litovsk. (1962). – *1918. SIZ*, vol. II, Moscow.

Jugeli, V. (1920). *Heavy cross*, Tiflisi.

The Armenian issue. (1926). *TSB (Great Soviet Encyclopaedia)*, Moscow.

*From the history of foreign intervention in Armenia in 1918.* (1976). "Documents and materials". Yerevan.

*Brockhau Enziklopedie, Erater Band.* (1966). Wiesbaden.

*The American Neu Enciclopedia.* (1954). Eiditorinche C. Ralph Teylov, Publiechens Books, Ine., New York.

*GSE (Great Soviet Encyclopaedia)*, (III edition), vol.2. (1970). Moscow.



კახეთის სამეფოს იერუსალიმთან ურთიერთობის  
ისტორიისათვის XVI საუკუნეში

ციური ქათამაძე

ისტორიის დოქტორი,

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

საქართველო, 6010. ბათუმი, ნინოშვილის ქ,32/35.

+995 577179787. Tsiuri.katamadze@bsu.edu.ge

ORCID:0009-0001-5549-2845

DOI: <https://doi.org/10.61671/hos.7.2024.7801>

### აბსტრაქტი

XVI საუკუნეში კახეთის სამეფოს პოლიტიკურ მესვეურთა ზომიერმა საგარეო პოლიტიკამ, დიპლომატიურმა სვლებმა განაპირობა მთელი საუკუნის განმავლობაში კახეთის შედარებით სტაბილური და მშვიდობიანი განვითარება, რამაც ხელი შეუწყო ქვეყნის შიგნით ეკონომიკურ და კულტურულ აღმშენებლობას, ხოლო ქვეყნის გარეთ უცხოეთში, განსაკუთრებით „წმინდა მიწაზე“ და „წმინდა ქალაქ“ იერუსალიმში ქართული ეკლესია-მონასტრების, ქართული სამონასტრო თემის მხარდაჭერას და უდიდესი ქრისტიანულ სიწმინდის „ქრისტეს საფლავისა“ და იქ ქართველთა უფლებების დაცვას. ქართველთა უფლებების ენერგიულ დამცველად XVI საუკუნის პირველ ათწლეულებში გვევლინება კახეთის მეფის ავგიორგის (1511-1513) მიერ ეგვიპტის მამლუქ სულთანთა კარზე წარგზავნილი ბენა ჩოლოყაშვილი, ხოლო შემდეგ კახეთის მეფეები ლევანი (1518/1520-1574) და ალექსანდრე II (1574-1605) იერუსალიმში გზავნიან მდიდარ შეწირულობას, ზრუნავენ ოსმალთა მმართველობის დროს დაზიანე-

ბული გოლგოთას აღდგენაზე, სწირავენ კახეთში სოფლებს, ყმა-მამულს (აღდგომა, კისისხევი), აშენებენ ეკლესიებს და ცდილობენ ხელსაყრელი პოლიტიკური ამინდის დადგომისთანავე დაიცვან იერუსალიმის ქრისტიანული სიწმინდეები და ქართველთა უფლებები „წმინდა მიწაზე“ მიმოსვლისას, რასაც უკვე ცნობილი საისტორიო წყაროების გარდა, ადასტურებს უკანასკნელ ათწლეულებში გამოვლენილი არაბულენოვანი და ოსმალური დოკუმენტები.

**საკვანძო სიტყვები:** კახეთის სამეფო; იერუსალიმი; ჯვრის მონასტერი; გოლგოთა; ქართული სამონასტრო თემი; საეკლესიო ყმა-მამული.

## შესავალი

XV ს. მიწურულს ფეოდალური საქართველო სამეფო-სამთავროებად დაიშალა. ამიერიდან ცალკეული „საქართველოები“ დამოუკიდებელ საშინაო და საგარეო პოლიტიკას აწარმოებენ, თუმცა იერუსალიმის წმინდა ადგილების დაცვასთან დაკავშირებით ქართული სამეფო-სამთავროები ცდილობენ ერთიანად იმოქმედონ და საერთო ინტერესები დაიცვან. ამას სტაბილური პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ყველაზე კარგად კახეთის სამეფო ახერხებს, რასაც ადასტურებს ქართული და უცხოენოვანი საისტორიო წყაროები. ცნობილია, რომ XVI ს. განმავლობაში სხვადასხვა ფაქტორმა და, მათ შორის, კახეთის მეფეთა მოქნილმა დიპლომატიამ განაპირობა სამეფოს მშვიდობიანი და სტაბილური განვითარება, რაც აისახა ეკონომიკურ აღმავლობასა თუ კულტურულ აღმშენებლობაში. კახეთის მეფეები ასევე აქტიურად გამოდიან უცხოეთში არსებული ქართული ეკლესია-მონასტრების, ბერ-მონაზვნების და საერთო ქრისტიანული სიწმინდეების, მათ შორის, „ქრისტეს საფლავის“ (გოლგოთა, აღდგომა, ქრისტეს საფლავი) დასაცავად. უკანასკნელ ათწლეულებში სამეცნიერო მიმოქცევაში შემოსული უცხოური (არაბულენოვანი, ოსმალური) წერილობითი წყაროები იერუსალიმთან ქართული სამეფო-სამთავროების ურთიერთობის

ცალკეული საკითხების უფრო სიღრმისეულად გაშუქებისა და კვლევის საშუალებას იძლევა.

### **მეთოდები**

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია ობიექტურობის, ყოველმხრივობისა და სისტემურობის უნივერსალური მეცნიერული პრინციპები. ნაშრომში გამოყენებულია წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის (მიზეზმედგობრივი კავშირების ძიების), ისტორიულ-შედარებითი და სინთეზური მეთოდები.

### **მსჯელობა**

იერუსალიმის „წმინდა ადგილებში“ უპირატესობის მოპოვება საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა ერისა და მიმდინარეობის ქრისტიანული თემებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო. ისინი ძალისხმევას არ იშურებდნენ, რომ „წმინდა საფლავს“ (გოლგოთა, ქრისტეს საფლავი, აღდგომა) დაუფლებოდნენ. მათ შორის იყვნენ ქართველებიც. აღსანიშნავია, რომ XIV-XV სს. მამლუქთა ბატონობისას იერუსალიმის ქართულმა სამონასტრო თემმა თავისი ძლიერების მწვერვალს მიაღწია და „წმინდა მიწაზე“ ქართველები ფლობდნენ როგორც ათეულობით ეკლესია-მონასტერს, ისე „წმინდა საფლავის“ სამლოცველოებსაც (ფერაძე, 1995:43; ჟანენი, 1992:10), რაც სხვა შესაძლო ფაქტორებთან (მამლუქი სულთნების კავკასიური წარმომავლობა, მამლუქთა რიგების შევსება, უსაფრთხო მიმოსვლა და ა. შ.) ერთად გამოწვეული იყო ქართველ მეფე-მთავართა რჯულშემწყნარებლური პოლიტიკით მუსლიმებისადმი (ჯაფარიძე, 1994:209-211). ამ პოლიტიკის გაგრძელება კი წარმოადგენდა აუცილებელ პირობას ყველასთვის, ვინც დაინტერესებული იყო ქართული და, ზოგადად, ქრისტიანული სიწმინდეების მოვლა-პატრონობით იერუსალიმში. ამასთანავე ეგვიპტის სულთნები თავს თვლიდნენ მუსლიმთა მფარველებად ყველა ქვეყანაში და ამდენად დაინტერესებულნი იყვნენ საქართველოში მცხოვრებ მუსლიმთა ბედი თავს. შესაბამისად, ქართველებმაც გადაწყვიტეს ესარგებლათ ამ ვითარებით და დაეცვათ საკუთარი თემი იერუსალიმსა და პალესტინაში, გაეფართოებინათ მისი იმუნიტეტი (ჯაფარიძე, 2018:139-141),

მაგრამ ამავე უფლების მოპოვებას ცდილობდნენ ევროპელი კათოლიკეებიც - „ფრანგნი“. ამიტომ საჭირო გამხდარა ქართველთა მიერ მოპოვებული უფლებების წერილობითი ფიქსაცია. ჯერ კიდევ 1400 წ. „გოლგოთის სვინაქსარის“ ერთი მიწაწერის მიხედვით, ქართველთა და „ფრანგთა“ უფლებები აღდგომის ეკლესიასა და გოლგოთაზე შემდეგნაირად გაუმიჯნავთ: „ესე უწყოდეთ ყოველთა ქართველთა - ღთისაგან, მეფეთაგან, სურტანთაგან მოცემული და ნაბოძარი აღდგომის სალოცავი ეკლესია და სახლი, სადა არს ადამის თხემი და გოლგოთა ...ორი სახლი არის: ფრანგთაჲ მათი, და ამიერ-ჩუენი, ორი კარი აზია, აღდგომის კარსა ზედა მარჯნით ჩუენია ჯდომაჲ..“ (მეტრეველი, 2007: 131-132).

XV ს. გოლგოთის მფლობელობისათვის დაპირისპირება კიდევ უფრო გამწვავდა. სომხებმა და „ფრანგებმა“ (ფრანცისკელთა, ფრანცისკანელთა ორდენი) არაერთხელ სცადეს, მთლიანად დაესაკუთრებინათ გოლგოთა. ამ დავის შესახებ რამდენიმე სამეფო ბრძანებულება და შარიათის სასამართლოს დადგენილება ცნობილი. ასე, მაგალითად: 1366 წ. გოლგოთას სომხები ეუფლებიან, მაგრამ როგორც სულთან ბარსბაის (1422-1438) 1433 წ. და სულთან ჯაკმაკის (1438-1453) 1439 წ. ბრძანებულებებით ირკვევა, ეს დავები ქართველთა სასიკეთოდ გადაწყდა (ჯაფარიძე, 2018:119). ფრანცისკელებთან დაპირისპირება კი 1491 წ. ადგილობრივი სასამართლოს განჩინებით ისე მოგვარდა, რომ გოლგოთას ჩრდილოეთი მხარე ქართველებს, ხოლო სამხრეთი - ფრანცისკელებს ერგოთ, თუმცა 1493 წ. სასამართლოს დადგენილებით ქართველებმა სათანადო საბუთები ვერ წარმოადგინეს და სამლოცველო მთლიანად დაკარგეს (ჯაფარიძე, 2018:248-255).

შექმნილი მდგომარეობის ქართველთა სასარგებლოდ შემობრუნება სცადა და, საკმაოდ წარმატებულადაც, კახეთის სამეფომ. მიუხედავად საქართველოსა და პალესტინაში მიმდინარე რთული პროცესებისა, იერუსალიმში ქართველთა უფლებების ენერგიულ და თანმიმდევრულ დამცველად XVI ს. სწორედ, კახეთის სამეფო გვევლინება. განსაკუთრებით აღსანიშნავია კახეთის მეფის ავგიორგის (1511-1513) ძალისხმევა. მისი ხანმოკლე

„მოღვაწეობა“ საქართველოს ისტორიაში ცალსახად უარყოფით-ადაა შეფასებული (სინ, IV, 1973:94-96), თუმცა მის მიერ იერუსალიმში ჯვარის მამად და ეგვიპტის სულთნის კარზე წარგზავნილმა ელჩმა ბენა ჩოლოყაშვილმა, როგორც იერუსალიმის ქართული სამონასტრო თემის უფლებების შეუპოვარმა დამცველმა, დიდი მუშაობა გასწია. იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებს დაუცავთ ცნობები მისი საქმიანობის შესახებ (გაბაშვილი, 1956:085; მეტრეველი, 1962:123). ბენა ჩოლოყაშვილის იერუსალიმში მოღვაწეობა და ქართველთა უფლებებისათვის (განსაკუთრებით გოლგოთაზე) მართლაც შეუპოვარი ბრძოლის შესახებ უფრო ვრცლად შეიძლება არაბულენოვანი დოკუმენტებით ვიმსჯელოთ, რომლებიც უკანასკნელ ათწლეულებში შემოვიდა საისტორიო მიმოქცევაში (ჯაფარიძე, 2011: 83-138). როგორც ირკვევა, ბენა ჩოლოყაშვილი XVI ს. მეორე ათწლეულში შეეცადა ქართული სამონასტრო თემის სასარგებლოდ გამოეყენებინა ეგვიპტისა და კათოლიკური ევროპის დაპირისპირება, რომელიც რიგმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა ფაქტორებმა გამოიწვია (ჯაფარიძე, 2011:85-89). 1510-1511 წლებში ეგვიპტის ურთიერთობა ევროპასთან უაღრესად გამწვავდა და სულთან კანსავ ალ-დავრის რისხვა წმინდა მიწაზე და წმინდა ქალაქ იერუსალიმში ქრისტიან პილიგრიმებსა და ბერებს დაატყდა თავს (ჯაფარიძე, 2011:90). ამ მიზეზების გათვალისწინებით 1511 წ. 7 ივნისს სულთნის გადაწყვეტილებით აღდგომის ეკლესია საერთოდ დაიკეტა პილიგრიმებისათვის.

არსებულ რთულ ვითარებაში, ბენა ჩოლოყაშვილს დავალებული ჰქონდა ეგვიპტის სულთანთან ისეთი შეთანხმებისათვის მიეღწია, რომლითაც ზოგადად დაცული იქნებოდა ქართული ეკლესიის ინტერესები „წმინდა მიწაზე“ და ამავე დროს მოლაპარაკების ერთ-ერთი მთავარი საგანი იყო წმ. ჯვრის მონასტრის სტატუსისა და ქართველ მომლოცველთა უსაფრთხოებისა და უფლებების დაცვა. იმ ვითარებაში, როდესაც ძლიერდებოდა ოსმალთა აგრესიის საშიშროება საქართველოსა და ეგვიპტის მიმართ, როდესაც ყალიბდება ანტიოსმალური კოალიციაც და მას თანაუგრძნობდა ევროპის ქვეყნების დიდი ნაწილი



(მხოლოდ საფრანგეთი, გარკვეული მიზეზების გამო, თავს იკავებდა ანტიოსმალური პოლიტიკის გატარებისაგან), ეგვიპტელ მამულეთა მორჩილებაში მყოფ იერუსალიმში ანტიფრანგული განწყობილების გაღვივება და ამ განწყობილების გარკვეული მიზნებით გამოყენება ძნელი არ უნდა ყოფილიყო.. როგორც ჩანს, ამ გარემოებას ქართველები მეტოქე ფრანცისკელების შესავიწროებლად იერუსალიმში მოხერხებულად იყენებდნენ (მამისტვ-ალიშვილი, 2016:151-153).

აღსანიშნავია, რომ 1511 წ. 14 აგვისტოს კაიროში ჩასულა ქართველი ელჩი, რომლის არც სახელია ცნობილი და არც მისი წარმგზავნი მეფის ვინაობა. თუმცა, როგორც ჩანს, საქართველოში სწორედ მისი დაბრუნების შემდეგ გავრცელდა შემამფოთებელი ინფორმაცია იერუსალიმის აღდგომის ტაძრის დახურვის შესახებ. ქართულ ისტორიოგრაფიაში უკანასკნელ ხანებში გამოთქმული თვალსაზრისით, უცნობი ქართველი ელჩი არაა ბეენა ჩოლოყაშვილი, რომელიც მხოლოდ ათი თვის შემდეგ ჩადის კაიროში (ჯაფარიძე, 2011:90). კახეთის მეფის ელჩი ეგვიპტის სატახტოში მიზნად ისახავდა შექმნილ ვითარებაში ქართული სამონასტრო თემის აღდგენა-გამლიერებასა და ქართველთა უფლებების დაცვას, მათ შორის, გოლგოთაზეც, მაგრამ კაიროში „წმინდა ადგილების“ დასახსნელად აქტიურად მოქმედებდა ევროპული დიპლომატიაც და ვენეციის ელჩის წარმატებული და გულუბხვი ვიზიტის შემდეგ სულთანმა სხვა პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური საკითხების მოგვარების გარდა ფრანცისკელებს ნება დართო დაბრუნებულიყვნენ იერუსალიმში და გაეხსნათ წმინდა საფლავის ეკლესიაც (ჯაფარიძე, 2011:94). 1512 წ. 29 ივნისს სულთნის წინაშე წარსდგა ბეენა ჩოლოყაშვილი (არაბული წყაროები საგანგებოდ მიუთითებენ, რომ ქართველთა მეფის ელჩმა დიდძალი ბეწვეული და სხვა საჩუქრებიც მიართვა სულთანს, თუმცა გაცილებით მოკრძალებული, ვიდრე ვენეციის ელჩმა..) და მისი თანხმობით გაემგზავრა იერუსალიმს. კაიროში ყოფნისას კახეთის მეფის ელჩს (არაბული წყაროებით: ბინა ბიქან ბინა ბიქიბნი შულუკა - ბეენა ჩოლოყაშვილი) სხვა საკითხებიც ჰქონდა მოსაგვარებელი. ავგიორგის თხოვნის შესაბ-

ამისად, სულთნის 1512 წ. 15 ივლისის განკარგულებით იერუსალიმის მოსამართლეებს ებრძანათ მფარველობა გაეწიათ წმ. ჯვრის მონასტერზე, მის ქონებასა და ქართველ პილიგრიმებზე; არ დაეწესებინათ ზედმეტი გადასახადები (ჯაფარიძე, 2011: 99-100), რადგან სულთანმა გაითვალისწინა ურთიერთობა ქართველებთან „ჩუენსა და ქართველთა მეფეს შორის არის სიყვარული და მიმოწერა... მათთან მუსლიმები სარგებლობენ უადრესი პატივისცემით...“ (ჯაფარიძე, 2011:102; მამისთვალიშვილი, 2016:152-153). ზემოაღნიშნული საისტორიო წყაროების საფუძველზე ირკვევა, რომ კახეთის მეფის სახლთუხუცესისა და ჯვარის მამად წარგზავნილი ბენა ჩოლოყაშვილის მოღვაწეობა წმინდა ქალაქში 1512 წ. იწყება და არა 1511 წ. როგორც აქამდე იყო მიჩნეული ქართულ ისტორიოგრაფიაში (ჯაფარიძე, 2011: 95-99).

იერუსალიმში ჩასულ ბენას ქართულ სამონასტრო თემთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის მოგვარებასთან ერთად უნდა დაეცვა ქართველთა უფლებები გოლგოთაზეც. ფრანცისკელებთან გოლგოთას გამო წარმოებული სასამართლო დავა სამ ეტაპად მიმდინარეობდა. პირველ ეტაპი ქართველების გამარჯვებით, მეორე - ფრანცისკელების და მესამე ეტაპი 1513 წ. შარიათის სასამართლოს გადაწყვეტილებით კომპრომისით დასრულდა (ჯაფარიძე, 2018:171-172; ქართული ქრისტიანული თემი წმინდა მიწაზე, 2022: 89-96). ქართველებს გოლგოთას ჩრდილოეთი მხარე, ხოლო ფრანგებს - სამხრეთი ერგოთ (ჯაფარიძე, 2011: 114-115). ამ პროცესების ამსახველი ცნობები დაუცავს იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მინაწერებს, რომლებშიც თვალსაჩინოადაა წარმოჩენილი ბენა ჩოლოყაშვილის ძალისხმევა წმინდა ქალაქში ქართველთა უფლებების დასაცავად: „ძმანო, ნებითა ღთისათა აქა ფრანგთა გოლგოთა დავაგდებინე და მათი ყველა გარეთ გამოუყარე, კანდელი და რაცა მათი იყო, მე ცოდვილმან ბენა..“ როგორც ჩანს, ბენა ფრანცისკელებთან ხელჩართულ დაპირისპირებასაც არ ერიდება.. სწორედ ამ დაპირისპირების პროცესში „დიდი ჭირი და სასჯელი“ გადახდა ბენას და 1514 წ. „დღესა სამშაბათსა, მეორესა ჟამსა ღამისასა“ შეება კარებიც აღდგომის სამლოცველოს (გაბაშვილი, 1956:085; მეტრეველი, 1962:

123). კარების ღამით შებმა კი გამოწვეული იყო იმით, რომ დღისით ამ შესასვლელით პილიგრიმები სარგებლობდნენ და ქართველები მას ვერ ჩაკეტავდნენ (ჯაფარიძე, 2011: 128). 1514 წ. ბენა ჩოლოყაშვილმა იერუსალიმი დატოვა, თუმცა გოლგოთას მფლობელობის გარშემო პრობლემები ამით არ დასრულებულა. უკვე 1515 წ. სამცხიდან იერუსალიმს ჩასულმა ზოსიმე კუმურდოელმა „ფრანგთაგან“ წართმეული გოლგოთა „400 ფლურით“ დაიხსნა და „დიდი საქმე ქნა“ (მეტრეველი, 1962:81-122).

1516 წ. ოსმალებმა პალესტინა დაიპყრეს. მათ ხელთ აღმოჩნდა იერუსალიმიც და გოლგოთას გარშემო დაპირისპირება ისევ განახლდა. კახეთის სამეფოს მზრუნველობა იერუსალიმის ქრისტიანული სიწმინდეების დასაცავად ახალ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ვითარებაში ლევან კახთა მეფემ (1518/1520-1574) ითავა. ოსმალთაგან დაზიანებული წმინდა საფლავისა და გოლგოთას აღდგენა „აშენება“ მან იერუსალიმში 1536-1538 წლებში ჯვარის მამად წარუგზავნილ იოაკიმეს მიანდო. იოაკიმეს შესახებ ცნობები დაუცავს იერუსალიმის საპატრიარქო ტახტის წარწერას (მეტრეველი, 1962:37) ტიმოთე გაბაშვილს უნახავს ეს წარწერა და მიუთითებს, რომ ...იოაკიმე 1538 წ. ჩასულა იერუსალიმში, სადაც „ლეონ კახთა მეფეს წარუგზავნია „ჯვარის მამად და ქრისტეს საფლავისა და გოლგოთას აშენება დაუვალებია (გაბაშვილი, 1956: 78). ტიმოთეს ცნობით, „ლეონ მეფის მოსახსენებელი ბერძენთა სვინაქსარსა შინა იგ სექტემბერს აუწერიათო (გაბაშვილი, 1956: 79). ასევე მას თავისი საფასით 1536 წ. დაუხსნია ქრისტეს საფლავი და გოლგოთა, „წმინდა ადგილები მარმარით აუშენებია“ (გაბაშვილი, 1956:78). ლევან კახთა მეფის დამსახურება იმდენად მნიშვნელოვანი ყოფილა, რომ ტიმოთემ თავის „მიმოსვლაში“ მისი ფერადი სურათიც შეიტანა, ხოლო იოაკიმეს ზემოხსენებული წარწერა იერუსალიმის საპატრიარქო ტახტის ფეხზე 1806 წ. ლავრენტი ოკრიბელმაც ნახა, მაგრამ 1808 წ. ეს ტახტი და წარწერაც ხანძარმა იმსხვერპლა (Цагарели, 1888:112-113). სავარაუდოდ, ლევან კახთა მეფის ეს დამსახურება აისახა კახეთში ახალი შუამთის ღვთისმშობლისა და გრემის მთავარანგელოზის ეკლესიათა ფრესკებზე, სადაც ლევან მეფესა და თინ-

ათინ დედოფალს ხელთ უპყრიათ „მათ მიერ აღმწებული სახე იერუსალიმისა“ (თეიმურაზ ბატონიშვილი, 1848:288-289). ასევე ლევან მეფემ ჯვრის მონასტერსა და გოლგოთას შესწირა ყოველწლიურად სამი საპალნე აბრეშუმის, ხოლო მისმა მემკვიდრემ ალექსანდრე II-მ 1586 წ. მხოლოდ ორი საპალნე (სცა, ფ.1450, 51/180). ოსმალთა ეპოქაში კონფლიქტი მოჰყვა გოლგოთას ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებს შორის გამყოფი თაღის კუთვნილების საკითხსაც. 1541 წ. შარიათის სასამართლოს დადგენილებით დავა ქართველთა სასარგებლოდ გადაწყდა. თუმცა ორ თემს შორის დაპირისპირება შემდეგშიც გრძელდებოდა. საინტერესოა, რომ კახეთიდან წარგზავნილი იოაკიმე ჯვარის მამად, შესაძლოა 50-იანი წლების ბოლომდე დარჩენილიყო. ყოველ შემთხვევაში ის იხსენიება 1559 წ. აგვისტოს დამდეგს იმ სასამართლო დავის ოქმში, რომელიც ახლა უკვე ამუდის (სვეტის) მონასტრის გარშემო მიმდინარეობდა ქართველებსა და ფრანცისკელებს შორის (ჯაფარიძე, 2018:174-175). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარდა „წმინდა მიწის“ ქრისტიანული სიწმინდეების დაცვამფარველობისა, კახეთის სამეფო დიდ მზრუნველობას იჩენდა ათონის მთის სამლოცველოებისადმი. კერძოდ: ლევან კახთა მეფეს (1518/1520-1574) და მის ძეს ალექსანდრეს (1574-1605) აღდგენითი სამუშაოები უწარმოებიათ ფილოთეოსის მონასტერში, სადაც კედელზე შემორჩენილია მათი პორტრეტებიც; ასევე ცნობილია, რომ ლევან მეფე ეხმარებოდა ათონის ივერთა მონასტერსაც (გაბაშვილი, 1956:37-38; მენაბდე, 1980:227-228).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოდან გაგზავნილი შეწირულობანი არ იყო საკმარისი, იერუსალიმის ქართული სამონასტრო თემი XVI ს. მეორე ნახევარშიც ინარჩუნებს „წმინდა ქალაქის“ ბევრ სამლოცველოს, ეკლესია-მონასტრებს და ქართველებიც კვლავ პატივისცემით იხსენიებიან უცხოელ პილიგრიმთა თუ ვაჭართა ჩანაწერებში (ფერაძე, 1995:57-60). თუმცა „წმინდა მიწაზე“ ქართული სამონასტრო თემის მდგომარეობა უფრო და უფრო რთულდება: გაიზარდა ვალები, დაპირისპირება სხვა ქრისტიანულ თემებთან ეკლესია-მონასტრების კუთვნილების გამო, ოსმალთა მოხელეთა ძალმომრეობა და ა.შ. ამიტომ

ქართველმა მეფე-მთავრებმა გადაწყვიტეს მეტ-ნაკლებად სისტემატური შემოსავლის გაჩენის მიზნით იერუსალიმის ჯვრის მონასტრისა და ქრისტეს საფლავისათვის შეეწირათ უძრავი ქონება - საეკლესიო ყმა-მამული. ასე აღმოცენდა საქართველოში XVI ს. მეორე ნახევარსა და XVII ს. იერუსალიმის ჯვრის მონასტრისა და „ქრისტეს საფლავის“ კუთვნილი მიწათმფლობელობა და სხვა ქონებაც: ეკლესიები, სახლები, დუქნები და ა.შ. (ხუციშვილი, 2007; ქათამაძე, 2013). ამ უაღრესად დროულ წამოწყებას ტრადიციულად მხარი დაუჭირა კახეთის სამეფომ. ყმა-მამულის შეწირვის გარდა, კვლავინდებურად იგზავნებოდა შეწირულობანიც. კახეთის მეფეთა ზრუნვა იერუსალიმის ქართული ეკლესიამონასტრების, სამონასტრო თემისა და „წმინდა ადგილებისადმი“ ძალიან მნიშვნელოვანი რომ იყო, ამას ქართული საისტორიო წყაროებიც ადასტურებს: ლევან მეფის მემკვიდრემ ალექსანდრე II-მ (1574-1605) 1586 წ. გასცა შეწირულობის სიგელი (სცა, ფ.1450, 51/180), რომლითაც იერუსალიმის ჯვრის მონასტერსა და გოლგოთას შესწირა „ორი საპალნე აბრეშუმში“ და აქვე მიუთითებს, რომ მამამისს სამი საპალნე შეუწირავს. ასევე საინტერესოა, რომ სიგელი დაიწერა „სამეფუო ქალაქის მთავარეპისკოპოზის ბარნაბას“ ხელით. მთავარეპისკოპოსი ბარნაბა უნდა იყოს ბარნაბა თბილელი, რომელიც 1570 წ. იერუსალიმის ერთი ხელნაწერის ანდერძში ჯვარის მამად იხსენიება. ის იერუსალიმში ჩავიდა ვლასი ურბნელთან ერთად და დიდი ღვაწლი დასდო ჯერ კიდევ შემორჩენილი ქართული ხელნაწერების აღდგენა-განახლებისა და შთამომავლობისათვის შენარჩუნების საქმეს (მეტრეველი, 1962:37; მენაბდე, 1980:118-120). სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც ბარნაბა თბილელი ცდილობდა ქართველ ხელისუფალთაგან მიეღო ფინანსური შემწეობა იერუსალიმის ქართული სავანეების მხარდასაჭერად, რასაც ალექსანდრე II-ის (1574-1605) ზემოაღნიშნული სიგელიც ადასტურებს. გარდა ამ შეწირულობისა, ასევე აღსანიშნავია, რომ კახეთის სამეფოში იერუსალიმის ჯვრის მონასტერს ეკუთვნოდა სოფელი აღდგომა, ყმა-მამული სოფელ კისისხევსა და გუგუნაურში. გრემის ბოლოს ალექსანდრე II-მ (1574-1605) XVI ს. 70-იანი წლების შუა ხანებში ან მეორე

ნახევარში ააშენა აღდგომის ეკლესია და სოფელსაც ამის შემდეგ დარქმევია აღდგომა (ხუციშვილი, 2007:46-52). ეს მამულები იხსენიება XVII- XVIII სს. საისტორიო წყაროებშიც. „წმინდა ადგილებისადმი“ კახეთის მეფეთა მხარდაჭერა აქტიური და სისტემური რომ იყო, ამის მაჩვენებელია კიდევ ერთი ფაქტი. ვახუშტის ცნობით, ალექსანდრე II-ის (1574-1605) მეფობაში, 1602 წ. მახლობლად „მოეგზავნა იერუსალიმის პატრიარქსა და მოეთხოვა სახსრად ვალთა თვისთათვის ვერცხლი, ესე აუწყა ალექსანდრემ კახთა..“ კახელებმა 5 ათასი დრაჰკანი შეკრიბეს და მისი იერუსალიმში წაღება ალავერდელს, ოთარ ჩოლოყაშვილის ძმას, დაავალეს, მაგრამ ალავერდელს ალექსანდრეს შემონაზვნებული და უყვარდა და მასთან ერთად იმერეთში გაიპარა, „...ხოლო ოქრო იგივე წარმოუვლინეს ალექსანდრესვე და კრულ-ჰყო პატრიარქმან ალავერდელი“ (ვახუშტი, 1973:579-580). იერუსალიმის ეს პატრიარქი სოფრონიუს V (1579-1607) უნდა იყოს, რომელმაც ფული ასესხა დავალიანებულ ქართველებს და წინდში მათი კუთვნილი გოლგოთის ნაწილი მიიღო; ამჟამად, რომ ქართველებმა ვალი ვერ გადაიხადეს და გოლგოთაც დაკარგეს (ქანენი, 1992:13). ყოველ შემთხვევაში 1646 წ. შემდეგ „წმინდა მიწაზე“ არსებული ვითარების გამო გოლგოთაზე ქართველები აღარ იხსენიებიან (ჯაფარიძე, 2018:171-172; ქართული ქრისტიანული თემი წმინდა მიწაზე, 2022: 89-96).

საქართველოსა და „წმინდა მიწაზე“ განვითარებული პროცესების მიუხედავად, ოსმალთა ხელში გადასულ იერუსალიმის „წმინდა ადგილებზე“ ზრუნვა ქართველ მეფე-მთავრებს და, მათ შორის კახეთის მეფესაც, თავიანთ მუდმივ მოვალეობად მიაჩნდათ. ამიტომ ისინი შეწირულობების გაღების გარდა, ცდილობენ ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარებაც „წმინდა ქალაქში“ ქართული ეკლესია-მონასტრების შესანარჩუნებლად და ქართველთა უფლებების დასაცავად გამოიყენონ. როგორც ცნობილია, 1578 წ. ოსმალეთმა ამასიის ზავი დაარღვია და ირან-ოსმალეთის ომიც განახლდა. ოსმალეთი მიზნად ისახავდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან ირანის სრულ განდევნას და ცდილობდა დასავლეთ და მოგვიანებით აღმოსავლეთ საქართველოს მეფე-მთავრ-

ების გამოყენებას დაწყებულ სამხედრო კამპანიაში. სამცხე-საათაბაგოს დამორჩილების შემდეგ მუსტაფა ლალა-ფაშას თბილისისაკენ გზა ხსნილი ჰქონდა. მოლაღატე დაუღ-ხანმა გადამწვარი დედაქალაქი უბრძოლველად დათმო. ოსმალებმა 1578 წ. 24 აგვისტოს თბილისი დაიკავეს, ციხეში გარნიზონი ჩააყენეს და გეზი შირვანისაკენ აიღეს. კახეთის მეფე ალექსანდრე II (1574-1605) მუსტაფა-ფაშას სართიჭალაში შეეგება და მორჩილება აღუთქვა (ვახუშტი, 1973:578). როგორც ჩანს, ჯერ კიდევ საქართველოში შემოსვლამდე ოსმალებმა ალექსანდრეს წერილი გამოუგზავნეს და ერთგულებისა და ისლამის მიღების შემთხვევაში თბილისის გადაცემასაც შეჰპირდნენ; ასევე მოუწოდეს ირანის წინააღმდეგ გამოსულიყო და შაქი-შირვანის დაკავებაშიც მიეღო მონაწილეობა. შექმნილ ვითარებაში ალექსანდრეს მხარდაჭერა ოსმალთათვის მნიშვნელოვანი იყო. ალექსანდრე II (1574-1605) ოსმალთა მოწოდებას მანამ არ გამოეხმაურა, სანამ ოსმალები კახეთის საზღვრებს არ მიადგნენ (მახარაძე, შაშიკაძე, 2022:137). კახეთის მეფემ ისლამის მიღებაზე უარი განაცხადა, მაგრამ სართიჭალის შეხვედრაზე ხარკიც იკისრა და შარვანზე ლაშქრობისათვის მზადყოფნა გამოთქვა. თუმცა გარკვეულ მიზეზთა გამო, მხოლოდ შაქზე ლაშქრობაში მიიღო მონაწილეობა (მამისთვალიშვილი, 2009: 206-216). როგორც ჩანს, ამ შეხვედრაზე გარდა მნიშვნელოვანი სამხედრო-პოლიტიკური საკითხებისა, შეთანხმების ერთ-ერთი მთავარი თემა ალექსანდრე II-ის (1574-1605) ქვეშევრდომი მომლოცველების იერუსალიმსა და „წმინდა მიწაზე“ უსაფრთხო გადაადგილება, იერუსალიმში ქართველთა უფლებების დაცვა იყო (მახარაძე, შაშიკაძე, 2022:139). სულთან მურად III-ის (1574-1595) 1579 წ. 15 იანვარს გაცემული სამი განკარგულებით არზრუმის ამირას ჰანდან ალას, სხვა ბეგებსა და იერუსალიმის ბეგსაც ებრძანათ, რომ ქართველი პილიგრიმები „არავითარ შემთხვევაში არ შეაჩერონ და არ შეაყოვნონ ...ამიერიდან ქართველთა მსახურებაში მყოფი ქრისტიანების წმინდა იერუსალიმში, ქრისტეს საფლავზე მოსალოცად მიმოსვლასთან დაკავშირებით ბრძანება გამოვეცი... წინააღმდეგობას ნუ გაუწევთ და უსამართლოდ ნუ მოექცევით“ (თურქეთის არქივებში

დაცული დოკუმენტები... I, წ. 1, 2022: 105; მახარაძე, შაშიკაძე, 2022:142). იერუსალიმის გამგებელს ასევე ებრძანა „ამიერიდან ხსენებული ხალხიდან ზემოხსენებული [ალექსანდრეს] ბექდიანი თამასუქით თუ ვინმე მოვა, ნურავინ შეეწინააღმდეგება, ქრისტეს საფლავთან საჭირო ადგილებზე მივიდეს, მოინახულოს და უკან დაბრუნდეს... ნურავის აწყენინებთ და შეაშინებთ“ (მახარაძე, შაშიკაძე, 2022:143). სულთნის ბრძანებულებებიდანაც აშკარაა, თუ რამდენად რთული და ხიფათის შემცველი იყო ქართველთათვის იერუსალიმის „წმინდა ადგილების“ მოლოცვა და რამდენად მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საქმედ მიაჩნდათ ამ შემთხვევაში კახეთის სამეფოს მესვეურთ „წმინდა მიწაზე“ ქართველთა უფლებების დაცვა. როგორც ჩანს, ალექსანდრე II (1574-1605) შემდეგშიც სარგებლობდა ოსმალთა კეთილგანწყობით და აგრძელებდა იერუსალიმის ქართული სამონასტრო თემის მატერიალურ მხარდაჭერას. მისი პოლიტიკა კახეთის სამეფო სახლის მემკვიდრეებმა გააგრძელეს XVII საუკუნეშიც. აღსანიშნავია, რომ იმავე პერიოდში იერუსალიმში ქართველთა უფლებების დაცვას ასევე ცდილობდნენ იმერეთის მეფე გიორგი II (1565-1586) და გურიის მთავარი გიორგი როსტომის ძე გურიელი (1564-1583; 1587-1600), რომლებმაც ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე მიმართეს სულთან მურად III-ს (1574-1595) თხოვნით, რომ იერუსალიმში „ქართველთა გვარ-ტომის სალოცავები“ დაცული ყოფილიყო (აბულაძე, 1987:90-92). სულთანმა 1577 წ. 14 აპრილს გამოსცა ბრძანება, შეესწავლათ იერუსალიმში ქართველთა სალოცავებზე კათოლიკეთა და სომეხთა მხრიდან თავდასხმა-შევიწროების ფაქტები და სათანადო ღონისძიებებიც განეხორციელებინათ (თურქეთის არქივებში დაცული დოკუმენტები... I, წ. 1, 2022: 98; მახარაძე, შაშიკაძე, 2022:139). ზემოაღნიშნული წყაროების ანალიზი ცხადყოფს, რომ ქართველი მეფე-მთავრები მეტნაკლები წარმატებით ახერხებდნენ უცხო და მტრულ გარემოში ქართველთა უფლებებისა და ქრისტიანული სალოცავების დაცვას „წმინდა მიწაზე“ და ამისათვის კარგად იყენებდნენ ხელსაყრელ პოლიტიკურ სიტუაციას; ატარებდნენ რჯულშემწყნარებულ პოლიტიკას საკუთარ ტერიტორიაზე მცხოვრებ მუსლიმთა



მიმართ; მიმართავდნენ დიპლომატიურ ნაბიჯებს ახლო თუ შორეულ მეზობელ ქვეყნებთან, მიუხედავად განსხვავებული პოლიტიკური, სამხედრო-სტრატეგიული და იდეოლოგიური ინტერესებისა.

### **დასკვნა**

ამრიგად, XVI ს. განმავლობაში კახეთის სამეფომ შეძლო საქართველოსა და იერუსალიმში არსებულ რთულ პოლიტიკურ-იდეოლოგიურ ვითარებაში დაეცვა არა მარტო იერუსალიმის ქართული სამონასტრო თემის უფლებები, ქართული ეკლესიამონასტრები სხვადასხვა მიმდინარეობის ქრისტიანთა და ოსმალო მოხელეთა ძალმომრეობისაგან, არამედ გარკვეულწილად საერთო ქრისტიანული სალოცავები („ქრისტეს საფლავი“, გოლგოთა...) გადაერჩინა განადგურებისაგან; კახეთის სამეფოდან „წმინდა ქალაქში“ წარგზავნილი ფინანსური რესურსი, ადგილზე შეწირული ყმა-მამული ხმარდებოდა „წმინდა მიწაზე“ ქართველთა მოღვაწეობის გახანგრძლივებას, რაც ტრადიციული გაგრძელება იყო იმ ეროვნული პოლიტიკისა, რომელსაც ქართული საზოგადოება საუკუნეების განმავლობაში წარმატებით ახორციელებდა.

### **გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:**

- აბულაძე, ც. (1987). ოსმალური სიგელები იერუსალიმის და სინას ქართული კოლონიის ისტორიისათვის, „მაცნე“ (ისტორიის სერია), 1, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- ბაგრატიონი, თ. (1848). ისტორია ივერიისა..СПБ.,
- გაბაშვილი, ტ. (1956). მიმოსვლა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- ბატონიშვილი, ვახუშტი. (1973). აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“;

- თურქეთის არქივებში დაცული დოკუმენტები საქართველოს შესახებ (რეზიუმირებული კატალოგი), (2022). დოკუმენტები მოიძიეს, დაამუშავეს და ქართული რეზიუმეები დაურთეს მ. მახარაძემ, ზ. შაშიკაძემ, ა. კაშიამ, ტ. I, წ. 1, თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.
- მამისტვალიშვილი, ელ. (2009). საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, ტ. I, (XV-XVI სს.), თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“.
- მამისტვალიშვილი, ელ. (2016). იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი, თბილისი: გამომცემლობა „სამშობლო“.
- მახარაძე, მ., შაშიკაძე, ზ. (2022). ალექსანდრე კახთა მეფე და ქართველთა პილიგრიმობის საკითხი იერუსალიმში, აღმოსავლეთმცოდნეობა, XI, თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- მენაბდე, ლ. (1980). ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. II, თბილისი: გამომცემლობა „თბილისის უნივერსიტეტი“.
- მეტრეველი, ელ. (1962). მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბილისი: გამომცემლობა „მცენიერება“.
- მეტრეველი, ელ. (2007). ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, I, თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“.
- ჟანენი, რ. (1992). ქართველები იერუსალიმში, ჟურნალი „რელიგია“, # 10, თბილისი.
- საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი-სცა, ფონდი 1450, დავთ. 51, საბუთი 180.
- საქართველოს ისტორიის ნარკვევები (1973). ტ. IV, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
- ფერაძე, გ. (1995). უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ, ქართული ეკლესიის ისტორია, ტ. IV, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და შენიშვნები დაურთო გ. ჯაფარიძემ, თბილისი: გამომცემლობა „კანდელი“.

- ქათამაძე, ც. (2013). სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ურთიერთობა იერუსალიმის ქართულ კოლონიასთან (XVI-XVIII სს.), თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.
- ქართული ქრისტიანული თემი წმინდა მიწაზე, (2022). შეადგინეს გ. გაგომიძემ, ნ. კვირიკაშვილმა, თ. ცერამემ, ლ. ხოფერიამ, მ.ჯანჯალიამ, თბილისი: თ. მგალობლიშვილის სახელობის ქართულ სიძველეთა მოძიებისა და კვლევის ცენტრის გამომცემლობა.
- Цагарели, А. (1888). Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае, ППС, т. IV, вып. I, СПб ..
- ხუციშვილი, ნ. (2007). იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწათმფლობელობა საქართველოში, თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“.
- ჯაფარიძე, გ. (1994). დიპლომატიური კონტაქტები საქართველოსა და ეგვიპტეს შორის XIV-XVI სს.-ის დასაწყისში იერუსალიმში აღმოჩენილი არაბული დოკუმენტების მიხედვით, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, I, თბილისი: გამომცემლობა „თბილისის უნივერსიტეტი“.
- ჯაფარიძე, გ. (2011). ბენა ჩოლოყაშვილი ეგვიპტეში და წმინდა მიწაზე 1512-1514 წლებში, საისტორიო კრებული №1, თბილისი: გამომცემლობა „მხედარი“.
- ჯაფარიძე, გ. (2018). ქართული სავანეები და სამონასტრო თემი წმინდა მიწაზე XI-XVIII საუკუნეებში (არაბული ნარატიული და დოკუმენტური წყაროების მიხედვით), თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“ .



**For the History of the Relationship of the Kingdom of  
Kakheti with Jerusalem in the XVI Century**

**Tsiuri Katamadze**

Doctor of History,

Associate Professor of Shota Rustaveli

State University, Batumi

Georgia, 6010. Batumi, 32/35 Ninoshvili St.

+995 577 17 97 87 Tsiuri.katamadze@bsu.edu.ge

ORCID:0009-0001-5549-2845

DOI: <https://doi.org/10.61671/hos.7.2024.7801>

**Abstract**

In the XVI century, the moderate foreign policy and diplomatic moves of the political rulers of the Kingdom of Kakheti led to the relatively stable and peaceful development of Kakheti throughout the century. It greatly contributed to economic and cultural reconstruction within the country, and abroad, especially in the "Holy Land" and "Holy City of Jerusalem" to the support of the Georgian churches-monasteries, the Georgian monastic community and to the protection of the greatest Christian sanctity, the "Tomb of Christ" and the rights of the Georgians there. Beena Cholokashvili, who was sent to the court of the Mamluk sultans of Egypt by the king of Kakheti, Avgiorgi (1511-1513), became an energetic defender of Georgian rights in the first decades of the XVI century. Then the kings of Kakheti, Levan (1518/1520-1574) and Alexander II (1574-1605) sent a rich donation to Jerusalem, took care of the restoration of Golgotha, which was damaged during the rule of the Ottomans, sacrificed villages, serfs in Kakheti (Easter, Kisiskevi), built churches and tried to protect the Christian sanctuaries of Jerusalem and the rights of Georgians on their way

to the "holy land" as soon as the political weather was favourable. All said above in addition to the already known historical sources, have been confirmed by Arabic and Ottoman documents discovered in recent decades.

**Keywords:** Kingdom of Kakheti; Jerusalem; Monastery of the Cross; Golgotha; Georgian Monastic Community; Church Serf-manor.

## **Introduction**

At the end of the XV century feudal Georgia was divided into kingdoms and principalities. From now on, individual "Georgias" conducted independent domestic and foreign policies, however, regarding the protection of the holy places of Jerusalem, the Georgian principalities tried to act unitedly and protect common interests. Due to its stable political and economic situation, the Kingdom of Kakheti was able to do this best, which was confirmed by Georgian and foreign historical sources. It is known that in the XVI century various factors and, among them, the flexible diplomacy of the kings of Kakheti led to the peaceful and stable development of the kingdom. It was reflected in economic growth or cultural reconstruction. The kings of Kakheti were also active in protecting the Georgian churches-monasteries, monks and nuns and general Christian holy places, including the "Tomb of Christ" (Golgotha, Easter, Tomb of Christ). Foreign (Arabic, Ottoman) written sources that have entered scientific circulation in recent decades allow for more in-depth coverage and research of individual issues of the relationship between the Georgian kingdoms and principalities with Jerusalem.

## **Methods**

The methodological basis of the research is the universal scientific principles of objectivity, comprehensiveness and systematicity. The critical analysis of sources and scientific literature (searching for cause-and-effect relationships) and historical-comparative and synthetic methods have been used in the creation of the paper.

## Discussion

Prevailing in the "Holy Places" of Jerusalem was extremely important for Christian communities of various nations and denominations throughout the centuries. They spared no effort to conquer the "Holy Sepulcher" (Golgotha, Christ's Tomb, Resurrection). Georgians were among them. It should be noted that in the XIV-XV centuries during the rule of the Mamluks, the Georgian monastic community of Jerusalem reached the peak of its power, and in the "Holy Land" Georgians owned dozens of churches-monasteries, as well as chapels of the "Holy Sepulcher" (Peradze, 1995:43; Zhaneni, 1992:10), which together with other possible factors (the Caucasian origin of the Mamluk sultans, filling the ranks of the Mamluks, safe transportation, etc.) were caused by the tolerant policy of the Georgian kings-principals towards the Muslims (Japaridze, 1994:209-211). The continuation of this policy was a necessary condition for everyone interested in the maintenance of Georgian and, in general, Christian holy places in Jerusalem. At the same time, the sultans of Egypt considered themselves to be the protectors of Muslims in all countries and thus were interested in the fate of Muslims living in Georgia. Consequently, Georgians also decided to take advantage of this situation and protect their community in Jerusalem and Palestine, to expand its immunity (Japaridze, 2018:139-141), but European Catholics - "the French" - tried to gain the same right. That is why it became necessary to fix the rights obtained by Georgians in written form. Still in 1400 according to one letter of "Svinaksar of Golgotha", the rights of the Georgians and the "French" on the Church of the Resurrection and Golgotha were separated as follows: "This is what you all Georgians have to know - a church of the Resurrection and a house, where Adam's bone and Golgotha are, given from God, kings, sultans...there are two houses: towards the French theirs, and us ours, there are two doors, on the right to the door of the church Resurrection there is where the Georgians sit..." (Metreveli, 2007:131-132).

In the XV century, the conflict for the ownership of Golgotha became even more intense. Armenians and "Frenchmen" (Franciscans,

Franciscan Order) repeatedly tried to completely take possession of Golgotha. Several royal decrees and Shariat court rulings are known about this dispute. So, for example, in 1366 Golgotha was controlled by Armenians, but according to the decrees of Sultan Barsbai (1422-1438) in 1433 and Sultan Jakmaki (1438-1453) in 1439 these disputes were resolved for the benefit of Georgians (Japaridze, 2018:119). Confrontation with the Franciscans in 1491 under the ruling of the local court was settled so that the northern part of Golgotha belonged to the Georgians, and the southern part to the Franciscans, although in 1493 according to the court's decision, the Georgians could not present the proper documents and lost the chapel completely (Japaridze, 2018:248-255).

The Kingdom of Kakheti tried to turn the formed situation in favour of Georgians and quite successfully. Despite the complex processes in Georgia and Palestine, Kakheti became an energetic and consistent defender of the rights of Georgians in Jerusalem in the XVI century. The efforts of the King of Kakheti, Avgiorgi (1511-1513), were especially noteworthy. His short "ruling" in the history of Georgia has been negatively evaluated (Sin, IV, 1973:94-96), although Beena Cholokashvili, who was sent by him as the Father of the Cross to Jerusalem and the court of the Sultan of Egypt, did a great job as a tireless defender of the rights of the Georgian monastic community in Jerusalem. The wills-inscriptions of the Georgian manuscripts of Jerusalem preserved information about his activities (Gabashvili, 1956:085; Metreveli, 1962:123). Beena Cholokashvili's work in Jerusalem and the truly unrelenting struggle for the rights of Georgians (especially in Golgotha) can be discussed in more detail with the Arabic-language documents that have entered historical circulation in recent decades (Japaridze, 2011: 83-138). As it turns out, in the second decade of the XV century Beena Cholokashvili tried to use the conflict between Egypt and Catholic Europe, which was caused by some political and economic factors, for the benefit of the Georgian monastic community (Japaridze, 2011:85-89). In 1510-1511, Egypt's relations with Europe became extremely intense, and the wrath of Sultan Kansav al-Ghawri

fell upon the Christian pilgrims and monks in the holy land and the holy city of Jerusalem (Japaridze, 2011:90). Considering these reasons in 1511 on June 7, by the Sultan's decision, the Church of the Resurrection was completely closed for pilgrims.

In the current difficult situation, Beena Cholokashvili was tasked to reach an agreement with the Sultan of Egypt that would generally protect the interests of the Georgian Church in the "Holy Land" and at the same time, one of the main subjects of the negotiation was the protection of the status of the St. Cross Monastery and the security and rights of Georgian pilgrims. In the situation when the danger of Ottoman aggression against Georgia and Egypt was increasing, when an anti-Ottoman coalition was being formed and a large part of European countries sympathized with it (only France, for some reason, refrained from pursuing an anti-Ottoman policy), the stirring of anti-French sentiment in Jerusalem, which was under the control of the Egyptian Mamluks, and the use of it for certain purposes would not have been difficult... It seems that the Georgians conveniently used this circumstance to harass the rival Franciscans in Jerusalem (Mamistvalishvili, 2016:151-153).

It should be noted that on August 14, 1511, the Georgian ambassador arrived in Cairo, whose name is not known, nor the identity of the king who sent him. However, it seems that disturbing information about the closing of the Resurrection Temple in Jerusalem was spread in Georgia right after his return. From the point of view expressed in recent times in Georgian historiography, Beena Cholokashvili, who arrived in Cairo only ten months later, was not an unknown Georgian ambassador (Japaridze, 2011:90). The ambassador of the king of Kakheti to the throne of Egypt aimed to restore and strengthen the Georgian monastic community in the current situation and protect the rights of Georgians, including Golgotha, but European diplomacy was also active to open the "Holy Places" in Cairo. After the successful and generous visit of the ambassador of Venice, in addition to solving other political, trade and economic issues, the sultan allowed the Franciscans to return to Jerusalem and open the Church of the Holy Sepulcher



(Japaridze, 2011:94). On June 29, 1512, Beena Cholokashvili appeared before the Sultan (Arabic sources specifically indicate that the Georgian king's ambassador gave the Sultan a lot of furs and other gifts, although much more modest than the Venetian ambassador...) and with his consent, he left for Jerusalem. While in Cairo, the ambassador of the King of Kakheti (according to Arabic sources: Biina Bik or Biina Bik Ibn Shuluka - Beena Cholokashvili) had other issues to deal with. According to Avgiorgi's request, in 1512 by the decree of July 15, the sultan ordered the judges of Jerusalem to protect St. Monastery of the Cross, its property and Georgian pilgrims and not to impose excessive taxes (Japaridze, 2011: 99-100). The Sultan took into account the relationship with the Georgians, "there is love and correspondence between us and the king of Georgians... Muslims enjoy the highest respect for them..." (Japaridze, 2011: 102; Mamistvalishvili, 2016:152-153). Based on the above-mentioned historical sources, it becomes clear that Beena Cholokashvili, who was sent as the king of Kakheti's courtier and father of the cross, began his work in the holy city in 1512 and not in 1511 as it was considered in Georgian historiography (Japaridze, 2011: 95-99).

Arriving in Jerusalem, Beena had to protect the rights of Georgians on Golgotha, along with solving various issues related to the Georgian monastic community. The legal dispute with the Franciscans over Golgotha took place in three stages. The first stage was won by the Georgians, the second stage by the Franciscans and the third stage ended with a compromise in 1513 by the decision of the Shariat court (Japaridze, 2018:171-172; Georgian Christian Community in the Holy Land, 2022: 89-96). The Georgians got the northern side of Golgotha, and the French got the southern side (Japaridze, 2011:114-115). The Georgian manuscripts of Jerusalem kept the reports depicting these processes, in which the efforts of Beena Cholokashvili to protect the rights of Georgians in the holy city are visible. "Brothers, following God's will I threw the French and the candle and the things belonging to them out of the Golgotha, I am a sinner Beena..." It seems that Beena did not shy away from hand-to-hand confrontation with the

Franciscans. "On the day of Tuesday, at 2 a.m.." he closed the doors of the Resurrection chapel (Gabashvili, 1956:085; Metreveli, 1962:123).

The doors were closed at night because pilgrims used this entrance during the day and the Georgians could not lock it (Japaridze, 2011:128). 1514 Beena Cholokashvili left Jerusalem, but the problems surrounding Golgotha ownership did not end there. Already in 1515 Zosime from Kumurdo, who came to Jerusalem from Samtskhe, redeemed Calvary with "400 florins" from the French and "did a great deed" (Metreveli, 1962:81; 122).

In 1516 the Ottomans conquered Palestine. Jerusalem was also in their hands and the conflict around Golgotha was renewed again. In the new political and ideological situation, King Levan of Kakheti (1518/1520-1574) took care of protecting the Christian holy places in Jerusalem. He entrusted the "reconstruction" of the Holy Sepulcher and Calvary damaged by the Ottomans to Joakim, who was sent to Jerusalem in 1536 or 1538 as the Father of the Cross. Information about Joakim is found in the inscription of the patriarchal throne of Jerusalem (Metreveli, 1962:37) Timote Gabashvili saw this inscription and indicated that ... in 1538 Joakim arrived in Jerusalem. "Leon, the king of Kakheti sent him as the "Father of the Cross" and entrusted him the construction of Christ's tomb and Golgotha (Gabashvili, 1956:78). According to Timote, the remembrance of King Levani was written in Greek synaxarion under the date of September IG (13) (Gabashvili, 1956-79). Also, Levani redeemed the tomb of Christ and Calvary and "had the holy places built with marble" (Gabashvili, 1956:78). The merits of Levani, the king of Kakheti, were so important that Timote included his colourful picture in his report. Lavrenti Okribeli also saw the above-mentioned inscription of Joachim on the foot of the patriarchal throne of Jerusalem in 1806. it, but in 1808 this throne and the inscription were destroyed by fire (Tsagareli, 1888:112-113). Probably, this merit of King Levani of Kakhta was reflected on the frescoes of the Church of the Virgin (Akhali Shuamta) and of the Gremi Church of Archangels in Kakheti, where King Levani and Queen Tinatin were presented with Jerusalem built by them in their

hands" (Teimuraz Batonishvili, 1848:288-289). Also, Levani donated three Sapolnes of silk to the Monastery of the Cross and Golgotha every year, and his successor, Alexander II, in 1586 only two Sapolnes (SCA, F.1450, 51/180). During the Ottoman era, there was also a conflict over the ownership of the dividing arch between the northern and southern parts of Golgotha. 1541 According to the ruling of the Sharia court, the dispute was resolved in favour of Georgians. However, the conflict between the two communities continued. It is interesting that Joakim, who was sent from Kakheti as the Father of the Cross, might have stayed there until the end of the 50s. In any case, he was mentioned in the minutes of the court at the beginning of August 1559 when the dispute took place between the Georgians and Franciscans around the Amudi (Pillar) monastery (Japaridze, 2018:174-175). It should be noted here that in addition to the protection of the Christian sanctuaries of the "Holy Land", the kingdom of Kakheti took great care of the chapels of Mount Athos. In particular: King Levani of Kakhta (1518/1520-1574) and his son Alexander (1574-1605) carried out restoration works in Philoteos Monastery, where their portraits are also preserved on the wall; It is also known that King Levani helped the Monastery of Iviron at mount Athos (Gabashvili, 1956:37-38; Menabde, 1980:227-228).

Although the donations sent from Georgia were not enough, in the second half of the XVI century the Georgian monastic community of Jerusalem kept under its control many chapels, churches-monasteries of the "Holy City" and Georgians were still mentioned with respect in the records of foreign pilgrims and merchants (Feradze, 1995:57-60). However, the situation of the Georgian monastic community in the "Holy Land" became more and more difficult: debts, confrontations with other Christian communities due to the affiliation of churches and monasteries, and coercion from Ottoman officials increased. Therefore, the Georgian kings decided to donate real estate - church manors - to the Jerusalem Cross Monastery and the Tomb of Christ to generate more or less systematic income. This is how the land ownership and other properties belonging to the Monastery of the Cross of

Jerusalem and the "Tomb of Christ": churches, houses, shops, etc. emerged in Georgia in the second half of the XVI and XVII centuries (Khutsishvili, 2007; Katamadze, 2013). This extremely timely initiative was traditionally supported by the Kingdom of Kakheti. In addition to the sacrifice of serfs, donations were also sent continuously. The care of the kings of Kakheti for the Georgian churches-monasteries of Jerusalem, the monastic community and "Holy Places" was very important, that is confirmed by Georgian historical sources: in 1586, the successor of King Levan, King Alexander II (1574-1605) issued a certificate of donation (SCA, F.1450, 51/180), by which he donated "two sapalnes (one sapalne is about 147 kg) of silk to the Monastery of the Cross of Jerusalem and Golgotha, and here he indicated that his father donated three sapalnes. It is also interesting that the certificate was written by "Barnaba, the archbishop of the royal city". Archbishop Barnaba should have been Barnaba from Tbilisi, who died in 1570. In the testament of one manuscript from Jerusalem, he was mentioned as the father of the cross. He came to Jerusalem together with Vlasi Urbneli and made a great contribution to the work of restoration and preservation of still-existing Georgian manuscripts and preserving them for posterity (Metreveli, 1962:37; Menabde, 1980:118-120). Even after returning to his homeland, Barnaba Tbileli tried to get financial assistance from the Georgian authorities to support the Georgian hermitage in Jerusalem, which is confirmed by the above-mentioned certificate of Alexander II (1574-1605). In addition to this donation, it is also worth noting that in the Kingdom of Kakheti, the village of Aghdgoma and serfs in the villages of Kisiskhevi and Gugunauri belonged to the monastery of the Cross of Jerusalem. In the middle of the 70s or the second half of the XVI century, at the end of Gremi, Alexander II (1574-1605) built the Church of Resurrection and the village was named Aghdgoma (Resurrection) after that (Khutsishvili, 2007: 46-52). These estates also are mentioned in the historical sources of the XVII-XVIII centuries. Another fact shows that the support of the kings of Kakheti to "Holy places" was active and systematic. According to Vakhushhti, during the reign of Alexander II (1574-1605),

in 1602 "the Patriarch of Jerusalem asked the king for silver to pay off the debts, that's what Alexander told Kakhta (the people of Kakheti)" ". The locals collected 5 thousand drachmas and assigned Alaverdeli, Otar Cholokashvili's brother, to take it to Jerusalem, but Alaverdeli loved Alexander's beloved sister and escaped to Imereti with her... and the same gold was presented to Alexander himself and the Patriarch cursed Alaverdeli" (Vakhushti, 1973:579-580). This patriarch of Jerusalem must have been Sophronius V (1579-1607), who lent money to indebted Georgians and received part of Golgotha belonging to them to secure the loan; It is obvious that the Georgians could not pay their debt and lost Golgotha (Zhanen, 1992:13). At least in 1646, due to the current situation in the "Holy Land", Georgians are no longer mentioned on Golgotha (Japaridze, 2018:171-172; Georgian Christian Community in the Holy Land, 2022: 89-96).

Regardless of the developments in Georgia and the "Holy Land", the Georgian kings and princes, including the King of Kakheti, considered it their permanent duty to take care of the "Holy Places" of Jerusalem, which had passed into the hands of the Ottomans. Therefore, in addition to making donations, they tried to use the favourable international situation in the "Holy City" to preserve Georgian churches and monasteries and protect the rights of Georgians. As it is known, in 1578 The Ottomans broke the Amasia truce and the Iran-Ottoman war was renewed. The Ottomans aimed at the complete expulsion of Iran from Eastern Transcaucasia and tried to use the kings of Western and later Eastern Georgia in the military campaign. After the subjugation of Samtskhe-Saatabago, Mustafa Lala-Pasha had an open road to Tbilisi. The traitor Daud-Khan surrendered the burning capital without a fight. On August 24, 1578, the Ottomans occupied Tbilisi, put a garrison in the castle and started their way to Shirvani. The king of Kakheti Alexander II (1574-1605) met Mustafa Pasha in Sartichala and promised obedience (Vakhushti, 1973:578). It seems that even before entering Georgia, the Ottomans sent a letter to Alexander and promised to hand over Tbilisi in case of loyalty and acceptance of Islam; They also urged him to speak out against Iran and

take part in the invasion of Shaki-Shirvani. In the current situation, Alexander's support was important for the Ottomans. Alexander II (1574-1605) did not respond to the call of the Ottomans until the Ottomans reached the borders of Kakheti (Makharadze, Shashikadze, 2022:137). The king of Kakheti refused to accept Islam, but at the Sartichala meeting, he paid tribute and expressed his readiness to march to Sharvan. However, due to certain reasons, he only took part in the military expedition for Shaka (Mamistvalishvili, 2009:206-216). It seems that in this meeting, in addition to significant military-political issues, one of the main topics of the agreement was the safe movement of pilgrims under Alexander II (1574-1605) to Jerusalem and the "Holy Land" and the protection of the rights of Georgians in Jerusalem (Shashikadze, Makharadze, 2022:139). According to three decrees issued on January 15, 1579, Sultan Murad III (1574-1595) the Amira of Arzrum, Handan Agha, other Begs and the Beg of Jerusalem were ordered "not to stop or delay the Georgian pilgrims under any circumstances... From now on, I issued an order regarding the arrival of Christians in the service of Georgians to pray at the Holy Tomb of Christ in Jerusalem... Don't resist and don't treat them unfairly" (Documents preserved in Turkish archives... I, year 1, 2022: 105; Shashikadze, Makharadze, 2022:142). The governor of Jerusalem also ordered, "From now on, if anyone comes with the above-mentioned [Alexander's] sealed promissory note, no one should oppose him, go to the necessary places near Christ's tomb, visit them and return... Don't offend or frighten anyone" (Makharadze, Shashikadze, 2022:143). It is clear from the Sultan's decrees how difficult and dangerous it was for Georgians to pray in the "holy places" of Jerusalem and how important the protection of Georgians' rights in the "Holy Land" of the Kingdom of Kakheti was in this case.

It seems that Alexander II (1574-1605) still enjoyed the favour of the Ottomans and continued to provide material support to the Georgian monastic community in Jerusalem. His policy was continued by the heirs of the royal house of Kakheti in the XVII century. It should be noted that during the same period, King George II of Imereti

(1565-1586) and the Prince of Guria George Rostomi Gurieli (1564-1583; 1587-1600) tried to protect the rights of Georgians in Jerusalem, who appealed to Sultan Murad III (1574 -1595) with a request that the "shrines of the Georgian tribe" be protected in Jerusalem (Abuladze, 1987:90-92). On April 14, 1577, the sultan issued an order to study the facts of attacks and harassment carried out against Georgian shrines in Jerusalem by Catholics and Armenians and to take appropriate measures (documents preserved in Turkish archives... I, year 1, 2022: 98; Shashikadze, Makharadze, 2022:139). The analysis of the above-mentioned sources reveals that the Georgian kings and princes more or less successfully managed to protect the rights of Georgians and Christian shrines in the "Holy Land" in a foreign and hostile environment, and for this, they used the favourable political situation well; they pursued a tolerant policy towards the Muslims living in their territory; They took diplomatic steps with near or far neighbouring countries, despite different political, military-strategic and ideological interests.

### **Conclusion**

Thus, during the XVI century in the difficult political and ideological situation in Georgia and Jerusalem, the Kingdom of Kakheti was able to protect not only the rights of the Georgian monastic community of Jerusalem and Georgian churches-monasteries from the violence of Christians of different denominations and Ottoman officials, but also to a certain extent save common Christian shrines from destruction ("Christ's Tomb", Golgotha...). The financial resources sent from the Kingdom of Kakheti to the "Holy City" and the serfs donated on the spot were used to extend the work of Georgians on the "Holy Land", which was a traditional continuation of the national policy that Georgian society had been successfully implementing for centuries.

### **References:**

Abuladze, Ts. (1987). Ottoman Certificates for the History of the Georgian Colony in Jerusalem and Sinai. "Matsne" (History Series), 1, Tbilisi: Publishing House "Science".

- Bagrationi, T. (1848). History of Iberia. St. Petersburg.
- Gabashvili, T. (1956). Traffic. Preparation of the Manuscript for Publication, Research, Glossary and Appendix by El. Metreveli, Tbilisi: Publishing House "Science".
- Batonishvili, Vakhushti. (1973). Description of the Kingdom of Georgia, Life of Kartli, IV. The Text was Established according to All the Main Manuscripts by Kaukhchishvili. Tbilisi: Publishing House "Soviet Georgia".
- Documents about Georgia Preserved in Turkish Archives (Abbreviated Catalog), (2022). Documents were Searched, Processed and Georgian Summaries were Prepared by Makharadze M., Shashikadze Z., Kashia A., V. I, B.1, Tbilisi: Publishing House "Universali".
- Mamistvalishvili, E. (2009). Foreign Policy and Diplomacy of Georgia, Volume I, (XV-XVI Centuries), Tbilisi: Publishing House "Meridiani".
- Mamistvalishvili, E. (2016). Monastery of the Holy Cross of Jerusalem, Tbilisi: Publishing House "Samshoblo".
- Makharadze, M., Shashikadze, Z. (2022). Alexander the King of Kakhta and the Issue of Georgian Pilgrimage to Jerusalem, Oriental Studies, XI, Tbilisi: "Tbilisi State University Publishing House".
- Menabde, L. (1980). Centres of Ancient Georgian Writing, Vol. II, Tbilisi: "Tbilisi University Publishing House".
- Metreveli, E. (1962). Materials for the History of the Georgian Colony of Jerusalem, Tbilisi: Publishing House "Science".
- Metreveli, E. (2007). Philological-historical Researches, I, Tbilisi: Publishing House "Artanuji".
- Janen, R. (1992). Georgians in Jerusalem, Journal "Religia" №10, Tbilisi. Historical Central Archive of the National Archives of Georgia - SCA, Fund 1450, Register 51, Document 180.
- Essays on the History of Georgia (1973). T. IV, Tbilisi: Publishing House "Soviet Georgia".
- Peradze, G. (1995). Reports of Foreign Pilgrims about Georgian Monks and Georgian Monasteries in Palestine. History of the Georgian



- Church, Vol. IV, Prepared for Publication, with an Introduction and Notes by G. Japaridze, Tbilisi: Publishing House "Kandeli".
- Katamadze, Ts. (2013). Relations between South-West Georgia and the Georgian Colony of Jerusalem (XVI-XVIII centuries), Tbilisi: Publishing House "Universali".
- Georgian Christian Community in the Holy Land, (2022). Made up by Gagoshidze G., Kvirikashvili N., Tseradze T., Khoferia L., Janjalia M., Tbilisi: T. Mgaloblishvili Georgian Antiquities Search and Research Center Publishing House.
- Tsagareli, A. (1888). Monuments of Georgian Antiquity in the Holy Land and Sinai, PPS, vol. IV, no. I, St. Petersburg.
- Khutsishvili, N. (2007). Land Ownership of the Jerusalem Cross Monastery in Georgia, Tbilisi: Publishing House "Artanuji".
- Japaridze, G. (1994). Diplomatic Contacts between Georgia and Egypt at the beginning of the XIV-XVI Centuries according to Arabic Documents Found in Jerusalem, Georgian Diplomacy, Yearbook, I, Tbilisi: Publishing House "Tbilisi University".
- Japaridze, G. (2011). Beena Cholokashvili in Egypt and the Holy Land in 1512-1514, Historical Collection No. 1, Tbilisi: Publishing House "Mkhedari".
- Japaridze, G.(2018). Georgian Hermitages and Monastic Community in the Holy Land in the XI-XVIII Centuries (according to Arabic Narrative and Documentary Sources), Tbilisi: Publishing House "Meridian".



**მარკუს სამუელ-უმცროსის გაბედული ბიზნეს-გეგმა –  
ბათუმიდან სუეცის გავლით შორეული აღმოსავლეთისაკენ**

**ოლეგ ჯიბაშვილი**

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის  
ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.  
საქართველო, 6010. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. 32/35.  
+995 593 58 81 67. oleg.jibashvili@bsu.edu.ge  
ORCID: 0009-0007-3453-3920  
DOI: <https://doi.org/10.61671/hos.7.2024.7818>

**აბსტრაქტი**

აფშერონის ნახევარკუნძულზე მდებარე მდიდარი ნავთობ-საბადოების სამრეწველო ექსპლუატაცია XIX საუკუნის შუახანებში დაიწყო, მაგრამ ნავთობის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო მისი მოპოვების მასშტაბები დიდი არ იყო. 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად ბათუმი თავისი ღრმაწყლიანი ნავსადგურით რუსეთის იმპერიის ფარგლებში მოექცა, რაც პარიზელი როტშილდების დამსახურებაც იყო; 1883 წლიდან, ბათუმი-ბაქოს სარკინიგზო ხაზის ექსპლუატაციაში შესვლით, ბაქო-ბათუმის ნავთობ-სატრანსპორტო დერეფანიც ამოქმედდა. ბაქო-ბათუმის ურთიერთკავშირმა მათი სწრაფი სამრეწველო განვითარება და აფშერონის ნავთობის საექსპორტო მნიშვნელობის ზრდა განაპირობა. „რუსულმა“ (ბაქოს) ნავთობმა (როტშილდები, ნობელები და სხვ.) სერიოზული კონკურენცია გაუწია ამერიკულ ნავთობს (როკფელერები) ნავთობპროდუქტების მსოფლიო ბაზარზე.

„ნავთობის ომების“ ერთ-ერთი საინტერესო ეპიზოდი იყო ინგლისელი ებრაელის, მარკუს სამუელ-უმცროსის მიერ ჩატარებული გაბედული ბიზნეს-ოპერაცია. მან შეუკვეთა იმდროისათ-

ვის ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი ტანკერი „მურ-ექსი“ და ბათუმის ნავსადგურიდან, სუეცის არხის გავლით, როტმილდების კუთვნილი 4-ათას ტონაზე მეტი ნავთი შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებისკენ გააგზავნა. ეს იყო ნაოსნობის ისტორიაში პირველი და უპრეცედენტო შემთხვევა, რომელიც 1892 წლის აგვისტო-სექტემბერში განხორციელდა. ახალმა მარშრუტმა (სურ.1) მნიშვნელოვნად გაზარდა ბაქოს ნავთობის კოკურენტუნარიანობა და უზრუნველყო მისი დამკვიდრება აზიის ბაზარზე.

**საკვანძო სიტყვები:** ბაქოს ნავთობი; ბათუმის ნავსადგური; მარკუს სამუელ-უმცროსი; ტანკერი „მურექსი“; სუეცის არხი.

### **შესავალი**

ბათუმის ნავსადგური ერთ-ერთი საუკეთესოა შავი ზღვის აუზში. იგი არის ღრმა და ქარებისაგან ბუნებრივად დაცული მოხერხებული ყურე. XIX საუკუნის მანძილზე რუსეთის იმპერია დაჟინებით ცდილობდა მის დაუფლებას და საყრდენ პლაცდარმად გადაქცევას, საიდანაც შემდგომი ექსპანსია განხორციელდებოდა ბოსფორ-დარდანელის მიმართულებით. 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგებით ბათუმი რუსეთის ხელში გადავიდა. როგორც მოვლენების განვითარებამ აჩვენა, რუსეთის იმპერიისათვის მას არა მარტო სტრატეგიული, არამედ დიდი სავაჭრო-ეკონომიკური მნიშვნელობაც გააჩნდა. სწორედ ბათუმი გადაიქცა ბაქოს ნავთობის აკუმულაციისა და ექსპორტზე გატანის მთავარ ცენტრად. მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც მარკუს სამუელ-უმცროსმა ნავთობის ექსპორტის ახალი მარშრუტი გახსნა ბათუმიდან – სუეცის არხის გავლით – შორეული აღმოსავლეთისაკენ. XIX საუკუნის 80-90-იან წლებში ბათუმი აქტიურად აღმოჩნდა ჩართული ე.წ. „ნავთობის ომებში“ და, არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, მნიშვნელოვნად შეცვალა მალთა ბალანსი ნავთობპროდუქტების მსოფლიო ბაზარზე.

ბათუმის ისტორიის ამ ეტაპს საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს ქართულ ისტორიოგრაფიაში.

### **მეთოდები**

კვლევა, ძირითადად, ეყრდნობა უცხოენოვანი ლიტერატურის მონაცემებს. კვლევის პროცესში გამოვიყენეთ ისტორიოგრაფიაში აპრობირებული აღწერილობით-ნარატიული, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები.

### **შედეგი**

კვლევის შედეგად გამოიკვეთა ბათუმის ნავსადგურის განსაკუთრებული როლი ბაქოს ნავთობის საექსპორტო მნიშვნელობის ზრდის საქმეში. მარკუს სამუელ-უმცროსის კუთვნილმა სუპერ-ტანკერმა „მურექსმა“, რომელმაც სათავე დაუდო სუეცის არხში ნავთობმზიდი ტანკერების მოძრაობას და ბაქოს ნავთობპროდუქტების ფართომასშტაბიან ექსპორტს შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში, სწორედ ბათუმის პორტიდან აიღო სტარტი. აშკარად ჩანს, რომ XIX საუკუნის 80-90-იან წლებში ბათუმი განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ნავთობინდუსტრიის სფეროში, რაც მის სწრაფ ეკონომიკურ განვითარებას უზრუნველყოფს. წარსულის გამოცდილების სიღრმისეული გააზრება და სწორი დასკვნების გამოტანა წარმატებული მომავლის მყარი საფუძველია. ბათუმს დღესაც აქვს შანსი მსხვილი დამაკავშირებელი რგოლი გახდეს კასპიისა და შავი ზღვების რეგიონებს შორის და ამით მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებელი მიიღოს.

### **მსჯელობა**

კასპიის ზღვაში შეჭრილი აფშერონის ნახევარკუნძული უხვად არის დაჯილდოებული ნავთობის მდიდარი საბადოებით. ნავთობი ძველთაგანვე გამოიყენებოდა სხვადასხვა მიზნით, ბაქოს მიდამოებში სამრეწველო მასშტაბებით მისი მოპოვება კი, ძირითადად, XIX საუკუნის შუახანებში დაიწყო. ბაქო, აფშერონი და მთლიანად შირვანი იმ დროისთვის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა.

1870-იან წლებში ნავთობსამრეწველო საქმიანობის მოცულობა აფშერონზე თანდათან გაიზარდა (Мир-Бабаев, 2009: 34), მაგრამ განვითარების ტემპი დიდი არ იყო. ნავთობის მხოლოდ

მოპოვების შესაძლებლობა ბევრს არაფერს ნიშნავდა. აფშერონის უმდიდრესი ნავთობსარეწების ფართომასშტაბიანი ექსპლუატაცია რომ დაწყებულიყო, საჭირო იყო ნავთობისა და ნავთობპროდუქტების სათანადო რეალიზაციის შესაძლებლობა თუნდაც შიდა ბაზარზე, უკეთეს შემთხვევაში კი მათი ექსპორტზე გატანა. იმდროინდელი ტექნიკური და გეოგრაფიული პირობები ამ მხრივ სერიოზულ დაბრკოლებებს ქმნიდა. ცენტრალურ რუსეთში ნავთობის ტრანსპორტირება ყველაზე იაფად, მცურავი საშუალებების გამოყენებით, კასპია-ვოლგის გზით იყო შესაძლებელი. ერთ-ერთი მონაცემით, 1873 წელს 1 ფუთი ნავთობის გაგზავნა ბაქოდან ნიჟნი-ნოვგოროდში ღირდა 40 კაპიკი (1 ფუთი = 16,38 კგ-ს), ხოლო აქედან რომ ნავთობს მოსკოვამდე ან პეტერბურგამდე მიეღწია, კიდევ დამატებითი თანხები იყო საჭირო. ეს მაშინ, როცა იგივე 1 ფუთი ნავთობი პენსილვანიიდან (აშშ) პეტერბურგში როკფელერების ოჯახს დაახლოებით 30 კაპიკად ჩამოჰქონდა ზღვით (История нефтеперевозок., 2021). ამდენად, 1870-იანი წლების პირველ ნახევარში „რუსული“ ნავთობი და ნავთობპროდუქტები ამერიკულს არა თუ მსოფლიო, რუსეთის შიდა ბაზარზეც ვერ უწევდა ჯეროვან კონკურენციას. თქვენ წარმოიდგინეთ, „თბილისში უფრო იაფი იყო ნავთობის იმპორტი 8-ათასი მილით დაშორებული ამერიკიდან (1 ამერიკული მილი = 1,609344 კმ-ს), ვიდრე ბაქოდან შეტანა, რომელიც მისგან აღმოსავლეთით 341 მილის მანძილზე მდებარეობდა“ (Ергин, 2018:69). ტრანსპორტირების საშუალებებიც, ზოგადად, პრიმიტიული იყო და ვერ უზრუნველყოფდა დიდი რაოდენობით ნავთობის გადაზიდვას. ამის გამო ადგილზე ხშირად გროვდებოდა ნავთობი, რომლის გატანაც არ ხერხდებოდა. მას ზღვაში უშვებდნენ და წვავდნენ. ასეთი მდგომარეობა ნავთობმრეწველობის ნორმალურ განვითარებას აფშერონზე ხელს ვერ შეუწყობდა.

1870-იანი წლების მეორე ნახევრიდან სიტუაცია ნელ-ნელა შეიცვალა. 1873 წლიდან ბაქოს ნავთობით ძმები ნობელები დაინტერესდნენ. 1875-1876 წლებში მათი საქმიანობა აფშერონზე საკმაოდ გააქტიურდა, ხოლო 1879 წელს ძმებმა ბარონ პ.ა. ბილდერლინგთან და სხვა, უფრო წვრილ აქციონერებთან ერთად დაა-

რსეს სააქციო საზოგადოება „მშენებელი ნავთობის მწარმოებელი ამხანაგობა“ (Товарищество нефтяного производства братьев Нобель) (Двадцатипятилетие деятельности..., 1904: 16-18, 23-24). 1918 წლამდე იგი ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ნავთობსამრეწველო კომპანია იყო რუსეთის იმპერიაში, რომელსაც შემოკლებით „ბრანობელს“ უწოდებდნენ. კასპია-ვოლგაზე ნავთობის ტრანსპორტირების უკეთ ორგანიზებას და სატრანსპორტო საშუალებების გაუმჯობესებას ნობელებმა დიდი ყურადღება დაუთმეს. ამით მდგომარეობა ნაწილობრივ გაუმჯობესდა, მაგრამ მარშრუტის სიძვირის გამო ნავთობის თვითღირებულება მაინც მაღალი რჩებოდა.

კარგად გათვლილი მოქმედებებით, ნობელებმა როკველერები რუსეთის შიდა ბაზრიდან კი გააძევეს, მაგრამ მსოფლიო ბაზარზე მათი პოზიციები კვლავ მყარი იყო. როკველერების მსოფლიო მონოპოლიას საფრთხე მას შემდეგ დაემუქრა, რაც 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად ჯერ ბათუმი მოექცა რუსეთის იმპერიის ფარგლებში თავისი ღრმა და ბუნებრივად დაცული ნავსადგურით, ხოლო შემდეგ, 1883 წლიდან, ბათუმი-ბაქოს სარკინიგზო ხაზის ექსპლუატაციაში შესვლით, ბაქო-ბათუმის ნავთობ-საექსპორტო დერეფანი ამოქმედდა. ბათუმისა და ბაქოს ბედი ერთმანეთს მჭიდროდ დაუკავშირდა – რკინიგზით ადვილად ხელმისაწვდომმა ბათუმის ნავსადგურმა ბაქოს ნავთობის საექსპორტო მნიშვნელობა უსწრაფესად გაზარდა და ნავთობმრეწველობის განვითარებას აფშერონის ნახევარკუნძულზე ამით მძლავრი ბიძგი მისცა. ერთ-ერთი მონაცემით, თუ 1874 წელს რუსეთში ამოქაჩეს 600 000 ბარელი ნავთობი (1 ბარელი = 159 ლიტრს ანუ დაახლ. 134,8-136,4 კგ-ს), ათწლეულის შემდეგ, 1884 წელს, ამ მაჩვენებელმა 10,8 მილიონ ბარელს მიაღწია, რაც ამერიკაში იმდროისათვის მოპოვებული ნავთობის თითქმის მესამედს უტოლდებოდა (Ергин, 2018:69). აქედან ლომის წილი აფშერონის საბადოებზე მოდიოდა და ეს მაჩვენებელი თანდათან იზრდებოდა. თავის მხრივ, ბაქოს ნავთობის ბათუმიდან ექსპორტირების შედეგად, ბათუმი – ოდესღაც მეთევზე-

ებისა და კონტრაბანდისტების უბადრუკი დასახლება – მზარდ სავაჭრო-სამრეწველო ცენტრად გადაიქცა.

საინტერესოა, რომ, როგორც დგინდება, ბათუმი-ბაქოს სამრეწველო კავშირის სარგებლიანობა ჯერ კიდევ 1870-იან წლებში შეუმჩნევია ფინანსური სამყაროს ისეთ მსხვილ წარმომადგენელს, როგორც როტშილდების პარიზის საბანკო სახლი იყო. ბერლინის კონგრესზე (1878 წ.) სწორედ როტშილდების კულუარულმა ჩარევამ გადაწყვიტა საბოლოოდ ბათუმის ბედი და, ოსმალეთისა და დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგობის მიუხედავად, იგი რუსეთს გადაეცა (Jibashvili, 2023:360-361). შემდეგაც, ამ სახლის წევრები, მათ შორის ბარონი ალფონს როტშილდი, დიდ ყურადღებას უთმობდნენ ბათუმი-ბაქოს ნავთობ-საექსპორტო დერეფნის გამართული ფუნქციონირებისა და გამტარუნარიანობის ზრდის საკითხს. მრეწველებმა პალაშკოვსკიმ და ბუნგემ, რომლებიც ბაქო-ბათუმის რკინიგზის მშენებლობის კონცესიებს ფლობდნენ, ფინანსური კრიზისიდან თავის დაღწევა და მშენებლობის დასრულება სწორედ ალფონს როტშილდის დახმარებით შესძლეს. რკინიგზამ „რუსულ“ (ბაქოს) ნავთობს ფართოდ გაუხსნა გზა დასავლეთისაკენ და მან მძლავრად შეუტია ამერიკულს. ნავთობის მსოფლიო ბაზარზე გაბატონებისათვის 30-წლიანი მძაფრი ბრძოლა დაიწყო (Ергин, 2018:70). ბრძოლაში ჩართული იყვნენ როკფელერები, როტშილდები, ნობელები და სხვა მსხვილი ნავთობ-მრეწველები. ბათუმი ამ დაპირისპირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. „თუ ნავთობი დედოფალია, მაშინ ბაქო მისი ტახტი არისო“ – მოსწრებულად შენიშნავდა უინსტონ ჩერჩილი. ჩვენი მხრიდან დავუმატებდით, რომ აფშერონელი დედოფლისათვის ბათუმი იმ ფართო კარიბჭედ გადაიქცა, რომლის საშუალებითაც მან თავისი ეკონომიკური გავლენა მსოფლიო მასშტაბით განავრცო. სწორედ ბათუმის ნავსადგურის წყალობით გავიდა ბაქოს ნავთობი მსოფლიო ასპარეზზე და გასაღების ბაზრებში შეეცილა როკფელერების პროდუქციას.

ბარონმა ალფონს როტშილდმა დიდი თანხა ჩადო რკინიგზის ხაზის მშენებლობაში, სანაცვლოდ შეღავათები მიიღო ნავ-

თობის მოპოვების ბიზნესში აფშერონის ნახევარკუნძულზე. მას გააჩნდა ვაგონ-ცისტერნების დიდი რაოდენობა და ბაქო-ბათუმის სარკინიგზო ხაზზე სარგებლობდა პრივილეგიებით. მალე, 1886 წელს, მანვე შეისყიდა პალაშკოვსკი-ბუნგეს მიერ დაარსებული „ბათუმის ნავთობსამრეწველო და სავაჭრო საზოგადოება“ (БНИТО) და მის ბაზაზე შექმნა „კასპია-შავი ზღვის ნავთობსამრეწველო და სავაჭრო საზოგადოება“. როტშილდის კომპანია მსხვილ საწარმოებს და კაპიტალდაბანდებებს ფლობდა როგორც ბაქოში, ისე ბათუმში. იგი სიმძლავრით ერთ-ერთი პირველთაგანი გახდა ბაქო-ბათუმის ნავთობსამრეწველო სივრცეში (Сендов, 2009: 103-106; Полонский, 1996: 171). როტშილდები, ძირითადად, ორიენტირებული იყვნენ ნავთობპროდუქტების ექსპორტზე, რაც ბათუმის ნავსადგურით ხორციელდებოდა და ყოველწლიურად იზრდებოდა. 1884 წელს ექსპორტზე გაიტანეს 2,4 მილ. ფუთი ნავთობპროდუქტი, 1889 წელს კი ეს ციფრი 30 მილ. ფუთამდე გაიზარდა. ამ დროისათვის როტშილდების ოჯახი პირველ ადგილზე იდგა ექსპორტზე გატანილი პროდუქციის მოცულობის მიხედვით (Мир-Бабаев, 2009: 102). სწორედ ნავთობის ექსპორტისა და ტრანსპორტირების საკითხმა დააკავშირა ერთმანეთს როტშილდი და ბრიტანელი ებრაელი მარკუს სამუელ-უმცროსი.

მარკუს სამუელ-უმცროსი ერაყიდან ევროპაში ემიგრირებული ებრაული ოჯახიდან იყო. სამუელები საბოლოოდ ინგლისში, ქალაქ ბრაიტონში დამკვიდრდნენ, ხოლო მარკუსის მამა – მარკუს სამუელ-უფროსი – მცირე სავაჭრო ფარდულის მფლობელი გახდა ლონდონის ტაუერის მახლობლად. იგი თავიდან მეზღვაურებისაგან შეძენილი ეგზოტიკური ნიჟარებით ვაჭრობდა, ფარდულსაც ნიჟარის გამოსახულებიანი აბრა ამშვენებდა. გარკვეული ხნის შემდეგ, სამუელ-უფროსის შეკვეთით, გემებმა სხვადასხვა კოლონიური საქონლის ჩამოტანა დაიწყეს ინდოეთიდან და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებიდან, უკანა გზაზე კი ინგლისური პროდუქცია მიჰქონდათ. ექსპორტ-იმპორტის სიმბიოზზე დამყარებული ასეთი ბიზნესი საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა (Руденко, 2018; Маркус Семюэл..). გარდაცვალების შემდეგ მარკუს სამუელ-უფროსმა თავის შვილებს – მარ-



კუს სამუელ-უმცროსსა და სამუელ სამუელს საკმაოდ მოზრდილი ქონება და, რაც მთავარია, აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში კონტაქტების ფართო ქსელი დაუტოვა. აზიის სანაპიროებზე დამკვიდრებულ, ევროპული (ძირითადად, შოტლანდიური) წარმოშობის პარტნიორებთან სამუელ-უფროსს ნდობით განმტკიცებული სავაჭრო ურთიერთობები გააჩნდა, რამაც შვილებს საოჯახო ბიზნესის გაგრძელება გაუადვილა.

მარკუს სამუელ-უმცროსი დაიბადა 1853 წელს, ხოლო 1869 წელს, 16 წლის ასაკში, სამსახური დაიწყო მამასთან ბუდალტერიაში. ამ დროისათვის მას უკვე მიღებული ჰქონდა სათანადო განათლება ბრიუსელსა და პარიზში. იმავე 1869 წელს ექსპლუატაციაში შევიდა სუეცის არხი, რომელმაც 4-ათასი მილით შეამცირა ევროპიდან აღმოსავლეთ აზიისაკენ მიმავალი საზღვაო გზა, ხოლო შორეულ ამერიკაში მარკუსზე 14 წლით უფროსმა ჯონ როკველერმა ნავთობინდუსტრიის მონოპოლიზირების 10-წლიანი კამპანია წამოიწყო (Ергин, 2018:73-74). ჯონ როკველერმა ძმასთან, უილიამთან ერთად 1870 წელს კომპანია Standard Oil-ი (Standard Oil Company and Trust) დააარსა და მოკლე დროში ნავთობპროდუქტების მსოფლიო ბაზარზე გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა. შემდგომში მარკუს სამუელ-უმცროსი, ჯონ როკველერი და სუეცის არხი ფატალურ კავშირში აღმოჩნდნენ ერთმანეთთან.

მშებმა სამუელებმა, რომელთა შორის მარკუსი ლიდერობდა, მამის სამიანობა წარმატებით გააგრძელეს და მიუხედავად იმისა, რომ დიდი კაპიტალი არ გააჩნდათ, აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში, მათ შორის იაპონიაში, ფეხი მყარად მოიკიდეს. ისინი ფლობდნენ ორ კომპანიას – „M. Samuel & Co“-ის ლონდონში და „Samuel Samuel & Co“-ის იოკაჰამაში (მოგვიანებით გადავიდა ქალაქ კობეში), აქტიურად თანამშრომლობდნენ აღმოსავლეთ-აზიურ სავაჭრო სახლებთან, რომლებთანაც ჯერ კიდევ სამუელ-უფროსმა დაამყარა კავშირები, ხოლო საქონლის გადასატანი გემების დაფრახტვაში ძირითადად სარგებლობდნენ სამაკლერო ფირმის „Lane & McAndrew“-ის მომსახურებით. ამ ფირმის უფრ-

ოსი პარტნიორი ფრედი ლეინი მჭიდრო კონტაქტში იყო მარკუსთან (Ергин, 2018:74-75).

1890 წელს მარკუსს სამუელ-უმცროსი და ფრედი ლეინი ბაქოში ჩავიდნენ. ეს იყო მარკუსის პირველი ვიზიტი რუსული ნავთობინდუსტრიის ცენტრში. ამ დროისათვის აქ ყოველდღიურად 60-ათას ბარელ (დაახლოებით 8-ათასი ტონა) ნავთობს მოიპოვებდნენ. ეს, ძირითადად, ნობელებისა და როტშილდების დამსახურება იყო (Мир-Бабаев, 2009: 51; Базаров, 2002).

მარკუსი ბაქოში შემთხვევით არ მოხვედრილა. 1880-იანი წლების ბოლოსთვის ნავთობმრეწველობა აფშერონზე საკმაოდ კარგად ვითარდებოდა, მაგრამ სულ უფრო მწვავედ დგებოდა პროდუქციის გასაღების პრობლემა. ნობელები ექსპორტს შედარებით ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ და, ძირითადად, რუსეთის შიდა ბაზრის ათვისებით იყვნენ დაკავებული. აი როტშილდებისთვის კი ნავთობპროდუქტების ექსპორტზე გატანას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. ევროპის ბაზარი როკფელერებს მყარად ეკავათ. მათ კარგად გამართული სავაჭრო ქსელი ჰქონდათ და ატლანტიკის გზით ევროპელ მომხმარებელს სწრაფად და იაფად აწვდიდნენ ამერიკულ ნავთობპროდუქტებს. როტშილდები გამოსავალს აზიის მზარდი ბაზრის ათვისებაში ხედავდნენ, თუმცა, ჯერ-ჯერობით, აქაც როკფელერები დომინირებდნენ. მიზნის მისაღწევად საჭირო იყო დიდი რაოდენობით ნავთობპროდუქტის სწრაფი და იაფი ტრანსპორტირების უზრუნველყოფა აზიურ ქვეყნებში. როტშილდები ფრედი ლეინის სამაკლერო ფირმას დაუკავშირდნენ ლონდონში, მან კი ისინი თავის კლიენტთან და მეგობართან – მარკუს სამუელ-უმცროსთან დააკავშირა (Ергин, 2018:72-73).

ფრედი ლეინი და მარკუს სამუელ-უმცროსი, როგორც ითქვა, 1890 წელს ბაქოში ჩავიდნენ და მდგომარეობას ადგილზე გაეცნენ. შემდეგ მარკუსი შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში გაემგზავრა. იქ თავის პარტნიორ სავაჭრო სახლებთან მოლაპარაკებები გამართა და დაითანხმა ისინი გაბედული ბიზნეს-გეგმის თანადაფინანსებაზე. გეგმა აზიური ბაზრებიდან როკფელერების განდევნას ითვალისწინებდა. მარკუსს კარგად ესმოდა

როკველერებთან კონკურენციის მთელი სერიოზულობა და მომავალი დაპირისპირებისათვის საფუძვლიანად ემზადებოდა. ერთი მხრივ, თავის პარტნიორებთან ერთად, იგი აღმოსავლეთ-აზიურ ქვეყნებში ნავთობსაცავების მშენებლობას და ვაგონ-ცისტერნების მომარაგებას, მეორე მხრივ კი იმდროისათვის სუპერთანამედროვე კონსტრუქციის ნავთობ-ტანკერების აგებას და ნავთობპროდუქტების იაფი ტრანსპორტირებისათვის შესაფერისი გზების ძიებას შეუდგა. მარკუსმა ყველა ამოცანას თავი წარმატებით გაართვა – ნავთობსაცავებიც აიგო როგორც სანაპირო ქალაქებში, ისე ხმელეთის სიღრმეში და ნავთობპროდუქტების იაფი და სწრაფი ტრანსპორტირების საკითხიც გადაიჭრა. 1891 წელს მან 10-წლიანი კონტრაქტიც გააფორმა როტშილდების კომპანიასთან, რომლის ძალითაც მას ეძლეოდა ესკლუზიური უფლება როტშილდების ნავთობი და ნავთობპროდუქტები სუეცის არხის აღმოსავლეთით გაეყიდა (Ергин, 2018:75-76; Базаров, 2002).

განსაკუთრებით საინტერესოა, თუ როგორ გადაჭრა მარკუს სამუელ-უმცროსმა ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირების საკითხი.

1890-იანი წლების დასაწყისისათვის ტანკერი, როგორც თხევადი ტვირთის გადამზიდი საშუალება, სიახლე იყო მსოფლიო საზღვაო ფლოტში და არსებობის 20-წლიან ისტორიასაც არ მოითვლიდა. მარკუსის გამჭრიახმა გონებამ სწორად შეაფასა ტანკერის, როგორც ტვირთმზიდი საშუალების შესაძლებლობები და თავის გაბედულ გეგმაში მას მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო.

სამუელ-უმცროსმა შეუკვეთა რვა ისეთი ტანკერის აგება, რომლებიც თავიანთი აღჭურვილობებითა და ტექნიკური მახასიათებლებით ბევრად უსწრებდნენ ანალოგიური სახის თანადროულ გემებს. თითოეული ასეთი ტანკერის სრული ტვირთამწეობა ანუ დედვეიტი (ინგ. deadweight) უდრიდა 4-ათასს ტონას, რაც ძალიან დიდი მაჩვენებელი იყო იმ დროისათვის (Руденко, 2018). გარდა ამისა, შესაძლებელი იყო მათი ტრიუმების ორთქლით გაწმენდა-დამუშავება და ნავთობის ტრანსპორტირების შემდეგ მათი გამოყენება სხვა ტვირთის, მათ შორის საკვები პროდუქტის გადასატანად. რაც მთავარია, მარკუსის ტანკერების

დაპროექტება-აღჭურვის დროს მაქსიმალურად იყო გათვალისწინებული უსაფრთხოების საკითხი და ამ მხრივ მათთან ახლოსაც ვერ მოვიდოდნენ Standard Oil-ის ტანკერები, რომლებიც ამერიკა-ევროპას შორის მოძრაობდნენ (Ергин, 2018: 76).

სამუელ-უმცროსის სუპერ-ტანკერები დააპროექტა უაღრესად ნიჭიერმა ინგლისელმა სამხედრო-საზღვაო ინჟინერმა და არქიტექტორმა ჯეიმს ფორტესკიუ ფლანერმა (James Fortescue Flannery), რომელიც შემდგომში ცნობილი გახდა როგორც სერ ჯეიმს ფორტესკიუ ფლანერი, ლიბერალი და დიდი ბრიტანეთის პარლამენტის წევრი (Кумминс, Бизант, 2007: 37).

პირველი სუპერ-ტანკერი „მურექსი“ (Murex) წყალში ჩაუშვეს 1892 წლის 28 მაისს. მას სახელი ერთ-ერთი სახეობის ნიჟარის ლათინური სახელწოდების მიხედვით დაარქვეს (ეს ტენდენცია შემდგომში დამახასიათებელი გახდა ძმები სამუელებისათვის). იგი აიგო „William Gray & Company“-ის №442 ვერფში, ქალაქ უესტ-ჰართლპულში (West Hartlepool). მისი ზომები იყო 338,0 / 43,0 / 26,4 ფუტი (1 ფუტი = 0,3048 მ). 1892 წლის ივლისში „მურექსი“ სრულიად დასრულდა და მზად იყო ექსპლუატაციისათვის (MUREX tanker 1892, 2009).

გემთმშენებლობის პარალელურად მარკუსი ცდილობდა მოეპოვებინა სუეცის არხში გავლის უფლება. ამ დროისათვის ნავთობ-პროდუქტების გადამზიდი ტანკერებისათვის არხი დახურული იყო, ვინაიდან გემებზე არსებული უსაფრთხოების დაცვის სუსტი დონე ვერ უზრუნველყოფდა უბედური შემთხვევების შედეგად გამოწვეული აფეთქებების თავიდან აცილებას, რასაც შეეძლო არხის განადგურება გამოეწვია. აკრძალვამ მარკუსი ვერ შეაჩერა. მან გამოიყენა მის ხელთ არსებული ყველა საშუალება და ბერკეტი, რომ მიზნისათვის მიეღწია. მარკუსს მხარს უჭერდა როტმილდების საგვარეულოს როგორც პარიზის, ისე ლონდონის შტო. აღსანიშნავია, რომ სწორედ ლონდონელმა როტმილდებმა დააფინანსეს თავის დროზე პრემიერ-მინისტრ ბენჯამინ დიზრაელის (Benjamin Disraeli) მიერ სუეცის არხის კომპანიის საკონტროლო პაკეტის შესყიდვა. გარდა ამისა, მას მხარს უჭერდა ბრიტანეთის ხელისუფლებაც, რომელიც მიესალმებოდა, თუ არ-

ხში პირველად ინგლისური ტანკერი გაივლიდა – ეს ლონდონის გავლენას კიდევ უფრო განამტკიცებდა. საბოლოოდ, მიუხედავად გარკვეული მცდელობისა, ხელი შეეშალათ მარკუსისათვის, მან გამარჯვების მოპოვება მოახერხა: არხის ადმინისტრაციის მიერ მოთხოვნილი უსაფრთხოების ნორმები „საოცრად დაემთხვა“ „მურექსის“ ტექნიკურ მახასიათებლებს და ლონდონის სადამზღვევო კორპორაცია „Lloyd“-მაც ახალი ტანკერის კონსტრუქცია საიმედოდ ცნო (Ергин, 2018: 76-77; Кумминс, Бизант, 2007: 36-37; Руденко, 2018).

1892 წლის 5 იანვარს მარკუს სამუელ-უმცროსმა მიიღო სუეცის არხში ნავთობმზიდი ტანკერის გატარების სანუკვარი ნებართვა (Ергин, 2018: 77-78; Кумминс, Бизант, 2007: 37).

მოსამზადებელი სამუშაოების წარმატებით დასრულების შემდეგ, 1892 წლის ივლისის თვეში, კაპიტან ჯონ რ.კუდონის (John R. Coudon) მეთაურობით, „მურექსმა“ უესტ-ჰართლპულიდან გეზი ბათუმის ნავსადგურისკენ აიღო (MUREX tanker 1892, 2009).

ბათუმში „მურექსი“ როტშილდის ნავთით დაიტვირთა და ბოსფორ-დარდანელის გავლით სუეცის არხისკენ გაემართა. ზოგიერთი ავტორის ცნობით 1892 წლის 23 აგვისტოს (Ергин, 2018: 78; Кумминс, Бизант, 2007: 38), ხოლო სხვა ცნობით 24 აგვისტოს (MUREX tanker 1892, 2009), მან მშვიდობიანად გაიარა სუეცის არხი და ცურვა სინგაპურის მიმართულებით გააგრძელა. ეს იყო პირველი ასეთი შემთხვევა ნაოსნობის ისტორიაში.

„მურექსმა“ თავისი ტვირთის ნაწილი სინგაპურთან ახლოს, ერთ-ერთ კუნძულზე დატოვა, დანარჩენი კი ბანგკოკში ჩაიტანა (Ергин, 2018: 78). მარკუს სამუელ-უმცროსის გენიალური გეგმა წარმატებით დაგვირგვინდა. მოკლე გზამ, მოდერნიზებულმა ტრანსპორტმა და კარგად ორგანიზებულმა სავაჭრო ქსელმა ბაქოს ნავთობი იაფი და ხელმსაწვდომი გახადა აზიელი მომხმარებლისათვის. მალე მარკუსმა სუპერ-ტანკერების მთელი ფლოტილია ჩაუშვა წყალში. კონკურენტების მოძველებული გემები მათ ვერ შეედრებოდნენ. როკფელერების ტახტი შეირყა.

1897 წელს ძმებმა სამუელებმა ძველი კომპანიების ბაზაზე ახალი კომპანია დააარსეს, სახელად „The «Shell» Transport and Trading Company“ – „სატრანსპორტო-სავაჭრო კომპანია Shell-ი“, შემოკლებით უბრალოდ „Shell“-ი (ინგ. ნიჟარა). ძმებმა ასეთი სახელი კომპანიას მამის და მისი პირველი საქმიანობის ხსოვნის საპატივცემულოდ დაარქვეს. „Shell“-ი აგრძელებდა მარკუს სამუელ-უმცროსის ეკონომიკურ პოლიტიკას და წარმატებით ამარაგებდა აზიის მოსახლეობას ნავთობპროდუქტებით ადანადან ვლადივოსტოკამდე.

### **დასკვნა**

XIX საუკუნის 80-90-იან წლებში აფშერონის ნახევარკუნძულზე ნავთობინდუსტრიის სწრაფი ტემპით განვითარებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა ბათუმის ღრმა და ბუნებრივად დაცულმა ნავსადგურმა. ბათუმი 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად აღმოჩნდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის როტმილდების პარიზული შტოს წარმომადგენელთა ბიზნეს-ინტერესებს – მათ ბათუმის ნავსადგური ბაქოს ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მსოფლიო ბაზარზე ექსპორტირებისათვის სჭირდებოდათ. რუსეთის ფარგლებში მოქცეული ბაქო-ბათუმის ნავთობსატრანსპორტო დერეფანი მართლაც სწრაფად ზრდის ბაქოს ნავთობის საექსპორტო მნიშვნელობას. ბათუმი ჩართული აღმოჩნდა როკფელერებს, როტმილდებს, ნობელებსა და სხვა ნავთობმაგნატებს შორის ნავთობპროდუქტების გასაღების მსოფლიო ბაზრისათვის გამართულ ბრძოლაში.

აღნიშნული ბრძოლის ერთ-ერთი გახმაურებული ეპიზოდი იყო ინგლისელი ებრაელის, მარკუს სამუელ-უმცროსის მიერ იმდროისათვის სუპერთანამედროვე ტანკერ „მურექსით“ ნავთის ტრანსპორტირება ბათუმის პორტიდან, სუეცის არხის გავლით, შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებისაკენ. ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა, რამაც საგრძნობლად გაზარდა ბაქოს ნავთობის საექსპორტო და ბათუმის ნავსადგურის სატრანზიტო მნიშვნელობა. როკფელერების გაბატონებულმა მდგომარეობამ მსოფლიო ბაზარზე სერიოზული დარტყმა განიცადა.

## გამოყენებული ლიტერატურა:


- Jibashvili O. (2023). *The Results of the Russian-Ottoman War of 1877-1878 and Batumi*. “HERIPRENEURSHIP – Sustainable Tourism, Heritage Management and the Cultural and Creative Industries: Creating New Investment Opportunities at Places of Cultural Significance” (Proceedings of an International Conference), Tulcea, Mega Publishing House, pp. 355-362. <https://biblioteca-digitala.ro/?volum=22010-heripreneurship-sustainable-tourism-heritage-management-and-the-cultural-and-creative-industries-creating-new-investment-opportunities-at-places-of-fundatia-universitara-dunarea-marea-neagra-2023> (20.02.2024).
- MUREX tanker 1892* (2009). The Ship Stamp Society. Encyclopedia and Forum. <https://shipstamps.co.uk/forum/viewtopic.php?t=5746&sid=44d07c71b381d404cf5ac0f53d69c8c9> (19.02.2024).
- Базаров В. (2002). *Столетний моллюск*. Журнал «Компания», 25.03.2002, №207 (11). <https://ko.ru/articles/stoletniy-mollyusk-108051/> (17.02.2024)
- Двадцатипятилетие деятельности товарищества нефтяного производства братьев Нобель. 1879-1904* (1904). Санкт-Петербург. Издательство «т-во Р. Голике и А. Вильборг».
- Ергин Д. (2018). *Добыча. Всемирная история борьбы за нефть, деньги и власть*. Москва. Издательство «Альпина Паблишер».
- История нефтеперевозок. От танкеров с бакинской нефтью до современных монстров* (2021). Блог компании Маклауд. Научно-популярное. Транспорт. <https://habr.com/ru/companies/macloud/articles/558374/> (17.02.2024).
- Кумминс Я., Бизант Д. (2007). *Shell шокирует мир. Секреты и спекуляции нефтяного гиганта*. С-Петербург. Издательство «Вершина». <https://www.libfox.ru/116949-yan-kummins-shell-shokiruet-mir.html> (20.02.2024). <file:///C:/Users/gia/Downloads/116949-www.libfox.ru.pdf> (20.02.2024).

Маркус Сэмюэл, 1-й виконт Бирстед. <http://lnjewishimprints.info/LS/Samuel%20M.htm> (18.02.2024).

Мир-Бабаев М.-Ю. (2009). *Краткая история азербайджанской нефти*. Ваку, «Азернешр». <https://www.twirpx.com/file/628620/> (1.03.2024).

Руденко Г. (2018). *Еврейский нефтяной король*. <https://jewish.ru/ru/people/business/187311/> (26.02.2024).

სურ. 1. „მურექსის“ გზა ინგლისიდან ბათუმში და ბათუმიდან, სუეცის გავლით, ბანგკოკისაკენ (Ергин, 2018:79).







ისტორია, პოლიტიკა, წყაროთმცოდნეობა  
**HISTORY, POLITICS, PRIMARY SOURCE STUDIES**

---

---

**Marcus Samuel Junior's Bold Business Plan – from  
Batumi to the Far East Via Suez**

**Oleg Jibashvili**

PhD History, Senior Scientific Researcher,  
Niko Berdzenishvili Institute  
of Batumi Shota Rustaveli State University.  
Georgia, 6010. Batumi, Rustaveli/Ninoshvili str. 32/35.  
+995 593 58 81 67. oleg.jibashvili@bsu.edu.ge  
ORCID: 0009-0007-3453-392  
DOI: <https://doi.org/10.61671/hos.7.2024.7818>

**Abstract**

Industrial exploitation of the rich oil fields located in the Absheron Peninsula began in the middle of the 19th century. However due to problems with oil transportation, the scale of its extraction was not large. As a result of the Russo-Ottoman War of 1877-1878, Batumi with its deep-water harbor became part of the Russian Empire, which was also thanks to the Parisian Rothschilds; since 1883, with the commissioning of the Batumi-Baku railway line, the Baku-Batumi oil-transport corridor was put into operation. The connection between Baku and Batumi led to their rapid industrial development and an increase in the export importance of Absheron oil. "Russian" (Baku) oil (Rothschilds, Nobels, etc.) seriously competed with American oil (Rockefellers) on the world oil market.

One of the interesting episodes of "Oil Wars" was a daring business operation conducted by an English Jew, Marcus Samuel Jr. He ordered the Murex tanker equipped with the latest technology at that time and sent more than 4,000 tons of kerosene belonging to the

Rothschilds to the countries of the Far East from the Batumi harbor through the Suez Canal. It was the first and unprecedented event in the history of sailing, which took place in August-September 1892. The new route (fig.1) significantly increased the competitiveness of Baku oil and ensured its establishment in the Asian market.

**Keywords:** Baku oil; Batumi harbor; Marcus Samuel Jr.; Murex tanker; Suez Canal.

## **Introduction**

The port of Batumi is one of the best in the Black Sea basin. It is a convenient bay, deep and naturally protected from the winds. During the 19th century, the Russian Empire persistently tried to conquer it and turn it into a supporting platform from which further expansion would be carried out in the direction of the Bosphorus-Dardanelles. As a result of the Russo-Ottoman War of 1877-1878, Batumi passed into Russian hands. As the development of events showed, it had not only a strategic but also a great commercial and economic importance for the Russian Empire. It was Batumi that turned into the main centre of accumulation and export of Baku's oil. Its importance grew even more after Marcus Samuel Jr. opened a new oil export route from Batumi - through the Suez Canal - to the Far East. In the 80s and 90s of the XIX, Batumi became actively involved in so-called "Oil Wars" and, it would not be an exaggeration to say, significantly changed the balance of power in the world oil market.

This part of the history of Batumi needs to be given more attention in Georgian historiography.

## **Methods**

The research was mainly based on data from foreign literature. In the research process, we used descriptive-narrative, analysis and synthesis methods proven in historiography.

## **Result**

As a result of the research, the special role of the Batumi port in the growth of Baku's oil export worth was revealed. The super-tanker "Murex" belonging to Marcus Samuel Jr., which started the movement of oil tankers in the Suez Canal and the large-scale export of oil products from Baku to the countries of the Far East, took off from the Batumi port. It is clear that in the 80s and 90s of the 19th century, Batumi occupied a special place in the field of the oil industry, which ensured its rapid economic development. A deep understanding of experience and drawing correct conclusions is a solid foundation for a successful future. Even today, Batumi has a chance to become a major connecting link between the Caspian and Black Sea regions and thereby receive significant economic benefits.

## **Discussion**

The Absheron Peninsula jutting into the Caspian Sea is abundantly endowed with rich oil deposits. Oil has been used for various purposes since ancient times, and its extraction on an industrial scale began in the middle of the 19th century. Baku, Absheron and Shirvan as a whole were part of the Russian Empire at that time.

In the 1870s, the volume of oil industry activity in Absheron gradually increased (Mir-Babaev, 2009: 34), but the pace of development was not great. The ability to extract oil alone did not mean much.

For the large-scale exploitation of the richest oil fields of Absheron, it was necessary to have the possibility of proper sale of oil and oil products even in the domestic market and in the best case, to export them. The technical and geographical conditions of the time created serious obstacles in this regard. The cheapest way to transport oil in central Russia was via the Caspian-Volga, using floating means. According to one data, in 1873, sending 1 Pood (1 Pood = 16.38 kg) of oil from Baku to Nizhny-Novgorod cost 40 kopeikas, and to get the oil from there to Moscow or St. Petersburg, additional funds were needed.

This is when the same 1 Pood of oil was brought from Pennsylvania (USA) to St. Petersburg for about 30 kopeikas by sea (History of Oil Transportation .., 2021). Thus, in the first half of the 1870s, "Russian" oil and oil products could not compete with the American, if not in the world, domestic Russian market either. You can imagine, "it was cheaper for Tbilisi to import kerosene from America 8 thousand miles away (1 American mile = 1.609344 km) than to import it from Baku, which was 341 miles to the East" (Ergin, 2018:69). Means of transportation, in general, were primitive and could not ensure the transportation of large quantities of oil. Due to this, oil often accumulated on the site and not transported was released into the sea and burned. Such a situation could not contribute to the normal development of the oil industry in Absheron.

From the second half of the 1870s, the situation gradually changed. Since 1873, the Nobel brothers were interested in Baku's oil. In 1875-1876, their activities on Absheron became quite dynamic, and in 1879, the brothers with Baron P. A. Bilderling and smaller shareholders, founded the joint-stock company "Nobel Brothers Oil Production Company" (Nobel Brothers Petroleum Production Partnership) (Twenty-five Years of Activity, 1904: 16-18, 23-24). Until 1918, it was one of the largest oil industrial companies in the Russian Empire, which was called "Branobel" for short. The Nobels paid a lot of attention to the better organization of oil transportation on the Caspian-Volga and the improvement of vehicles. This partially improved the situation, but due to the high cost of the route, the price of oil remained high.

By well-calculated actions, the Nobels pushed the Rockefellers out of the Russian domestic market, but their positions in the world market were still strong. The world monopoly of the Rockefellers was threatened after the Russo-Ottoman war of 1877-1878, first when Batumi with its deep and naturally protected harbour became part of the Russian Empire, and then, from 1883, when with the commissioning of the Batumi-Baku railway line, the Baku-Batumi oil export corridor was launched. The destinies of Batumi and Baku were closely connected - the Batumi port, easily accessible by railway, increased the

export significance of Baku's oil the fastest and thus gave a powerful push to the development of the oil industry on the Absheron peninsula. According to one of the data, if in 1874, 600,000 barrels of oil were pumped in Russia (1 barrel = 159 litres or approx. 134.8-136.4 kg), a decade later, in 1884, this indicator reached 10.8 million barrels. It was equal to almost a third of the oil extracted in America at that time (Ergin, 2018:69). From here, the lion's share came to Absheron deposits, and this figure gradually increased. On the other hand, as a result of the export of Baku's oil from Batumi, Batumi - once the unremarkable settlement of fishermen and smugglers turned into a growing trade and industrial centre.

As it is established, the usefulness of the Batumi-Baku industrial connection was noticed even in the 1870s by such a large representative of the financial world as the Paris Banking House of the Rothschilds. At the Berlin Congress (1878), it was the behind-the-scenes activities of the Rothschilds that finally decided the fate of Batumi. Despite the opposition of the Ottomans and Great Britain, it was handed over to Russia (Jibashvili, 2023:360-361). After that, the members of this house, including Baron Alphonse Rothschild, paid a lot of attention to the issue of proper functioning and capacity increase of the Batumi-Baku oil export corridor. The industrialists Palashkovsky and Bunge, who owned the concessions to construct the Baku-Batumi railway, were able to get out of the financial crisis and complete the construction with the help of Alphonse Rothschild. The railroad widened the way for "Russian" (Baku) oil to the West, and it attacked American oil. A 30-year intense struggle to dominate the world oil market began (Ergin, 2018:70). Rockefellers, Rothschilds, Nobels and other big oil industrialists were involved in the struggle. Batumi played an important role in this conflict. "If oil is the queen, then Baku is its throne" - Winston Churchill wisely observed. From our side, we would add that for the queen of Absheron, Batumi became the wide gate through which it spread its economic influence worldwide. It was thanks to the Batumi port that Baku oil entered the world stage and surpassed the Rockefellers' products in key markets.

Baron Alphonse Rothschild invested a lot of money in the construction of the railway line, in return he received concessions in the oil extraction business in the Absheron Peninsula. He owned a large number of tank wagons and enjoyed privileges on the Baku-Batumi railway line. Soon, in 1886, he bought the "Batumi Oil Industry and Trade Society" (BOITS) founded by Palashkovsky-Bunge and created the "Caspian-Black Sea Oil Industry and Trade Society" on its basis. The Rothschild company owned large enterprises and capital investments both in Baku and Batumi. It became one of the first in terms of capacity in the Baku-Batumi oil industry space (Seidov, 2009: 103-106; Polonsky, 1996: 171). The Rothschilds were mainly focused on the export of oil products, which was carried out through the Batumi harbour and grew every year. In 1884, 2.4 million Poods of oil products were exported and in 1889 this figure reached 30 million. At that time, the Rothschild family was in the first place in terms of the size of exported products (Mir-Babaev, 2009: 102). It was the issue of oil export and transportation that brought Rothschild and the British Jew Marcus Samuel Jr. together.

Marcus Samuel Jr. came from a Jewish family that immigrated to Europe from Iraq. The Samuels eventually settled in Brighton, England, and Marcus' father, Marcus Samuel Sr., became the owner of a small trading shed near the Tower of London. At first, he traded with exotic shells purchased from sailors, and his shed was decorated with a sign depicting a shell. After some time, on the order of Samuel the Senior, the ships began to bring various colonial goods from India and the countries of the Far East, and on the way back they took English products.

Based on the symbiosis of export-import such a business turned out to be quite successful (Rudenko, 2018; Marcus Samuel.). After his death, Marcus Samuel Sr. left his sons, Marcus Samuel Jr. and Samuel Samuel, a large fortune and, most importantly, a wide network of contacts in East Asian countries. With partners of European (mainly Scottish) origin settled on the shores of Asia, Samuel Sr. had trading

relationships built on trust, which made it easy for his sons to continue the family business

Marcus Samuel Jr. was born in 1853, and in 1869, at the age of 16, he began working for his father in bookkeeping. By this time, he had already received a proper education in Brussels and Paris. In the same year 1869, the Suez Canal was put into operation, which shortened the sea route from Europe to East Asia by 4 thousand miles. In far America, John Rockefeller, 14 years older than Marcus, started a 10-year campaign to monopolize the oil industry (Yergin, 2018:73-74). John Rockefeller, together with his brother William, founded Standard Oil Company (Standard Oil Company and Trust) in 1870 and in a short time gained a dominant position in the world oil market. Later, Marcus Samuel Jr., John Rockefeller and the Suez Canal found themselves in a fatal relationship.

The Samuel brothers, among whom Marcus was the leader, successfully continued their father's business. Although they did not have much capital, they firmly established a foothold in East Asian countries, including Japan. They owned two companies - "M. Samuel & Co" in London and "Samuel Samuel & Co" in Yokohama (later moved to the city of Kobe), actively cooperated with the East Asian trading houses, with which Samuel Sr. still established connections, and in chartering the ships carrying goods they mainly benefited from the brokerage firm "Lane & McAndrew" services. The senior partner of this firm, Freddy Lane, was in close contact with Marcus (Yergin, 2018:74-75).

In 1890, Marcus Samuel Jr. and Freddie Lane arrived in Baku. This was Markus' first visit to the centre of the Russian oil industry. At that time, 60,000 barrels (about 8,000 tons) of oil were mined there daily. This was mainly the merit of Nobels and Rothschilds (Mir-Babaev, 2009: 51; Bazarov, 2002).

Marcus did not come to Baku by chance. By the end of the 1880s, the oil industry in Absheron was developing quite well. Though the problem of selling the production was becoming increasingly acute.

The Nobels paid relatively less attention to exports and were mainly engaged in exploiting the Russian domestic market. For the Rothschilds, the export of petroleum products was of vital importance. The European market was firmly held by the Rockefellers. They had a well-established trade network and quickly and cheaply delivered American oil products to European consumers across the Atlantic. The Rothschilds saw the solution in exploiting the growing Asian market, although, for now, the Rockefellers dominated here as well. To achieve this goal, it was necessary to ensure fast and cheap transportation of large quantities of oil products to Asian countries. The Rothschild contacted Freddie Lane's brokerage firm in London, and he connected them with his client and friend - Marcus Samuel Jr. (Yergin, 2018:72-73).

Freddie Lane and Marcus Samuel Jr. reportedly arrived in Baku in 1890 and settled there. Then Marcus went to the countries of the Far East. There he held negotiations with his partner trading houses and agreed to co-finance a bold business plan. The plan was to expel Rockefellers from the Asian markets. Marcus understood the seriousness of the competition with the Rockefellers and thoroughly prepared for the future confrontation. On the one hand, together with his partners, he started the construction of oil storage and the supply of tank wagons in East Asian countries, on the other hand, the construction of super-modern oil tankers and the search for suitable ways for cheap transportation of oil products. Marcus successfully coped with all tasks - oil reservoirs were built both in coastal towns and deep inland, and the issue of cheap and fast transportation of oil products was also solved. In 1891, he signed a 10-year contract with the Rothschild company, which gave him the exclusive right to sell Rothschilds' oil and oil products in east of the Suez Canal (Yergin, 2018: 75-76; Bazarov, 2002).

It is particularly interesting how Marcus Samuel Jr. solved the issue of transportation of petroleum products.



By the beginning of the 1890s, the tanker, as a means of transporting liquid cargo, was a novelty in the world navy, and its 20-year history of existence was not even counted. Marcus's shrewd mind correctly assessed the capabilities of the tanker as a cargo carrier and gave it an important place in his bold plan.

Samuel Jr. ordered the construction of eight such tankers, which in terms of equipment and technical characteristics were far ahead of similar types of contemporary vessels. The full load capacity or deadweight of each such tanker was equal to 4 thousand tons, which was a very large indicator for that time (Rudenko, 2018). In addition, it was possible to steam-clean their holds and, after transporting oil, use them to transport other cargo, including foodstuffs. Most importantly, when designing and equipping the Marcus tankers, safety issues were taken into account as much as possible, and in this regard, Standard Oil tankers moving between America and Europe could not even come close to them (Yergin, 2018: 76).

Samuel Jr.'s super-tankers were designed by the highly talented English naval engineer and architect James Fortescue Flannery, who later became known as Sir James Fortescue Flannery, a liberal and member of the British Parliament (Kumins, Byzant, 2007: 37).

The first super-tanker "Murex" was launched on May 28, 1892. It was named after the Latin name of one of the types of shell (this trend later became characteristic of the Samuel brothers). It was built at William Gray & Company's shipyard #442 in West Hartlepool. Its dimensions were 338.0 / 43.0 / 26.4 feet (1 foot = 0.3048 m). In July 1892 "Murex" was completely completed and ready for operation (MUREX tanker 1892, 2009).

Simultaneously, Marcus tried to obtain the right to pass through the Suez Canal. At that time, the canal was closed to tankers carrying oil products, as the weak level of security protection on ships could not ensure the prevention of explosions caused by accidents, which could lead to the destruction of the Canal. Prohibition did not stop Marcus. He used all the means and leverage at his disposal to achieve his goal.

Marcus was supported by both the Paris and London branches of the Rothschild family. It should be noted that it was the London Rothschilds who financed the purchase of the control package of the Suez Canal Company by Prime Minister Benjamin Disraeli. In addition, he was supported by the British authorities, who would welcome the first English tanker to pass through the Canal - this would further strengthen London's influence. In the end, despite some attempts to prevent Marcus, he managed to win: the safety standards required by the Canal administration "surprisingly coincided" with the technical characteristics of "Murex", and the London insurance corporation "Lloyd" also recognized the construction of the new tanker as reliable (Yergin, 2018: 76). -77; Kumins, Bizant, 2007: 36-37; Rudenko, 2018).

On January 5, 1892, Marcus Samuel Jr. received the cherished permission to sail an oil tanker in the Suez Canal (Yergin, 2018: 77-78; Kumins, Bizant, 2007: 37).

After the successful completion of preparatory work, in July 1892, under the command of Captain John R. Coudon, "Murex" made its way from West Hartlepool to Batumi harbor (MUREX tanker 1892, 2009).

In Batumi, "Murex" was loaded with Rothschild kerosene and headed for the Suez Canal through the Bosphorus-Dardanelles. According to some authors, on August 23, 1892 (Yergin, 2018: 78; Kumins, Bizant, 2007: 38), and according to other reports, on August 24 (MUREX tanker 1892, 2009), it peacefully passed through the Suez Canal and continued swimming towards Singapore. This was the first such case in the history of sailing.

"Murex" left part of its cargo on one of the islands near Singapore, and took the rest to Bangkok (Yergin, 2018: 78). Marcus Samuel Jr.'s genius plan was crowned with success. A short road, modernized transport and a well-organized trade network made Baku oil cheap and accessible to Asian consumers. Soon Marcus launched an entire flotilla of super-tankers into the water. The competitors' outdated ships could not match them. The throne of the Rockefellers was shaken.

In 1897, the Samuel brothers founded a new company based on the old companies, called "Shell" - "Shell - Transport and Trading Company", abbreviated simply as "Shell". The brothers named the company in honour of their father and his first business. "Shell" continued the economic policy of Marcus Samuel Jr. and successfully supplied the people of Asia with oil products from Adana to Vladivostok.

## **Conclusion**

In the 80-s and 90-s of the XIX century, the deep and naturally protected harbor of Batumi played a decisive role in the rapid development of the oil industry in the Absheron Peninsula. As a result of the Russo-Ottoman War of 1877-1878, Batumi became part of the Russian Empire.

The business interests of the representatives of the Parisian branch of the Rothschilds made a significant contribution to this. They needed the Batumi harbor to export Baku's oil and oil products to the world market. The Baku-Batumi oil transport corridor within Russia was rapidly increasing the oil export importance of Baku. Batumi was involved in the battle between the Rockefellers, Rothschilds, Nobels and other oil magnates for the key to the world market of oil products.

One of the high-profile episodes of the aforementioned battle was the transportation of oil by the English Jew, Marcus Samuel Jr. with the super-modern tanker "Murex" for that time, from the port of Batumi, through the Suez Canal, to the countries in the Far East. It was an unprecedented event, which significantly increased the export significance of Baku oil and the transit role of Batumi port. The dominant position of the Rockefellers in the world market suffered a serious shake-up.


## **Bibliography:**

Jibashvili O. (2023). *The Results of the Russian-Ottoman War of 1877-1878 and Batumi*. "HERIPRENEURSHIP - Sustainable Tourism,

- Heritage Management and the Cultural and Creative Industries: Creating New Investment Opportunities at Places of Cultural Significance" (Proceedings of an International Conference), Tulcea, Mega Publishing House, pp. 355-362.  
<https://biblioteca-digitala.ro/?volum=22010-heripreneurship-sustainable-tourism-heritage-management-and-the-cultural-and-creative-industries-creating-new-investment-opportunities-at-places-of-fundatia-universitara-dunarea-marea-neagra-2023> (20.02.2024)
- MUREX Tanker 1892* (2009). The Ship Stamp Society. Encyclopedia and Forum. <https://shipstamps.co.uk/forum/viewtopic.php?t=5746&sid=44d07c71b381d404cf5ac0f53d69c8c9> (19.02.2024).
- Bazarov V. (2002). *Centennial Mollusk*. Journal "Company", 25.03.2002, No. 207 (11). <https://ko.ru/articles/stoletniy-mollyusk-108051/> (17.02.2024).
- Twenty-fifth Anniversary of the Nobel Brothers Petroleum Production Partnership. 1879-1904* (1904). St. Petersburg. "Partnership P. Golike and A. Vilborg".
- Yergin D. (2018). *Production. World History of Struggle for Oil, Money and Power*. Moscow. "Alpina Publisher".
- History of Oil Transportation. From Tankers with Baku Oil to Modern Monsters* (2021). McLeod Company Blog. Scientific-popular. Transport. <https://habr.com/ru/companies/macloud/articles/558374/> (17.02.2024).
- Kummins Ya., Bizant D. (2007). *Shell Shocks the World. Secrets and Speculations of the Oil Giant*. St.-Petersburg. "Vershina". <https://www.libfox.ru/116949-yan-kummins-shell-shokiruet-mir.html>(20.02.2024).file:///C:/Users/gia/Downloads/116949-www.libfox.ru.pdf (20.02.2024).
- Marcus Samuel, 1st Viscount Birstead*. <http://Injewishimprints.info/LS/Samuel%20M.htm> (18.02.2024).
- Mir-Babaev M. U. (2009). *Short History of Azerbaijan Oil*. Baku, «Azernesh». <https://www.twirpx.com/file/628620/> (1.03.2024).

Rudenko G. (2018). *The King of Jewish Oil*. <https://jewish.ru/ru/people/business/187311/> (26.02.2024).

Fig. 1. "Mureks" road from England to Batumi and from Batumi via Suez to Bangkok (Yergin, 2018:79).





**როგორ მოასწავებს ახალ ერას ახლო აღმოსავლეთში „აბრაამის  
შეთანხმებები“**

**ზვიად ტყაბლაძე**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პოლიტიკისა და  
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი,  
საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77  
+995 551 01 08 08; tkabladze.zviad@gtu.ge  
ORCID: 0009-0009-4347-6299  
DOI: <https://doi.org/10.61671/hos.7.2024.7819>

**აბსტრაქტი**

ნაშრომი ეძღვნება ძალიან საინტერესო თემას, „აბრაამის შეთანხმებების“ მნიშვნელობას ახლო აღმოსავლეთის ისტორიისა და მომავლისთვის.

აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ინიციატივით და ძალისხმევით მოხდა ისრაელის მიერ ისტორიული და უმნიშვნელოვანესი სამშვიდობო შეთანხმებების დადება არაბთა გაერთიანებულ საამიროებსა და ბაჰრეინთან, რომლებსაც უწოდეს „აბრაამის შეთანხმებები“, სამი ძირითადი მონოთეისტური რელიგიის - ქრისტიანობის, იუდაიზმის, ისლამის მამამთავრის და პატრიარქის აბრაამის საპატივცემულოდ.

1979 წლის ეგვიპტე-ისრაელის და 1994 წლის იორდანია-ისრაელის სამშვიდობო შეთანხმებების დადების შემდეგ, ასეთი მნიშვნელოვანი და ერთი შეხედვით წარმოუდგენელი ამბავი ახლო აღმოსავლეთში, ალბათ არასოდეს მომხდარა. „აბრაამის შეთანხმებები“ სამი სახელმწიფოს შეგნებული და მტკიცე გადაწყვეტილებაა განხეთქილებიდან გადავიდნენ წარმატებულ ჩარ-

თულობაზე. ამის შემდეგ, ისრაელთან ურთიერთობები დაამყარა მაროკომ, ნორმალიზაციის პროცესი დაიწყო სუდანთან.

მიუხედავად ისრაელ-„ჰამასის“ ახალი კონფლიქტის დაწყებისა, რამაც დროებით შეაფერხა სამშვიდობო ინიციატივები ახლო აღმოსავლეთში, ისრაელის ურთიერთობების ნორმალიზება სხვა არაბულ ქვეყნებთან შეუქცევადი პროცესი იქნება.

**საკვანძო სიტყვები:** აბრაამის შეთანხმებები; ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი; ისრაელი; არაბული ქვეყნები; აშშ.

## შესავალი

**„განხეთქილებათა და კონფლიქტთა ათწლეულების შემდეგ, ჩვენ ვხვდებით ახალი ახლო აღმოსავლეთის განთიადს ...“ – დონალდ ჯონ ტრამპი**

1979 წლის ეგვიპტე-ისრაელის და 1994 წლის იორდანია-ისრაელის სამშვიდობო შეთანხმებების დადების შემდეგ, ალბათ, ასეთი მნიშვნელოვანი და ერთი შეხედვით წარმოდგენილი ამბავი ახლო აღმოსავლეთში არ მომხდარა - ისრაელი და არაბთა გაერთიანებული საამიროები შეთანხმდნენ ურთიერთობების სრულ ნორმალიზებაზე, რომლის შესახებ განაცხადა აშშ-ს 45-ე პრეზიდენტმა დონალდ ჯონ ტრამპმა (Donald John Trump; 2017-2021 წწ.). გამოდის, რომ 1948 წლიდან ისრაელის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ეს მხოლოდ მესამე არაბულ-ებრაული სამშვიდობო გარიგებაა.

2020 წლის 13 აგვისტოს, დონალდ ტრამპის, ისრაელის პრემიერ-მინისტრის ბენიამინ ნეთანიაჰუს (Bibi/Benjamin Netanyahu) და არაბთა გაერთიანებული საამიროების პრეზიდენტის, აბუ დაბის მმართველის, მუჰამად ბინ ზაიდ ალ-ნაჰიანის (Mohammed bin Zayed Al Nahyan, MBZ) სატელეფონო საუბრის დროს მიღწეულ იქნა ისტორიული შეთანხმება - ისრაელი და საამიროები დაამყარებენ დიპლომატიურ ურთიერთობებს.

შეთანხმების მიღწევაში დიდი როლი ითამაშა დონალდ ტრამპის შუამავლობამ. მხარეების მიერ გამოქვეყნებულ ერთობლივ განცხადებაში ნათქვამია, რომ სამივე ლიდერი „ისრაელსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებს შორის ურთიერთობის სრულ ნორმალიზებაზე შეთანხმდნენ და გამოთქვეს იმედი, რომ ეს ისტორიული გარდევვა ხელს შეუწყობს მშვიდობას ახლო აღმოსავლეთში“ (Seán Federico-O'Murchú, 2020). შეთანხმების მიხედვით ისრაელი დათანხმდა შეაჩეროს „თავისი სუვერენიტეტის გავრცელება“ მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროს (West Bank) იმ ნაწილებზე, რომლის ანექსიის შესახებაც იყო მსჯელობა (VOA, ისრაელმა ..., 2020).

„დღეს უზარმაზარი მიღწევა გვაქვს! ისტორიული სამშვიდობო შეთანხმება ჩვენ დიდ მეგობრებს - ისრაელსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებს შორის“, - დაწერა თავისი Twitter-ის გვერდზე ტრამპმა და დაამატა, რომ ძალიან კმაყოფილია შეთანხმებით. პასუხად ტრამპის განცხადებაზე ნეთანი აპუმაც Twitter-ში დაწერა: „ისტორიული დღე“!

ამ მომენტამდე სპარსეთის/არაბეთის ყურის<sup>7</sup> არცერთ ქვეყანას არ გააჩნდა დიპლომატიური ურთიერთობები ისრაელთან. რეგიონში ირანის გავლენის გაზრდასთან დაკავშირებით საერთო შემფოთებამ უზიძგა არაბულ ქვეყნებს და ისრაელს გარკვეულ არაოფიციალურ კონტაქტებზე გასულიყვნენ ერთმანეთთან ბოლო წლებში, რასაც ოფიციალური სახე მისცა ტრამპის ადმინისტრაციის აქტიურმა ჩარევამ (England Andrew, 2020).

გარიგების დადებაში აშშ-ს მხრიდან ასევე ჩართული იყვნენ: ტრამპის უფროსი მრჩეველი და სიმე ჯარედ კუშნერი (Jared Corey Kushner), ისრაელში აშშ-ს ელჩი დევიდ ფრიდმანი (David Melech Friedman), დესპანი ახლო აღმოსავლეთში ავი ბერკოვიცი (Avrahm/Avi Berkowitz), სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო (Michael/Mike Richard Pompeo) და თეთრი სახლის მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, რობერტ ობრაენი (Robert Charles O'Brien Jr).

---

<sup>7</sup> არაბულ სამყაროში გამოიყენება მხოლოდ ტერმინი „არაბული ყური“ (არაბ.: الخليج العربي - „ალ-ხალიჯ ალ-არაბია“; ინგლ.: Arabian Gulf)



## მეთოდი

წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია ეფუძნება თეორიულ მეთოდოლოგიას: მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ანალიზს, სინთეზს, შედარებას, სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურის მოძიებას და დამუშავებას. შესწავლილ იქნა ამ საკითხზე მომუშავე კომპეტენტური მკვლევრებისა და ექსპერტების პუბლიკაციები და სტატიაში ჩვენთვის საჭირო ძირითადი სამეცნიერო მასალა აისახა.

## შედეგი

საკვლევ საკითხზე მუშაობის შედეგად, გამოვლენილ იქნა „აბრაამის შეთანხმებების“ მნიშვნელობის მრავალი ასპექტი ახლო აღმოსავლეთში ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის მშვიდობის დამყარების საქმეში. სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე სტატიაში გაეცა პასუხი კითხვებს, თუ რა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა დონალდ ტრამპის ადმინისტრაციამ „აბრაამის შეთანხმებების“ დადებაში. **ასევე დადგინდა, რომ მიუხედავად ახალი გამოწვევებისა ახლო აღმოსავლეთში, ისრაელის ურთიერთობების ნორმალიზება სხვა არაბულ ქვეყნებთან შეუქცევადი პროცესი იქნება.**

## დისკუსია

### 1. რა უნდა ვიცოდეთ ამ შეთანხმების შესახებ (ძირითადი მუხლები):

- საამიროები ხდება ყურის პირველი ქვეყანა, რომელმაც დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობები ისრაელთან;
- ქვეყნებს შორის გარიგების ფარგლებში ისრაელმა შეაჩერა „სუვერენიტეტის გამოცხადება“ (ანექსია) ოკუპირებულ მდ. იორდანის დასავლეთ სანაპიროზე;
- თუმცა ნეთანიაჰუმ მოგვიანებით განაცხადა, რომ დათანხმდა გეგმების გადადებაზე საამიროებთან ურთიერთობების ნორმალიზების სანაცვლოდ და ისინი „რჩება მაგიდაზე“.
- ტრამპის გეგმის თანახმად მუსლიმებს შეუძლიათ აღაკსას მეჩეთის მონახულება და იქ ლოცვა: „ყველა მუსლიმი მშვიდობით მოსული, შეძლებს აღ-აკსა მეჩეთის მონახულებას, ხოლო იერუსალიმის სხვა წმინდა ადგილები იქნება ღია ყველა

კონფესიის მორწმუნესთვის“. ჰარამ აშ-შარიფის კომპლექსი განლაგებულია აღმოსავლეთ იერუსალიმში, ოკუპირებული ისრაელის მიერ 1967 წლიდან, რომელსაც საერთაშორისო აღიარება არ მიუღია.

- ისრაელი და საამიროები ასევე გააფართოებენ და დააჩქარებენ თანამშრომლობას კორონა ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნისთვის, რაშიც თანამშრომლობა უკვე გარიგების დადებამდე იყო დაწყებული (Хаджиц, 2020).

## 2. ამ ისტორიული გარიგების დადებასთან დაკავშირებული არაერთგვაროვანი რეაქცია ახლო აღმოსავლეთში და მსოფლიოში

გაეროს გენერალური მდივანი, ანტონიო გუტერიში (António Manuel de Oliveira Guterres) მიესალმა აშშ-ს, ისრაელის და საამიროების ლიდერების განცხადებას, რომლის მიხედვით ისრაელი აჩერებს დასავლეთ სანაპიროს ანექსიის გეგმებს, რისკენაც გაერო მუდმივად მოუწოდებდა. გაერო მხარს დაუჭერს ნებისმიერ ინიციატივას, რომელიც ხელს შეუწყობს მშვიდობას და უსაფრთხოებას ახლო აღმოსავლეთში (UN News, 2020).

**Sky News Arabia**-სთან ინტერვიუში საამიროების სახელმწიფო საგარეო საქმეთა მინისტრმა ანვარ მუჰამად კარკაშმა (**Anwar Mohammed Gargash**) განაცხადა, რომ „ისრაელთან მშვიდობის დამყარება დაეხმარა წელი მოქმედების ბომბის ლიკვიდაციაში, რომელიც ემუქრებოდა ორი სახელმწიფოს შექმნის გადაწყვეტილებას“.

„თუ ისრაელი გამოიყენებს ამას, როგორც სტიმულს ოკუპაციის შეწყვეტისთვის, ეს წინ წაწევს რეგიონს სამართლიანი მშვიდობისკენ“, - განაცხადა აიმან საფადიმ (**Ayman Safadi**), **ორდანიის ჰაშიმიანთა სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრმა**.

საამიროების მოკავშირე და ისრაელთან დიპლომატიური ურთიერთობების მქონე პირველი არაბული ქვეყნის - ეგვიპტის პრეზიდენტი აბდ ალ-ფათაჰ ას-სისი (**Abdel Fattah el-Sisi**), მიესალმა შეთანხმებას თავის Twitter-ში: „მე დიდი ინტერესით ვადევნებდი თვალს აშშ-ს, საამიროების და ისრაელის ერთობლივ

განცხადებას, პალესტინური მიწების ანექსიის შეწყვეტის შესახებ და ზომების მიღებაზე ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარებისთვის“.

საუდის არაბეთი, ბაჰრეინი, ომანი, ევროკავშირი, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი ასევე მიესალმნენ შეთანხმებას (Хаджиц, 2020).

ასეთი ისტორიული გარიგების დადების ხელშეწყობისთვის, ტრამპის კანდიდატურა წარადგინეს 2021 წლის ნობელის მშვიდობის პრემიაზე. საამიროებთან შეთანხმების ხელმოწერამდე ნორვეგიის პარლამენტის დეპუტატმა, NATO-ს საპარლამენტო ასამბლეაში ნორვეგიის წარმომადგენელმა, ქრისტიან ტიბრინგ-ჯედემ (Christian Tybring-Gjedde) შაფასა ტრამპის ძალისხმევა ხანგრძლივი კონფლიქტების დარეგულირების საქმეში, Fox News-თან ინტერვიუში: „მე ვფიქრობ, რომ მან ბევრი გააკეთა ხალხებს შორის მშვიდობის დამყარებაში, ვიდრე სხვა მშვიდობის ნომინანტებმა და ტრამპის ადმინისტრაციამ საკვანძო როლი შეასრულა ამ საქმეში, ვინაიდან მოსალოდნელია, რომ ამ მაგალითს სხვა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები აიღებენ (რაც მოხდა კიდეც, მინ. ზ.ტ.)“ (Decker, 2020).

იმ დროს როდესაც, დასავლეთმა და ზოგიერთმა არაბულმა ქვეყანამ დადებითად შეაფასეს საამიროები-ისრაელის გარიგება, ზოგიერთმა ქვეყანამ ახლო აღმოსავლეთში და პალესტინელებმა მკვეთრად გააკრიტიკეს აბუ დაბი და შეთანხმება პალესტინის ინტერესების უგულვებელყოფად და ღალატად მიიჩნიეს.

პალესტინური „ჰამასის“ (Hamas) და კონკურენტი „ფათჰის“ (Fatah) მოძრაობებმა უარყვეს შეთანხმება. Hamas-ის წარმომადგენელმა აბდ ალ-ლატიფ ალ-კანუამ (Abd al-Latif al-Qanua) განაცხადა, რომ თელ-ავივი-აბუ დაბის გარიგება, პალესტინის „სიონისტურ ოკუპაციას“ ლეგიტიმურს ვერ გახდის და პალესტინელები გააგრძელებენ თავის განმანთავისუფლებელ ბრძოლას. **Fatah-ის წევრმა აბას ზაკიმ (Abbas Zaki) Al-Jazeera-თან კომენტარში უწოდა საამიროების ქმედებას პალესტინელების და არაბების ღალატი (Khaled Abu Toameh, 2020).**

მართალია 9 სექტემბერს, „არაბულ სახელმწიფოთა ლიგამ“ (LAS) უარყო პალესტინის რეზოლუციის პროექტი, რომელიც გამობდა ისრაელი-სამიროების ურთიერთობების ნორმალიზებას, მაგრამ, კიდევ ერთხელ დაადასტურა ერთგულება „2002 წლის არაბთა სამშვიდობო ინიციატივისადმი“, რომლის მიხედვით არაბულ ქვეყნებსა და ისრაელს შორის ურთიერთობების დამყარება შესაძლებელია მხოლოდ „1967 წელს მიტაცებული პალესტინის მიწების ოკუპაციის დასრულების შემდეგ, პალესტინის სახელმწიფოს ჩამოყალიბებით, დედაქალაქით აღმოსავლეთ იერუსალიმში“.<sup>8</sup>

სირცხვილი და ღალატი უწოდეს გარიგებას ასევე რადიკალმა სიონისტებმაც, ისინი თვლიან, რომ ნეთანიაჰუმ მათ უღალატა. „მან იცრუა, მოატყუა ამ რაიონის (ებრაული დასახლებები) ნახევარ მილიონი მაცხოვრებელი და ასი ათასობით ამომრჩეველი“, განაცხადა დავიდ ელხაიანიმ (**David Elhayani**), **იემის დასახლებულთა საბჭოს თავმჯდომარემ**.

მაგრამ სწორედ ნეთანიაჰუ იღებს ყველაზე მეტ სარგებელს ამ გარიგებიდან, ამბობენ ახლო აღმოსავლეთის ექსპერტები. მისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ შეთანხმებების დადებას, პირად იმიჯისათვის შიდა ტურბულენტურ პირობებში ისრაელში (Хаджич, 2020).

ტრამპის შუამავლობით დადებული შეთანხმების წინააღმდეგი გამოვიდნენ ის სახელმწიფოები, რომელთა ქმედებები რეგიონში იწვევს, როგორც თელ-ავივის, ისე არაბული ქვეყნების შეშფოთებას. ასეთი სახელმწიფოებია ირანი და თურქეთი, რომლებიც აგრძელებენ ბრძოლას ჰეგემონიისთვის ახლო აღმოსავლეთში (Замикула, 2020).

---

<sup>8</sup> „2002 წ. არაბული სამშვიდობო ინიციატივა“ (არაბ.: *مبادرة السلام العربية*; ინგლ.: **Arab peace initiative**) - მიღებული „არაბულ სახელმწიფოთა ლიგის“ (არაბ.: *جامعة الدول العربية*; ინგლ.: *League of Arab States*) მიერ 2002 წ. 28 მარტს ბეირუთში და მიმართული ისრაელთან ყოვლისმომცველი მშვიდობის მისაღწევად, მთავარი პირობის შესრულების შემთხვევაში - ისრაელის გასვლა მის მიერ 1967 წ. ოკუპირებული ტერიტორიებიდან (გოლანის მაღლობები და შაბას ფერმა) და პალესტინის სახელმწიფოს აღიარება მდ. იორდანეს დასავლეთ ნაპირზე და ღაზას სექტორში, დედაქალაქით აღმოსავლეთ იერუსალიმში. ასევე იხ.: Arab peace initiative, *Guardian*, 28.03.2002; <https://www.theguardian.com/world/2002/mar/28/israel7> Accessed [24.04.2024]

ირანის უმაღლესმა სულიერმა ლიდერმა, აიათოლამ სეიედ ალი ჰოსეინი ხამენეიმ (Ali Hosseini Khamenei), ისრაელ-სამხრეთის ურთიერთობების ნორმალიზებაზე განაცხადა, რომ სამხრეთში უღალატეს ისლამურ სამყაროს, არაბულ და რეგიონალურ ქვეყნებს, პირველ რიგში პალესტინას. მისი თქმით, „აბუ დაბიმ გზა გაუხსნა სიონისტებს რეგიონში. მათ დაავიწყდათ პალესტინის პრობლემა, დაავიწყდათ ოკუპაცია“. „ირანის რევოლუციის გუშაგთა კორპუსის“ (IRGC) კუთვნილი საინფორმაციო სააგენტო Tasnim-ი აცხადებს, რომ გარიგება „სამარცხვინოა“ (Al Jazeera, Iran's Khamenei says..., 2020).

თურქეთიც გამოვიდა მაშინ გარიგების ოპონენტად. ისრაელის კრიტიკის მეშვეობით ანკარა ცდილობდა პოპულარობის უზრუნველყოფას ისლამურ სამყაროში. ქვეყნებს შორის ასევე არსებობს რაციონალური უთანხმოება ენერგორესურსების მოპოვებისა და ტრანზიტთან დაკავშირებით აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში. თურქებმა შეთანხმებას ფარისევლური უწოდეს. საგარეო უწყების განცხადებაში ეწერა: „რეგიონის ხალთა ისტორია და სინდისი არ დაივიწყებს, არ აპატიებს არასდროს სამხრეთის თვალთმაქცობას“ (Al Jazeera, Turkey slams..., 2020) თუმცა ამის მიუხედავად, ბოლო პერიოდში აღინიშნება თურქეთის ისრაელთან და წამყვან არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობის ნორმალიზების ტენდენციები.

უკრაინელი მკვლევარი ნ. ზამიკულას აზრით, არაბეთ-ისრაელის დაპირისპირება ბოლო დროს უკვე კარგავს საკვანძო კონფრონტაციული ფაქტორის სტატუსს და თელ-ავივი და არაბები ეჯახებიან საერთო საფრთხეებს. ასეა თუ ისე საერთაშორისო საზოგადოება ახალი რეალიებიდან გამომდინარე ოპტიმიზმით უყურებს მრავალწლიანი არაბეთ-ისრაელის კონფლიქტის გადაწყვეტას (Замикула, 2020).

აშშ-ს დახმარებით გამართული წარმატებული მოლაპარაკებების შემდეგ, აბუ დაბიმში ისრაელიდან პირველი ავიარეისით ჩაფრენილმა თეთრი სახლის წარმომადგენელმა ჯარედ კუმზერმა მოუწოდა პალესტინელებს, რომ დასხდნენ მოლაპარაკებების მაგიდასთან, რომ „პალესტინელები არ უნდა იყვნენ წარსულში

ჩარჩენილები ... უნდა იცოდნენ, რომ მათთვის მზად იქნება მშვიდობა“ (Williams, 2020).

### 3. „აბრაამის შეთანხმებები“

როგორც ასეთი, არაბეთ-ისრაელის კონფლიქტი დიდ ხანია არსებობს და არაბულ სამყაროში დაიღალნენ პალესტინური პრობლემის არსებობით, მითუმეტეს დღეს მათ წინაშე სხვა უფრო მნიშვნელოვანი გამოწვევები დგას - თეირანის მხრიდან წამოსული მზარდი შეტევითი პოლიტიკა. ამ პირობებში კი პალესტინის საკითხი მეორე ადგილზე გადადის.

იმ მომენტიდან, როცა საამიროებმა და ისრაელმა ურთიერთობები დაალაგეს, სულ მცირე თვე დასჭირდა, რომ ბაჰრეინის სახით, ტრამპის ადმინისტრაციის შუამავლობით, გარიგებას მიუერთდა კიდევ ერთი ყურის ქვეყანა. დონალდ ტრამპმა, 2020 წლის 15 სექტემბერს, ვაშინგტონში ისრაელსა და ორ არაბულ სახელმწიფოს - საამიროებსა და ბაჰრეინს შორის ურთიერთობის ნორმალიზების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის ცერემონიას უმასპინძლა (Liebermann, 2020).

„ჩვენ შევიკრიბეთ დღეს, რომ შევცვალოთ ისტორიის მსვლელობა. განხეთქილებათა და კონფლიქტთა ათწლეულების შემდეგ, ჩვენ ვხვდებით ახალი ახლო აღმოსავლეთის განთიადს. შორსმჭვრეტელი ლიდერები ხელს მოაწერენ თითქმის მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში პირველ სამშვიდობო შეთანხმებებს ისრაელსა და არაბულ სახელმწიფოებს შორის“, - განაცხადა ტრამპმა და დასძინა, რომ „ისრაელის მთელ ისტორიაში მხოლოდ ორი ამგვარი შეთანხმება იყო, ჩვენ კი ახლა, ერთ თვეში მივაღწიეთ ორ შეთანხმებას“ (Ahren, 2020).

თეთრი სახლის სამხრეთის ბაღში, თავისი ხელმოწერები შესაბამის დოკუმენტზე, ტრამპის და მოწვეულ სტუმრების თანდასწრებით დასვეს: ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ნეთანიაჰუმ, საამიროების საგარეო საქმეთა მინისტრმა აბდ ალ-ლაჰ ბინ ზაიდ ალ ნაჰიანმა და ბაჰრეინის სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრმა აბდ ალ-ლატიფ ბინ რაშიდ აზ-ზაიანმა. ამ დოკუმენტებს ერთობლივად ეწოდა „აბრაამის შეთანხმებები“.

ამ გარიგებებზე საინტერესოდ საუბრობს პენტაგონის კორ-ესპონდენტი ორენ ლიბერმანი (Oren Liebermann): „ტრამპის ადმინისტრაციამ დაინახა შესაძლებლობა ცვალებად ახლო აღმოსავლეთში და გამოიყენა ეს შანსი. როცა ისრაელ-პალესტინის კონფლიქტში პროგრესის მიღწევის საშუალება აღარ იყო, ტრამპმა და მისმა მრჩეველებმა გადაიტანეს ყურადღება დანარჩენ რეგიონზე. ახლა ყველაზე დიდი რეგიონალური ბრძოლა მიმდინარეობს ირანსა და ყურის სუნიტურ სახელმწიფოებს შორის. სწორედ ამ კონფლიქტში, ტრამპმა დაინახა ისრაელის არაბულ სახელმწიფოებთან დაახლოების შესაძლებლობა“ (Liebermann, 2020).

„სპარსეთის ყურის არაბულ სახელმწიფოებსა და ისრაელს გაცილებით მეტი საერთო აქვთ ირანის წინააღმდეგ მიმართულ საქმეში“, - ამბობს „სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრის“ (CSIS) მკვლევარი უილ ტოდმანი (Will Todman), „ვვიქრობ, ეს მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ცვლილებაა“ (VOA, ტრამპმა ..., 2020).

როგორც აღნიშნავს The Times of Israel-ის დიპლომატიური მიმომხილველი რაფაელ არენი (Raphael Ahren), „თეთრი სახლში ისტორიული ცერემონია იშვიათი დიპლომატიური წარმატების კულმინაციაა და გარღვევა - 72 წლიანი ბრძოლის შემდეგ ისრაელმა უფლება მოიპოვა გამხდარიყო სრულფასოვანი წევრი თავის რეგიონის“. „ეს დღე - გარდამტეხი მომენტია ისტორიაში. იგი მოასწავებს მშვიდობის ახალ განთიადს“, ამბობდა ნეთანიაჰუ (Ahren, 2020).

ვამინგტონის ცერემონიაზე ხელი მოეწერა სამ დოკუმენტს: „შეთანხმებას მშვიდობის, დიპლომატიური ურთიერთობების და სრული ნორმალიზების შესახებ“ ისრაელსა და საამიროებს შორის, „დეკლარაციას მშვიდობის, თანამშრომლობის და კონსტრუქციული დიპლომატიური და მეგობრული ურთიერთობების შესახებ“ ისრაელსა და ბაჰრეინს შორის, ასევე საერთო „აბრაამის შეთანხმებას“ (Abraham Accords, AA), სამი რელიგიის - ქრისტიანობის, იუდაიზმის და ისლამის საერთო პატრიარქის პატივსაცემად. ეს სახელწოდება ამიერიდან გამოყენებულ იქნება ისრაე-

ლის არაბებთან შეთანხმებების კოლექტიური მოხსენიებისათვის (U.S. Department of State, 2020).

სამივე მონოთეისტური რელიგია იღებს სათავეს ძველი სემიტური ტრადიციიდან და უკავშირდება **პატრიარქ აბრა-ამს** (მამა, ლიდერი, ებრ.: ავრაამი; არაბ.: იბრაჰიმი). აბრაამი გახდა პირველი ადამიანი, რომელმაც ირწმუნა უფალი.

შეთანხმება დიდი გარღვევაა და ურთიერთობების ნორ-მალიზება, მიუხედავად კრიტიკისა, არ ნიშნავს პალესტინის პრობლემის დავიწყებას. პირიქით, აბუ დაბიში და მანამაში საუბრობენ, რომ ისრაელთან გარიგება არ არის პალესტინური საქმის ღალატი და უფრო მეტ სიკეთეს მოუტანს პალესტინელებს, ხოლო დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება მეტ შესაძლებლობას მისცემს არაბულ ქვეყნებს ისრაელთან დიალოგისთვის პალესტინურ საკითხზე“.

მაგრამ პალესტინელებს ამისი არ სჯერათ და საჯაროდ დაგმეს ახალი გარიგებები. პალესტინის ავტონომიის პრემიერმა (2024 წლის 31 მარტამდე) მუჰამად შთაიმ (Mohammad Ibrahim Shtayyeh), „აბრაამის შეთანხმებების“ ხელმოწერას „არაბული ქვეყნების ისტორიის შავი დღე“ უწოდა (VOA, ტრამპმა..., 2020).

„მშვიდობა არ იქნება ახლო აღმოსავლეთში იქამდე, სანამ ისრაელი და აშშ არ აღიარებენ პალესტინელთა უფლებას შექმნან დამოუკიდებელი სახელმწიფო 1967 წლის 4 ივნისის საზღვრებში, დედაქალაქით აღმოსავლეთ იერუსალიმში და არ გადაწყვეტენ პალესტინის დევნილების საკითხს, 194-ე რეზოლუციის შესაბამისად“ განაცხადა „პალესტინის ეროვნული ავტონომიის“ (PNA) პრეზიდენტმა მაჰმუდ აბასმა (Mahmoud Abbas/Abu Mazen):

„მთავარი პრობლემა განა იმ ქვეყნებს შორისაა, ვინც ხელი მოაწერეს შეთანხმებებს, არამედ ისრაელის საოკუპაციო ხელისუფლებასა და პალესტინელ ხალხს შორის, რომლებიც ოკუპაციით იტანჯებიან“, - დასძინა მან, „და თუ პალესტინელები არ მიიღებენ სასურველს, რეგიონში არც მშვიდობა, არც უსაფრთხოება და არც სტაბილურობა იქნება“ (Ahren, 2020).

Abraham Accords-ს ისტორიული უწოდა ბევრმა მსოფლიოში, რომელიც სამხედრო გარიგების ტოლფასია. ახლო აღმოს-



ავლეთში ისრაელს გააჩნია ხარისხიანი სამხედრო უპირატესობა, რეგულირებული აშშ-ს Qualitative Military Edge-ის (QME) მექანიზმით. ანუ რეგიონში საუკეთესო იარაღი მხოლოდ ისრაელს უნდა ჰქონდეს. მიუხედავად ამისა, ის არაბული ქვეყნები, რომლებმაც უკვე დააღაგა ისრაელთან ურთიერთობები, შეძლებენ შეიარაღდნენ მოწინავე ამერიკული იარაღით. ასე, საამიროები 23 მილიარდ აშშ დოლარის ღირებულების შეიარაღებას შეიძენს, მათ შორის 50 უახლეს გამანადგურებელ F-35 Lightning II-ს, რომელიც მხოლოდ ისრაელს გააჩნია (Goldberg, 2020).

ტრამპის ადმინისტრაცია ხელს უწყობდა ე.წ. Arab NATO-ს შექმნის იდეას, რომლის მიზანია პირველ რიგში ირანის შეკავება და ახლო აღმოსავლეთში ამერიკული გავლენის შენარჩუნება. ვაშინგტონი განიხილავს ისრაელსა და სპარსეთის ყურის მონარქიებს შორის დაახლოებას, როგორც ერთ-ერთ ეტაპს ამ მიზნის მისაღწევად.

გეოპოლიტიკაში ძველი მიდგომის შეცვლა არაბულ მონარქიებში, ასევე ახალი თაობის ამბიციური პოლიტიკოსების გამოჩენას უკავშირდება. საამიროების და საუდის არაბეთის მმართველები, მემკვიდრე უფლისწულები, MBZ და მუჰამად ბინ სალმან ალ საუდი (Mohammed bin Salman Al Saud, MBS), მზად არიან განაახლონ რეგიონალური ალიანსები, გაატარონ რეფორმები და გადადგან არასტანდარტული ნაბიჯები.

უნდა ვიცოდეთ, რომ ისრაელთან შეთანხმება საუდის არაბეთის მხარდაჭერის გარეშე არ მოხდებოდა. მაგრამ სამეფოს მიერ ისრაელის აღიარება, სადაც მთავარი ისლამური სალოცავებია მექასა და მედინაში, ბევრად უფრო სერიოზული ნაბიჯი იქნება. სამეფოს დიდი ხანია გააჩნია ფარული კონტაქტები თელავიკთან და უკვე დაწყებულია საუბრები მათ შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებაზე. ამასთან, მისი ამბიციური მისწრაფება ისლამურ სამყაროში ლიდერობისკენ, მოითხოვს სიფრთხილის გამოჩენას განცხადებებში, რათა არ გააფუჭოს თავისი იმიჯი სამიზნე აუდიტორიისთვის ისლამურ სამყაროში. ამას დაემატა ახალი კონფლიქტის დაწყება ისრაელსა და „ჰამასს“ შორის, რამაც შეაფერხა ნორმალიზაციის მცდელობები.

აშშ-ს პრეზიდენტიც გარკვეულ სარგებელს იღებდა ამ გარეგნობებით. წარმოდგენილი როგორც საგარეო პოლიტიკური ტრიუმფი, ისრაელის მხარდაჭერით და ირანის წინააღმდეგ ბრძოლით, მეტი პოპულარობა მოიპოვა თავისი ელექტორატის ერთ-ერთ ყველაზე ერთგულ ჯგუფში - ევანგელურ-ქრისტიანებში (Williams, 2020).

აშშ-ს გავლენიანი The Atlantic-ის მთავარი რედაქტორი ჯეფრი გოლბერგი (Jeffrey Goldberg) თვლის, რომ „შეთანხმებები MBZ-ის და MBS-ის, ნეთანიაჰუს - ისრაელის მუდმივი პრემიერის, ტრამპის და მისი გარემოცვის გამარჯვებაა, რადგან უკანასკნელს შეუძლია თქვას, რომ მშვიდობა მოიტანა ახლო აღმოსავლეთში. ვინ წააგო? - ირანმა და პალესტინელებმა“.

არის საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ეს ახალი ბიძგი ვითარების ნორმალიზებისკენ ხელს შეუწყობს ისრაელ-პალესტინის კომპრომისის მიღწევას. Washington Institute for Near East Policy-დან დევიდ მაკოვსკი (David Makovsky) და ისრაელში ყოფილი ელჩი დანიელ შაპირო (Daniel Shapiro) კამათობდნენ Washington Post-ში: „ისტორია და საღი აზრი აჩვენებს, რომ ის არაბული სახელმწიფოები, რომლებსაც გააჩნიათ დიპლომატიურ ურთიერთობები ისრაელთან, უფრო აქტიურ როლს თამაშობენ პალესტინის მისწრაფებების მხარდაჭერაში, ვიდრე ისინი ვისაც ურთიერთობები არ სურს“ (Goldberg, 2020).

მოვლენები ისე განვითარდა, რომ კიდევ ორ არაბულ ქვეყანასთან მოხდა ურთიერთობების ნორმალიზება. 2020 წლის 23 ოქტომბერს, ისრაელი და სუდანი, აშშ-ს შუამავლობით შეთანხმდნენ საომარი მდგომარეობის დასრულებაზე, რის შედეგად ხარტუმმა დაიწყო ნორმალიზების პროცესი ისრაელთან. შეთანხმების პაკეტის შედეგად, ვაშინგტონმა სუდანი ტერორიზმის ხელშემწყობი და დამფინანსებელი სახელმწიფოთა სიიდან (State Sponsors of Terrorism, SST List) ამოიღო, რომელშიც ის 27 წლის განმავლობაში ფიქსირდებოდა.

2020 წლის 10 დეკემბერს, საამიროების, ბაჰრეინს და სუდანის მიერ ხელმოწერილ სამშვიდობო შეთანხმებებს შეუერთდა მაროკოს სამეფოც, ხოლო აშშ-მ, რომელიც გამოდიოდა შუამავ-

ლის როლში, აღიარა მაროკოს უფლებები დასავლეთ საჰარის სადაო ტერიტორიაზე, რაც გახდა უკვე მეოთხე შეთანხმება ისრაელსა და არაბულ ქვეყანას შორის, რომელიც მიღწეულია აშშ-ს პრეზიდენტის დონალდ ტრამპის დიპლომატიის წყალობით.

როგორც აღნიშნავს Haqqin.az-ის მიმომხილველი როი, მაროკოსთან „გასაღების“ მომეზნა, გარიგებაზე თანხმობისთვის, სწორედ რომ დიპლომატიური ხელოვნებაა, რომელიც ტრამპმა გამოავლინა“ (Poñ, 2020).

ახლო მომავალში (მიმდინარე ისრაელი-ჰამასის<sup>9</sup> კონფლიქტის დამთავრების შემდეგ), ისრაელს გამოუჩნდება „განსაკუთრებული შესაძლებლობა“ მოახდინოს ურთიერთობების ნორმალიზება თავის არაბ მეზობლებთან, წერს Jerusalem Post-ი, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ენტონი ბლინკენის (Antony John Blinken) განცხადებაზე დაყრდნობით. აღნიშნულია, რომ სახელმწიფო მდივანმა ასევე ხაზი გაუსვა პალესტინის სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობას.

„ფაქტობრივად, ყველა არაბულ ქვეყანას ახლა გულწრფელად სურს ისრაელის ინტეგრაცია რეგიონში ურთიერთობების ნორმალიზებისთვის ... უზრუნველყოს უსაფრთხოების ვალდებულებები და გარანტიები, რათა ისრაელმა თავი უფრო დაცუ-

---

<sup>9</sup> „ჰამასის“ სამხედრო ფრთა IQB-ის მეთაურმა, მუჰამად დაიფმა (Mohammed Deif/Diab Ibrahim Masri) ისრაელის წინააღმდეგ ოპერაცია „ალ-აკსას წარღვნა“ არაბ.: عملية طوفان الأقصى - „ამალიათ ტუფან ალ-აკსა“; ინგლ.: Al-Aqsa Flood ან Deluge) დაწყება გამოაცხადა. „ჰამასმა“ ამ ოპერაციას შურისძიება უწოდა ალ-აკსას მეჩეთის გამო. შეიარაღებული ჯგუფები ისრაელში შეიჭრნენ ღაზას სექტორიდან, დაარღვიეს სასახლვრო ბარიერი და შეაღწიეს ახლომდებარე ისრაელის ქალაქებსა და სამხედრო ობიექტებში. ოპერაცია დაიწყო 7 ოქტომბრის დილით, ღაზას სექტორიდან ისრაელის დაბომბვით 5 ათასამდე რაკეტით და 2500-ზე მეტი ბოვევიკის შეღწევით ხმელეთიდან, ზღვიდან და საჰაერო გზით. დაიღუპა დაახლოებით 1200 ისრაელიელი, კიდევ 253 ისრაელიელი და უცხოელი მძევლად აიყვანეს; გარდა მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტისა, დაფიქსირდა არაერთი სექსუალური ძალადობის ფაქტი ისრაელიელი ქალების, მამაკაცების მიმართ. თავდასხმა გახდა ებრაელების უდიდესი ხოცვა-ჟლეტა ჰოლოკოსტის დროიდან მოყოლებული და პალესტინური ტერორიზმის უდიდესი აქტი ისტორიაში. საპასუხოდ, ისრაელის მთავრობამ 1973 წლის შემდეგ პირველად გამოაცხადა საომარი მდგომარეობა და დაიწყო ოპერაცია „რკინის ხმლები“ (ინგლ.: Operation Swords of Iron/ Haravot Barzel) ღაზას სექტორში.

ლად იგრძნოს“, თქვა ბლინკენმა მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე გამოსვლისას.

მანამდე, მიმდინარე წლის დასაწყისში საუდის არაბეთის ელჩმა ბრიტანეთში, ხალიდ ბინ ბანდარ ალ საუდმა (Khalid bin Bandar Al Saud) BBC-ს განუცხადა, რომ საუდის არაბეთი დაინტერესებულია ისრაელთან ურთიერთობების ნორმალიზებით დაზაში სექტორში ომის დასრულების შემდეგ. თუმცა, მისი თქმით, საუდის არაბეთს ერთი პირობა აქვს - პალესტინის სახელმწიფოს შექმნა. როგორც ელჩმა ხაზგასმით აღნიშნა, 7 ოქტომბრის „ხოცვა-ჟლეტამდე“, როგორც გაზეთი წერს, ორივე ქვეყანა ახლოს იყო შეთანხმების მიღწევამდე (Lazaroff, 2024).

დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერი ტონი ბლეერი (T.Blair) მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „თუ ჩვენ გვინდა ისრაელ-პალესტინის საკითხის ორი სახელმწიფოს საფუძველზე სამართლიანი გადაწყვეტა, უარი უნდა ვთქვათ იმ იდეაზე, რომ არაბულმა სამყარომ უფლებელყოს ისრაელთან კონტაქტები“. მას სჯერა, რომ „დროთა განმავლობაში პალესტინელი ხალხი მიხვდება, რომ მხოლოდ სტრატეგიის რადიკალურად შეცვლით შეიძლება პალესტინის სიცოცხლისუნარიანი სახელმწიფოს ლეგიტიმური მისწრაფებების რეალიზება“ (Ahren, 2020).

## **დასკვნა**

ვერავინ შეძლო დონალდ ტრამპსა და მის ადმინისტრაციაზე მეტი ებრაულ-არაბული კონფლიქტის 70 წლიანი ისტორიის მანძილზე, კერძოდ, რიგ არაბულ ქვეყნებსა და ისრაელს შორის ურთიერთობების ნორმალიზება ასეთ მოკლე დროში, ტრამპის მთავარ საკვანძო მიღწევად იქცა. მოწინააღმდეგეთა კრიტიკის მიუხედავად, ტრამპი ისტორიაში დარჩება პრეზიდენტად, რომლის დროს ახლო აღმოსავლეთში მსხვილი სამხედრო კონფლიქტი არ გაჩაღდა.

ტრამპმა დატოვა საკვანძო ფუნდამენტი ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის დარეგულირების გასაგრძელებლად. აშშ-ს მონაწილეობით ახალი გარიგებები ლოგიკური პასუხია ირანის ქმედებებსა და თურქეთის საგარეო პოლიტიკის ტრანსფორმა-

ციაზე. ბუნებრივია, ეს არ ნიშნავს, რომ რეგიონში მშვიდობა მალე დამყარდება, მაგრამ ეს არის გზა ამ მშვიდობისაკენ.

ტრამპი წავიდა - მაგრამ ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტების მოგვარების პროცესის მცდელობები აშშ-ს პრეზიდენტ ჯო ბაიდენის ადმინისტრაციის დროსაც გაგრძელდა, ოღონდ სხვა ფორმით. თუმცა, საპრეზიდენტო არჩევნებში ტრამპის მეორე ვადით გამარჯვების შემთხვევაში, ახლო აღმოსავლეთში გრანდიოზული ცვლილებები მოხდებოდა.

უნდა ითქვას, რომ ახლო აღმოსავლეთის რეგიონის მნიშვნელობის შეფასებაში, რესპუბლიკელებსა და დემოკრატებს არავითარი ძირეული უთანხმოება არა აქვთ. ორივე მხარე ამ რეგიონს ამერიკის შეერთებული შტატების პირველადი სტრატეგიული ინტერესის სფეროდ მიიჩნევს. საკითხი იმაში კი არ მდგომარეობს, მოახდენენ თუ არა არაბული ქვეყნები ისრაელთან ურთიერთობის ნორმალიზებას მომავალში, არამედ იმაში, თუ როდის და როგორ მოახდენენ.

### გამოყენებული ლიტერატურა:

ისრაელმა და არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა ტრამპის დახმარებით ისტორიულ შეთანხმებას მიაღწიეს (2020, 13 აგვისტო), „ამერიკის ხმა“ (VOA), Accessed [24.04.2024]: <https://www.amerikiskhma.com/a/with-trumps-help-israel-and-the-united-arab-emiratesreach-historic-deal-to-normalize-relations/5542355.html>.

ტრამპმა სამშვიდობო შეთანხმების ხელმოწერის ცერემონიას უმასპინძლა (2020, 16 სექტემბერი), „ამერიკის ხმა“ (VOA), Accessed [24.04.2024]: <https://www.amerikiskhma.com/a/trump-hosts-abraham-accords-signing-between-israel-uae-and-bahrain/5585525.html>.

Ahren, R. (2020, September 16). “Accords mark Mideast peace breakthrough, but Palestinian issue isn’t going away”. *The Times of Israel*, Accessed [24.04.2024]: <https://www.timesofisrael.com/>

- accords-mark-mideast-peace-breakthrough-but-palestinian-issue-not-going-away/#gs.fqgrgq.
- Arab peace initiative (2002, March 28), *The Guardian*, Accessed [24.04.2024]:<https://www.theguardian.com/world/2002/mar/28/israel7>.
- Decker J. (2020, September 9). “Trump nominated for Nobel Peace Prize by Norwegian official, citing Israel-UAE peace deal”. *Fox News*, Accessed [24.04.2024]: <https://www.foxnews.com/politics/trump-nominated-for-nobel-peace-prize-by-norwegian-official>.
- England Andrew at al. (2020, August 14). “Israel and United Arab Emirates strike historic peace accord”. *Financial Times*, Accessed [24.04.2024]:<https://www.ft.com/content/2712a625-e2d4-41f3-9ef1-536d0700cbb8>.
- Goldberg J. (2020, September 16). “Iran and the Palestinians Lose Out in the Abraham Accords”. *The Atlantic*, Accessed [24.04.2024]: <https://www.theatlantic.com/ideas/archive/2020/09/winners-losers/616364/>.
- Iran’s Khamenei says UAE ‘betrayed’ Muslim world with Israel deal (2020, September 1), *Al Jazeera Media Network*. Accessed [24.04.2024]:<https://www.aljazeera.com/news/2020/9/1/irans-khamenei-says-uae-betrayed-muslim-world-with-israel-deal>.
- Khaled Abu Toameh (2020, August 14). “Palestinians fume over Israel-UAE deal. Fatah: UAE betrayed Arabs, Palestinians”, *The Jerusalem Post*, Accessed [24.04.2024]: <https://www.jpost.com/middle-east/abu-dhabis-crown-prince-says-uae-israel-deal-will-halt-annexation-638546>.
- Lazaroff Tovah (2024, February 17). Blinken hints at 'extraordinary' opportunity for Israel-Saudi peace. *The Jerusalem Post*. Accessed [24.04.2024]:<https://www.jpost.com/breaking-news/article-787434#787434>.
- Liebermann, O. (2020, September 16). “Two Gulf nations recognized Israel at the White House”, *CNN*, Accessed [24.04.2024]:

- <https://edition.cnn.com/2020/09/15/politics/israel-uae-bahrain-white-house-analysis-intl/index.html>.
- Seán Federico-O'Murchú (2020, September 13). "Read the full statement by the US, Israel and UAE on normalizing Israel-UAE relations". *CNN*, Accessed [24.04.2024]: <https://edition.cnn.com/2020/08/13/middleeast/mideast-trump-full-statement-uae-israel-intl/index.html>.
- The Abraham Accords (2021, April 2). *U.S. Department of State*, Accessed[24.04.2024]:<https://www.state.gov/the-abraham-accords/>.
- Turkey slams UAE for 'hypocritical behaviour' over Israel deal (2020, August 14). *Al Jazeera Media Network*, Accessed [24.04.2024]: <https://www.aljazeera.com/news/2020/8/14/turkey-slams-uae-for-hypocritical-behaviour-over-israel-deal>.
- UN chief welcomes Israel-UAE agreement (2020, August 14), *UN News*, Accessed [24.04.2024]: <https://news.un.org/en/story/2020/08/1070192>.
- Williams, D. (2020, August 31): "Israeli, U.S. officials land in UAE". *Reuters*, Accessed [24.04.2024]: <https://www.reuters.com/article/israel-emirates-usa-idINKBN25R0M2>.
- Замикула, Н. (2020, 17 Августа). «Израиль добился признания». *Зеркало недели. Украина*. Accessed [24.04.2024]:<https://zn.ua/international/izrail-dobilsja-priznanija-.html>.
- Рой, Д. (2020, 12 Декабря): «Последний бартер Трампа: Мы вам Израиль, вы нам Сахару», *Haqqin.az*, Accessed [24.04.2024]: <https://haqqin.az/news/195976>.
- Хаджич Я. (2020, 14 Августа): «ОАЭ-Израиль: историческое признание при посредничестве США». *«Голос Ислама»*, Accessed [24.04.2024]: <https://golosislama.com/news.php?id=39077>.



## How the “Abraham Accords” Herald a new Era in the Middle East

**Zviad Tkabladze**

Ph.D. in History Sciences, Professor

Georgian Technical University

Department of Political and International Relations

Georgia, 0160, Tbilisi, 77' M. Kostava St.

+995 551 01 08 08. [tkabladze.zviad@gtu.ge](mailto:tkabladze.zviad@gtu.ge)

ORCID: 0009-0009-4347-6299

DOI: <https://doi.org/10.61671/hos.7.2024.7819>

### **Abstract**

The article is devoted to a very interesting topic - the significance of the "Abraham Accords" for the history and future of the Middle East.

At the initiative and efforts of former US President Donald Trump, Israel signed historic and important peace agreements with the United Arab Emirates and Bahrain, known as the "Abraham Accords" in honor of Abraham, the Patriarch of the world's three major monotheistic religions - Christianity, Judaism, and Islam.

After the conclusion of the 1979 Egypt-Israel and 1994 Jordan-Israel peace agreements, such an important and seemingly incredible story has probably never happened in the Middle East. The "Abraham Accords" are a conscious and determined decision by the three states to move from division to successful engagement. After that, Morocco established relations with Israel, the process of normalization began with Sudan.

Despite the outbreak of a new conflict between Israel and Hamas, having temporarily hampered peace initiatives in the Middle East,



**the normalization of Israel's relations with other Arab countries will be an irreversible process.**

**Keywords:** The Abraham Accords; Middle East conflict; Israel, Arab countries; USA.

## **Introduction**

**„After decades of division and conflict,  
We mark the dawn of a new Middle East ...“ –  
Donald John Trump**

After the conclusion of the 1979 Egypt-Israel and 1994 Jordan-Israel peace agreements, such an important and seemingly incredible story has probably never happened in the Middle East - Israel and the United Arab Emirates agreed on the full normalization of relations, which was announced by the 45<sup>th</sup> President of the United States, Donald John Trump (2017-2021). It turns out that this is only the third Arab-Jewish peace deal since Israel declared independence in 1948.

On August 13, 2020, during a telephone conversation between Donald Trump, Israeli Prime Minister Benjamin Netanyahu and the President of the United Arab Emirates, Ruler of Abu Dhabi, Mohammed bin Zayed Al Nahyan (MBZ), a historic agreement was reached - Israel and the Emirates would establish diplomatic relations.

Donald Trump's mediation played a major role in reaching the agreement. In a joint statement issued by the parties, the three leaders "agreed to fully normalize relations between Israel and the United Arab Emirates and expressed hope that this historic breakthrough would contribute to peace in the Middle East" (Seán Federico-O'Murchú, 2020). According to the agreement, Israel agreed to stop "extending its sovereignty" over the parts of the West Bank the annexation of which was discussed (VOA, Israel ..., 2020).

"Today we have a huge achievement! A historic peace agreement between our great friends - Israel and the United Arab Emirates,"

Trump wrote on his Twitter page, adding that he was very pleased with the agreement. In response to Trump's statement, Netanyahu also wrote on Twitter: "Historical day"!

Until this moment, none of the Persian/Arabian Gulf <sup>10</sup> countries had diplomatic relations with Israel. Common concerns about Iran's increasing influence in the region had led Arab countries and Israel to engage in some informal contacts with each other in recent years, which became official by the active intervention of the Trump Administration (England Andrew, 2020). From the US side, the following were also involved in the deal: Trump's senior advisor and son-in-law Jared C. Kushner, US Ambassador to Israel David M. Friedman, Middle East Envoy Avrahm Berkowitz, Secretary of State Michael R. Pompeo and White House National Security Adviser, Robert C. O'Brien.

### **Method**

The presented scientific article is based on theoretical methodology: analysis of the cause-effect relationship, synthesis, comparison, searching and processing of various scientific literature. The publications of competent researchers and experts working on this issue were studied and the basic scientific material we needed was reflected in the article.

### **Result**

As a result of working on the research topic, many aspects of the importance of the "Abraham Accords" in peacemaking between Israel and the Arab countries in the Middle East have been revealed. Based on the study of scientific literature, the article answered the questions of what important role the Administration of Donald Trump played in the conclusion of the "Abraham Accords". It was also determined that despite the new challenges in the Middle East, the normalization of Israel's relations with other Arab countries would be an irreversible process.

---

<sup>10</sup> In the Arab world, only the term "Arabian Gulf" is used; Arabic: - الخليج العربي - **Al-Khaleej** Al-Arabiya).

## Discussion

### 1. **What we should know about this agreement (main articles):**

- Emirates becomes the first Gulf country to establish diplomatic relations with Israel;
- Within the framework of the agreement between the countries, Israel stopped the "declaration of sovereignty" (annexation) in the occupied West Bank of Jordan River;
- However, Netanyahu later stated, that he had agreed to postpone the plans in exchange for normalizing relations with the Emirates and they "remain on the table".
- According to Trump's plan, Muslims can visit Al-Aqsa Mosque and pray there: "All Muslims coming in peace will be able to visit Al-Aqsa Mosque, and other holy places in Jerusalem will be open to believers of all faiths." The Haram al-Sharif complex is located in East Jerusalem, occupied by Israel since 1967, which has not received international recognition.
- Israel and the Emirates will also expand and accelerate cooperation to create a vaccine against the corona virus, in which cooperation had already begun before the conclusion of the deal (Hadzhich, 2020).

### 2. **Mixed reaction in the Middle East and the world regarding the conclusion of this historic deal**

The UN Secretary-General António Manuel de Oliveira Guterres welcomed the announcement by the leaders of the US, Israel and the Emirates that Israel halted its plans to annex the West Bank, which the UN had repeatedly called for. The United Nations will support any initiative that promotes peace and security in the Middle East (UN News, 2020).

**In the interview with Sky News Arabia**, the UAE Minister of State for Foreign Affairs, Anwar Mohammed Gargash said that "making peace with Israel helped defuse a ticking time bomb that threatened the decision to create two states."

"If Israel uses this as an incentive to end the occupation, it will advance the region towards a just peace," said Ayman Safadi, Minister of Foreign Affairs of the Hashemite Kingdom of Jordan.

Abdel Fattah el-Sisi, the president of Egypt, the first Arab country, an ally of the Emirates with diplomatic relations with Israel welcomed the agreement on Twitter: "I've been following with great interest the joint statement of the US, the Emirates and Israel, on ending the annexation of Palestinian lands and taking measures to establish peace in the Middle East".

Saudi Arabia, Bahrain, Oman, European Union, Great Britain, Russia also welcomed the agreement (Hadzhich, 2020).

For facilitating such a historic deal, Trump has been nominated for the 2021 Nobel Peace Prize. Prior to the signing of the agreement with the Emirates, Norwegian MP, Norway's representative in NATO's Parliamentary Assembly, Christian Tybring-Gjedde, praised Trump's efforts to resolve the long-standing conflicts in an interview with Fox News: "I think he has done more to promote peace between peoples than any of the other peace nominees and the Trump Administration has played a key role in this, as it is expected that other Middle Eastern countries will follow this example (which has already happened, Z.T.)" (Decker, 2020).

At a time when the West and some Arab countries positively evaluated the UAE-Israel deal, some countries in the Middle East and the Palestinians sharply criticized Abu Dhabi and considered the agreement to be a betrayal and neglect of Palestinian interests.

The Palestinian Hamas and rival Fatah movements rejected the agreement. Hamas representative Abd al-Latif al-Qanua said that the Tel-Aviv-Abu Dhabi deal would not make the "Zionist occupation" of Palestine legitimate and the Palestinians would continue their struggle for liberation. Fatah member Abbas Zaki, commenting on Al-Jazeera called the action of the Emirates a betrayal of the Palestinians and the Arabs (Khaled Abu Toameh, 2020).

Although on September 9, the "League of Arab States" rejected the Palestinian draft resolution, which condemned the normalization

of relations between Israel and the Emirates, but it reaffirmed its commitment to the "2002 Arab Peace Initiative", according to which relations between the Arab countries and Israel can only be established "After the end of the occupation of the Palestinian lands seized in 1967, with the establishment of the State of Palestine with its capital in East Jerusalem".<sup>11</sup>

Radical Zionists also called the deal a shame and a betrayal, they believe that Netanyahu has betrayed them. "He lied, lied to half a million residents of this area (Jewish settlements) and hundreds of thousands of voters," said David Elhayani, chairman of the Council of Settlers of Yeshi.

But it is Netanyahu who benefits the most from this deal, Middle East experts say. It was of great importance for him to conclude these agreements for his personal image in the domestic turbulent conditions in Israel (Hadzhich, 2020).

Those states, whose actions in the region cause concern to both Tel Aviv and Arab countries, opposed the agreement mediated by Trump. Such states are Iran and Turkey, which continue to fight for hegemony in the Middle East (Zamikula, 2020).

The supreme spiritual leader of Iran, Ayatollah Seyed Ali Hosseini Khamenei, on the normalization of relations between Israel and the Emirates, said that the Emirates betrayed the Islamic world, the Arab and regional countries, primarily Palestine. According to him, "Abu Dhabi paved the way for the Zionists in the region. They forgot the Palestinian problem, they forgot the occupation." Iran's Revolutionary Guards Corps (IRGC) news agency Tasnim says the deal is "shameful" (Al Jazeera, Iran's Khamenei says..., 2020).

---

<sup>11</sup> **2002 Arab peace initiative** (Arab.: العربية السلام مبادرة) - adopted by the League of Arab States (Arab.: العربية الدول جامعة) on the 28<sup>th</sup> of March, 2002 in Beirut and aimed at achieving a comprehensive peace with Israel, in case of fulfillment of the main condition - the withdrawal of Israel in 1967 from the occupied territories by it (Golan Heights and Shabaa Farm) and the recognition of the State of Palestine on the West Bank of Jordan River and the Gaza Strip, with the capital in East Jerusalem. See also: Arab peace initiative, Guardian, 28.03.2002; <https://www.theguardian.com/world/2002/mar/28/israel7> Accessed [24.04.2024].

Turkey also opposed the deal. Through criticism of Israel, Ankara was trying to secure popularity in the Islamic world. There is also a rational disagreement between countries regarding the extraction and transit of energy resources in the Eastern Mediterranean. The Turks called the agreement hypocritical. The statement of the Ministry of Foreign Affairs stated: "The history and conscience of the people of the region will not forget, will never forgive the hypocrisy of the Emirates" (Al Jazeera, Turkey slams..., 2020). However, in spite of this, recently, there have been trends of normalizing Turkey's relations with Israel and leading Arab countries.

According to the Ukrainian researcher N. Zamikula, recently the Arab-Israeli conflict is already losing its status as a key confrontational factor, and Tel-Aviv and the Arabs are facing common threats. One way or another, the international community is optimistic about the solution to the long-standing Arab-Israeli conflict based on new realities (Zamikula, 2020).

After the successful negotiations held with the help of the US, the White House official, Jared Kushner, who arrived in Abu Dhabi on the first flight from Israel, called on Palestinians to sit at the negotiating table, that "Palestinians should not be stuck in the past ... they should know that peace will be ready for them" (Williams, 2020).

### **3. "Abraham Accords"**

As such, the Arab-Israeli conflict has been around for a long time, and the Arab world is tired of the Palestinian problem, especially today they face other, more important challenges - the increasingly offensive policy of Tehran. Under these conditions, the issue of Palestine moves to the second place.

From the moment the Emirates and Israel patched up relations, it took at least a month for Bahrain, another Gulf state, to join the deal, mediated by the Trump Administration. On September 15, 2020, Donald Trump hosted the signing ceremony of the agreement on the normalization of relations between Israel and two Arab states - the Emirates and Bahrain (Liebermann, 2020).

"We have gathered today to change the course of history. After decades of division and conflict, we are witnessing the dawn of a new Middle East. Sharp-sighted leaders will sign the first peace agreements between Israel and the Arab states in nearly a quarter of a century," Trump said, adding that "there have only been two such agreements in the entire history of Israel, and now we have two agreements in one month" (Ahren, 2020).

In the South Garden of the White House, the relevant document was signed in the presence of Trump and invited guests: Prime Minister of Israel, Netanyahu, Minister of Foreign Affairs of the Emirates, Abd Al-Lah bin Zayed Al Nahyan and Minister of Foreign Affairs of the Kingdom of Bahrain, Abd Al-Latif bin Rashid Al-Zayan. These documents are collectively called the Abraham Accords.

Pentagon correspondent Oren Liebermann interestingly talks about these deals: "The Trump Administration saw an opportunity in the changing Middle East and took advantage of it." With no way to make progress in the Israeli-Palestinian conflict, Trump and his advisers turned their attention to the rest of the region. Now the biggest regional battle is between Iran and the Sunni states of the Gulf. It was in this conflict that Trump saw an opportunity to bring Israel closer to the Arab states" (Liebermann, 2020).

"Gulf Arab states and Israel have a lot more in common in their opposition to Iran", says Will Todman, a researcher at the Center for Strategic and International Studies (CSIS), "I think, there is an important geopolitical change" (VOA, Trump ..., 2020).

As The Times of Israel's diplomatic columnist Raphael Ahren notes, "The historic ceremony at the White House is the culmination of a rare diplomatic success and a breakthrough - after 72 years of struggle, Israel won the right to become a full member of its region." "This day is a turning point in history. It will mark a new dawn of peace," Netanyahu said (Ahren, 2020).

Three documents were signed at the Washington ceremony: the "Agreement on Peace, Diplomatic Relations and Full Normalization" between Israel and the Emirates, the "Declaration on Peace, Coope-

ration and Constructive Diplomatic and Friendly Relations" between Israel and Bahrain, as well as the overall "Abraham Accords" (AA), in honor of the common patriarch of three religions - Christianity, Judaism and Islam. This term will henceforth be used to refer collectively to Israel's agreements with the Arabs (U.S. Department of State, 2020).

All three monotheistic religions have their roots in the ancient Semitic tradition and are associated with the patriarch Abraham (father, leader, Hebrew: Avraami; Arabic: Ibrahim). Abraham became the first person to believe in God.

The agreement is a major breakthrough and the normalization of relations, despite criticism, does not mean forgetting the Palestinian problem. On the contrary, in Abu Dhabi and Manama they say that the deal with Israel is not a betrayal of the Palestinians and it will bring more good to the Palestinians, and the establishment of diplomatic relations will give Arab countries more opportunities for dialogue with Israel on the Palestinian issue.

But the Palestinians don't believe it and have publicly condemned the new deals. The Prime Minister of the Palestinian Authority (until March 31, 2024), Mohammad Ibrahim Shtayyeh, called the signing of the "Abraham Accords" a "black day in the history of Arab countries" (VOA, Trump..., 2020).

"There will be no peace in the Middle East until Israel and the US recognize the right of the Palestinians to establish an independent state in the period of June 4, 1967, with East Jerusalem as its capital, and resolve the issue of Palestinian refugees in accordance with Resolution 194," said the President of "Palestinian National Authority" (PNA) Mahmoud Abbas (Abu Mazen).

"The main problem is not between the countries that signed the agreements, but between the Israeli occupation authorities and the Palestinian people who are suffering under the occupation," he said, adding that "if the Palestinians do not get what they want, there will be no peace, no security, no stability in the region." (Ahren, 2020).

Abraham Accords have been called historic by many in the world, which is equivalent to a military deal. In the Middle East, Israel



has a qualitative military advantage, governed by the US Qualitative Military Edge (QME) mechanism. That is, only Israel should have the best weapons in the region. Nevertheless, those Arab countries that have already settled relations with Israel will be able to be armed with advanced American weapons. Thus, the Emirates will purchase \$23 billion worth of weapons, including 50 of the latest F-35 Lightning II Fighter Jets, which only Israel has (Goldberg, 2020).

The Trump Administration promoted the idea of creating a so-called Arab NATO, the purpose of which is primarily to deter Iran and maintain American influence in the Middle East. Washington views a rapprochement between Israel and the Gulf monarchies as one of the stages in achieving this goal.

The change of the old approach in geopolitics in the Arab monarchies is also connected with the emergence of a new generation of ambitious politicians. The rulers of the Emirates and Saudi Arabia, the Crown Prince, MBZ and Mohammed bin Salman Al Saud (MBS), are ready to renew regional alliances, implement reforms and take unconventional steps.

We should know that the agreement with Israel would not have happened without the support of Saudi Arabia. But the kingdom's recognition of Israel, home to the main Islamic shrines in Mecca and Medina, would be a far more serious step. The kingdom has long had covert contacts with Tel Aviv, and talks have already begun to establish diplomatic relations between them. However, its ambitious pursuit of leadership in the Islamic world requires caution in the statements so as not to tarnish its image for its target audience in the Islamic world. Added to this was the start of a new conflict between Israel and Hamas, which hampered normalization efforts.

The President of the USA was also benefiting from these deals. Presented as a foreign policy triumph, supporting Israel and fighting against Iran, it gained more popularity among one of the most loyal groups of its electorate - evangelical Christians (Williams, 2020).

Jeffrey Goldberg, editor-in-chief of the influential US publication *The Atlantic*, believes that "the agreements are a victory for

MBZ and MBS, for Netanyahu - the permanent Prime Minister of Israel, for Trump and his entourage, because the latter can say that he brought peace in the Middle East. Who lost - Iran and the Palestinians".

There is reason to believe that this new push to normalize the situation will contribute to an Israeli-Palestinian compromise. David Makovsky of the Washington Institute for Near East Policy and Daniel Shapiro, former Ambassador to Israel, argued in the Washington Post: "History and common sense show that those Arab states that have diplomatic relations with Israel play a more active role in supporting Palestinian aspirations than those who do not want relationships" (Goldberg, 2020).

Events developed in such a way that relations with two more Arab countries were normalized. On October 23, 2020, Israel and Sudan, through the mediation of the United States, agreed to end the state of war, causing Khartoum to begin a process of normalizing relation with Israel.

As a result of the agreement package, Washington removed Sudan from the State Sponsors of Terrorism (SST) List, where it had been for 27 years.

On December 10, 2020, the Kingdom of Morocco joined the peace accords signed by the Emirates, Bahrain, and Sudan, and the U.S., acting as mediator, recognized Morocco's rights to the disputed territory of Western Sahara, making it the fourth agreement between Israel and an Arab country reached thanks to the diplomacy of U.S. President Donald Trump.

As Haqqin.az columnist Roy points out, finding a "key" with Morocco to agree to a deal is precisely the diplomatic art that Trump has demonstrated" (Roy, 2020).

In the near future (after the end of the current Israel-" Hamas"<sup>12</sup> conflict), Israel will have a "special opportunity" to normalize relations

---

<sup>12</sup> The commander of the IQB of the Hamas military wing, Mohammed Deif/Diab Ibrahim Masri, launched the operation "Al-Aqsa Flood or Deluge" against Israel. Arab: **عملية طوفان الأقصى** . Hamas called this operation revenge for Al-Aqsa Mosque. Armed groups entered

with its Arab neighbors, cites the Jerusalem Post, based on the statement of the US Secretary of State Antony John Blinken. It has been noted, that the Secretary of State also emphasized the need to create a Palestinian state. "Virtually all Arab countries now sincerely want Israel's integration in the region to normalize relations ... to provide security commitments and guarantees so that Israel feels more secure," Blinken said in a speech at the Munich Security Conference.

Earlier this year, Saudi Arabia's Ambassador to Britain, Khalid bin Bandar Al Saud, told the BBC that Saudi Arabia is interested in normalizing relations with Israel after the end of the war in the Gaza Strip. However, according to him, Saudi Arabia has one condition - the creation of a Palestinian state. As the Ambassador emphasized, before the "massacre" of October 7, as the newspaper cites, both countries were close to reaching an agreement (Lazaroff, 2024).

Former British Prime Minister Tony Blair came to the conclusion that "if we want a just solution to the Israeli-Palestinian issue based on two states, we must reject the idea that the Arab world should ignore contacts with Israel...". He believes that "over time, the Palestinian people will realize that only through a radical change in strategy can the legitimate aspirations of a viable Palestinian state be realized" (Ahren, 2020).

## **Conclusion**

No one has been able to do more than Donald Trump and his Administration in the 70-year history of the Jewish-Arab conflict, in particular, the normalization of relations between a number of Arab countries and Israel in such a short period of time has become the main key achievement of Trump. Despite the criticism of his opp-

---

Israel from the Gaza Strip, breaching the border barrier and entering nearby Israeli towns and military facilities. The operation began on the morning of October 7, with the bombardment of Israel from the Gaza Strip with up to 5,000 rockets and the infiltration of more than 2,500 militants by land, sea and air. About 1,200 Israelis were killed, another 253 Israelis and foreigners were taken hostage; In addition to the massacre of the population, many cases of sexual violence against Israeli men and women were recorded. The attack became the largest massacre of Jews since the Holocaust and the largest act of Palestinian terrorism in history. In response, the Israeli government declared martial law for the first time since 1973 and launched operation "Swords of Iron/Haravot Barzel in the Gaza Strip.

onents, Trump will go down in history as the president during which no major military conflict broke out in the Middle East.

Trump has left a key foundation for continuing to settle the Middle East conflict. New deals involving the US are a logical response to Iran's actions and the transformation of Turkey's foreign policy. Naturally, this does not mean that peace will be established in the region soon, but it is the way to that peace.

Trump is gone - but efforts to resolve conflicts in the Middle East continued under the Administration of US President Joseph Biden, but in a different form. However, if Trump had won a second term in the presidential elections, grand changes would have taken place in the Middle East.

It must be said that Republicans and Democrats do not have any fundamental disagreements in assessing the importance of the Middle East region. Both sides consider this region to be the primary strategic interest of the United States of America. The question is not whether the Arab countries will normalize relations with Israel in the future, but when and how they will do so.

### References:

Israel and United Arab Emirates reached historic deal with the help of Trump (August 13, 2020), "Voice of America" (*VOA*), Accessed [24.04.2024]: <https://www.amerikiskhma.com/a/with-trumps-help-israel-and-the-united-arab-emiratesreach-historic-deal-to-normalize-relations/5542355.html>.

Trump hosted the signing ceremony of the peace agreement (September 16, 2020), „*Voice of America*“ (*VOA*), Accessed [24.04.2024]: <https://www.amerikiskhma.com/a/trump-hosts-abraham-accords-signing-between-israel-uae-and-bahrain/5585525.html>.

Ahren R. (2020, September 16). "Accords mark Mideast peace breakthrough, but Palestinian issue isn't going away". *The Times of Israel*, Accessed [24.04.2024]: <https://www.Timesofisrael.com/>

- accords-mark-mideast-peace-breakthrough-but-palestinian-issue-not-going-away/#gs.fqgrgq.
- Arab peace initiative (2002, March 28), *The Guardian*, Accessed [24.04.2024]: <https://www.theguardian.com/world/2002/mar/28/israel7>.
- Decker J. (2020, September 9). “Trump nominated for Nobel Peace Prize by Norwegian official, citing Israel-UAE peace deal”. *Fox News*, Accessed [24.04.2024]: <https://www.foxnews.com/politics/trump-nominated-for-nobel-peace-prize-by-norwegian-official>.
- England Andrew at al. (2020, August 14). “Israel and United Arab Emirates strike historic peace accord”. *Financial Times*, Accessed [24.04.2024]: <https://www.ft.com/content/2712a625-e2d4-41f3-9ef1-536d0700cbb8>.
- Goldberg J. (2020, September 16). “Iran and the Palestinians Lose Out in the Abraham Accords”. *The Atlantic*, Accessed [24.04.2024]: <https://www.theatlantic.com/ideas/archive/2020/09/winners-losers/616364/>.
- Iran’s Khamenei says UAE ‘betrayed’ Muslim world with Israel deal (2020, September 1), *Al Jazeera Media Network*. Accessed [24.04.2024]: <https://www.aljazeera.com/news/2020/9/1/irans-khamenei-says-uae-betrayed-muslim-world-with-israel-deal>.
- Khaled Abu Toameh (2020, August 14). “Palestinians fume over Israel-UAE deal. Fatah: UAE betrayed Arabs, Palestinians”, *The Jerusalem Post*, Accessed [24.04.2024]: <https://www.jpost.com/middle-east/abu-dhabis-crown-prince-says-uae-israel-deal-will-halt-annexation-638546>.
- Lazaroff Tovah (2024, February 17). Blinken hints at 'extraordinary' opportunity for Israel-Saudi peace. *The Jerusalem Post*. Accessed [24.04.2024]: <https://www.jpost.com/breaking-news/article-787434#787434>.
- Liebermann, O. (2020, September 16). “Two Gulf nations recognized Israel at the White House”, *CNN*, Accessed [24.04.2024]:

- <https://edition.cnn.com/2020/09/15/politics/israel-uae-bahrain-white-house-analysis-intl/index.html>.
- Seán Federico-O'Murchú (2020, September 13). "Read the full statement by the US, Israel and UAE on normalizing Israel-UAE relations". *CNN*, Accessed [24.04.2024]: <https://edition.cnn.com/2020/08/13/middleeast/mideast-trump-full-statement-uae-israel-intl/index.html>.
- The Abraham Accords (2021, April 2). *U.S. Department of State*, Accessed[24.04.2024]:<https://www.state.gov/the-abraham-accords/>.
- Turkey slams UAE for 'hypocritical behaviour' over Israel deal (2020, August 14). *Al Jazeera Media Network*, Accessed [24.04.2024]: <https://www.aljazeera.com/news/2020/8/14/turkey-slams-uae-for-hypocritical-behaviour-over-israel-deal>.
- UN chief welcomes Israel-UAE agreement (2020, August 14), *UN News*, Accessed [24.04.2024]: <https://news.un.org/en/story/2020/08/1070192>.
- Williams D. (2020, August 31): "Israeli, U.S. officials land in UAE". *Reuters*, Accessed [24.04.2024]: <https://www.reuters.com/article/israel-emirates-usa-idINKBN25R0M2>.
- Zamikula N. (August 17, 2020). "Israel has Achieved Recognition". *Mirror of the Week. Ukraine*. Accessed[24.04.2024]: <https://zn.ua/international/izrail-dobiljsja-priznanija-.html>.
- Roy D. (December 12, 2020): "Trump's Latest Barter: We give you Israel, you give us Sahara", *Haqqin.az*, Accessed [24.04.2024]: <https://haqqin.az/news/195976>.
- Hadzic, J. (August 14, 2020): "UAE-Israel: Historic Recognition through the Mediation of the United States". "*Voice of Islam*", Accessed[24.04.2024]:<https://golosislama.com/news.php?id=39077>.



### მართლმადიდებლობა ჩინეთში

დავით ანდგულაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა  
ფაკულტეტის ისტორიის მიმართულების დოქტორანტი.

საქართველო, თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. 1.

+995555450101. Davit.andguladze230@hum.tsu.edu.ge

ORCID: 0000-0002-4899-0096

DOI: <https://doi.org/10.61671/hos.7.2024.7820>

### ანოტაცია

თანამედროვე სამყაროში რუსეთისა და ჩინეთის ურთიერთობები სულ უფრო ხშირად ექცევა სამეცნიერო თუ საინფორმაციო ყურადღების ცენტრში. ეს ურთიერთობები რამდენიმე საუკუნეს ითვლის და, ფაქტობრივად, სწორედ რუსული სასულიერო მისიის მეშვეობით დამყარდა, რომელიც საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში დიპლომატიურ საქმიანობას ეწეოდა.

თანამედროვე რუსეთში მართლმადიდებელი ეკლესია წინა პლანზეა წამოწეული და მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფოშიც და სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებშიც. შესაბამისად, მოსკოვის საპატრიარქოს ურთიერთობა თანამედროვე ჩინეთთან განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხია.

წინამდებარე ნაშრომში მოყვანილი წყაროების ანალიზი არ მოიცავს მხოლოდ პოლიტიკურ თემას, არამედ ეხება საკუთრივ რელიგიურ საკითხებსაც.

**საკვანძო სიტყვები:** ჩინეთი; რუსეთი; რუსული სასულიერო მისია; ჩინეთის ავტონომიური ეკლესია.

## **შესავალი**

ქართულ საისტორიო (და არამხოლოდ) სივრცეში ძალიან მწირი მასალა მოიპოვება ჩინეთისა და რუსეთის ურთიერთობების შესახებ ზოგადად, და კერძოდ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საქმიანობის შესახებ ჩინეთში.

მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილია როგორც რუსი, ისე ჩინელი ავტორების ნააზრევი ამ საკითხთან დაკავშირებით, განხილულია უშუალო ისტორიული წყაროებიც.

ნაშრომი არ შემოიფარგლება მისიის მხოლოდ პოლიტიკურ ქრილში განხილვით, არამედ ეხება მართლმადიდებლური მისიოლოგიის საკითხებსაც, რაც მას მრავალმხრივ საინტერესოს ხდის.

## **მეთოდები**

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი საკითხის კვლევისას გამოყენებულ იქნა შედარებითი ანალიზისა და ისტორიული შემეცნების მეთოდები; კრიტიკულად არის გაანალიზებული სხვადასხვა დაინტერესებული მხარის შეფასებები, ზოგადი ისტორიული წყაროები თუ სამეცნიერო ლიტერატურა.

## **შედეგები**

კვლევის შედეგად დგინდება, რომ საუკუნეების განმავლობაში არსებული მისიონერული პრობლემები მეტწილად განპირობებული იყო ჩინეთის საზოგადოებაში რუსეთის და მართლმადიდებლობის მიმართ არსებული ნეგატიური სტერეოტიპებით, რომელთა გაქარწყლებაც ბოლომდე ვერ მოხერხდა. გამოითქვა ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ მართლმადიდებლობის შემდგომი განვითარება ჩინეთში, შესაძლოა, არ იყოს მხოლოდ მოსკოვის საპატრიარქოზე დამოკიდებული.

## **მსჯელობა**

შორეულ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობები მრავალ საუკუნეს ითვლის. რადიკალურად განსხვავებული კულტურები ხვდებოდნენ ერთმანეთს აბრეშუმის გზის მეშვეობით, ვითარდებოდა კულტურული და პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობებიც, თუმცა, შორეული აღმოსავლეთი მაინც ერთგვარ ამოუცნობ ფენომენად რჩებოდა. სიტუაცია, არსე-



ბითად, არც თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში შეცვლილა. ეს დიდწილად განპირობებულია აღმოსავლური რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრებების თავისებურებებით.

თუ დასავლური სამყაროს ერთ-ერთი უმთავრესი ბურჯი არის ქრისტიანობა, აღმოსავლეთში მსგავსი მდგომარეობა ბუდიზმს უჭირავს. მართალია, ჩინეთისათვის ბუდიზმი არ არის ავთენტური რელიგია - ის ინდოეთში ჩაისახა და ჩინეთში მხოლოდ ახ. წ. პირველ საუკუნეში შეაღწია - მაგრამ, ჩინური კულტურის გავლენით ის იმდენად შეიცვალა და მოერგო ჩინურ რელიგიურ-ფილოსოფიურ მოდელებს, რომ თავისუფლად შეიძლება ეწოდოს ჩინური რელიგია (გელაშვილი, 2018:100-101). საკუთრივ ჩინური რელიგიები კონფუციზმი და ტაოიზმი, რომელთა გავლენა ჩინურ კულტურაზე წარმოუდგენლად დიდია. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ფუნდამენტური სხვაობისა ეს სამი მიმდინარეობა ერთმანეთშია გადაჯაჭვული და, როგორც წესი, ერთი ტერმინით - „三教“ („სამი მოძღვრება“) - მოიხსენიება.<sup>13</sup> აღსანიშნავია, რომ სამივე ეს მოძღვრება, არსებითად, ათეისტურია - ისინი უარყოფენ რაიმე აბსოლუტის არსებობას. კონფუციის მოძღვრებაში ცენტრალური ადგილი უჭირავს წინაპართა თავყვანის ცემას, რაც, შეიძლება ითქვას, ჩინეთის უმთავრესი რელიგიური რიტუალია (გელაშვილი, 2018:80).

ქრისტიანობამ, თავისი რთული დოგმატებითა და რიტუალებით, შედარებით გვიან დაიწყო ჩინეთში შეღწევა. არსებობს გადმოცემა იმის შესახებ, რომ ქრისტიანობა ჩინეთში ჯერ კიდევ თომა მოციქულმა იქადაგა, რაც ემყარება ერთ-ერთ აპოკრიფულ წყაროს, რომლის მიხედვითაც თომა მოციქული ინდოეთში საქადაგებლად გაემგზავრა (Acts of the Holy Apostle Thomas. n.d.). დომინიკელი მისიონერი გასპარ და კრუზი თავის „Tractado de China“<sup>14</sup>-ში (1569) ახსენებს თომა მოციქულის მოგზაურობას ჩინეთში. ამ არგუმენტს სერიოზულად იყენებდნენ იეზუიტი მისიონერებიც. თუმცა, აბატი ჰუკი 1884 წელს ამბობდა, რომ ეს ერთგვ-

---

<sup>13</sup> აბრამიტული რელიგიებისგან განსხვავებით აღმოსავლური მიმდინარეობები, როგორც წესი, სინკრეტულია.

<sup>14</sup> "Tratado das cousas da China"

არი მისიონერული აუცილებლობით იყო გამოწვეული (Дацишен, 2007: 7).

ქრისტიანთა პირველი, მეცნიერულად დადასტურებული დასახლებები ჩინეთში გაჩნდა თანგის დინასტიის (ახ. წ. 618-907 წწ.) პერიოდში. 1626 წელს, თანამედროვე ქალაქ სიანის ტერიტორიაზე იეზუიტმა მისიონერებმა აღმოაჩინეს 781 წელს აღმართული ე.წ. „ნესტორიანული სტელა“, რომელიც იუწყებოდა, რომ 635 წელს, იმპერატორ თაიწუნგის (598-649) მმართველობის მეცხრე წელიწადს ნესტორიანელი ეპისკოპოსი ალოპენი და მისი თანმხლები სირიელები ჩამოვიდნენ რომის იმპერიიდან და თან ჩამოიტანეს ქრისტიანული წიგნები და გამოსახულებები. სტელა ბილინგვურია - წარწერის ძირითადი ნაწილი შესრულებულია ჩინურ ენაზე, მცირე ნაწილი კი (ძირითადად სახელები) - სირიულ ენაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ნესტორიანელებმა გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს საიმპერატორო კარზე. ალოპენმა მიიღო ტიტულები და მონასტრის აშენების უფლება. შემდგომში, ნესტორიანელებს ჰქონდათ მონასტრები და ჰყავდათ ეპისკოპოსები სხვადასხვა ქალაქებში. ნესტორიანელობას ჩინეთში „ძინგძიაო“ (景教) დაერქვა, რაც ბრწყინვალე მოძღვრებას ნიშნავს. ალოპენს მიეწერება უძველესი ჩინურენოვანი ქრისტიანული ნაშრომის „იესო მესიას სუტრას“ შედგენა. საბოლოოდ, იმპერატორ ვუწუნგის (814-846) მმართველობის პერიოდში, ქრისტიანობა, ბუდიზმთან და ტაოიზმთან ერთად აიკრძალა. იუანის მონღოლური დინასტიის მმართველობის პერიოდში (ახ. წ. 1271-1368 წწ.) ნესტორიანელებმა ისევ მიაღწიეს გარკვეულ წარმატებებს, თუმცა კათოლიკე მისიონერების გამოჩენამ საბოლოოდ შეასუსტა და ჩაანაცვლა „ძინგძიაო“ (Дацишен, 2007:17-18).

მართლმადიდებლობამ ჩინეთში რუსეთიდან შეაღწია. რუსებსა და ჩინელებს შორის პირველი კონტაქტი მონღოლების ბატონობის პერიოდში უნდა მომხდარიყო. მონღოლებმა ტყვედ ჩაგდებული რუსების ნაწილი ჩინეთში გადაიყვანეს, რომელთაგანაც, საგანგებო რუსული პოლკი შეიქმნა. ეს პოლკი, და, ზოგადად, რუსი ტყვეებიც ხშირადაა ნახსენები იუენის მონღოლური დინასტიის ისტორიულ დოკუმენტებში, თუმცა, დინასტიის ცვ-

ლასთან ერთად მათი კვალი იკარგება (Адоратский,1887:6). ზოგიერთი მოსაზრების თანახმად, მათი შთამომავლები მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეებში შექმნილ კათოლიკურ სამრევლოებს შეუერთდნენ.

რუსეთის იმპერიის აღმოსავლეთით გაფართოებამ, ცხადია, გამოიწვია დაპირისპირება ჩინეთთან. მეჩვიდმეტე საუკუნეში ამურისპირეთის დაპყრობისას გახშირდა შეტაკებები ცინგის იმპერიის ძალებთან. (რუსეთის ქვეშევრდომების ნაწილი - ძალით, ხოლო ნაწილი - ნებით გადადიოდა ცინგის იმპერიის დაქვემდებარებაში. მათი უმრავლესობა დაასახლეს პეკინში და მიიღეს სამხედრო სამსახურში). 1685 წელს ცინგის იმპერიამ აიღო ქალაქი ალბაზინი და სხვა ტყვეებთან ერთად პეკინში გადმოსახლა მართლმადიდებელი მღვდელი მაქსიმ ლეონტიევი. რუსული დანაყოფების სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის ცინგის ხელისუფლებამ გამოყო ომის ღვთაება კუანტის სამლოცველო, რომელიც 1696 წელს მამა მაქსიმემ მართლმადიდებლურ ტაძრად აკურთხა წმინდა სოფიის სახელზე<sup>15</sup> (Селивановский,2013:6).

შესაბამისი პერიოდის ჩინურ წყაროებში რუსები მოიხსენიებიან ტერმინით ლუოჩა (罗刹 Luocha), რაც კაციქამია დემონს ნიშნავს, შესაბამისად, ტაძარსაც „კაციქამიების ტაძარს“ (罗刹庙 LuochaMiao) უწოდებდნენ (ანდლულაძე, 2022:144). ტაძარი მიწისძვრამ დაანგრია 1730 წელს, თუმცა ის 1732 წელს უკვე აღადგინეს და აკურთხეს ღვთისმშობლის მიძინების სახელზე.

ბუნებრივია, მამა მაქსიმე დამოუკიდებლად ვერ იმოქმედებდა, მას ჰქონდა ციმბირისა და ტობოლსკის მიტროპოლიტ ეგნატეს ლოცვა-კურთხევა, რომელიც მამა მაქსიმესადმი მიწერილ წერილში აღნიშნავდა, რომ ეს ტყვეობა არაა უსარგებლო და რომ მისი (მამა მაქსიმეს) მეშვეობით „ნათელი ქრისტესი გაეცხადება ჩინელებს“. მიტროპოლიტ ეგნატეს კურთხევეითვე დაიწყო ჩინეთის იმპერატორის მოხსენიება წირვაზე.

---

<sup>15</sup>ტაძარს, ხშირად, წმინდა ნიკოლოზისადაც მოიხსენიებდნენ მასში დაბრძანებული ცნობილი ხატის გამო.

ალბაზინელებში მართლმადიდებლობის შენარჩუნება მნიშვნელოვნად ესახებოდა რუსეთის იმდროინდელ ხელისუფლებას, რომელიც ჩინეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებას ცდილობდა. 1700 წელს პეტრე პირველმა დაავალა კიევის მიტროპოლიტს ჩინეთში სასულიერო მისიის მომზადება. შეთანხმება ჩინეთის იმპერატორ კანგისთან შედგა 1712 წელს, ხოლო 1715 წელს პირველი მისია არქიმანდრიტ ილარიონ ლეჟასკის მეთაურობით ჩავიდა პეკინში<sup>16</sup>.

1727 წლის კიახტის ხელშეკრულებით, რუსეთის სასულიერო მისიამ იურიდიული სტატუსი შეიძინა, მისიის წევრებმა მიიღეს ოფიციალური რანგები და ჯამაგირი ცინგის ხელისუფლებისაგან. მეცხრამეტე საუკუნის შუა პერიოდამდე, რუსეთის სასულიერო მისია არსებითად წარმოადგენდა რუსეთის საელჩოს ჩინეთში, რის გამოც, საკუთრივ მისიონერული საქმიანობა მის პრიორიტეტებში ვერ შედიოდა. მეტიც, არსებობდა პირდაპირი მითითება, რომლის მიხედვითაც მისიონერული საქმიანობა უნდა შეზღუდულიყო, რათა „მქადაგებლობას არ გამოეწვია ბოგდიხანის ჩინოსნების გაბოროტება და ამითარ გაერთულებინა სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები“ (Лит, 2019:194). მეთვრამეტე საუკუნის განმავლობაში რუსეთიდან ჩინეთში წარგზავნილი იქნა რვა მისია, რომლის წევრებიც, ძირითადად ახორციელებდნენ სამეცნიერო, მთარგმნელობით, დიპლომატიურ და სხვა საქმიანობას. სასულიერო პირები წირვას აღასრულებდნენ ალბაზინელებისა და პეკინში სტუმრად მყოფი რუსებისათვის.

მისიის წევრთა უმრავლესობა არ ფლობდა ჩინურ ენას, გარდა ამისა, ხშირი იყო სასულიერო პირთათვის შეუსაბამო საქციელიც. მისიის რამდენიმე წევრი მხილებული იყო იმპერატორის სასახლეში მთვრალი დებოშის მოწყობაში, რაც ხელს არ უწყობდა ადგილობრივებში მართლმადიდებლობის პოზიტიური ხატის შექმნას.

სიტუაცია შეიცვალა მეცხრამეტე საუკუნეში. ამ პერიოდის მისია დიდ ყურადღებას უთმობდა სამეცნიერო საქმიანობას. მეცხრე მისიის ხელმძღვანელმა იაკინთე ბიჩურინმა შეადგინა რუს-

---

<sup>16</sup>ჩინეთმა უარი განაცხადა ეპისკოპოსის მიღებაზე.

ულ-ჩინური ლექსიკონი, ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას. ის და შემდგომი მისიების ხელმძღვანელები ითვლებიან რუსეთის სინოლოგიური სკოლის ფუძემდებლებად.

ოპიუმის ომებმა (1840-1842 წწ.; 1856-1860 წ.) გამოიწვია ჩინეთის ცენტრალური ხელისუფლების შესუსტება და, შესაბამისად, დასავლური ქვეყნების გავლენის გაძლიერება. ამას მოჰყვა ქრისტიანული მისიონერული საქმიანობის გაფართოებაც. რუსეთის იმპერიამ პირველმა დადო ხელშეკრულება ცინგის ხელისუფლებასთან, სადაც გაწერილი იყო ჩინელი ქრისტიანების უფლებების დაცვა და რუსეთის ქვეშევრდომების მისიონერული საქმიანობის თავისუფლების უზრუნველყოფა (Трактат между Россией и Китаем об определении взаимных отношений б.д.).

თიენძინის ტრაქტატის შედეგად, სასულიერო მისია გათავისუფლდა დიპლომატიური საქმიანობისაგან და შეუჩერდა დაფინანსება ჩინეთის ხელისუფლებისაგან. მოიაზრებოდა, რომ მას სრულიად მისიონერული ხასიათი უნდა შეეძინა. გადაწყდა პეკინში საეპისკოპოსო კათედრის დაარსებაც, თუმცა, იმ დროისათვის ეს ვერ მოხერხდა.

შემდგომი მისიები შეუდგნენ საღვთისმსახურო წიგნების აქტიურ მთარგმნელობას. ითარგმნა სახარება, ფსალმუნნი, სხვადასხვა სადღესასწაულო საკითხავები, ანდრია კრიტელის დიდი კანონი და ა.შ. ხოლო მეთექვსმეტე მისიის პირობებში (1878-1884 წწ.), რომელსაც არქიმანდრიტი ფლაბიანე ხელმძღვანელობდა დაიწყო ღვთისმსახურება ჩინურ ენაზე. ამავე პერიოდში ისტორიაში პირველად მღვდლად აკურთხეს ეროვნებით ჩინელი იანგ ძი (杨吉)<sup>17</sup>, რომელსაც სახელად მიტროფანე ეწოდა (1855-1900 წწ.) (Дацишен, 2007:78).

მიუხედავად ამისა, მისიონერობა ვერ იქცა რუსეთის სასულიერო მისიის უმთავრეს საქმიანობად. რუსეთის სასულიერო მისიისა წევრი და სინოლოგი მღვდელმონაზონი ალექსი ვინოგრადოვი ასე აღწერს მისიის საქმიანობას ჩინეთში: „... ჩინელებში მისიონერად დადგენილი რუსებში მთავარი ყურადღება ექცევა

---

<sup>17</sup>მისი ჩინური სახელი ზოგიერთ წყაროში ქდერს როგორც ძი ჩუნგი.

საკლესიო ღვთისმსახურებას, საიდუმლოებათა აღსრულებას და მართლმადიდებელი ეკლესიის ტიპიკონითა და სულით გათვალისწინებულ კერძო მსახურებებსა და წესებს. [...] სამწუხაროდ, ამ მისიონერებს არ აქვთ სათანადო აღქმა ყველაფერ იმისა, თუ რა იბეჭდება და კეთდება დასავლეთ-ქრისტიანი მისიონერების მიერ იმავე ხალხებისათვის. პეკინის მისია კი აუწყებს მხოლოდ ყველაზე აუცილებელს და ისიც არაა ყველასათვის ხელმისაწვდომი; - უცხოელი მისიონერების საქმიანობასთან გაცნობის დიდ წინაღობას წარმოადგენს რუსი მისიონერების მიერ მათი ენების, და ასევე ჩინეთისა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებისადმი მიძღვნილი ჟურნალებისა და წიგნების არცოდნა“ (Виноградов, 1889).

არსებული რეალობის ცვლილებას შეეცადა მეთვრამეტე მისიის (1863-1931 წწ.) ხელმძღვანელი არქიმანდრიტი ინოკენტი ფიგუროვსკი, რომელმაც ჩინეთში ჩასვლამდე იმოგზაურა ევროპაში და გაეცნო იქაურ მისიონერულ გამოცდილებას. იაპონიაში ყოფნის პერიოდში ის ასევე გაეცნო ეპისკოპოს ნიკოლოზ კასატკინის წარმატებულ მისიონერულ საქმიანობასაც. თუმცა, მეცხრამეტე საუკუნის მიწურული მძიმე დრო იყო ქრისტიანობისათვის ჩინეთში. დასავლური ექსპანსიის ფონზე დასუსტებულ ჩინეთში ყოველივე უცხოური, მათ შორის, ქრისტიანობაც მტრულად აღიქმებოდა.<sup>18</sup> პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების პირველწყაროდ დასავლეთი მიიჩნეოდა. შედეგად, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს გახშირდა ანტიდასავლური და ანტიქრისტიანული გამოსვლები, დასავლელთა მკვლელობები და ა.შ. კულმინაციას წარმოადგენდა ე.წ. „მოკრივეთა აჯანყება“ (1899-1901 წწ.), რომელმაც უზარმაზარი ზიანი მიაყენა მათ შორის, მართლმადიდებლურ მისიასაც.

1900 წლის ივნისში აჯანყებულებმა დაარბიეს მისიის ჩრდილოეთ მეტოქიონი. დარბევისას მოკლეს მღვდელი მიტროფანეც და მის სახლში შეფარებული სხვა ქრისტიანებიც. ჯამში, დარ-

---

<sup>18</sup>სიტუაციას ამძაფრებდა ის, რომ მისიონერები ხშირად საკუთარი ქვეყნების პოლიტიკურ წარმომადგენლებად აღიქმებოდნენ, უხეშად ერეოდნენ შიდა საქმეებში და არასათანადო პატივისცემას გამოხატავდნენ ჩინური კულტურის მიმართ.

ბევს შედეგად დაილუპა 200-ზე მეტი<sup>19</sup> ჩინელი მართლმადიდებელი.<sup>20</sup>

1902 წელს არქიმანდრიტი ინოკენტი აკურთხეს ეპისკოპოსად. მეუფე ინოკენტი აქტიურად შეუდგა აღდგენით სამუშაოებს. მან გააფართოვა მისიის ტერიტორია, შეიძინა მიწა დამხმარე ნაგებობებითურთ, აღადგინა ტაძარი, გახსნა სკოლები შანხაისა და თიენძინში და ა.შ. მან გააფართოვა მისიის შემადგენლობაც და განავითარა საკუთრივ მისიონერული საქმიანობა. მანვე დაარსა დედათა მონასტერი. მისიის დაქვემდებარებაში გადავიდა ჩინეთის სამხედრო რკინიგზასთან არსებული სამრევლოებიც.<sup>21</sup> გაიხსნა ახალი მეტოქიონები მოსკოვსა და პეტერბურგში, რაც მისიის ფინანსურ დამოუკიდებლობას უწყობდა ხელს.

ამდენად, 1916 წლისთვის მისიის დაქვემდებარებაში იყო ორი მონასტერი (დედათა და მამათა), სკიტი სიშანის მთებში, 5 მეტოქიონი, 19 ტაძარი, 3 სამლოცველო, 5 სასაფლაო, მისიონერული ბანაკი 32 პუნქტში, სემინარია პეკინში, 18 ვაჟთა და 3 ქალთა სკოლა (Петровский, 2022: 86). მართლმადიდებელი ჩინელების რაოდენობამ 6255-ს მიაღწია (Селивановский, 2013:41). მნიშვნელოვანია, რომ ამ დროისათვის ჩინელი მართლმადიდებელი მისიონერების რაოდენობამ რუსებისას გადააჭარბა.

ადმავლობის ხანა დიდი ხანი არ გაგრძელებულა. 1917 წელს რუსეთში მომხდარმა რევოლუციამ რადიკალურად შეცვალა სიტუაცია. საბჭოთა ხელისუფლებამ, ბუნებრივია, ყოველგვარი დაფინანსება შეუჩერა მისიას. მეუფე ინოკენტიმ მოახერხა ქონების შენარჩუნება, თუმცა, რუსული ემიგრაციის ტალღამ ძლიერ შეაფერხა მისიონერული საქმიანობა, რომელიც ისევ მეორე პლანზე გადავიდა.

---

<sup>19</sup> მართლმადიდებელ ეკლესიაში 24 (11) ივნისს აღინიშნება 222 ჩინელი ახალმოწამის ხსენება.

<sup>20</sup> აჯანყება შეეხო არამხოლოდ პეკინს. დაზიანდა მეტოქიონები მონღოლეთსა და მანჯურიაშიც.

<sup>21</sup> ეს სამრევლოები მალევე გამოიყვანეს მისიის დაქვემდებარებიდან, რადგანაც რკინიგზის ხელმძღვანელობა პოლიტიკური მოტივებით ეწინააღმდეგებოდა მისიონერულ საქმიანობას.

1920 წელს მისია გადავიდა რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესიის სინოდის დაქვემდებარებაში, ხოლო 1922 წელს ის გადაკეთდა პეკინისა და ჩინეთის ეპარქიად, ორი ვიკარიატით შანხაისა და თიენძინში.<sup>22</sup> 1931 წელს გარდაიცვალა მეუფე ინოკენტი და მის ნაცვლად მმართველ მღვდელმთავრად დაადგინეს მეუფე სვიმეონ ვინოგრადოვი, რომელიც მალევე გარდაიცვალა (1933), მაგრამ მისი მმართველობის პერიოდში უკვე იჩინა თავი განხეთქილებამ ჩინელ და რუს მართლმადიდებლებს შორის.

მეუფე ინოკენტის გარდაცვალების შემდეგ ჩინელმა მღვდელმა სერგი ჩანგმა<sup>23</sup> თხოვნით მიმართა ჩინეთის რესპუბლიკის ხელისუფლებას, რათა ის დანიშნულიყო რუსეთის სასულიერო მისიის ხელმძღვანელად. მისი მიზანი იყო შეექმნა ეკლესია ჩინელებისათვის და ის თვლიდა, რომ მისიის მთელი ყურადღება უსამართლოდ ეთმობოდა რუსულ ემიგრაციას (Ли, 2019: 201). კუმინტანგის ხელისუფლებამ მხარი დაუჭირა მამა სერგის ინიციატივას, თუმცა მისიის ხელმძღვანელობაში ეს აღქმულ იქნა ქონების მიტაცების მცდელობად. რუსი სამღვდელოების ხისტმა წინააღმდეგობამ ხელი შეუშალა ჩინეთის ეკლესიის ჩამოყალიბების პროცესს.

მიუხედავად ყველაფრისა, ჩინელი სამღვდელოება აგრძელებდა ბრძოლას. მამა სერგიმ გადაწყვიტა გამოსულიყო რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესიის დაქვემდებარებიდან და შეუერთდა მოსკოვის საპატრიარქოს.<sup>24</sup> იაკონიის შეჭრამ ჩინეთში და სსრკ-ს წარმატებამ მეორე მსოფლიო ომში რადიკალურად შეცვალა სიტუაცია. მისიის ხელმძღვანელი მეუფე ვიქტორ სვიატინი ასევე შეუერთდა მოსკოვის საპატრიარქოს (1946), შესაბამისად, მისიის ხელმძღვანელადაც სწორედ ის აღიქმებოდა.<sup>25</sup>

<sup>22</sup>მანჯურის ტერიტორიაზე შეიქმნა ხარპინის ეპარქია, რომელიც დამოუკიდებელი იყო პეკინისაგან და პირდაპირ სინოდს ექვემდებარებოდა.

<sup>23</sup>მამა სერგი იყო იხეთუანელთა მიერ მოკლული მამა მიტროფანეს შვილი, და იმ დროისათვის უპირატესი ჩინელი მართლმადიდებელი სასულიერო პირი.

<sup>24</sup>ის წოდებოდა „ჩინეთის ეპარქიის ადმინისტრატორად“, ხოლო მის დაქვემდებარებაში არსებულ სტრუქტურას „ჩინეთის მართლმადიდებელი ეკლესია“ ერქვა.

<sup>25</sup>შანხაის მღვდელმთავარი იოანე შახოვსკოი არ შეერთებია მოსკოვის საპატრიარქოს, რაც ნიშნავდა იმას, რომ პეკინისა და შანხაის ეპარქიები განხეთქილებაში იყვნენ.



წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ქართულ - გერმანულ და აღმოსავლური ფრაზეოლოგიის კონტრაქსტულ კვლევის გამოძიებისა და გაფართოებას და ამ სფეროში კვლევითი ხარვეზების შეესებას.

ქართული ლექსიკის ის ნაწილი, რომელიც ნასესხებია არაბულიდან, თურქულიდან სპარსულიდან, თუ ნებისმიერი ქართული ლექსიკის განუყოფელი ნაწილია, მათი ასახულია ამ სიტყვების ასევე დამკვიდრებულია ნასესხობა ენისა და ერის ისტორიითა განპირობებული და სიტყვების ეტიმოლოგიაში. საკითხის ინტერესს ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე მიღებული იდენტურობა ქმნის.

**საკვანძო სიტყვები:** ენა; კულტურა; ეროვნული ხასიათი; ფრაზეოლოგიზმები.

## **შესავალი**

ცნობილია, რომ ფრაზეოლოგია ენის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფენაა. ყველა ენის ფრაზეოლოგიური ფონდი ფიგურატიულობის, ექსპრესიულობის, შეფასებისა და ემოციურობის წყაროა. უფრო მეტიც, ფრაზეოლოგიურ ერთეულებს აქვთ შესაძლებლობა გადასცენ უნივერსალური და ეროვნული ცოდნა ადამიანიდან ადამიანზე და თაობიდან თაობას.

ფრაზეოლოგიური ერთეულები ყოველთვის საგნისკენ არის მიმართული. შესაბამისად, ისინი გამოიყენება ენაში სამყაროს აღწერის, რეალობისადმი სუბიექტური დამოკიდებულების ინტერპრეტაციისა და ასახვისთვის. ამ მიზეზით, ენის ფრაზე-

ოლოგია შეიძლება განისაზღვროს, როგორც ეროვნული იდენტობის ერთგვარი ასახვა განსაზღვრულ ლინგვოკულტურაში.

ფრაზეოლოგიზმები დგას სიტყვათა კომბინაციები, ანუ სიტყვების განუყოფელი ჯგუფებია, რომლებიც არსებობენ ენაში და მეტყველების პროცესში ჩნდებიან ცალკეული სიტყვების ფუნქციით. თითქმის ყველა ლინგვისტი იზიარებს ამ განმარტებას. შიპანის მიხედვით: „ფრაზეოლოგიზმები არის მყარი ერთეულები, რომლებიც შედგება ერთზე მეტი სიტყვისგან“ (Schippan, 1992:47). ფრაზეოლოგია ეხება იმ ფიქსირებულ სიტყვათა ჯგუფებს, რომლებიც ცალკეული სიტყვების მსგავსად ინახება გრძელვადიან მეხსიერებაში (გონებრივ ლექსიკონში); თუმცა ისინი განსხვავდებიან სიტყვებისა და თავისუფალი სიტყვათა ჯგუფებისგან (შდრ. Römer, 2005: 158).

აღმოაჩინენ ენაში შენახულ კულტურას, შეისწავლიან ენობრივ ერთეულთა ეროვნულ-კულტურულ თავისებურებებს, გაეცნობიან იმ კოგნიტიურ მექანიზმებს, რომელთა საშუალებითაც სამყაროს ეროვნულ-ენობრივი სურათები აიგება. ქართველი ერის სამეტყველო მოქმედების, ენობრივი ცნობიერებისა და კომუნიკაციის თავისებურებებს ავლენს როგორც გარკვეული ეროვნულ ლინგვოკულტურული ერთობის ენას.

### **მეთოდი**

ნაშრომზე მუშაობისას ძირითადად გამოყენებულია კვლევის შემდეგი მეთოდები: შედარებითი, თვისობრივი, აღწერითი, შედარება - შეპირისპირებითი; კვლევა იწარმოებს ქართული, გერმანული და აღმოსავლური ენების (არაბის, თურქულის, სპარსულის) ფრაზეოლოგიური ერთეულების შეპირისპირების საფუძველზე, რადგან ამ მეთოდის საშუალებით ნათლად წარმოაჩენს ქართული-გერმანული და აღმოსავლური ფრაზეოლოგიური ერთეულების მსგავსებასა და განსხვავებებს.

ჩვენს სტატიაში მივმართეთ: ჰ. ბურგერის, ვ. ფლაიშერის, ვ. ვინოგრადოვის, ქართველი მკვლევარის ა. თაყაიშვილის საკითხები და სხვების. ასევე გავითვალისწინეთ “გერმანულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი” (ავტორი, ნ. სტამბოლი-შვილი).

ჩვენ მიერ მომდევნო სტატიაში გამოყენებული მეთოდებია: ინდუქციური და დედუქციური მეთოდები. ჩვენ ასევე გამოვიყენეთ შედარებითი მეთოდი, რათა ვიპოვოთ მსგავსება და განსხვავებები საწყის ენასა და სამიზნე ენას შორის.

### **შედეგები**

კულტურულ და საზოგადოებრივ გარემოსთან დაკავშირებულ **ღრმა და სისტემურ ცოდნას**, რომელიც განსაზღვრავს ღრმად აქვს გაცნობიერებული **ფრაზეოლოგიზმების ცოდნის მნიშვნელოვანი როლი ენის კომპეტენციის განვითარებისათვის. განსაზღვრება და მიმოიხილება:** ენის სტრუქტურას, მის ლექსიკურ - სემანტიკურ და სოციალურ - ტერიტორიალურ თავისებურებებს; ფრაზეოლოგიზმების სახეების ერთმანეთისაგან გამოიჯენას და დახასიათებას, აგრეთვე გერმანულ-ქართული ეკვივალენტების შედარება-შეპირისპირებას.

**აღწერდა** ქართულ, გერმანულ და აღმოსავლურ ენების **სიტყვების და ფრაზეოლოგიზმების მის სხვადასხვა სახეებით;** ფრაზეოლოგიზმების ქართულად თარგმნის სხვადასხვა გზების და საშუალებების დახასიათებას;

ხატოვანი სიტყვა - თქმული შეიძლება იყოს: წმინდა ეროვნული რეალობის ამსახველი, ბიბლიურის წარმოშობა, ანტიკური მითოლოგიიდან მომდინარე, ცნობილი ისტორიული მოვლენების ამსახველი და სხვ. წმინდა ეროვნული რეალობის ფრაზეოლოგიზმებია: **ადამის ხნის, ადამის ჟამისა, ბევრმა წყალმა ჩაიარა, ალიყურის ჭმევა და სხვ.** ბიბლიური ფრაზეოლოგიზმი: **უძღები შვილი, ქვას ქვაზე არ ტოვებს და ა.შ.**

ფრაზეოლოგიური ერთეულების სამწევროვანი კლასიფიკაცია ფრაზეოლოგიის შესასწავლი ობიექტის შედარებით სწორი გაგება მოცემული აქვს ვ.ვ ვინოგრადოვს. იგი ენაში გავრცელებულ მთელ ფრაზეოლოგიურ მასალას ყოფს სამ დიდი ჯგუფად, ესაა: ფრაზეოლოგიური შენაზარდები, ფრაზეოლოგიური მთლიანობები და ფრაზეოლოგიური შესიტყვებები. ავტორის აზრით, ენის ფრაზეოლოგიურ ფონდში ადვილად გამოიყოფა აბსოლუტურად დაუშლელი შესიტყვებათა ტიპები, რომელთა მნიშვნელობა არაა დამოკიდებული კომპონენტების მნიშვნელობაზე.

ასეთი ერთეულები იწოდება ფრაზეოლოგიურ შენაზარდებად: მაგ: *ჩაილოურის წყალი დალია, ყურებზე ხახვი არ დამაჭრა, თვალს წყალი დააღვინა* და სხვა.

ასეთია ვ. ვ. ვინოგრადოვის სამწევრიანი კლასიფიკაცია, რომელიც ძირითადად ეყრდნობა სემანტიკურ პრინციპს. აქ წინ არის წამოწეული მნიშვნელობათა მხარე, მთელის მნიშვნელობის დამოკიდებულება კომპონენტების მნიშვნელობასთან, რაც სავსებით გამართლებული ჩანს ფრაზეოლოგიზმების მიმართ.

*მიმოიხილავდა* ხალხის კულტურასა და ცივილიზაციაზე, ენისა და კულტურის მატარებელთან ურთიერთობაზე; განსხვავებებს, რომლებიც არსებობენ სტანდარტულ გერმანულსა და ქართულ ენასა და აღმოსავლურ ენებს (არაბულს, თურქულს და სპარსულს). ცნობილია, რომ არაბულიდან ცნობილი სიტყვებია: *იხტიბა*\* არაბ. „*გამოცდილებას*“, „*მოხერხებას*“ ნიშნავს და *აინუნ* (ainun) არაბულად - თვალებია; ეს არაბული ნასესხები სიტყვები შემდეგ ფრაზეოლოგიზმად ჩამოყალიბდა: *აინუნშიც არ მოსდის/ აინუნშიც არ აგდებს; იხტიბარს არ იტეხს* და *აბრუს არ იტეხს*. აბრუს სპარსეთიდანაა ნასესხები სიტყვა (abru: *ab*-სახე, *ru*-წყალი) და ქართულში ხატოვნად ნიშნავს პირის წყალს, ღირსებას, სინდისს, ნასესხები სიტყვებია, მაგრამ დამკვიდრებულია საქართველოში.

ქართულ ენას უაღრესად მდიდარი ლექსიკა აქვს. ლექსიკური მარაგით იგი გვერდში უდგას მსოფლიოში ყველაზე განვითარებულ ენებს. ამ განვითარებულ ენების ქართულ ენაზე შესაძლებელია მოხდეს მრავალი სახის ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც შეერთება გერმანულ, არაბულ, თურქულ და სპარსულ ენებს. როგორცაა მხატვრული და უამრავი სხვა ჟანრის ლიტერატურა.

ქართულში ფრაზეოლოგიური ერთეულების ყველაზე მეტი რაოდენობა დაფიქსირდა გრძნობების, გამომეტყველების, სხეულის ნაწილების, აზრების და მოქმედების აღმნიშვნელ სემანტიკურ ჯგუფებში.

## დისკუსია

ყოველი ენა უნიკალურია არა მარტო სტრუქტურის თვალსაზრისით, არამედ მასში დაფიქსირებული ეროვნული მსოფლადქმა თვალსაზრისითაც. ამა თუ იმ ენაზე მოლაპარაკეთა მიერ ობიექტური სამყაროს დანაწევრება კარგად ჩანს ლექსიკურ ერთეულებში, რომლებსაც მხოლოდ სიტყვები კი არა, ფრაზეოლოგიზმებიც განეკუთვნება.

ფრაზეოლოგია არსებობს და ფუნქციონირებს ყველა ენაში, სწავლობს მის მნიშვნელობას სიტყვების კომბინაციები და ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს ლინგვისტიკაში.

ფრაზეოლოგიზმები თითქმის ავტომატურად ცნობილია მშობლიური მოლაპარაკებისთვის, მაგრამ უცხო ენაში ყოველთვის არ არის ადვილი ამ ენობრივი სიტყვების კომბინაციების გაგება. თუ სწორად იყენებთ გამონათქვამებს, იდიომებსა და კოლოკაციებს, ეს აჩვენებს, სხვა საკითხებთან ერთად, რამდენად კარგად იცით ენა.

„ფრაზეოლოგიზმები ხატოვანი ენობრივი საშუალებებია, რომლებიც გადმოგვცემენ ერის ზნე-ჩვეულებებს, მათ მისწრაფებებს, კულტურას. ფრაზეოლოგიზმები წარმოადგენს რთულ ენობრივ ერთეულებს. ფრაზეოლოგიურ ერთეულში შემავალ სიტყვებს დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ გააჩნიათ. ისინი მყარ გამოთქმებს წარმოადგენენ“ ( Wood, 1986: 6).

მარტივად რომ ვთქვათ, ფრაზეოლოგიზმი არის ზოგადი ტერმინი ყველა ფიქსირებული სიტყვის კომბინაციისთვის. ბურგერი აცხადებს (Burger, 2010: 11) რომ არსებობს ორი შესაძლებლობა, როგორ ამოვიცნოთ ფრაზეოლოგიზმი. ფრაზეოლოგიზმი შედგება ერთზე მეტი სიტყვისაგან და უნდა იყოს სიტყვების კომბინაციები. ფრაზეოლოგია ასევე უნდა აკმაყოფილებდეს სხვა კრიტერიუმებს, როგორცაა პოლილექსიკა, განმეორებადობა, სტაბილურობა და იდიომატურობა. ეს კრიტერიუმები შემდგომშია ახსნილი და აღწერილი.

**ფრაზეოლოგიური ერთეულების ზოგადი დახასიათება**

ფრაზეოლოგიური ერთეულები ლინგვისტური მსოფლმხედველობის ნაწილია. ისინი არა მხოლოდ აღწერენ სამყაროს,

არამედ ინტერპრეტაციას უკეთებენ, აფასებენ და გამოხატავენ მის მიმართ სუბიექტურ დამოკიდებულებას. ეს არის ის თავისებურება, რომელიც განასხვავებს იდიომებსა და მეტაფორებს სხვა სახელობითი ერთეულებისგან.

ფრაზეოლოგიზმს თავის წარსული და წარმოშობის ისტორია აქვს. ფრაზეოლოგიზმებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება კულტურის მხრივ, ვიანიდან თითოეული ფრაზეოლოგიზმის ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებას მისი ისტორია აქვს, ამასთანავე ხშირად ვხვდებით ისეთ ერთეულებს, რომელთა შემადგენელი სიტყვათა წყობა რელიგიურ და კონკრეტული ეთნოსის ტერმინოლოგიას შეიცავს.

ფრაზეოლოგიური ერთეულებისათვის დამახასიათებელი შინაგანი ფორმის სიტყვა ფრაზეოლოგიზმია, რომელსაც მყარ გამოთქმასაც უწოდებენ, სხვადასხვა სფეროდან შემოსული და მეტყველებაში შეუცვლელი სახით დამკვიდრებული გამონათქვამია. ეს არის ხატოვანი გამოთქმა, რომელიც პირდაპირი მნიშვნელობით არ გაიგება. იდიომატიური ფრაზეოლოგიური ერთეულების ხარისხი მეტად განსხვავებულია. ფრაზეოლოგიზმებს ზოგჯერ იდიომებს, ფიგურალურ გამოთქმებს ან **ხატოვან სიტყვა-თქმებს** უწოდებენ. **როგორც წესი**, მათ ვხმარობთ გადატანითი მნიშვნელობით. ფრაზეოლოგიზმებს ახასიათებს შემადგენლობის უცვლელობა. მათი დიდი ნაწილი ვერ ეგუება ახალი სიტყვის ჩართვას. ხატოვანი სიტყვა - თქმული შეიძლება იყოს: **წმინდა ეროვნული რეალობის ამსახველი, ბიბლიურის წარმოშობა, ანტიკური მითოლოგიიდან მომდინარე, ცნობილი ისტორიული მოვლენების ამსახველი**, წარმომავლობა ზოგჯერ ძნელი დასადგენია (<https://www.etaloni.ge/geo/main/index/3885>) და ა.შ.

**წმინდა ეროვნული რეალობის ფრაზეოლოგიზმებია** თავისი განმარტებით: **ადამის ხნის** - დიდი ხნის, ძალზე მოხუცი, ძველებური; მაგ., რომ მნახე, შემოვედი ერთი უსწავლელი, **ადამის ხნის** კაცი, აგეხსნა ჩემთვის, რასაც ახალი; **ადამის ჟამისა** - „ცას შევაბერდი, *ადამის ჟამის* შევიქენ“ (ალ. ყაზბ.)

**ავ თვალს არ ენახებო**- ლამაზია, ძალიან კარგია; ჩვენი კურსისტკები რომ ნახოთ, ავ თვალს არ დაენახებო; **ბევრმა წყა-**

**ლმა ჩაიარა-** დიდი დრო გავიდა; მას აქეთ ბევრმა წყალმა ჩაიარა და ბევრი რამ კარგი წაგვართვა და თან წაიყოლა. დაგვეხოცა (ი. ჭავჭავ). **ალიყურის ჭმევა-** სილას გაწვნა; **„ალიყური აქვს ნაჭემი-** ნაწენვენი აქვს სილა[კოკას]არა ერთხელ ჰქონდა ნაჭამი იანგულის ალიყური (ნ. დუმბ.)

**ბიბლიური ფრაზეოლოგიზმი: უძღვები შვილი** - ეს მომდინარეობს ქრისტეს იგავიდან, რომელიც მოგვითხრობს ახალგაზრდა კაცზე, რომელმაც გაფლანგა მთელი თავისი ქონება, გაუმართავი ცხოვრების წესი მიიღო და სიკვდილის პირას დაბრუნდა მამასთან, რომელმაც იგი სიყვარულითა და სიხარულით მიიღო (ლუკა 15: 11-32).

...მერე თქვა: ერთ კაცს ორი ძე ჰყავდა; ხოლო აწ მხიარულებად და სიხარული ჯერ-არს, რამეთუ ძმად ესე შენი მომკუდარ იყო და განცოცხლდა, წარწყმედულ იყო და იპოვა (უძღვები შვილის იგავი) (<https://www.orthodoxy.ge/tserili/gadasatseri/akhali/luka/luka-15.htm>).

**ქვას ქვაზე არ ტოვებს/არ დარჩება/ ჩამოიქცევა-ყველაფერს ანადგურებს;** ქვა ქვაზე არ დარჩება, ყველაფერი დაინგრევა (მარკოზი 13:1, 2).

...ტაძრიდან გამოსვლისას ერთმა მოწაფეთაგანმა უთხრა: „შეხედე, მოძღვარო, რა მშვენიერი ქვებია და რა მშვენიერი შენობები!“ მიუგო იესომ: „ხედავ ამ დიდ შენობებს?! ქვა ქვაზე არ დარჩება აქ, ყველაფერი ჩამოიქცევა“ ([https://www.orthodoxy.ge/tserili/akhali\\_a\\_gtqma/markozi-13.htm](https://www.orthodoxy.ge/tserili/akhali_a_gtqma/markozi-13.htm)).

**ბიბლიური ფრაზეოლოგიზმია - წითელი კვერცხ უგორებს-** ყველაფერს უთმობს, ცდილობს არა სიამუფნოს, წითელი კვერცხი სისხლით გამოსყვიდელი სიცოცხლის, დედამიწის სიმბოლოა ქრისტიანობაში. აღდგომის მეორე დღის მიცვალებულთა საფლავზე კვერცხს გადააგორეგებენ. ნიშნისა იმისა, რომ მაცხოვარი ჯოჯოხეთიდან გადმოხსნა სულები და სამოთხეს (ზეცას) დაუბრუნდა.

ფრაზეოლოგიზმებს ერთი და იმავე მასალის აღმნიშვნელად, დღეს ერთმანეთის გვერდით იხმარება სხვადასხვა ტერმინი: ფრაზეოლოგიური ერთეული, ფრაზეოლოგიური გამოთ-

ქმა, შტამპი, მყარი გამოთქმა, იდიომი, იდიომატური ფრაზეოლოგია. ფრაზეოლოგიზმების სხვადასხვა სახეებიდან პირველ რიგში გამოვყოფთ იდიომებს (იგივე იდიომატურ ფრაზეოლოგიზმებს) მათთვის დამახასიათებელია ყველა ის ნიშან-თვისება, რაც ზოგადად ფრაზეოლოგიზმებისთვისაა ნიშანდობლივი. სწორედ იდიომებში აისახება ერის სული და თვითმყოფადობა, მათი სამყაროს ენობრივი სურათი. „ხშირად ვამბობთ ფრაზეოლოგიზმს და პირველ რიგში ვგულისხმობთ იდიომს, რადგან ყველა იდიომი ფრაზეოლოგიზმია, თუმცა ყველა ფრაზეოლოგიზმი იდიომი როდია“ (სტამბოლიშვილი, 1998:14).

იდიომები სხვა ტიპის ფრაზეოლოგიზმებისგან იმით განსხვავდება, რომ ისეთი შესიტყვებებია, რომელთა საერთო მნიშვნელობა არ გამომდინარეობს იდიომის ცალკეული კომპონენტის მნიშვნელობათა ჯამიდან. მაგალითად: „*To kick the bucket*“- სიტყვასიტყვით ნიშნავს: „ფეხი კრა ვედროს“, ხოლო როგორც იდიომი ნიშნავს- „*საიქიოს წასვლა, გარდაცვალება*“.

გერმანულადაც არის: *Ins Gras beißen* „ბალახის კბენა“ დამკვიდრებული იდიომია და „მოკვდას ნიშნავს“ იგი გამოიყენება განსაკუთრებით ჯარისკაცების მითითებით, რომლებიც კარგავენ სიცოცხლეს ბრძოლაში.

ზოგჯერ იდიომებს, ფიგურულ გამოთქმებს ან ხატოვან სიტყვა-თქმებს უწოდებენ როგორც წესი, მათ ვხმარობთ გადანაწილი მნიშვნელობით. ხშირად სინონიმად გამოიყენება, მაგრამ მნიშვნელობა არ არის იგივე, რაც ფრაზეოლოგია.

### **უნიკალური კომპონენტები**

როდესაც ფრაზეოლოგიაში შეგხვდებით ენობრივი ელემენტები, რომლებიც აღარ გამოიყენება ფრაზეოლოგიის მიღმა, ეს არის ეგრეთ წოდებული უნიკალური კომპონენტები. Donalies-ის შემდეგ, მე ვიცავ უნიკალური კომპონენტების ვიწრო კონცეფციას და მესმის ისინი, როგორც ენობრივი ნიშნები, რომლებიც მხოლოდ ერთ ან რამდენიმე კავშირში ჩნდება (შდრ. Donalies, 2010:15). დონალდი აღნიშნავს, სხვა საკითხებთან ერთად, რომ კომპონენტები ფრაზეოლოგიურად შეკრული და იზოლირებულია. ვინაიდან უნიკალურ კომპონენტებს წარსულში ძირითა-



დად იყენებდნენ „პოციასკმა მათ მოიხსენია როგორც „ნეკროტიზმები“ (Pociask, 2007:22).

უნიკალური კომპონენტებია სიტყვები, რომელიც ადასტურებს, სხვა საკითხებთან ერთად, ფრაზეოლოგიზმების სტაბილურობასა და სიმტკიცეს. ისინი ასევე განიხილება იდიომატურობის მახასიათებლებზე, რადგან ისინი პასუხისმგებელნი არიან იმ ფაქტზე, რომ იდიომების საერთო მნიშვნელობა არ შეიძლება ადვილად განისაზღვროს კომპონენტების მნიშვნელობიდან. ეს შეიძლება იყოს მოძველებული სიტყვები, რომლებიც შემორჩა მხოლოდ ფრაზეოლოგიის წყალობით.

**ვოლფგანგ ფლეიშერს** ესმის, რომ უნიკალური კომპონენტებია სიტყვები, რომელთა ფორმირება აღარ ხდება ფრაზეოლოგიის მიღმა (შდრ. Fleischer 1997: 37). არსებითი სახელები, ზედსართავი სახელები, ზმნები და ზმნები გამოიყენება კომპონენტებად (Fleischer, 1997: 37-39).

პალმის (Palm, 1995:36-62) მოჰყავს უნიკალური კომპონენტის რამდენიმე მაგალითი: არსებითი ფრაზები: *kein Hehl aus etw. machen* - არაფრის დამალვა; *am Hungertuch nagen*- შიმშილის ღრღნის; ზმნური ფრაზები: *sich nicht lumpen lassen*- ნუ მისცემთ თავს მოტყუების უფლებას; *tauben Ohren predigen*- კედელს ცერცვი შეაყარო, ეს მგლის თავზე სახარება იკითხო, ამაოდ ჭკუა დაარიგო და ა.შ. ზედსართავი ფრაზები: *gang und gäbe*- ჩვეულებრივი ამბავი, მოვლენა; *klipp und klar*- დღესავით ნათელია; *mit kling und klang*- ზარზეიმით და ა.შ. ფლეიშერი (Fleischer 1997: 39) დასძენს, რომ უცხო სიტყვები და უცხოენოვანი კომბინაციები ასევე შეიძლება ფუნქციონირებდეს, როგორც უნიკალური კომპონენტები: *ganz down sein*-იყოს სრულიად დაბლა; *in/out sein* - იყოს შიგნით/გარეთ; *ad absurdum führen*-აბსურდისკენ მიმავალი; *die Leviten lesen*- დატუქსა, ჭკუა დაარიგა; უცხო სიტყვების უმეტესობა, რომლებსაც ფლეიშერი მოჰყავს, ლათინურიდან ან ფრაგულიდან მოდის.

გერმანულ ფრაზეოლოგიზმებიც არიან უნიკალური კომპონენტები, რომლებიც შეიძლება **ნეკროტიზმებად** ვუწოდოთ. მაგალითად, ფრაზეოლოგიზმი იდიომატურია, თუ მისი მნიშვნე-

ნელოზა არ შეესაბამება მისი ცალკეული კომპონენტების მნიშვნელობების ჯამს (შდრ. Burger, 1998:31). იდიომატურობის ხარისხის თვალსაზრისით, ყველა კომპონენტს აქვს იდენტიფიცირებადი განსხვავებული მნიშვნელობა. მაგ., *einen Affen an jmdm. fressen* –სულში იძვრენს, თავს ევლებს, გაგიჟებით უყვარს; აქვს სინონიმი: *einen Narren an jmdm. gefressen haben*–გიჟდება, მზე და მთვარე ამოსდის; კომპონენტების მქონე კონსტრუქციებში ნეკროტიზმებია: *Maulaffen feilhalten*–ბუზების დათვლა, პირდაღებული უსაქმური იდგე; *jemanden ins Bockshorn jagen*– ვინმეს გაცემა, შეშინება, დაშინება; *Ins Fettnäpfchen treten*– მტკივნეულ ადგილზე ფეხზე დააბიჯო; *jmdn. übers Ohr hauen* – მოატყუებს, ოინებს მოუწყობს; das Ohr, über das er mich gehauen hat (Burger et al. 1982:76).

სიტყვათა სესხების შესწავლა გასაღებია ისტორიის, მოცემული ერის, ენის სოციალურ-კულტურული ურთიერთობისა. ნასესხები სიტყვა ზოგჯერ ფართოდ მკვიდრდება ენაში. საყოველთაო მოხმარებისა ხდება, ზოგჯერ იკარგება, დამოუკიდებლად აღარ გამოიყენება ენაში, „ხშირად სიტყვები ისე გამოდის ხმარებიდან, რომ კვალს არ ტოვებს, მაგრამ მათ შემცველად იდიომი რჩება“ (თაყაიშვილი, 1961: 53).

### სემანტიკური ფრაზეოლოგიზმები

ფრაზეოლოგიის შესასწავლი ობიექტის შედარებით სწორი გაგება მოცემული აქვს ვ. ვინოგრადოვს. ვინოგრადოვმა გამოავლინა ფრაზეოლოგიური ერთეულების სამი ძირითადი ტიპი: **ფრაზეოლოგიური შენაზარდები** (phraseological fusions), **ფრაზეოლოგიური მთლიანობები** (Phraseological unities) და **ფრაზეოლოგიური შესიტყვებები** (phraseological collocations/combinations).

ფრაზეოლოგია სწორედ ის სფეროა, სადაც ერთმანეთზეა გადახლართული ხატოვნება, ექსპრესიულობა, ინტერსიურობა და შეფასება. ფრაზეოლოგიური შენაზარდი, რომელიც განისაზღვრება შემდეგი სახით: სიტყვათა აბსოლუტურად **არამოტივერებული ერთიანობა**, რომელშიც მთელის მნიშვნელობა არ უკავშირდება, სულ მცირე სინქრონული ასპექტის გათვალისწინებით, ერთეულის შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს,

ამასთან, ფრაზეოლოგიური შენაზარდი ენის ლექსიკის იმ შრეს განეკუთვნება, რომელიც ზედმიწევნითი სპეციფიკურობით ხასიათდება, რაც მის სხვა, მეორე ენაზე თარგმნას **საკმაოდ ართულებს**.

თუმცა იყო ისიც, რომ ვინოგრადოვმა *იდიომი* მხოლოდ ფრაზეოლოგიური შენაზარდები იქნებიან. მაგალითად, „*Бить баклуши*“ -რაც ნიშნავს „უსაქმურობას, დროის დაკარგვას“; სინონიმები: ყვავების დათვლა, ღუმელზე წოლა, ამიტომ ნორმატიულ მეტყველებაში გამოიყენება მხოლოდ ამ გამოთქმაში. ისტორიული ხასიათისაა, თავის დროზე ჰქონდა ხატოვანება. ამჟამად კი სპეციალური ეტიმოლოგიური კვლევის ძნელია მისი მნიშვნელობის გამოცნობამ, არც სათანადო თავისუფალი შეესიტყვება გააჩნია, მაგრამ თუ დავაკვირდებით მის გერმანულ შესატყვის იდიომს“ *auf der Bärenhaut liegen*“ დავინახავთ, რომ მართალია, გამოთქმა ისტორიული წარმოშობისაა და გერმანელი ხალხის კონკრეტულ ზნე-ჩვეულებას აღნიშნავდა, მაგრამ მისი მოტივაცია არაა გაუფერებელი და თავისუფალი შესიტყვებაც მოეპოვება. ასევე ითქმის აღნიშნული იდიომის ქართულ შესატყვისზე „*მზარ-თედოზე წამოწოლა*“; რომელიც მეტაფორული გააზრებით არის წარმოქმნილი და ხატოვანებას მოკლებული არაა.

აღნიშნული იდიომატური გამოთქმა გამოხატავს ძველი გერმანელების ცხოვრების წესს: გერმანიკულ ტომებში მამაკაცების მთავარი საქმიანობა იყო ომი და ნადირობა. თავისუფალ დროს ისინი თითქმის არაფერს აკეთებდნენ (ისინი დათვის ტყავზე იყვნენ წამოწოლილი), მაშინ როცა ქალები საოჯახო და საველე საქმიანობით იყვნენ დაკავებულნი.

ჩვენი აზრით, ვ. ვინოგრადოვის მიერ ფრაზეოლოგიური შენაზარდებისაგან ფრაზეოლოგიური მთლიანობების განსხვავებლად ხატოვანების მიჩნევა არ შეიძლება იყოს ზუსტი, რადგან შენაზარდებიც წარმოშობით ხატოვანი ერთეულებია, მაგრამ დროთა განმავლობაში მათი წარმოსახვითი მოტივაცია გაუფერულდა და შეწყდა კავშირი ამოსავალ მნიშვნელობასა და ახალ გაგებას შორის. „შენაზარდებიც თავიანთი წარმოშობით ხატოვანი ერთეულებია“ - აღნიშნავს ა. თაყაიშვილი. მათაც ჰქონდათ

მთლიანობისებური ორპლანიანობა. ცხადია, არსებობდა გამოთქმა „კაკას ხიდი გაიარა“ (დაიკარგა) თავისუფალი შესიტყვების სახითაც. ამოსავალი დაიკარგა „ზედნაშენი“ შემოგვჩა, რომელშიც, რა თქმა უნდა, მიიჩქმალა, მაგრამ მთლიანად არ მივიწყებულა ხატოვანების ელემენტი. იგივე შეიძლება ვთქვათ ქართულ იდიომზე „თავზე ლაფის დასხმა“ - შერცხვენა. კონკრეტული მნიშვნელობით ძველად დასჯის ერთ-ერთი ფორმა იყო. „ყოველ სიტყვა -თქმას თავისი ისტორია აქვს“, აღნიშნავს შ. ძიმიგური და ამ შემთხვევაშიც, შეიძლება მივაგნოთ იმ პირველ საწყისს, რის საფუძველზეც ენაში ლაფს ასეთი განზოგადებული მნიშვნელობა მიუღია“. ეს ხდება იმ შემთხვევაში, როცა ფრაზეოლოგიური ერთეული წარმოიქმნება ისეთი თავისუფალი შესიტყვების ახლებური გააზრებით, რომელიც თავდაპირველად ხალხის ზნეჩვეულებას ან რაიმე კონკრეტულ საქმიან აღნიშნავდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ხმარებიდან გამოვიდა.

გერმანული ფრაზეოლოგიური შენაზარდი *etwas (viel)auf dem Kerbholz haben*” -ძველად რაიმე (ზევრი) აღნიშვნა ბირკაზე (საქდეზე). გამოთქმას თავისი პირდაპირი მნიშვნელობით მივეყვართ ძველად არსებულ ჩვეულამდე- ასეთი წესით აღნიშნავდნენ ვალებს. დღეს ამ გამოთქმას წარმოსახვითი მოტივაცია გაუფერებელია და გადატანითი, როგორც იდიომი ნიშნავს „ცოდვები აქვს“, „შეუცოდავს“, „ნახშირ-ნაჭამია“, „ცხვირი მოსვრილი აქვს“ და ა.შ.

ფრაზეოლოგიურ ფონდში ადვილია გამოვყოთ აბსოლუტურად დაუშლელ შესიტყვებათა ტიპები, რომელთა მნიშვნელობა არ არის დამოკიდებული კომპონენტების მნიშვნელობაზე. ასეთი ერთეულები ფრაზეოლოგიურ შენაზარდებად იწოდება. მოვიყვანთ ქართულ მაგალითებს: „ჩაილურის წყალი დალია,“ უკვალოდ გაქრა, უქმად ჩაიარა, დავიწყებას მიეცა; ეს იდიომაც ხალხის ისტორიასთანაა დაკავშირებული. მდინარე „ჩაილური“ კახეთში, კერძოდ ქიზიყში მიედინება და ტყვე, რომელიც ამ მდინარეს გადალახავდა, ითვლებოდა დაკარგულად. მოგვიანებით, გაფართოვდა იდიომატური გამოთქმის მნიშვნელობა და

იგი „ამ ქვეყნიდან გასვლას“, „გარდაცვალებასაც“ აღნიშნავს (<https://sites.google.com/site/mygeolingua/khatovani-sitqva-tkmani>).

**„ყურებზე ხახვი არ დამაჭრა,“** ყურებზე ხახვი არ დააჭრას – ვერაფერს დააკლებს, ვერაფერს ავნებს. ძველ დროს მონობის ნიშნად, ან დამნაშავეს სასჯელად ყურს სჭრიდნენ, სისხლის შესაჩერებლად და სადუხინფექციოდ ჭრილობაზე ხახვს აჭრიდნენ (ონიანი, 1966: 164). **„თვალს წყალი დააღვეინა“** გაერთო, ისიამოვნა (რაიმე სანახაობით), გული გადააყოლა (ნეიმანი, 1978: 559).

ბოლო ხანებში თვით ვ. ვინოგრადოვიც ვერ ხედავდა მათ შორის დიდ სხვაობას. აკად. ვინოგრადოვიც თავად მიდის იმ დასკვნამდე, რომ ფრაზეოლოგიურ შენაზარდსა და მთლიანობას შორის რაიმე განსხვავება არ არსებობს. „ფრაზეოლოგიურ შენაზარდსა და მთლიანობასთან საქმე გვაქვს, არა როგორც სხვადასხვა მოვლენასთან, არამედ როგორც ერთი და იმავე მოვლენის განვითარების სხვადასხვა საფეხურთან“ ლოგიკურად მყარი შესიტყვების ეს ორი ტიპი გაერთიანდა და მათ იდიომი ეწოდა. აქედან გამომდინარე, ფრაზეოლოგია წარმოგვიდგება ორ ჯგუფად: ერთია იდიომები და მეორე – ფრაზეოლოგიური შესიტყვებები. „ფრაზეოლოგიურ მთლიანობაში ფრაზეოლოგიური შენაზარდებისაგან განსხვავდებით შეიმჩნევა სუსტი მინიშნება საერთო მნიშვნელობას მოტივაციაზე ერთ-ერთი ნიუანსი ისიცაა, რომ ისინი ენათა უმრავლესობაში თავისუფალი შესიტყვების სახით არსებობს“ (ვინოგრადოვი, 1947:111). ა. თაყაიშვილი გვთავაზობს ფრაზეოლოგიური შენაზარდებისა და მთლიანობების გაერთიანებას: „სამართლიანია მოთხოვნა, გაერთიანდეს მყარი შესიტყვების ეს ორი ტიპი და მათ **იდიომი** ეწოდოს“ (თაყაიშვილი, 1961:10-17). ცალკე განიხილავს ქართულ ენაში იდიომებს და ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებს, რადგან ფრაზეოლოგიური შესიტყვებების საერთო მნიშვნელობა ნაწილობრივ მათი საყრდენი სიტყვიდან გამომდინარეობს. ფრაზეოლოგიური შესიტყვების მხოლოდ ერთი კომპონენტი ექვემდებარება მეტაფორიზაციას და მხოლოდ ფრაზეოლოგიური შესიტყვება სინტაქსურად ერთი წევრის ფუნქციას ასრულებს. ერთი წევრია არათავისუფალი, მაგ., **სიჩუმე ჩამოვარდა**. სიტყვა „ჩამოვარდა“ ცარიელი სემანტი-

კური ფორმა.. „სიჩუმე“ არსებითი სახელი ზმნად გადაიქცა და ნიშნავს „გაჩუმება“. ბევრ ასეთს ვნახავთ გერმანულ ენაშიც, მაგ., In Bewegung bringen-ამოძრავება, მოძრაობაში მოყვანა. bringen-ზმნას ნიშნავს“მოტანა“. არსებითი სახელი „Bewegung“ - არსებითი სახელი ზმნად გადაიქცევა „bewegen“. მასასადამე, ფრაზეოლოგიური შესიტყვება ფრაზეოლოგიზმია (სახელწოდებითაც არის), მაგრამ იდიომი არ არის. (ფრაზეოლოგიური შესიტყვებები ნორმალურია გერმანულში, მაგრამ რუსეთში ნასესხებია და რუსეთიდან საქართველოში).

**არაბული, თურქული და სპარსული ნასესხები საქართველოში**  
უამრავი ქართულ ენაში ცნობილი სიტყვებია: აბრუ, ილაჯი, ყავლი, ყალყი, ყირა, არაქათი, სიქა, აინუნი, იხტიბარი. ცალკე სიტყვები, ეს კომპონენტები ენაში დამოუკიდებელ ლექსემებად არ გამოიყენება. რადგან არქაული და ხმარებიდან გასული სიტყვები ძირითადად არაბული და სპარსული წარმოშობისაა. ისინი სიტყვები შემონახულია ფრაზეოლოგიზმებში: **აბრუს გატეხა, ყავლის გასვლა, აინუნში მოსვლა, ყალყზე დადგომა, ყირაზე გასვლა, ყირაზე გატარება, ილაჯის გაწყვეტა, არაქათის გაცლა, სიქას გაცლამ ყირაზე გასვლა, სიქას გაცლა**, უნიკალური კომპონენტებია, რომელიც **ნეკროტიზმებად** ვუწოდებთ. მიუხედავად ქართული სამწერლობო ენის მონოლითურობისა, მასში გვხვდება სხვადასხვა ენის კალკი. სამხრეთ კილოებში უამრავი აღმოსავლური კალკია გავრცელებული, ნახევრადკალკებში გვხვდება **არაბული, სპარსული და თურქული**. ეს საინტერესო ფაქტია როგორც ისტორიის, ისტორიულის დიალექტოლოგიის, ისე ლინგვოკულტუროლოგიის თვალსაზრისით. ფრაზების სხვა ყაიდაზე აგება, კალკირება საინტერესოა ფსიქოლინგვისტიკის კუთხითაც (ცეცხლაძე, 2018: 276). კალკურ ფრაზეოლოგიზმთა ტრაგიკული ფუნქციები სამხრეთ კილოებში სპეციალურ ლიტერატურაში აღწერილია კალკები აჭარულში: **ბოლთას ცემა, ხათრის გატეხა, და სხვ.**

**სიხინთი მერევა (სიხინთი თურქ. სევდა, სულის წუხილი);** მისი ნათქვამი ძირს არ დავარდება, სიტყუა არ წიექცევა; იმფერი კამ მოლაპარაკე იყო, სიტყუაში არ დეიმტრეოდა, ვერც სიტყვით

დააბემდი (**ხებერი** (არაბ. haber) –ამბავი, ცნობა, შეტყობინება. **ხებერი** არ აქ- არაფერი იცის, საქმისა არაფერი გაეგება, არ იცნობს ვითარებას), ძემ გადმეიარა - ნენეს **ხებერი არ აქ** (ცეცხლაძე, 2011: 48).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აქ გამოყენებული თურქული სიტყვები აჭარულ დიალექტში საყოველთაო მოხმარებისაა.

**ზაჰმეთი** (zahmet)- საქმე, ზრუნვა, გასაჭირი. „სიტყვა „**ზაჰმეთი**“ ხშირად ქობულეთში თავაზიანობით იხმარებენ სასაუბროში, მაგრამ ზაჰმეთის თურქული მნიშვნელობა ოდნავ ტრანსფორმირება-გარდაქმნა, სახეცვლილებაა საქართველოში. ასე ვამბობდით: „შენი ზაჰმეთი“ - მოზოდისმებას, სასიამუფნო მოპატიჟებას ნიშნავს“ (ავტორი ნ.ს.). თუმცა შორსა არაა, ქობულეთშიც ნათქვამი ეთანხმება - საქმეს, ზრუნვას და გასაჭირს. თურქულად თუ ამბობენ **ზაჰმეთი გამოვლილი** აქ - ეს ნიშნავს ალბათ საქმე ან გასაჭირი გამოვლილია უკვე.

ქართულ ენაშიც გვხვდება ასეთი ტიპის იდიომები, რომლებიც ენაში ხშირად გამოიყენება, მაგრამ მათი ცალკეული კომპონენტის მნიშვნელობა, მისი უცხოური წარმოშობის გამო, ძნელად გამოსაცნობია. მაგ., **აინუნშიც არ მოსდის/აინუნშიც არ აგდებს**, აინუნში არ ატარებს, ზერელად ეკიდება. **აინუნ** (ainun) არაბულად (აინუნი არაბულად თვალეზია (**აინ** – თვალი და **უნ** – მრავ. რიცხვი), ნიშნავს ქართულად „თვალში მოსვლას“). მნიშვნელობით: აზრი, გაგება „ქვეყანა იქცევა და ეგ **აინუნშიც** არა არის“. წარმოდგენილი: **აინუნშიც არ მოსდის/ აინუნშიც არ აგდებს** - ფიქრდაც არ მოსდის, ყურადღებას არ აქცევს, არაფრად აგდებს. აინუნის მოსვლა დანახვა, მოწონება, რამედ მიიჩნევა, ანგარიშის გაწევა, მორიდება, შიშია (სახოკია, 1979: 14).“მე ეს კარგად ვიცოდი და **აინუნშიც არ მომდიოდა**, ვამბობდი,-ამისთანა ბოდვას ვინ ათხოვენს ყურს- მეთქი (ილია). გერმანულში მას შეესიტყვება „**etw. auf die leichte Achsel nehmen**“ „Gut, -sagte er, -dass du es **auf die leichte Achsel nimmst**“ - (Goethe-Leiden des jungen).

-კარგია, რომ **აინუნშიც არ აგდებს** ამას (im Deutsch-Georgisches Phraseologisches Wörterbuch: 79).

ცნობილია საქართველოში იდიომატური ფრაზეოლოგია : „**იხტიბარს არ გაიტება**“ **იხთაბარა** [იხთიბა\*რ არაბ. „გამოცდი-ლებას“, „მოხერხებას“ ნიშნავს.} . მაგ., სოსო [...] შიო პაპას სადღაც გულში სწყინდა, მაგრამ მაინც **იხტიბარს არ იტებს** და უდარდელად უპასუხებდა: მეც კარგად ვარ და ჩემი ვირადინიცა (რევაზ ინანიშვილი, შიო პაპასი და მისი სახედრის ამბავი). **იხტიბარს არ იტებს**- იმედს არ კარგავს, გულს არ იტებს, მხნედ არის: კიკოლა მაინც **იხტიბარს არ იტებს** ( ნ. ლომ.). (ბიბლამ) ქვა ადგილიდან ვერ დაძრა, და მაინც **იხტიბარი არ გაიტება**( გ.ჩოხ,) იდიომს „**იხტიბარი არ გაიტება**“ აქვს ასევე უცხოური წარმოშობის სინონიმური იდიომი „**აბრუ გაიტება/არ იტებს**“. **აბრუ** (სპარს.) – აბრუ სიტყვა (abru: **ab**-სახე, **ru**-წყალი და ქართულში ხატოვნად ნიშნავს პირის წყალს, ღირსებას, სინდისს, რეკუტაციას, კეთილშობილება პირის წყლის დაღვრა/ წაღება შერცხვენა, დამცირებაა. აბრუს გატება „ თავზე ლაფის დასხმა“ „შერცხვენა“, „ვისრამიანში“ ამ მნიშვნელობით დასტურდება პირის აბრუს გატება. აბრუგატეხილი მისგან მიღებული კომპოზაცია და სახელგატეხილს ნიშნავს (ნეიმანი, 1978: 559). შესაბამად, უკუთქმითი ფორმა განსხვავებული მნიშვნელობაა: **აბრუს არ გატებს**-სახელს არ იტებს, თავს არ ირცხვენს, საჩითირს არ აკეთებს.იგივეა, რაც სინდისი, იხტიბარი (ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი 559). „რეზო ვერ მიხვდა, ეს შექება რასთან იყო დაკავშირებული, მაგრამ **აბრუ არ გაიტება** და შორენას მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმა" (გეგია, მსაჯული). **აბრუს არ იტებს**– გაჭირვებას არ იმჩნევს, გულს არ იტებს, არ ეპუება.

ა. თაყაიშვილის მიხედვით, **აბრუ** სპარსულიდან შემოსული სიტყვაა და ნიშნავს პირის წყალს, პატიოსნებას, სახელს, ავტორიტეტს (თაყაიშვილი, 1961:55). სხვა განმარტებით, აბრუ (სპარს. ნიშნავს წარბს, რაც, შესაძლოა, ძველად იყო სიმბოლო სინდისისა და პატიოსნების (შდრ.: ძველ საქართველოში უღვამისა და ნამუსის გაიგივება).



## დასკვნა

თანამედროვე ეპოქაში მეტად გავრცელებულია ლინგვოკულტურული კვლევები, რომელთაგანაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი სწორედ ფრაზეოლოგიური ერთეულებია.

ქართული ლინგვოკულტურული სივრცე ეროვნულკულტურულია, იგი ქართველთა მასობრივი (კოლექტიური) ცნობიერებით ასახული კულტურაა, რომელიც ქართველი ერის სამეტყველო მოქმედების, ენობრივი ცნობიერებისა და კომუნიკაციის თავისებურებებს ავლენს.

ნასესხები სიტყვები ყველა ქვეყანაშია. წლები გადის და უცხოები უკვე აღარ არიან და ნასესხები სიტყვები დამკვიდრებიან დასაკუთრებას. დროთა განმავლობაში, მართლაც, ბევრი ნასესხები სიტყვა იმდენად შეუსისხლხორცდა ქართულს, მათი უცხო წარმომავლობა აღარ იგრძნობა. ნასესხები სიტყვების საქართველოში დაიმკვიდრა არაბულიდან, თურქულიდან და სპარსულიდან. არაბულიდან და სპარსულიდან საქართველოში შემოტანილი სიტყვებია, რომლისგანაც მდიდარი და საინტერესო ფრაზეოლოგიზმებად ჩამოყალიბა, რომელიც საქართველოს მეზობლობამ და მრავალხმრივ კავშირმა, თავისთავად გავლენა იქონია და კვალი დატოვა, როგორც ისტორიაში, ასევე ენაში, ამის დამადასტურებელია ნაშრომში მოყვანილი მაგალითების ჩამონათვალიც.

საქართველოსი და თურქეთისა მეზობლობამ და მრავალხმრივ კავშირმა, თავისთავად გავლენა იქონია და კვალი დატოვა, როგორც ისტორიაში, ასევე ენაში, ამის დამადასტურებელია ნაშრომში მოყვანილი მაგალითების ჩამონათვალიც. ვინაიდან როგორც ქართულ ასევე თურქულ ენასაც დიდი ხნის ისტორია გააჩნია, რა თქმა უნდა ამდენად მდიდარი და მრავალხმრივ საინტერესოა ფრაზეოლოგიზმებიც, რადგან ერთ - ერთი განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ ენაში

ნასესხები სიტყვები ენაში ახალი და უცხო სიტყვების დამკვიდრების პროცესი დღესაც გრძელდება. მკვიდრდება უმეტესად საერთაშორისო სიტყვები, რაც გავრცელებულია თანამედროვე ენებში. უცხო სიტყვებიდან უმრავლესობას ჩვენს ყოველ-

დღიურ მეტყველებაში დიდი ადგილი უკავია. როგორც თანამედროვე ქართული ენაში ასევე სხვა ქვეყნებშიც.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- BURGER, H. (2010). *Phraseologie: eine Einführung am Beispiel des Deutschen*. 4., neu bearbeitete Aufl. Berlin: E. Schmidt, 2010. Grundlagen der Germanistik, 36. ISBN 978-3-503-12204-2.
- BURGER, H. (2007). *Phraseologie: eine Einführung am Beispiel des Deutschen*. Berlin: Erich Schmidt.
- DONALIES, E. (2009). *Basiswissen Deutsche Phraseologie*. Tübingen /Basel: Francke. . ISBN 978-382-5231-934.
- ВИНОГРАДОВ, В.В. (1977). „Об основных типах фразеологических единиц в русском языке“ Академик Шахматов. Сборник статей и материалов М-Л; Москва
- WOOD, M. (1986). „*Definition of Idiom*” Bloomington: Indiana University Linguistics Club.
- თაყაიშვილი, ა. (1961). *ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები*, საქ-ოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.
- ნეიმანი, ალ. (1978). „*ქართულ სინონიმთა ლექსიკონი*“. მე-3 გამომცემლობა „განათლება“, 559 გვ. თბილისი.
- ონიანი, ალ. (1966). „*ქართული იდიომები*“. გამომც. „ნაკადული“. თბილისი.
- PALM, Ch. (1995). *Phraseologie : eine Einführung*. Tübingen: Gunter Narr Verlag.
- Römer, Ch. et al.,(2005). *Lexikologie des Deutschen* Tübingen Gunter Narr Verlag.
- სახოკია, თ. (1979). „*ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი*“ გამომცემლობა „მერანი“, თბილისი
- სტამბოლიშვილი, ნ. (2018). „*იდიომების წარმოშობის ლინგვისტური და ესტრალინგვისტური ფაქტორები*“ Études interdisciplinaires en Sciences humaines (EISH) N 5.

FLEISCHER, W. (1982). *Phraseologie der deutschen Gegenwartssprache*. Leipzig: Niemeyer Max Verlag.

FLEISCHER, W. (1997). *Phraseologie der deutschen Gegenwartssprache*. 2. durchges. und ergänz. Aufl. Tübingen: Max Niemeyer.

Schippan, Th. (1992). *Lexikologie der deutschen Gegenwartsprache*. Max Niemeyer Verlag. Tübingen.

ცეცხლაძე, ნ. (2011). *კალკური და ნახევრადკალკური ფრაზეოლოგიზმები ჩვენებურთა მეტყველებაში*. XXXI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, ეძღვნება ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 150 წლისთავს. თბილისი.

ცეცხლაძე, ნ. (2018). *ფრაზეოლოგიზმთა კვლევის ასპექტები*. გამომცემლობა „ივერიონი“, გვ. 278. თბილისი.

ძიძიგური, შ. (1960). *საენათმეცნიერო საუბრები*. გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი.

### **ლექსიკონი**

გერმანულ - ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი (2010). გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი (ავტორი, სტამბოლიშვილი ნ.).

### **ინტერნატის წყარო**

ინანიშვილი, რევაზ, შიო პაპასი და მისი სახედრის ამბავი <http://litklubi.ge/biblioteka/view-nawarmoebi.php?id=9141> (ნახვა 10 სექტემბერი 2017).

გეგია, მერაბ, „მსაჯული“ <http://www.bu.org.ge/x2420?page=2&tab=3> (ნახვა 12 დეკემბერი 2017).

სახოკია, თ. (1979). ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, გამომცემი „მერანი“ თბილისი. <https://sites.google.com/site/mygeolingua/khatovani-sitqva-tkmani>.



ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა  
LINGUISTICS, LITERARY CRITICISM

---

---

**Linguacultural Features of Georgian-German and Eastern  
Phraseological Units - Contrastive Analysis**

**Nana Stambolishvili**

Batumi Shota Rustaveli State University  
Professor of Department of European Studies  
Georgia, 6010. Batumi, Ninoshvili str. 32/35  
+ 995593324653. nana.stambolishvili@bsu.edu.ge  
<https://orcid.org/0000-0001-6924-8184>  
DOI:<https://doi.org/10.61671/hos.7.2024.7824>

**Teona Beridze**

Batumi Shota Rustaveli State University  
Associate Professor of Department of European Studies  
Georgia, 6010. Batumi, Ninoshvili str. 32/35  
+ 995599940363. teona.beridze@bsu.edu.ge  
<https://orcid.org/0009-0002-2764-0561>  
DOI:<https://doi.org/10.61671/hos.7.2024.7824>

**Abstract**

Perception of the world begins with the language. Language is a constituent part of the national culture and a factor involved in its construction. Language, culture and thinking determine and shape national identity and take part in the formation of national character.

Specific characteristics of national identity are best reflected in the phraseological units. Phraseological units of national character are considered to be the part of world linguistic picture.

The aim of the paper is to study phraseological units of Georgian, German and Oriental origin, to find their specific characteristics, to do their structural-semantic analysis and study their functioning;

The present paper aims to do contrastive analysis of Georgian, German and Oriental phraseological units and to fill the research gaps in this field.

Georgian lexemes that are borrowed from Arabic, Turkish, Persian are part and parcel of Georgian vocabulary. The foreign origin and historical background of these lexical units are found in their etymology. Scientific articles that are based on contrastive analysis of phraseological units are always of great interest.

**Keywords:** language; culture; national character; Phraseologisms.

## **Introduction**

It is known that phraseology is one of the most important parts of the language. The phraseological fund of every language is figurative, expressive, evaluative and emotional. Moreover, phraseological units have the ability to transmit universal and national knowledge from person to person and from generation to generation.

Phraseological units are always directed to the subject. Accordingly, they are used in language to describe the world, interpret and reflect the subjective attitude to reality. For this reason, the phraseology of a language can be defined as a kind of reflection of national identity in a certain linguistic culture.

Phraseologisms are combinations of words, that is, indivisible groups of words that exist in the language and appear in the speech process as separate words. Almost all linguists share this definition. According to Schippan: "Phraseologisms are solid units consisting of more than one word" (Schippan, 1992:47). Phraseology refers to those fixed groups of words that are stored in long-term memory (mental lexicon) like individual words; However, they differ from words and free word groups (cf. Römer, 2005: 158).

With the help of phraseological units, it is possible to discover the culture preserved in the language. These linguistic units enable researchers to study the cultural peculiarities of the nation, get

acquainted with the cognitive mechanisms through which the national-linguistic images of the world are understood.

### **Methodology**

Research methods that are used while working on the paper are the following: comparative/contrastive, qualitative, descriptive. The research is based on contrastive analysis of Georgian, German and Oriental (Arabic, Turkish, Persian) phraseological units. Contrastive analysis enables us to see similarities and differences between the world vision of the above-mentioned cultures.

Theoretically our article is based on H. Burgeri, V. Fleisher, V. Vinogradov, A. Takaishvili's scientific researches. As for practical material, empirical material for the article is taken from N. Stambolishvili's "German-Georgian Phraseological Dictionary."

### **Results**

Phraseological units play a great role in the development of language competence. In the article our purpose is to discuss lexicosemantic and social-territorial features of phraseological units of different cultures. We aim at classifying types of phraseological units and conduct contrastive analysis of Georgian, German and Oriental phraseologisms.

Phraseological units may be of different types: national (relative to one culture) or universal. Some phraseologisms have Biblical, mythological, literary origin or reflect famous historical events. National Georgian phraseologisms are: bevrma tsخالma chaira (much water has passed), alikuris chmeva (to give someone alikuri). Phraseologisms of Biblical origin are: the prodigal son, leaves no stone unturned, etc.

V. Vinogradov divided phraseological units into three big groups: phraseological fusions, phraseological unities and phraseological collocations/ combinations. V. Vinogradov's classification is mainly based on the semantic principle.

According to the author, in the language of every culture, there is a group of phraseological units that are semantically indivisible the meaning of which are never influenced by the meanings of its components. Such units are called phraseological fusions: For example:

(Chailuris tskali dalia - **He drank Chailuri water**, kurebze khakhvi ar damachra - **do not cut onions on my ears**, tvals tskali daalevina – **his eyes were watered**).

Georgian language has extremely rich vocabulary. With its vocabulary, it stands next to the most developed languages in the world. In Georgian language, it is possible to find phraseologisms containing lexemes from German, Arabic, Turkish and Persian languages. For example: ikhtibari ar gaitekha (**Ikhtibar** comes from Arabic and means „experience“), ainunshi ar chaagdo (**ainun** comes from Arabic and means „eyes“), abrus ar itekhs (**abru** is derived from Persian where ab means face, ru-water).

### **Discussion**

Each language is unique not only from the point of view of structure, but also from the point of view of the national outlook fixed in it. The division of the objective world by the speaker of this or that language

Phraseologisms are known to native speakers, but foreigners have difficulty in guessing the meaning of phraseological units. If a speaker uses phraseological expressions, idioms and collocations correctly, it means that he/ she knows the foreign language well.

"Phraseologisms are figurative linguistic units that convey the customs of the nation, their aspirations, culture. Phraseologisms are complex linguistic units. The words included in the phraseological units do not have independent meaning. They are solid expressions" (Wood, 1986: 6).

Phraseology must meet criteria as polylexicality, repeatability, stability and idiomaticity.

### **General description of phraseological units**

Phraseological units are part of the linguistic worldview. They not only describe the world, but also interpret, evaluate and express a subjective attitude towards it. This is the feature that distinguishes idioms and metaphors from other nominal entities.

Phraseologisms have their own history and origin. Phraseologisms are sometimes called idioms, figurative expressions, or figurative

sayings. As a rule, we use them figuratively. Phraseologisms are characterized by the invariance of the composition. Most of them cannot adapt to the inclusion of a new word.

Phraseological units may be of different types: national or universal. Some phraseologisms have Biblical, mythological, literary origin or reflect famous historical events. National Georgian phraseologisms are: *bevrma tsxhalma chaira* (much water has passed), *alikusis chmeva* (to give someone *alikasi*). Phraseologisms of Biblical origin are: the prodigal son (This phraseological unit comes from the parable of Christ, who tells us about a young man who squandered all his possessions, led a faulty lifestyle, and on the verge of death returned to his father, who received him with love and joy (Luke, 15: 11-32), leaves no stone unturned (meaning: it destroys everything; Not one stone will be left upon another, everything will fall to pieces (Mark, 13:1,2), etc.

Phraseologisms are known by different terms: phraseological units, phraseological expressions, solid expressions, idioms, idiomatic phraseology.

Among the various types of phraseology, first of all, we distinguish idioms (the same as idiomatic phraseology), that are characterized by all the features that are characteristic of phraseology in general. It is in idioms that the spirit and identity of the nation, the linguistic picture of their world, is reflected. "We often say phraseologism and first of all we mean idiom, because all idioms are phraseologisms, although not all phraseologisms are idioms" (Stambolishvili, 1998:14).

Idiom is an expression whose overall meaning is not derived from the sum of the meanings of the individual components of the idiom. For example: "To kick the bucket" (to die), *Ins Gras beißen* (to die).

### **Unique Components**

When in phraseology we encounter linguistic elements that are no longer used outside of phraseology, these are so-called unique components. Following Donalies, I adhere to a narrow concept of



unique constituents and understand them as linguistic features that appear only in one or more connections (cf. Donalies, 2010:15). Donald points out, that the constituents are phraseologically bound and isolated. Since unique components were mostly used in the past, Pociask referred to them as "necrotisms" (Pociask, 2007:22).

Unique components are words that confirm, among other things, the stability and strength of phraseology. They bare characteristics of idiomaticity, because they are responsible for the fact that the overall meaning of idioms cannot be easily determined from the meaning of the components. These may be obsolete words that have survived only thanks to phraseology.

Wolfgang Fleischer understands that unique components are words whose formation no longer occurs outside of phraseology (cf. Fleischer 1997: 37). Nouns, adjectives, verbs and adverbs are used as components (Fleischer, 1997: 37-39).

Palm (1995:36-62) gives several examples of unique components: noun phrases: *kein Hehl aus etw. machen* - to hide nothing; *am Hungertuch nagen*- gnaw of hunger; Verb phrases: *sich nicht lumpen lassen*- do not allow yourself to be deceived; *tauben Ohren predigen* - knock on the wall, read the gospel on the wolf's head, he gave his wits in vain etc. Adjective phrases: *gang und gäbe* - ordinary story, event; *klipp und klar*- clear as day; *mit kling und klang* - with a loud noise.

Fleischer (1997:39) adds that foreign words and foreign word combinations can also function as unique components: *ganz down sein* - to be completely down; *in/out sein* - to be inside/outside; *ad absurdum führen* - leading to the absurd; *die Leviten lesen* - he shared his wits; Most of the foreign words cited by Fleischer come from Latin or French.

German phraseologisms are also unique components that can be called necrotisms. For example, a phraseology is idiomatic if its meaning does not correspond to the sum of the meanings of its individual components (cf. Burger, 1998:31). In terms of degree of idiomaticity, all components have distinct meaning. eg, *einen Affen an jmdm. fressen* - moves in the soul, indulges, loves madly; has a synonym:

*einen Narren an jemandem gefressen haben* - goes crazy; Necrotisms in constructions with components are: *Maulaffen feilhalten* - counting the flies, doing nothing; *jemanden ins Bockshorn jagen* - to surprise, frighten, intimidate someone; *Ins Fettnäpfchen treten* - step on the painful place; *jemanden übers Ohr hauen* - He will deceive, he will arrange things; das Ohr, über das er mich gehauen hat (Burger et. al. 1982:76) - The ear over which he slapped me (Burger, et. al. 1982:76).

The study of loan words is the key to know more about the nation, about its history, language and socio-cultural relationship with other countries. Borrowed words are sometimes widespread in the language. They become widely used, sometimes they are lost, they are no longer used independently in the language, "often words go out of use, they don't leave a trace, but the idiom still remains" (Taqaishvili, 1961: 53).

### **Semantic phraseology**

A relatively correct understanding of the object of study of phraseology is given by V. Vinogradov. Vinogradov identified three main types of phraseological units: **phraseological fusions**, **phraseological unities** and **phraseological collocations/combinations**.

Phraseology is the field where imagery, expressiveness, interactivity and evaluation are intertwined. Phraseological fusion is an absolutely unmotivated unity of words, in which the meaning of the whole does not coincide with the meaning of the constituent components of the unit. Moreover, phraseological fusions belong to that layer of the vocabulary of the language, which is characterized by meticulous specificity that makes translation from one language into another difficult.

V. Vinogradov believes that only phraseological fusions are idioms. The example of phraseological fusion in German is "*auf der Bärenhaut liegen*", means "to do nothing". This idiomatic expression depicts the picture how ancient Germans lived. Main activities of German men were fighting and hunting. In their free time, they did almost nothing (they laid on a bear skin), while women were busy with household and field work.

In our opinion, V. Vinogradov's distinction of phraseological fusions from phraseological unities is not accurate, because phraseological fusions are expressive expressions that lost their imaginary motivation time by time. The good examples of phraseological fusions in Georgian are „კაკას ხიდი გაიარა“ (to be lost), თავზე ლაფის დასხმა (to be ashamed). German phraseological fusion “*etwas (viel) auf dem Kerbholz haben*” lost its imaginary motivation and nowadays is used figuratively, meaning "he has sinned".

In the phraseological fund, it is easy to distinguish the types of absolutely inseparable expressions, the meaning of which does not depend on the meaning of the components. Such units are called **phraseological fusions**. Some more examples of Georgian phraseological fusions are:

„ჩაიღურის წყალი დალია,“ "he drank the water of Chailuri," he disappeared without a trace, he passed into oblivion, he was forgotten; This idiom is related to Georgian history. The "Chailuri river" flows in Kakheti, in Kizik, and the prisoner crossing this river was considered lost. Later, the meaning of the idiomatic expression was expanded and it means "departing from the country", "death" (<https://sites.google.com/site/mygeoling-ua/khatovani-sitqva-tkmani>).

„ეურებზე ხახვი არ დამაჭრა,“ "Don't cut an onion on my ears, ". In ancient times, cut ear was the sign of slavery or punishment. After cutting the ear, the onion was put on the wound to stop bleeding and to disinfect it (Oniani, 1966: 164).

„თვალს წყალი დააღევინა“ "He gave the eye water to drink" figuratively meaning "he had fun, he enjoyed "(some spectacle) (Neyman, 1978: 559).

Finally, V. Vinogradov came to the conclusion that there is no difference between phraseological fusions and unities. "Phraseological fusions and phraseological unities are not two separate things, they are different stages of the development of the same thing." These two types of logically solid expressions were combined and they were called idioms. Therefore, phraseology is divided into two groups: idioms and phraseological expressions. " In Phraseological unities there is

a weak indication of the general meaning of motivation. They exist in the majority of languages as a free form" (Vinogradov, 1947:111). A. Taqaishvili says: "It is reasonable to combine these two types of solid expressions and call them an idiom" (Taqaishvili, 1961:10-17)). A. Taqaishvili separately studies idioms and phraseological expressions in Georgian language, because the general meaning of phraseological expressions is partially derived from their base word. Only one component of a phraseological unity is metaphorized, and phraseological unity performs the function of one syntactic member. One member is non-free, eg, სიჩუმე ჩამოვარდა (silence fell). The word "fell" is an empty semantic form. The noun "silence" has turned into a verb and means "to be silent." There are too many examples of phraseological unities in German, for example "Bewegung bringen" - to move, to set in motion. The verb bringen means "to bring". Noun "Bewegung" - becomes verb "bewegen".

#### **Arabic, Turkish and Persian loanwords in Georgian**

There are many words in Georgian language: **Abri** (აბრუ), **Ilaji** (ილაჯი), **navli** (ყავლი), **halhi** (ყალყი), **nira** (ყირა), **Araqati** (არაქათი), **siqa** (სიქა), **ainun** (აინუნი), **Ikhtibari** (იხტიბარი) that have Arabic and Persian origin. These words are well preserved in phraseology: აბრუს გატეხა, ყავლის გასვლა, აინუნში მოსვლა, ყალყზე დადგომა, ყირაზე გასვლა, ილაჯის გაწყვეტა, არაქათის გაცლა. These are unique components that we call necrotisms. Despite the monolith structure of Georgian written language, there are traces of different languages in it. There are a lot of Eastern lexemes in the southern dialects. Arabic, Persian and Turkish words are found in the semi-kalkis. This is an interesting fact from the point of view of history, historical dialectology and linguistic culture. The construction of phrases on other bases is interesting from the point of view of psycholinguistics as well (Tshetskhladze, 2018: 276).

**Sikhinti Mereva** – (სიხინთი მერევა) (Sikhinti Turk. Sadness (სევდა), anxiety of the soul (სულის წუხილი);

- "It will be beneficial if Turkey offers some trade and economic benefits to Georgia."

- "In the future, relations with Turkey will advance if the customs checkpoint in Sarp is canceled and our citizens can cross the border freely (similar to the countries of the Schengen zone in Europe)."

- "The deepening of Georgian-Turkish relations is crucial for ethnic Georgians living in Turkey and for the preservation of Georgian historical and cultural monuments."

- "For the positive development of Georgian-Turkish relations, it is necessary to treat their customs positively and to respect them when they visit us in Georgia. Similarly, Turks should also behave respectfully towards our citizens when they are in Turkey."

### **Conclusions**

Based on the findings of the sociological research conducted to assess the current state of Georgian-Turkish relations among respondents from Batumi, it is evident that they provided insightful and qualified responses to the questions posed. These responses allow for several conclusions to be drawn.

Firstly, a significant number of respondents have ties with Turkey, either through personal visits, employment opportunities, or regular consumption of Turkish products. Some respondents also mentioned participating in official cultural events in Turkey. Addi-

tionally, many Batumi residents are employed by Turkish businesses, indicating a strong economic connection between the two regions.

Overall, most respondents viewed the current level of Georgian-Turkish relations positively, recognizing its considerable impact on their socio-economic well-being. However, they also highlighted specific issues and challenges within these relations that warrant further investigation and effective solutions. Addressing these challenges is essential for maximizing the potential for cooperation between the two countries.

In conclusion, it is evident that the active cooperation between our two countries plays a crucial role in strengthening the political, economic, and strategic development, as well as the security, of the region. This sentiment was echoed by the Speaker of the Turkish Parliament, Numan Kurtulmush, during his meeting with the Speaker of the Georgian Parliament, Shalva Papuashvili, on September 29, 2023. Kurtulmush affirmed Turkey's support for the territorial integrity of Georgia and expressed the intention to continue fostering excellent relations between the two nations through mutual efforts. He conveyed warm regards from the Turkish people to their Georgian counterparts, emphasizing the commitment to maintaining friendship between the countries indefinitely (Kurtulmush, 2023).

### **References:**

Kurtumush, Numan. (2023). Turkish Parliament Speaker - Turkey-Georgia relations are at an excellent level, these relations will continue to develop with the help of positive efforts of both countries. <https://1tv.ge/news/turqetis-parlamentis-spikeri-turqet-saqartvelos-shoris-urtiertobebi-shesanishnav-donezea-es-urtiertobebi-gaagrdzelebs-ganvitarebas-orive-qveynis-pozitiuridzalikhmevis-dakhmarebit/>.



## ყურანში ამკრძალავი და აკრძალული აიების გაგებისთვის

**აბესალომ ასლანიძე**

ფილოსოფიის დოქტორი,

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო

უნივერსიტეტის ფილოსოფიის დეპარტამენტი.

საქართველო, 6010. ბათუმი, ნინოშვილის ქ. 32/35.

+995 577 999 860. a.aslanidze@bsu.edu.ge

<https://orcid.org/0009-0005-8925-6129>

DOI:<https://doi.org/10.61671/hos.7.2024.7830>

### ანოტაცია

თანამედროვე მსოფლიოში ისლამის ფაქტორის ზრდის ფონზე, ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად რჩება ყველა მუსლიმთათვის წმინდა წიგნის - ყურანის ტექსტიდან ცალკეული ადგილების ციტირება და შესაბამისად, სასურველი იდეის დასაბუთება. სხვადასხვა პიროვნებები, ჯგუფები თუ პოლიტიკური პარტიები თვიანთი მოსაზრებების გამყარებას ცდილობენ ყურანის ტექსტის დამოწმებით. ამ დროს ხშირად ხდება ისეთ აიებზე აპელირება, რომლებიც ძალადაგარგულად, ანუ გაუქმებულად ითვლება, თუმცა, ყურანის ტექსტში არის. მუსლიმური ტრადიციით ყურანი მუსლიმთათვის ღმერთისგან გარდმოვლენილი წიგნია და მასში არცერთი სიტყვა არაა ჩამატებული ადამიანების მიერ, მასში არ შეიძლება რაიმე ცვლილების შეტანა - დამატება ან ამოღება. სწორედ აქედან გამომდინარე, პრობლემურია, რომ ბევრი, განსაკუთრებით პოლიტიკურად ანგაჟირებული მუსლიმისთვის

არ შეიძლება ყურანში იყოს ძალადაკარგული, ანუ გაუქმებული აიები. ამ დროს თვით წინასწარმეტყველ მუჰამმადს უხდებოდა ამა თუ იმ აიას დამატებითი განმარტება, ან მითითება იმაზე, რომ გარდმოვლენილ გამოცხადებებში ცვლილებები თვით ალლაჰიდანაა.

მუსლიმურმა ღვთისმეტყველებამ მუჰამმადის გარდაცვალების შემდეგ ეტაპობრივად შექმნა თეორია აიების გაუქმების შესახებ (ნასიხ ვა მანსუხ), რომელიც აქტუალობას ინარჩუნებს თანამედროვე ეტაპზეც, განსაკუთრებით იმ კუთხით, როდესაც საკითხი ეხება წმინდა ომს (ჯიჰადი), მუსლიმების ურთიერთობას სხვა აღმსარებლობის ადამიანებთან და ა. შ. სწორედ აქედან გამომდინარე, ყურანში ამკრძალავ და აკრძალული აიების შესახებ ცოდნა აუცილებელია როგორც მუსლიმთათვის, ისე არამუსლიმებისთვის. მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ ყურანში ზოგიერთი იდეა თუ შეგონება მოცემულია დროებითი სარგებლობისთვის და შემდგომში, როცა საჭიროებანი იცვლება, იცვლება (უქმდება) მოცემული აიაც. ამიტომაც, ნებისმიერ საკითხზე მსჯელობისას თუ ვახდენთ ყურანის ტექსტის ციტირებას, უპირველესად აუცილებელია იმის ცოდნა, თუ რა დროსა და სიტუაციაში იქნა გარდმოვლენილი ესა თუ ის აია და რამდენად უნივერსალური იდეაა მასში გადმოცემული. სწორედ აღნიშნული საკითხების შესწავლას ეხება წინამდებარე სტატია.

**საკვანძო სიტყვები:** ისლამი; ყურანი; აია; ამკრძალავი და აკრძალული; ალლაჰი; მუჰამმადი.

## **შესავალი**

თანამედროვე ეტაპზე, მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ფონზე, რომელშიც ისლამის ფაქტორი დიდია, განსაკუთრებული ყურადღებას იქცევს, როდესაც ყველა მუსლიმთათვის წმინდა წიგნის, ყურანის ტექსტის ციტირება ხდება ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებისა თუ ქმედებისთვის. საქმე იმაშია, რომ ნებისმიერი პირი, ჯგუფი თუ პოლიტიკური ძალა, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, თავისი საქმიანობის გამარ-



თლებას ყურანის ტექსტის ციტირებით ცდილობს და უკეთებს სასურველ ინტერპრეტაციას. ასეა დღეს, ასე იყო წარსულშიც. მნიშვნელოვანია, რომ შეხედულება ყურანზე, ან მისი ტექსტიდან ციტირება, მუსლიმურ სამყაროში თუ მის გარეთ, იცვლებოდა ისტორიის მსვლელობის მიხედვით. ამაზე გავლენას ახდენდა როგორც მუსლიმურ სამყაროში მიმდინარე შიდა დაპირისპირებები, ასევე გარე თვდასხმები, დინასტიების დაშლა, თუ ახალი იმპერიების გაჩენა. შეიძლება ითქვას, რომ ყველა საუკუნე ყურანს უყურებდა საკუთრი თვალით და ყველა თაობა ყურანის ტექსტში კითხულობდა რადცას სათავისოს. ამის საშუალებას იძლევა არამარტო ყურანის ტექსტი, არამედ თვით ისლამური ღვთისმეტყველების არაკონსტრუირებული ხასიათი. როგორც ცნობილია ისლამში არ არსებობს ისეთი ინსტიტუტები (როგორც მსოფლიო საეკლესიო კრებები), რომელთა გადაწყვეტილებებს აღიარებდა მთლიანად მუსლიმური თემი, არ არსებობს ამა თუ იმ დოგმატის დაკანონების პროცედურა (როგორც ამას აკეთებს მაგალითად ავტოკეფალური ეკლესია სინოდის სხდომებით) და ა. შ. აღნიშნული საკითხები განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს მაგალითად, დღეისათვის ძალიან აქტუალურ - ჯიჰადის საკითხის განმარტებისას, არამუსლიმურ ქვეყნებში მუსლიმთა ცხოვრების პირობებთან, ზოგადად, თნამედროვე ტექნოლოგიურ ეპოქაში მუსლიმთა ურთიერთობისას არამუსლიმებთან, თუ ყოველდღიური ლოცვების ჩატარების ელემენტებთან დაკავშირებით.

### **მეთოდები**

პირველწყაროზე მუშაობის, ფილოსოფიური და თეოლოგიური ტექსტების ანალიზის მეთოდების საფუძველზე შესწავლილია ყურანის ტექსტიდან ის აიები, რომლებიც მუსლიმური ტრადიციით ითვლება „ამკრძალავად“ და „აკრძალულად“. საკვლევე საკითხზე მუშაობის დროს, შედარებითი ანალიზის მეთოდის საფუძველზე შესწავლილი იქნა საკითხთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურა და ყურანის ტექსტის სხვადასხვა თრგმანი, რომელთა გარეშეც ძნელია მოვლენათა ობიექტური შეფასება.

## შედეგი

ყურანის სხვადასხვა თარგმანებისა და სამეცნიერო ლიტერატურის ტექსტების შესწავლის საფუძველზე შედარებითი ანალიზის მეთოდით სტატიაში ნაჩვენებია, თუ რატომაა ყურანში „ამკრძალავი“ და „აკრძალული“ აიები და რატომ უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება მათი დამოწმებისას ამა თუ იმ საკითხის დასაბუთების დროს. კვლევის საფუძველზე დგინდება, რომ ყურანის ტექსტში ასეთი აიები ბევრია, რომლებიც ხშირად გამორიცხავენ ერთმანეთს. ამასთან, ნაჩვენებია, რომ ორიგინალიდან თარგმნილი ყურანის ტექსტში აიები შინაარსობრივად განსხვავებულია და რთულია იმის დადგენა, თუ ამათგან რომელია ორიგინალთნ უფრო ახლოს.

## დისკუსია

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ მუსლიმური ტრადიციით ყურანის ტექსტი ითვლება ღმერთის - ალლაჰის სიტყვად და მუსლიმები თუ არამუსლიმები დიდ ცოდვას სჩადიან, როდესაც მასში გადმოცემულ აზრს ამახინჯებენ. ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ ყურანის ტექსტისა თუ სუნას (წინასწარმეტყველ მუჰამადის გამონათქვამებსა და ქცევების შესახებ გადმოცემები) ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა თვით წინასწარმეტყველის სიტყვები, რომ „70 სექტად დაიშალა იუდეველთა რელიგია, 71 სექტად დაიშალა ქრისტიანთა რელიგია, დაიშლება ჩემი თემიც 72 მიმდინარეობად, მაგრამ ამათგან მხოლოდ ერთი იქნება, რომელიც ჭეშმარიტი ისლამის ნორმებს გაყვება“ და აქედან გამომდინარე, როდესაც ახდენენ ყურანის ტექსტის სათავისოდ ინტერპრეტაციას, მიაჩნიათ, რომ სწორედ ისინი არიან იმ 72 დაჯგუფებიდან ერთადერთი, ჭეშმარიტი რელიგიის მიმდევარნი.

ყურანის ტექსტის გაგებასა და ზოგადად, ისლამის აღქმას ისეთად, როგორც ის რეალურად არის და არა ისეთის, როგორადაც ვიღაცას სურვილი აქვს წარმოაჩინოს ისლამი, ართულებს ის, თუ ვინ დგას ამ პროცესების უკან, რომელი ჯგუფი, პოლიტიკური პარტია თუ სახელმწიფო და მათ რა პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნები აქვთ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ

ხშირად ისეთი აიების ციტირება ხდება, რომლებიც ითვლება აკრძალულად თუ ძალადაკარგულად და შესაბამისად, არ მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ ასეთი აიები ბევრია, თანაც, ისინი ყურანის ერთიანი ტექსტის ნაწილია. აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე სტატიაში შევეცდებით ყურანის ზოგიერთი აიას ციტირებას და მათ განმარტებას, ამასთან შევეცდებით ვაჩვენოთ თუ რატომაა ყურანში აკრძალული და ამკრძალავი აიები.

ყურანში ვკითხულობთ, რომ „ალლაჰი<sup>47</sup> წაშლის, რასაც ინებებს და ტოვებს, და მასთანაა დედაწიგნი“ (სილაგაძე, 2012: 13:39).<sup>48</sup> ამ აიას კომენტარში ა. სილაგაძე აღნიშნავს, რომ აქ იგულისხმება: ალლაჰი აუქმებს/ცვლის წინა წერილების ცალკეულ განაწესებს, რომელთაც ინებებს, და ტოვებს/ ამკვიდრებს სხვათა, რომელთაც ინებებს (სილაგაძე, 2012: 155).

ის, რომ ეს აია ეხება წინა წერილებს (საუბარია ღმერთისგან გარდმოვლენილ წიგნებზე), ამაზე მიუთითებს ლობჯანიძეც: აქ გაცხადებულია ყურანის უმთავრესი თეზა უწინდელ გამოცხადებათა გადასინჯვისა თუ განახლების აუცილებლობის თობაზე... (ლობჯანიძე, 2006: 578). ამავე დროს ყურანი მიუთითებს იმ ცვლილებებზეც, რომელიც თვით ყურანის ტექსტს ეხება: „და როს ვცლით ერთ აიას მეორე აიათი - ალაჰმა კი ყველაზე უკეთ იცის, რაც გარდმოავლინა...“ (ლობჯანიძე, 2006: 16:103 (101)). ალლაჰი მიმართავს წინასწარმეტყველ მუჰამადს, რომ „წაგიკითხავთ შენ და არას დაივიწყებ, თვინიერ იმისა, რაც ინება ალაჰმა... (ლობჯანიძე, 2006: 87:6-7).

---

<sup>47</sup> ყურანის სხვადასხვა თარგმანებში ალლაჰი განსხვავებულად იწერება - ალლაჰი, ან ალაჰი. ჩვენ ამ თარგმანების გამოყენებისას ვწერთ ისე, როგორც შესაბამის თარგმანებშია. ეს ეხება წინასწარმეტყველ მუჰამადის სახელსაც - მუჰამადი, ან მუჰამადი.

<sup>48</sup> სტატიაში გამოყენებულია ქართულ ენაზე ყურანის ა. სილაგაძისა და გ. ლობჯანიძის თარგმანები, რომლებშიც ხშირად აიების თარგმანის ფორმით თუ შინაარსით განსხვავებულია. ამიტომ დამოწმებისას ვუთითებთ ავტორთა გვარებს. ამასთან, აქ და ყველგან ყურანის ტექსტის დამოწმებისას, პირველი ციფრი აღნიშნავს ყურანის თავს (სურა), მეორე კი აიას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მთარგმნელები ხშირად სარგებლობენ ყურანის ორიგინალური ტექსტის სხვადასხვა გამოცემით, სადაც აიების ნუმერაცია განსხვავებული მეთოდითაა და შეიძლება ერთმანეთს არ ემთხვეოდეს. ამიტომაც, აიების ნუმერაცია მოყვანილია ისე, როგორც შესაბამის თარგმანებშია.

ირანელი მეცნიერი, საიიდ ხუჯატი (Худжати, 2015: 297-298) ყურადღებას აქცევს ასეთ გარემოებას, რომ შეიძლება ამკრძალავი და აკრძალული აიები ყურანის ტექსტში იყოს ერთ სურაში და ყურანის ტექსტში აიების თანმიმდევრობა არ ემთხვეოდეს მათი გარდმოვლენის რიგს. „და ვინც გარდაიცვალოს თქვენგან და ტოვებდეს ცოლებს - თავი შეიკავონ ქალებმა ოთხ თვესა და ათს (იგულისხმება ათი დღე -ა.ა.). და როცა თავიანთ ვადას მიაღწევენ, ცოდვა არ გექნეთ იმის გამო, რასაც ისინი თავისთვის მოიწყობენ წესისამებრ. და იცის ალლაჰმა, რასაცა იქმთ, ის“ (სილაგაძე, 2009: 2:234). ეს აია, ექვსი აიას შემდეგ აუქმებს აიას, რომელიც ამავე თემას ეხება: „და ვინც გარდაიცვალოს თქვენგან და ტოვებდეს ცოლებს, - ანდერმად ცოლებს სარჩო ერთი წლისა სახლიდან გაუძევებლად. ხოლო თუ თვითონ წავლენ, ცოდვა არ გექნეთ იმის გამო, რასაც ისინი თავისთვის მოიწყობენ წესისამებრ. და ალლაჰი დიადი და ბრძენია (სილაგაძე, 2009: 2:240).

ბელლი და უოტტი თვლიან, რომ ამკრძალავი და აკრძალული აიები სულაც არაა აუცილებელი ერთმანეთის მიმდევრობით იყოს ყურანის ტექსტში, თუმცა, ასეთი შემთხვევებიც არის და სანიმუშოდ იმოწმებენ ყურანის ტექსტიდან 53-ე სურის 19-20 აიებს, რომლებსაც აუქმებს ამავე სურის 21-22 აიები (Белл, Р. Уотт, У. :2005: 70-71).

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა და ვრცელ ციტატას დავიმოწმებთ ა. სილაგაძის კომენტარებიდან: ის, რომ ყურანში არის იშვიათი შემთხვევები, როდესაც ესა თუ ის აია უქმდება (და ეძლევა დავიწყებას), აღნიშნულია სხვაგანაც: 13:39, 16:101, 87:6 და სხვა. იგულისხმება, რომ ეს ხდება ალლაჰის ნებით, რომლითაც მოციქულმა უნდა დაივიწყოს მოცემული აია; ამავე დროს, სანაცვლოდ ალლაჰი იძლევა სხვას (რომელიც აუქმებს პირველს); და ბოლოს, გაუქმებული აია, როგორც ღვთის სიტყვა, ტექსტში რჩება. მუსლიმურმა ღვთისმეტყველებამ შემდგომში შექმნა თეორია გაუქმების შესახებ (ნასიხ ვა მანსუხ), რომელიც ასეთნაირ განმარტებას იძლევა: ყურანში ზოგიერთი იდეა თუ შეგონება მოცემულია დროებითი სარგებლობისთვის და შემდგომში, როცა საჭიროებანი იცვლება, იცვლება (უქმდება) მოცემული აიაც. ყვე-

ლაზე თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს 73-ე სურა, რომლის დასაწყისში - აიები 2-6 - ჩამოყალიბებული მოწოდება ღამის დიდი ნაწილის ლოცვაში გატარების შესახებ უქმდება (კორექტირდება) ბოლოში, სურის მე-20 აიაში (სილაგამე, 2009: 87-88). აქვე ა. სილაგამე აღნიშნავს იმასაც, რომ „არსებობს უსაფუძვლო მოსაზრება იმის შესახებაც, რომ იმაში, რაც უქმდება ან იცვლება, იგულისხმება ყურანამდელი საღვთო წერილების პასაჟები ან მთლიანად საღვთო წერილები (სილაგამე, 2009: 88), ანუ, როგორც ზემოთაც დავიმოწმეთ ა. სილაგამის მოსაზრება, ცვლილებები ეხება ყურანის ტექსტსაც.

როდესაც საუბარია აკრძალულ და ამკრძალავ აიებზე, საინტერესოა მე-9 სურის მე-5 და 29-ე აიები: „მაგათ მცირე რამ ფასეულობაზე გაცვალეს ალლაჰის აიები და მის გზას ამცდარან, - ჭეშმარიტად, საზიზღარია, რაც უკეთებიათ მაგათ“ (სილაგამე, 2012: 9:5); „ალლაჰი უკვე შეგეწიათ თქვენ მრავალ ადგილას და ჰუნანიის დღეს, როცა სიმრავლემ თქვენმა ადგიტაცათ თქვენ, მაგრამ ვერაფერი გარგოთ, და დედამიწა მთელი თვისი სივრცელით ვიწრო შეიქმნა თქვენთვის, მერე ზურგი აჩვენეთ თქვენ, უკან გაქცეულებმა“ (სილაგამე, 2012: 9:25). გავრცელებული მოსაზრებით, ეს ორი აია კრძალავს ასობით აიას 50-მდე სურაში, რომლებშიც საუბარია სხვა აღმსარებლობების მიმდევრების მიმართ მშვიდობიან და ტოლერანტულ დამოკიდებულებაზე. სამართლიანად მიჩნეულია, რომ ეს კონცეფცია თავისებური პროვოკაციაა და მიმართულია ისევ ისლამის წინააღმდეგ (Ибрагим, 2015: 239), რომ აღნიშნული აიების მეტრძოლი სულით წაკითხვა ამახინჯებს ყურანს, რადგანაც რელიგიური ტოლერანტობის შესახებ ღმერთის გამოცხადებები ჩამოყალიბებულია როგორც უნივერსალური პრინციპები და ასეთი აიები არ შეიძლება იყოს „აკრძალული“ (Ибрагим, 2015: 240). ამიტომაც 9:5 და 9:29 აიებს არ უნდა მივანიჭოთ საერთო აზრი, და ისინი უნდა მივაკუთვნოთ გამონაკლის კერძო შემთხვევებს იმათთან მიმართებაში, ვინც მტრობს ისლამს, ან დაგეგმილი აქვს მუსლიმებზე თავდასხმა (Ибрагим, 2015: 240).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ყურანის ტექსტში ყველა ცვლილება, შეცვლა ან აკრძალვა, როგორც უკვე აინიშნა, მხოლოდ ალლაჰიდანაა (სილაგაძე, 2009: 2:106) და მუჰამადი ამის შესახებ მხოლოდ აუწყებს ადამიანებს. მიუხედავად ამისა, არსებული აიების შინაარსის მსგავსი აიების გაჩენამ ყურანის ტექსტში ჯერ კიდევ წინასწარმეტყველის სიცოცხლეში გამოიწვია კამათი, რაზეც პირდაპირი პასუხია გაცემული ისევ ყურანის ტექსტში: „იგია, ვინც ზემოველინა შენზე წიგნი. იმაშია მყარი აიები - წიგნის დედაა ისინი, და სხვანი - მიმგვანებულნი. ხოლო რომელთაც გზიდან გადახვევა უზით გულში, ისინი იმას მიჰყვებიან, რაც მიმგვანებულა, - წარყვნის წადილით და მისი **ახსნის წადილით**; ოღონდ არავინ იცის მისი ახსნა, ალლაჰის გარდა. ცოდნით მტკიცენი კი იტყვიან: „ჩვენ ვიწამეთ იგი, **ყოველივე** ჩვენი უფლისგანაა“. და მხოლოდ გონიერთა გულისხმაჰყონ“ (სილაგაძე, 2009: 3:7). ასე, რომ ყურანში პირველი ცვლილებების შეტანა თვით მუჰამადს ეკუთვნის. ჩვენს მიერ ხაზგასმულ სიტყვებში კი ა. სილაგაძე გულისხმობს: **ახსნის წადილში** - ახსნა/ განმარტება თავიანთი სურვილისამებრ, ხოლო **ყოველივეში** - მყარი აიებიც, მიმგვანებულებიც - ე.ი. მთელი ყურანი (სილაგაძე, 2009: 74).

ცვლილებების მეორე სახეა ამკრძალავი აიების გაჩენა ყურანის ტექსტში, რაც გამოწვეული იყო წინასწარმეტყველისა და მისი თემის ცხოვრებაში მდგომარეობის ცვლილებებით 22 წლის განმავლობაში. მაგალითად, აია 9:5: „ხოლო ნაკრძალი თვეები როცა გაივლის, დახოცეთ მეკერპენი, სადაც პოვოთ, და სტაცეთ ხელი, და გარსშემოერთყით, და ჩაუსაფრდით ყოველ ადგილას. და თუ მოინანიონ, და ლოცვა აღასრულონ და გასცენ ზაქათი, მაშინ გაუშვით ეგენი თავიანთი გზით, - ჭეშმარიტად, ალლაჰი შემწყალებ და მწყალობელია“ - კრძალავს 9:124 აიას: „და როცა სურა რამ ზემოველინება, მაშინ ისეთნიც არიან მაგათში, ვინც იტყვის: „რომელს შეჰმატა თქვენგან რწმენა ამან?“ ხოლო, რომელთაც იწამეს, იმათ შეჰმატა ამან რწმენა, და ხარობენ ისინი“ (Резван, 2014: 132-133; სილაგაძე, 2012: 9:5). საინტერესოა ასევე მოსაზრება, რომ 9:5 აია, რომელიც იწოდება „ხმლის აიად“ „კრძა-

ლავს“ ყველა სხვა აიას, სადაც საუბარია არც ისე მკაცრ ბრძოლაზე მრავალდმერთიანებთან (Резван, 2014: 394). ზოგადად კი, მიჩნეულია, რომ 9:5 აია კრძალავს 100-ზე მეტ აიას თითქმის ყველა სურიდან (Резван, 2014: 392-394). გ. ლობჯანიძის აღნიშვნით კი, მიახლოებითი გათვლით „გამაუქმებელი და გაუქმებული“ აიების რაოდენობა ყურანში 40-მდეა (ლობჯანიძე, 2006: 69).

ყურანის ტექსტის გაგებისთვის აუცილებელია გავითვალისწინოთ არა მხოლოდ ყურანის აიების გარდმოვლენის დრო და ადგილი (რაც თვისთავად რთული დასადგენია), ასევე ის მდგომარეობა, რომელშიც მოცემულ დროს იმყოფებოდნენ წინასწარმეტყველი და მისი მიმდევრები. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, თუ ყურანის ტექსტის რომელი ავტორის თარგმანით ვსარგებლობთ, ან როგორ ვთარგმნით თავად ყურანის ტექსტს ორიგინალიდან. ყველა ამ საკითხის გათვალისწინება აუცილებელია ისლამის, როგორც რელიგიისა და იდეოლოგიის გასაგებად. მაგალითისთვის მოვიყვანოთ შემდეგ აიებს: „განა გინახავთ თქვენ ალ-ლათი და ალ-‘უზუა. ანდა მანათი, მესამე, სხვა (ლობჯანიძე, 2006: 53:19-20). ამ აიებს ძალას უკარგავს მომდევნო აიები: „განა თქვენ გყავთ მამრი და მას კიდევ მდედრი?! ეს, ამგვარად, შეურაცხმყოფელი განაწილება“ (ლობჯანიძე, 2006: 53:21-22). აქ მთავარი ისაა, რომ ალლაჰი ამბობს: „ჩვენ არ ვაუქმებთ ერთ აიასაც კი, და არ ვივიწყებთ ისე, თუ არ მოვიტანთ მასზე უკეთესს და მსგავსს იმისას. განა არ იცი, რომ ალაჰი ყოვლისშემძლეა (ლობჯანიძე, 2006: 2:100(106)).

ამავე აიას ა. სილაგაძე ასე თარგმნის: „ჩვენ ისე ერთ აიასაც არ ვაუქმებთ ან ვავიწყებინებთ, თუ მასზე უკეთესს არ მოვიტანთ ან მსგავსს მისას. არ იცი, რომ ალაჰი ყოვლისშემძლეა? (სილაგაძე, 2009: 2:106). სილაგაძე ამ აიას კომენტარში აღნიშნავს, რომ „ჩვენ“ არის ალლაჰი და იგი ამბობს „ვავიწყებინებთ“. „ვივიწყებთ“ ყურანში ამ ადგილას არ არის და არც შეიძლება იყოს. აქვე მოყავს ა. სილაგაძეს 87:6-7 აიას თარგმანიც, სადაც ალლაჰი ეუბნება მუჰამადს: „ჩვენ წაგაკითხინებთ შენ და შენ არაფერს დაივიწყებ, გარდა იმისა, რასაც ალლაჰი ინებებს“ (სილაგაძე, 2009: 87). ამასთან დაკავშირებით საინტერესოა აკადემიკოს კრაჩკოვსკის ყურ-

ანის თარგმანი - «Всякий раз, как мы отменяем стих или заставляем его забыть, мы приводим лучший, чем он, или похожий на него...» (Крачковский, 1989: 2:100/106), სადაც ასევე ვკითხულობთ - „ვავიწყებინებთ“ (заставляем его забыть), ანუ გაუქმებულ აიას „დავიწყება“ ხდება ალლაჰის ნებით და არა ის, რომ თვით ალლაჰი ივიწყებს. ანალოგიურია ე.კულიევის თარგმნშიც: «Когда Мы отменяем или заставляем забыть один аят...» (Кулиев, 1430: 2:106). აქ შევნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ აღნიშნული აიები დაეიძობა არა იმის საჩვენებლად, თუ რომელი თარგმანია ორიგინალთან უფრო ახლოს, არამედ მხოლოდ იმისთვის, რომ გვეჩვენებინა, თვით ავტორიტეტულ თარგმანებს შორისაც არის ხშირად შინაარსობრივი განსხვავება და აიების ციტირებისას ესეც გასათვალისწინებელია.

### **დასკვნა**

განხილული მასალებით ნათლად ჩანს, რომ ყურანის ტექსტი შეიცავს როგორც ამკრძალავ, ისე აკრძალულ, გაუქმებულ აიებსაც. ამიტომ ყურანის ტექსტის ციტირებისას ეს მომენტი აუცილებლად გასათვალისწინებელია, მით უფრო, თუ ეს ეხება მუსლიმებისა და სხვა აღმსარებლობის ადამიანების ურთიერთობებს, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ყურანის ტექსტის ციტირება ხდება ჯიჰადის განმარტებასა თუ მისი მეთოდების გამოყენებაზე თანამედროვე ეტაპზე. იმ გარემოების გამო, რომ ჩვენთან არაბული ენა ერთეულებმა თუ იციან და ჩვენთვის ზოგადად ეს ენა გაუგებარია, ასევე სიფრთხილეა გამოსაჩენი იმ მხრივაც, თუ რომელი ავტორის თარგმანით ვსარგებლობთ. ყოველი არასწორი ციტირება თუ არაზუსტი თარგმანით სარგებლობა დამახინჯებულ წარმოდგენას გვიქმნის როგორც ყურანის ტექსტზე, ასევე მთლიანად ისლამის შესახებ. აღნიშნული გარემოებები, საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, გვაყენებს იმ აუცილებლობის წინაშე, რომ ამ მხხრივ კვლევას კიდევ უფრო სიღრმისეულად უნდა გაგრძელდეს და მიღებული ცოდნა მიტანილი უნდა იქნას უპირველესად იმ კატეგორიის ადამიანებამდე, რომლებიც ხშირად აპელირებენ ყურანს ტექსტით და მის საფუძველზე ცდილობენ როგორც საკუთარი პოლიტიკის გამომუშა-



ვებას, ისე ურთიერთობის დალაგებას სხვა აღმსარებლობის მიმდევრებთან.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- ასლანიძე, ა. (2022). *ისლამმცოდნეობის საკითხები*. ბათუმი.
- ყურანი. (2009). სურები პირველი-მეორე. თარგმანი არაბულიდან და კომენტარები აპოლონ სილაგაძისა. თბილისი.
- ყურანი. (2009). სურები მესამე-მეხუთე. თარგმანი არაბულიდან და კომენტარები აპოლონ სილაგაძისა. თბილისი.
- ყურანი. (2010). სურები მეექვსე-მერვე. თარგმანი არაბულიდან და კომენტარები აპოლონ სილაგაძისა. თბილისი.
- ყურანი. (2012). სურები მეცხრე-მეთოთხმეტე. თარგმანი არაბულიდან და კომენტარები აპოლონ სილაგაძისა. თბილისი.
- ყურანი. (2006). არაბულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებანი დაურთო გიორგი ლობჯანიძემ. თბილისი.
- Белл, Р., Уотт У. М. (2005). *Коранистика: введение*. Москва.
- Ибрагим, Т. К. (2015). *Коранический гуманизм*. Москва.
- Коран. (1989). Пер. и коммент. И. Ю Крачковского. Москва.
- Резван, Е. А. (2014). *Введение в коранистику*. Казань.
- Священный Коран*. (2009). Смысловой перевод на русский язык Э. Кулиева. Медина, 1430 г.х.
- Худжати, С. М. (2015). *Исследование по истории Корана*. Москва.

### REFERENCES;

- Aslanidze, A. (2022). *Islammtcodneobis sakitkhebi (Issues of Islamic studies)*. Batumi.
- Qurani (*The Quran*). (2009). Surebi Pirveli-meote. Targmani Arabulidan da Komentarebi Apolon Silagadzisa (Sura one and two. Translation from Arabic and comments by Apollon Silagadze). Tbilisi.

- (*Qurani*) *The Quran*. (2009). Surebi Mesame-Mekhute. Targmani Arabulidan da Komentarebi Apolon Silagadzisa (Sura three to five. Translation from Arabic and comments by Apollon Silagadze). Tbilisi.
- (*Qurani*) *The Quran*. (2010). Surebi Meekvse-Merve. Targmani Arabulidan da Komentarebi Apolon Silagadzisa (Sura six and eight. Translation from Arabic and comments by Apollon Silagadze). Tbilisi.
- (*Qurani*) *The Quran*. (2012). Surebi Metskhre-Metormete. Targmani Arabulidan da Komentarebi Apolon Silagadzisa (Suras nine-fourteen. Translation from Arabic and comments by Apollon Silagadze). Tbilisi.
- (*Qurani*) *The Quran*. (2006). Arabulidan Targmna, Shesavali Tserili da Ganmartebani Daurto Giorgi Lobzhanidzem (Ttranslation from Arabic, an introductory letter and explanations by Giorgi Lobzhanidze). Tbilisi.
- Bell, P., Уотт U. M. (2005). Koranistika: Vvedenie. *Коранистика: введение (Koranistika: Introduction)*. Moskva.
- Ibragim, T. K. (2015). *Kopanicheskij Gummanizm (Koranic humanism)*. Moskva.
- Koran (The Quran)*. (1989). Per. I Komment. I.Yu. Krachkovskogo (Transl. and comment by I. Yu Krachkovsky). Moskva.
- Rezvan, E. A. (2014). *Vvedenie v Koranistiku (Introduction to Koranism)*. Kazan.
- Svyawennyj Koran (Holy Quran)*. (2009). Smislovoj Perevod na Russkij Yazyk Je. Kulieba. Medina, 1430 g.h. (Meaningful translation into Russian by E. Kuliev. Medina, 1430).
- Hudzhati, S. M. (2015). *Issledovanie po Istorii Korana (Study on the history of the Koran)*. Moskva.



## To understand the prohibition and prohibited verses in the Quran

**Abesalom Aslanidze**

Doctor of Philosophy,

Shota Rustaveli State of Batumi

University Department of Philosophy.

Georgia, 6010. Batumi, Ninoshvili str. 32/35.

+995 577 999 860. a.aslanidze@bsu.edu.ge

<https://orcid.org/0009-0005-8925-6129>

DOI:<https://doi.org/10.61671/hos.7.2024.7830>

### **Annotation**

In the modern world against the background of the growth of the Islamic factor one of the most pressing issues remains for all Muslims to quote individual places from the text of the Holy Book - the Quran and justify the desired idea. Different individuals, groups or political parties try to support their opinions by verifying the text of the Quran. At this time, there are mentioned such verses, which are considered invalid, i.e. abrogated, however, they are in the text of the Qur'an. According to the Muslim tradition, the Qur'an is a book revealed by God for Muslims, where no words have been added to it by humans, no changes can be made to it - additions or deletions. Therefore, it is problematic that for many, especially politically engaged Muslims it cannot be abrogated, or abrogated verses in the Qur'an. At that time, Prophet Muhammad himself had to provide an additional explanation of this or that verse, or an indication that the changes in the revealed revelations are from Allah himself.

After the death of Muhammad Muslim theology gradually created a theory about the abrogation of verses (Nasikh wa Mansukh),

which remains relevant even at the modern stage, especially when the issue concerns the holy war (Jihad), the relationship of Muslims with people of other faiths, etc. For this reason, it is important to have knowledge about the prohibitive and prohibited verses in the Qur'an for both Muslims and non-Muslims. It is important to know that some ideas or admonitions in the Qur'an are given for temporary benefit and later, when the needs change, the given verse is also changed (abolished). Therefore, when discussing any issue, if we quote the text of the Qur'an, first of all it is necessary to know in what time and situation this or that verse was revealed and how universal an idea is conveyed in it. The present article deals with the study of the mentioned issues

**Keywords:** Islam; The Qur'an; Verse; Prohibitive and Prohibited; Allah; Muhammad.

### **Introduction**

At the modern stage, in the background of current processes in the world, in which the factor of Islam is large, special attention is drawn when the text of the holy book for all Muslims, the Qur'an, is quoted for this or that decision or action. The point is that any person, group or political force, based on their own interests, tries to justify their own activities by quoting the text of the Qur'an and makes the desired interpretation. It is the same even today as it was in the past. Significantly, the view of the Qur'an, or the citation of its text, both within and outside the Muslim world, has changed over the course of history. This was influenced by internal conflicts in the Muslim world, as well as external attacks, the collapse of dynasties, or the emergence of new empires. It can be said that every age looked at the Qur'an with its own eyes and every generation read something original in the text of the Qur'an.

This is allowed not only by the text of the Qur'an, but also by the unconstructed nature of Islamic theology itself. As it is known, in Islam there are no such institutions (such as world church councils)

whose decisions were recognized by the entire Muslim community, there is no procedure for legalizing this or that dogma (as the Autocephalous Church does, for example, with synod sessions), etc. These issues become particularly relevant, for example, when explaining the issue of Jihad, which is very relevant today, with the living conditions of Muslims in non-Muslim countries, with the interaction of Muslims with non-Muslims in the modern technological era, or with the elements of conducting daily prayers.

### **Methods**

Based on methods of working and analyzing philosophical and theological texts, those verses from the text of the Qur'an, which are considered "Prohibitively" and "forbiddenly" by the Muslim tradition, are studied. During the work on the research topic, based on the method of comparative analysis the scientific literature which are related to the issue and various translations of the Koran text were studied, without which it is difficult to evaluate the events objectively.

### **Result**

Based on the study of various translations of the Qur'an and the texts of scientific literature, the article shows why there are "Prohibitively" and "forbidden" verses in the Qur'an and why we should pay special attention to verifying them when justifying this or that issue. Based on research, it is established that there are many such verses in the text of the Qur'an, which often exclude each other. Moreover, it is shown that the verses in the text of the Qur'an are translated from the original differently in content, and it is difficult to determine which of them is closer to the original.



ინდური წარმოდგენები ადამიანის პიროვნების შესახებ  
(ალან უოტსი; კარელ ვერნერი)

ბერიძე ვარდო

ფილოსოფიის დოქტორი,  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ფილოსოფიის დეპარტამენტის  
ასოცირებული პროფესორი,  
საქართველო, 6010. ბათუმი, ნინოშვილის ქ. 32/35  
995577145426. vardo.beridze@bsu.edu.ge  
<https://orcid.org/0009-0002-1095-3342>  
DOI: <https://doi.org/10.61671/hos.7.2024.7831>

**აბსტრაქტი**

პიროვნებისა და ადამიანისადმი ინტერესი ისეთივე ძველია, როგორც კაცობრიობის ისტორია. პიროვნების კონცეპტუალური მნიშვნელობა, გაგება და შესწავლა გლობალურია. პიროვნების ცნებასთან, მის სტრუქტურასთან დაკავშირებული საკითხები სხვადასხვა მეცნიერების კვლევისა და მსჯელობის საგანია. იგი წარმოადგენს ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ისტორიის, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების კვლევის სფეროს.

ძველ ინდოეთსა და ჩინეთში იბადება და ვითარდება ფილოსოფიური აზრი ადამიანის შესახებ. მის არსებით მახასიათებლად ითვლება ადამიანის შინაგანი ბუნების, მისი თავისუფლების ხარისხის, ცხოვრების მიზნისა და აზრის სრულყოფილებაზე ორიენტაციის აღება, მაკრო და მიკროკოსმოსის, ბუნებისა

და ადამიანის თავდაპირველი ერთიანობისთვის ყურადღების გამახვილება.

ინდური მიდგომა პიროვნების გაგებისა გამორჩეული პერსპექტივის მატარებელია. იგი არსებითად განსხვავდება დასავლური ფილოსოფიური ტრადიციებისგან.

ალან უოტსი XX საუკუნის ბრიტანელი მწერალი და ფილოსოფოსი, რომელიც დასავლური აზროვნებისთვის ცნობილია, როგორც აღმოსავლური სიბრძნის ინტერპრეტატორი, თვლის, რომ ინდური საზოგადოება საინტერესო ჩვეულებისა და ტრადიციის მატარებელია. იგი წიგნში „აღმოსავლური სიბრძნე და თანამედროვეობა“ პიროვნებას განიხილავს, როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში მიღებულ სოციალურ ან დრამატულ ნიღაბს და ცდილობს ამ გზით აჩვენოს პიროვნებისადმი ინდური მიდგომის განსაკუთრებულობა.

აღმოსავლეთმცოდნე, რელიგიის ფილოსოფიის მკვლევრის კარელ ვერნერის დაკვირვებითა და დასკვნით ადამიანის პიროვნების ბუნება ჯერ კიდევ გაუგებარია. მისი აზრით, პიროვნების გონივრული განმარტება ის არის, რომ იგი რთული სტრუქტურის და რთული დინამიური ფუნქციების შემცველია.

საბოლოოდ, ორივე მათგანის კვლევებიდან იკვეთება ერთი საერთო დასკვნა, რომ ყველაფრის მხარდამჭერი ძალა, რაც არსებობს ფენომენალურ დონეზე და მათ შორის პიროვნებისაც არის „ბრაჰმანი“. ბრაჰმანის მიხედვით კი, ადამიანი თავად განსაზღვრავს, ირჩევს გზას და საშუალებას თავისი სრულყოფილებისა და გადარჩენისთვის. მას არ შეუძლია სამყაროს შეცვლა, მას შეუძლია მხოლოდ თავისი თავის შეცვლა.

**საკვანძო სიტყვები:** ინდოეთის ცივილიზაცია; პიროვნება; ნიღაბი; ბრაჰმანი; ატმანი; ალან უოტსი; კარელ ვერნერი.

## შესავალი

ინდური აზროვნების მიხედვით, პიროვნების გაგებისთვის აუცილებელია რამდენიმე ფუნდამენტური კონცეფციის ანალიზი, კერძოდ, შეხედულებები იმის შესახებ, თუ რა აყალიბებს

ადამიანის ხასიათს, ქცევებს და თვითრეალიზაციის გზას. პიროვნების თეორია ღრმად არის ფესვგადგმული ძველ ინდურ ტექსტებსა და ტრადიციებში. ის აერთიანებს ფილოსოფიურ, სულიერ და ფსიქოლოგიურ ელემენტებს, უზრუნველყოფს ადამიანის ხასიათის ჰოლისტიკურ ხედვას, განიხილავს პიროვნებას, როგორც ინდივიდის ცხოვრების დინამიურ და განვითარებად ასპექტს. თანამედროვე ფილოსოფიური აზროვნების თვალსაზრისით, ინდური ტრადიცია სრულად აღიქვამს პიროვნების გაგებასთან დაკავშირებულ პრობლემის სირთულეს და წარმოადგენს პიროვნების თეორიებს, რომლებიც საჭიროებენ ყურადღების გამახვილებას პერსონალისტური ფილოსოფიის განვითარების კუთხით. ნაშრომი პრეტენზიას არ აცხადებს საკვლევი საკითხის სხვადასხვა ასპექტით კვლევაზე, აღნიშნული პრობლემა მდიდარი ტრადიციის მქონე ისტორიის მატარებელია.

### **მეთოდი**

პირველწყაროსა და ტექსტზე მუშაობის მეთოდის გამოყენებით ნაშრომში ნაცადია მე-20 საუკუნის ბრიტანელი ფილოსოფოსის ალან უოტსისა და ჩეხი აღმოსავლეთმცოდნე, რელიგიის ფილოსოფიის მკვლევრის კარელ ვერნერის შეხედულებათა ანალიზი ადამიანის ბუნების პერსონალისტური გაგების თვალსაზრისით.

### **შედეგი**

პირველწყაროსა და ტექსტებზე მუშაობის მეთოდის გამოყენებით ალან უოტსისა და კარელ ვერნერის ტექსტებზე დაყრდნობით, როგორც აღმოსავლეთმცოდნე ფილოსოფიის მკვლევრებისა, რომელთა შეხედულებები ეფუძნება უძველეს წარსულში შედგენილ ავტორთა წიგნებს იკვეთება, რომ აღმოსავლური სიბრძნე შეიცავს ისეთ უძველეს და გავლენიან მიდგომებს, რომლებიც დღემდე არსებობს მათ ცივილიზაციაში. ინდურ ფილოსოფიას შემოაქვს ისეთი უნიკალური მიდგომები ცხოვრების ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით, რომლთაც დღესაც არ დაუკარგავთ აქტუალობა.



## დისკუსია

ინდოეთის ცივილიზაცია უძველეს ცივილიზაციათაგანია. „თუ რაიმე ვიცით ამ ცივილიზაციის შესახებ, ჩვენს ცოდნას ისტორიული წყაროებიდან კი არ ვიღებთ (იმ დროს ისტორიოგრაფია ჯერ კიდევ არ არსებობდა), არამედ უმეტეს შემთხვევაში უცნობ ავტორების რელიგიური წიგნებიდან, რომელნიც შედგენილ იქმნენ უძველეს წარსულში“ (ჯორჯაძე, 1989: 586).

აღსანიშნავია, რომ კლასიკური ინდური ფილოსოფიური ტრადიციებისთვის მეტაფიზიკური დებატები ცალკეულ პიროვნების, სამყაროს ბუნებისა და მასში ჩვენი ადგილის შესახებ ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია. ეს დებატები ფოკუსირებულია პიროვნების არსზე, მე (ატმანზე) ან სულის სუბსტანციაზე. ინდურ ფილოსოფიურ და ფსიქოლოგიურ აზროვნებაში ტერმინი „პიროვნება“ არ გამოიყენება მკაცრი გაგებით, სამაგიეროდ წმინდა წერილებში მოხსენიებული „სვაბჰაავას“ ცნება მოიცავს პიროვნების ყველა ასპექტს<sup>49</sup> (5. <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC3830173/>).

კლასიკურ ინდურ ფილოსოფიურ სკოლებში ეკვივალენტური ტერმინის პოვნა, რომელიც სწორად ითარგმნება როგორც პიროვნება, შედარებით რთულია. ბუდისტურ ფილოსოფიაში „პუდგალას“ ცნება, რომელიც ფსიქოფიზიკურ კომპლექსს აღნიშნავდა, ითარგმნება როგორც პიროვნება. სანსკრიტში არსებობს რამდენიმე ტერმინი, მაგალითად, „ჯივა-ატმა“, „პურუშა“, „მანუსია“, რომლებიც ხშირად გამოიყენება პიროვნების აღსანიშნავად, მაგრამ ამ ტერმინებს ფართო მნიშვნელობა აქვთ და პირდაპირი მნიშვნელობით არ ვრცელდება პირებზე. კლასიკურ ინდურ ფილოსოფიაში პიროვნების ცნება იყო ცენტრალური ცნება (6. Stanford Encyclopedia of Philosophy, 2022).

---

<sup>49</sup> სვაბჰაავა: საკუთარი თავის არსი: სვაბჰაავას კონცეფცია აერთიანებს პიროვნების ბირთვს. იგი მოიცავს პურუშოტტამას (უზენაესი ჭეშმარიტება), მე-ს (ცნობიერება და „მე“-ს, რომელიც განვითარდა ადამიანის ცხოვრებაში) და ჯივას (უკვდავი სული წარსული და მომავალი ცხოვრების მეხსიერებით) გავლენას. სვაბჰაავას გაგება პირველი ნაბიჯია პიროვნების განვითარებაში. სვაბჰაავას კონცეფცია იხ. მითითებულ ბმულზე: <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC3830173/>

თანამედროვე შეხედულებების გათვალისწინებით ინდური მიდგომა პიროვნებისადმი მოიცავს შემდეგ გაგებას: **ჰოლისტიკური გაგება**, სულიერების ჩართვა, პიროვნების ტრანსფორმაცია, აიურვედას ჩართვა, უძველესი სიბრძნე თანამედროვე ცხოვრებისათვის, კულტურული და ინდივიდუალური ვარიაცია<sup>50</sup>.

ნაშრომში ნაცადია ინდური ფილოსოფიის მკვლევრების ალან უოტსისა<sup>51</sup> და კარელ ვერნერის<sup>52</sup> შეხედულებათა ანალიზის გადმოცემა პიროვნების იდეის გაგებისა, ინდური პერსპექტივის გათვალისწინებით.

ალან უოტსი „აღმოსავლური სიბრძნისა და თანამედროვეობისადმი“ მიძღვნილ ლექციათა ციკლში „გახსენება“, ფოკუსირებას ახდენს აღმოსავლეთ ინდოეთის იდეაზე, კერძოდ იმაზე, რომ ჩვენ დაგვაფიქვდა ვინ ან რა ვართ რეალურად და რომლის აღდგენასაც ვახდენთ საკუთარი თავის ინდივიდუალურ პიროვნებასთან იდენტიფიცირების გზით. უოტსის მიერ პიროვნება ან „პერსონა“ ასევე განიხილება, როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში მიღებული სოციალური ან დრამატული ნიღაბი. აქვე შევნიშნავთ, რომ თეატრალური

---

<sup>50</sup> **ჰოლისტიკური გაგება:** აერთიანებს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და სულიერ განზომილებებს. ამ ყოვლისმომცველ შეხედულებას შეუძლია ინდივიდებს უხელმძღვანელოს საკუთარი თავის უფრო სრულყოფილი გაგებისკენ. **სულიერების ჩართვა:** მრავალი დასავლური მიდგომისგან განსხვავებით, რომლებიც ძირითადად ფსიქოლოგიურ ასპექტებზეა ფოკუსირებული, ინდური მიდგომა დიდ აქცენტს აკეთებს სულიერებაზე. ის აღიარებს ადამიანის სულიერი მოგზაურობის გავლენას მათ პიროვნებასა და ქცევაზე. **პიროვნების ტრანსფორმაცია:** ამ მიდგომის მიხედვით, ინდივიდებს შეუძლიათ თავიანთი პიროვნების გარდაქმნა შეგნებული ძალისხმევით, სულიერი პრაქტიკისა და თვითშემეცნების მეშვეობით. **აიურვედას ჩართვა:** ინდური მიდგომის სწავლებები, როგორცაა იოგა, მედიტაცია და აიურვედა, ძალიან აქტუალურია დღევანდელ სწრაფ სამყაროში. ისინი უზრუნველყოფენ პრაქტიკულ ინსტრუმენტებს პიროვნების კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად. **კულტურული და ინდივიდუალური ვარიაცია:** ეს მიდგომა აღიარებს, რომ პიროვნება შეიძლება განსხვავდებოდეს კულტურისა და ინდივიდუალური გამოცდილების მიხედვით. ის პატივს სცემს ადამიანის გამოცდილებისა და გამოწვევების მრავალფეროვნებას.

<sup>51</sup> ალან უოტსი XX საუკუნის ბრიტანელი მწერალი და ფილოსოფოსი, დასავლური აზროვნებისთვის ცნობილია, როგორც აღმოსავლური სიბრძნის ინტერპრეტატორი.

<sup>52</sup> კარელ ვერნერი (1925-2019) - ინდოლოგი, აღმოსავლეთმცოდნე, რელიგიის ფილოსოფიის მკვლევარი.

ნიღბის ცნება პირველად ცხოვრებას პლატონმა მიუსადაგა<sup>53</sup>. უოტსი მსჯელობს ზოგადად ადამიანის მიერ საკუთარი თავის შეცნობის შესახებ. მისი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ „საკუთარი თავი ყველაზე ახლობელია ჩვენთვის, მაინც ძნელი დასანახი ვართ. ხანდახან ვივიწყებთ საკუთარ თავს“ (3. Watts, 1959). იგი მოგვითხრობს ძველ ამბავს ინდოელ მეფეზე, რომელიც ერთ დღეს დილით იღვიძებდა, საწოლისკენ მიბრუნდება, რათა სარკეში საკუთარი თავს შეხედოს. უოტსის გადმოცემით, ეს ძველი ბრინჯაოს სარკეები, ერთ მხარეს იყო გაპრიალებული, მეორე მხარეს კი, რაღაც დიზაინი ჰქონდა. მეფემ დილით დაღლილი თვალებით აიღო სარკე და არასწორ მხარეს გაიხედა და თქვა: „სად არის ჩემი თავი? მე ის დავკარგე!“ მან დაიბარა ყველა თავისი მოსამსახურეები და დაიწყო სირბილი მთელს ბინაში თავისი თავის სამეზობლადა. როცა მოსამსახურეები მივიდნენ, უთხრეს: „მაგრამ, თქვენო უდიდებულესობავ, მეფეო, იცოცხლეთ მარადიულად, ის ისევ თქვენს მხრებზეა. სარკის არასწორ მხარეს იყურებით“. უოტსის აზრით, ეს ამბავი მოთხრობილია, როგორც ილუსტრაცია იმისა, თუ რა არის, ბოლოს და ბოლოს, ინდური ფილოსოფიის უდიდესი თემა: გახსენება ან დამახსოვრება იმისა, რაც კაცობრიობას, როგორც ჩანს, დავიწყებული აქვს. როცა ინდურ ფილოსოფიაში ამბობენ, რომ ამ ყველაფრის მიზანი დავიწყებულის დამახსოვრება ან გახსენებაა, რა არის ეს? ეს ნიშნავს გავიხსენოთ ვინ ან რა ვართ სინამდვილეში. უოტსის დახასიათებით, ადამიანი თავდაპირველად მსახიობის ნიღაბია - იქნება ეს ჩვეულებრივი დრამატული სპექტაკლისთვის, თუ რიტუალური წარმოდგენისთვის. ბერძნულ-რომაულ სამყაროში ამ ნიღბებს, როგორც

---

<sup>53</sup> გავრცელებული აზრის თანახმად, person -ის ცნება უკავშირდება ნიღბის ცნებას. ბერძნები „ნიღაბს“ უწოდებდნენ „პროსოპონს“. თანამედროვე სიტყვა ხმარებაში პერსონას უწოდებენ: გონიერ არსებას, თვითცნობიერ ინდივიდს, მიზანდასახული და თავისუფალი მოქმედების უნარის მქონე ადამიანს, ვინც საკუთარი მოქმედებისათვის პასუხისმგებელია. ფილოსოფიის ისტორიაში გვხვდება პერსონის ცნების სხვადასხვაგვარი განმარტება. სიტყვა „პერსონა“ პირველად გამოიყენა ტერტულიანემ. მისი განმარტებით: „ღმერთი არის სუბსტანცია და სამ პიროვნება ერთად“. „პერსონა არის გონიერი ბუნების მქონე არსების განუყოფელი სუბსტანცია“ (ბოეციუსი). „პიროვნების შესახებ გაცილებით მეტს მასთან ერთი საათით თამაშისას გაიგებ, ვიდრე ერთი წლით საუბრისას“ (პლატონი). „პიროვნება ერთადერთი სინამდვილეა, რომელსაც შევიძენებთ და რომელსაც ერთდროულად შიგნიდან ვაშენებთ“ (მუნეი) (Грищанов, 2001: 224).

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, პერსონას უწოდებდნენ. ძველ ნიღბებს, რომლებსაც ბერძნულ-რომაული სცენისთვის ამზადებდნენ, მეგაფონის ფორმის პირსახოცები ჰქონდათ საკმაოდ ფართო პირებით. პერსონას მიენიჭა ნიღბის სახელი. უოტსის შენიშვნით, ამ სიტყვის გამოყენება ჯერ კიდევ შემორჩენილია, როდესაც უყურებ პიესის სათაურს და ხედავთ დრამატული პერსონების სიას, როგორცაა მაგალითად, „დრამის პიროვნებები“. თავდაპირველად ეს იყო იმ ნიღბების სია, რომელთა ტარებასაც აპირებდნენ მსახიობები და ამიტომ, არ არის უცნაური, რომ სიტყვა „ადამიანი“, რომელიც თავდაპირველად „ნიღაბს“ ნიშნავდა, ნიშნავდა იმას, რაღაც ჩვენ რეალურად და ჭეშმარიტად ვგრძნობთ თავს - განმარტავს უოტსი.

უოტსი ადამიანის მოცემულ მდგომარეობას ერთგვარ დაბნეულობას ადარებს და ცდილობს გაარკვიოს, რეალურ ცხოვრებაშიც ძალიან ხომ არ ვართ დამოკიდებული და მიდრეკილნი დავაფიქსიროთ საკუთარი თავი გარკვეული როლებით? ამ კითხვაზე პასუხისთვის უოტსი იხსენებს ერთ-ერთ ასეთ ილუსტრაციას: როდესაც მიდიხარ წვეულებაზე და ხედები უამრავ უცნობ ადამიანს, დიასახლისი გაგაცნობთ ერთმანეთს, ის ყოველთვის იძლევა მცირე მითითებას, რათა სხვა ადამიანმა შეძლოს თქვენი როლის იდენტიფიცირება. ის ამბობს: „ოჰ, მე მინდა, რომ მისტერ სმიტს შეხვდეთ. მისტერ სმიტი მხატვარია“. „მინდა, რომ მისტერ ჯონსს შეხვდეთ. მისტერ ჯონსი ბანკირია“. ასე რომ, მისტერ სმიტმა და მისტერ ჯონსმა იციან ვინ არიან ისინი. მაგრამ ის, რაც მათ იციან, არ არის ზუსტად ის, თუ ვინ არიან სინამდვილეში, მათ იციან რა როლებს ასრულებენ საზოგადოებაში და მათი როლების ცოდნით, მათ შეუძლიათ ერთმანეთთან საუბარი უპრობლემოდ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თქვენ გაქვთ საუბრის საწყისი წერტილი. ეს შეიძლება იყოს რაღაც ძალიან ტრივიალური, აღნიშნავს უოტსი, რადგან ამ როლის თამაშით თქვენ შეგიძლიათ მთლიანად დამალოთ საკუთარი თავი სხვა ადამიანებისგან.

ერთადერთი ადამიანები, აღნიშნავს უოტსი, რომლებსაც ნამდვილად არ სჭირდებათ ეს როლური გასაღებები ერთმანეთთან შესახვედრად, არიან ბავშვები. ბავშვს არ ეუხერხულება პირდაპირ გითხრას: „ოჰ, რა ლამაზი სახე გაქვს!“ ან, „სასაცილო ცხვირი ხომ არ

გაქვს?“ მას შეუძლია პირდაპირ საუბარში შემოვიდეს ისე, რომ არ შეხვდეს თქვენს პიროვნებას, თქვენს ნიღაბს და ამიტომ, რა თქმა უნდა, დიდი ფილოსოფოსები და ბრძენები ყოველთვის აღფრთოვანებულინი იყვნენ ბავშვებით და ამ მხრივ ცდილობდნენ მათ მიბაძვას.

უოტსის დაკვირვებით, ინდურ საზოგადოებაში ადამიანების როლები არის ის, როგორსაც ჩვენ ახლა ვიცნობთ, როგორც მათ კასტებს. ინდური საზოგადოება შეიცავს საინტერესო ჩვეულებას, საინტერესო ტრადიციას. ეს არის ის, რომ როდესაც ადამიანი დამკვიდრდება თავის ამპლუაში დაახლოებით მისი ცხოვრების შუა პერიოდში, ის გადასცემს თავის პროფესიას, თავისი ბიზნესის ან მაღაზიის მართვას ან რაც არ უნდა იყოს, თავის უფროს ვაჟს და ეუბნება: „ახლა შენ გააგრძელე“. ადამიანი, რომელიც თმობს თავის სამსახურს ან უარს ამბობს თავის როლზე, ხდება ის, რასაც ტყის ბინადარი ჰქვია. ის აქტიურ ცხოვრებას ტოვებს, იცვლის სახელს და თავის როლს თმობს. როგორც უოტსი აღნიშნავს, ამას ინდუისტურ ფილოსოფიაში ჰქვია განთავისუფლება, რომლის აღმნიშვნელი ტექნიკური ტერმინია „მოქშა“, რაც ნიშნავს „გახდი არავინ“. თქვენ უარს იტყვით თქვენს საიდენტიფიკაციო როლზე. თქვენ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიდიხართ, რომ იპოვოთ მთელი ცხოვრების დიდი კითხვა: ვინ ვარ ამ ნიღბების მიღმა, ამ ნაწილებს მიღმა, რომლებსაც მე ვთამაშობ ცხოვრებაში, ვინ ვარ მე სინამდვილეში? ახლა ხშირად ვსაუბრობთ საკუთარი თავის პოვნაზე. ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ იმაზე, რომ ვიპოვოთ საკუთარი თავი სამუშაოსთან მიმართებაში: ვაკეთებ თუ არა იმ საქმეს, რომლისთვისაც ნამდვილად ვარ შესაფერისი? ვარ თუ არა დაქორწინებული იმ ადამიანზე, რომელიც ნამდვილად მაწყობს? ვცხოვრობ სამყაროს იმ ნაწილში, რომელიც ნამდვილად უხდება ჩემს ბუნებას?

მაგრამ ეს თავისთავად ბადებს კითხვას - რა არის ადამიანის ფუნდამენტური ბუნება? და თუ ამ კითხვას ყურადღებით დააკვირდებით, აღნიშნავს უოტსი, მაშინ თქვენ იწყებთ ნიღბების ან ტყავის მოცილებას, იყურებით უფრო და უფრო ღრმად, სანამ არ მიაღწევთ საბოლოო თავსატეხს: რა არის ამ ყველაფრის უკან, რაც არის ჩემი ცნობიერების საფუძველი? მართლა რა ვარ? უოტსი ფიქ-

რობს, რომ ინდუისტურ ფილოსოფიაში ამ კითხვაზე პასუხი ყოველთვის არის: მსოფლიოს მრავალი ნიღბის მიღმა - იქნება ეს ადამიანების ნიღბები, ცხოველების ნიღბები, მცენარეები, ვარსკვლავები თუ მთები - არის ერთი **მსახიობი**, სამყაროს უზენაესი მე, რომელსაც **ბრაჰმანი** ჰქვია. ბრაჰმანი (პიროვნული ფორმით ბრაჰმა) არის სახელი, რომელიც ამგვარად ენიჭება ერთ მსახიობს, რომელიც ასრულებს ყველა სხვადასხვა პერსონას, ან ნაწილს. ადამიანში ყველაზე ღრმა „მე“-ს, ჰქვია ატმანი<sup>54</sup>. ინდური ფილოსოფიის დიდი ფორმულაა: **ატმანი ბრაჰმანია**. ის, რაც შენ ხარ, ფუნდამენტურად არის ბრაჰმანი. თქვენ აღარ ხართ მხოლოდ ფრაგმენტული ინდივიდი. ამრიგად, თუ დავუბრუნდებით უოტსის მიერ დასმულ კითხვას, რა არის ადამიანის ფუნდამენტური ბუნება? ინდური იდეის მიხედვით - ეს ბრაჰმანია.

ყოველივე ამის გაცნობიერების შემდეგ, უოტსი გვიხსნის მოცემული მდგომარეობის არსს და აღნიშნავს: ეს არ ნიშნავს იმას, რომ შენ სცილდები ადამიანურ ემოციებს, რომ აღარ გეშინია, აღარ ხარ სევდიანი, აღარ გიყვარდეს სხვა ადამიანები, რადგან ხედავ, რომ ეს ყველაფერი ერთია და ამიტომ არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. ეს ასე არ არის. აქ უოტსი იშველიებს ბუდიზმს და აღნიშნავს: „ბუდიზმში ამბობენ, რომ ჩვენი მიზანია არა ქვის ბუდას გაკეთება, არამედ ცოცხალი ბუდა. ქვის ბუდა არის სიმბოლო იმისა, რასაც შეიძლება ვუწოდოთ ულტრა სტოიკოსი: ადამიანი, რომელიც ისე თრგუნავს თავის შიშებსა და ემოციებს, რომ აღარაფერი დარჩა. ეს არ ნიშნავს ამას. ეს იმას ნიშნავს, რომ აღარ გეშინია შიშის, აღარ გეშინია მწუხარების, ტკივილის, შეგრძნების. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თქვენ აღარ გეშინიათ ცხოვრებაში სრული ხალისით შესვლის“. ამით უოტსი გვეუბნება, რომ ინდური იდეის მიხედვით, ჩვენ ადამიანები ამ ცხოვრებაში არ ვართ მარტო (არ გულისხმობს ერთეულ ინდივიდს), რომ ჩვენი ყველა ემოციის უკან დგას მფარველი. ამ აზრის დასადასტურებლად უოტსის მოჰყავს ჩინელი ბუდისტი ოსტატის

---

<sup>54</sup> სანსკრიტული ტერმინი „ატმანი“, რომელიც სწორად ითარგმნება როგორც თვით, ნიშნავს იმას, რაც არ უნდა იყოს ცალკეული ადამიანის არსი (მანუსია) ან ფსიქოფიზიკური კომპლექსი (პუდგალა), რომელიც მოიცავს გონებას, სხეულს და გრძნობის ორგანოებს.

მაგალითი, რომელსაც მისმა ერთ-ერთმა მოწაფემ დაუსვა კითხვა: „რა არის ტაო?“ ტაო ნიშნავს „ბუნების გზას“ ერთი გაგებით. მას თითქმის იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ბრაჰმანს. ეს არის ერთი და იგივე რეალობა, რომელიც საფუძვლად უდევს მთელ სამყაროს. ასევე, ტაო ნიშნავს „ცხოვრების წესს“, „ქცევის გზას“. ამიტომ ორივე მნიშვნელობა ჩართული იყო მის კითხვაში. რა არის საბოლოო რეალობა? რა არის ქცევის გზა, რომლითაც ადამიანი შეესაბამება მას? და მასწავლებელმა მას ორი სიტყვით უპასუხა: „იარე“. უოტსი ამ მდგომარეობას ადარებს პოლიციელს, როდესაც ის ქუჩაში ხალხში გამოდის და ამბობს: „განაგრძე მოძრაობა, განაგრძე მოძრაობა!“ მისი აზრით, ყოველივე ამის შემდეგ, ამ გაგებით მოძრაობის შენარჩუნება ნიშნავს სიცოცხლის შენარჩუნებას და არა მის დაბლოკვას (უოტსი, 2016: 75).

უოტსს მოჰყავს კიდევ ერთი საინტერესო ილუსტრაცია - ბურთის მოძრაობა ნაკადულზე. წარმოიდგინეთ პინგ-პონგის ბურთი წყალზე: ბურთი აგრძელებს ცეკვას, ცეკვას, ცეკვას და ის არასოდეს არ არის დაჭაობებული. ის არასოდეს წყვეტს მოძრაობას. ის ყოველთვის მყისიერად რეაგირებს წყლის მოძრაობაზე. უოტსი იხსენებს ანდაზას: „ვინც ყოყმანობს, დაკარგულია“. ყოყმანში ბუდისტური აზროვნება გულისხმობს მიჯაჭვულობას ცუდი გაგებით, სამყაროსადმი ბოროტი მიჯაჭვულობის გაგებით. ეს არ ნიშნავს სიყვარულს. ეს არ ნიშნავს სიხარულს. ეს ნიშნავს სიყვარულის ბლოკირებას, მწუხარებას, შიშის დაბლოკვას. ეს ის მიჯაჭვულობაა, საიდანაც ბრძენი აპირებს განთავისუფლებას (უოტსი, 2016: 98).

უოტსის შეხედულებებში ნათლად იკვეთება იმის გაგება, თუ როგორი იქნებოდა მთელი სამყაროს ერთიანობად განცდა და საკუთარი თავი, როგორც ამ ერთობაში ჩართული. მას ამ იდეის წარმოსახვაში დაეხმარა ინდუისტური შეხედულება სამყაროზე, რომელიც დრამატულია და სამყაროს უყურებს, როგორც სპექტაკლს, განსხვავებით დასავლური ხედვისაგან, რომელიც სამყაროს უყურებს, როგორც კონსტრუქციას. ინდუისტური შეხედულების მიხედვით, **ბრაჰმანი, მე**, თავის თავთან დამალვას თამაშობს. ასე რომ, აქ თითოეული ჩვენგანი - ინდუისტების აზრით - ღვთაებაა, რომელიც განზრახ იკარგება „გასართობად“. უოტსის დასკვნით, ეს არის ძირით-

ადი იდეა, რომელიც ერთდროულად სიმარტივისა და ელეგანტურობის მატარებელია.

პიროვნებისადმი ძველი ინდური პრინციპებისადმი თანამედროვე შეხედულებების გათვალისწინებით სავარაუდოდ იკვეთება, რომ უოტსი მიმართავს პიროვნების ჰოლისტიკური, ტრანსფორმაციისა და სულიერების ჩართვის გაგებას. ამასთან, უოტსის კვლევებში კარგად ჩანს აგრეთვე იმ იდეის მიგნება, იმ უპირველესი საზრუნავის პოვნა, რომელიც ძველ ინდოეთში ფილოსოფოსთა უმეტესობაში აღძრავდა ინტერესს, ეპოვათ საუკეთესო გზა, რომელიც ცალკეულ ადამიანებს დაეხმარებოდა ტანჯვისგან განთავისუფლებაში ან სულ მცირე უკეთესი ცხოვრების მიღწევაში ამ და მომავალ ცხოვრებაში.

უოტსის შეხედულებას პიროვნების ინდური გაგების თვალსაზრისით ამყარებს და მსგავსს დასკვნებს აკეთებს XX საუკუნის ჩეხი ინდოლოგი, რელიგიის ფილოსოფიის მკვლევარი კარელ ვერნერი. კარელ ვერნერის დაკვირვებით, ადამიანის პიროვნების ზოგიერთი მახასიათებელი, როგორცაა მისი სირთულე, უწყვეტობა და პიროვნული იდენტობის განცდა ადამიანის ცხოვრების ცვალებად ფაზაში ბავშვობიდან სიბერემდე, ადამიანს მუდმივი გამოწვევის წინაშე აყენებს, რასაც ფილოსოფოსები და ფსიქოლოგები ვერ უგულვებლყოფენ, მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი კონსენსუსი მიღწეულია. ადამიანის პიროვნების ბუნება ჯერ კიდევ გაუგებარია. თუმცა ერთი რამ, აცხადებს ვერნერი, როგორც ჩანს აღიარებულია, კერძოდ ის, რომ პიროვნება არის რთული სტრუქტურა, იგი სხვადასხვა დინამიკური ფუნქციების მატარებელია (4. Verner, 1996).

კარელ ვერნერი საუბრობს ბრაჰმანის მნიშვნელობაზე და აღნიშნავს, რომ ბრაჰმანის უშუალო შეცნობა ადამიანს უკვდავს ხდის. ბრაჰმანის შეცნობა და უკვდავება შეიძლება გავიგოთ, როგორც შეგნებულად არსებობა (როგორც სრულყოფილ პიროვნებად) ბრაჰმანთან შერწყმის გარეშე. მას მოჰყავს მაგალითი: ბრძენ იაჯნავალკიას ეკითხებიან საჯარო განხილვისას, რა რჩება, როდესაც ადამიანი კვდება. მისი პასუხია: „სახელი, რადგან სახელი უსასრულოა, უსასრულო ყველა ღმერთია“. „სახელი“ აღნიშნავს ამ უნივერსალური ღვთაებრივი შემადგენლობის სტრუქტურულ კონფიგურაციას, რომ-



ლებიც ქმნიან პიროვნების ინდივიდუალურ ხასიათს და ის შეესაბამება ვედური ტანუს ფართო მნიშვნელობას. კვლევაში კარელ ვერნერი ასკვნის, რომ ყველაფრის მხარდამჭერი ძალა, რაც არსებობს ფენომენალურ დონეზე და, შესაბამისად, პიროვნებისაც არის ბრაჰმანი. ეს ასე დადგინდა სამყაროს ღვთაებრივი არსის და წყაროს ძიების პროცესში და გაიგივდა ატმანთან, რომელიც თავის მხრივ მოიძებნა ზოგადად ცხოვრებისა და ცალკეული არსებების არსის ძიების პროცესში. მისი აზრით, არსების ან პიროვნების ცნება არის ხიდი განთავისუფლების სტატუსის გასაგებად.

ფილოსოფიისა და რელიგიური აზროვნების ისტორიიდან გამომდინარე, ინდური ტრადიცია თავისი განვითარების ადრეულ ეტაპზე აცნობიერებდა იმ ფაქტს, რომ ადამიანის პიროვნება, თანამედროვე ტერმინებით გამოიხატება. კარელ ვერნერი ხედავს ერთგვარ მსგავსებას პიროვნების ინდურ გაგებასა და ექსისტენციალიზმს შორის იმ მითითებით, რომ არსებობა წინ უსწრებს არსებას.

აღან უოტსისა და კარელ ვერნერის კვლევებიდან იკვეთება, რომ პერსონალისტური ფილოსოფიის საფუძვლის პოვნა შესაძლებელია აღმოსავლური აზროვნების წარმოშობისა და განვითარების საწყისი ეტაპიდანვე. მათი თქმით, აღმოსავლელი მოაზროვნეები მართალია არ გამორიცხავენ და არ უარყოფენ ადამიანის, პიროვნებისა და ინდივიდის ერთიანობას, მაგრამ ამ ერთიანობის მიზეზსა და საფუძველს ხედავენ მხოლოდ და მხოლოდ „ბრაჰმანში“, ადამიანს აღიქვამენ სამყაროს მთლიანობის ნაწილად და არა თავისთავად არსებულ არსებას.

ზემოთქმულის შეჯამებით უნდა ითქვას, რომ ადამიანის თვითშემეცნებისა და თვითგანხორციელების გზების ძიება ფილოსოფიური აზროვნების ერთგვარი ბირთვია. ყოველი ეპოქა თავისებურად სვამდა და ხან ოპტიმისტურად, ხან კი პესიმისტურად წყვეტდა პიროვნების თვითრეალიზაციის, მისი ცხოვრების საზრისის საკითხს. იგი დღევანდელი საკითხის აქტუალური საკითხია, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ თანამედროვე ადამიანს გაუძნელდა თავისი მდგომარეობის გაგება, საკუთარი ადგილის განსაზღვრა და ცხოვრების შინაარსიანად წარმართვა. ტრადიციული ფილოსოფია ადამიანს და შესაბამისად პიროვნებას განიხილავდა ტრანსცენდენტურთან, მეტაფი-

ზიკურ ღირებულებებთან მიმართებაში და ამავე ჭრილში განიხილებოდა მისი მიმართება და დამოკიდებულება ექსისტენციურ (სიკვდილ-სიცოცხლის, მარტოობის, თავისუფლების და სხვ.) საკითხებთან მიმართებაში. თანამედროვე ადამიანი გარდამავალია ტრადიციულ ღირებულებათა გაუფასურებასა და ახალ ღირებულებას დაფუძნებას შორის. ტრანსცენდენტურისგან განთავისუფლებული ეძებს თავისი არსობრივი შესაძლებლობებისა და პიროვნებამდე ამაღლების გზებს. ალან უოტსისა და კარელ ვერნერის კვლები სწორედ ამ რთული მდგომარეობიდან გამოსვლის გზებს გვთავაზობს მათთვის, ვისთვისაც ყურადსაღებია აღმოსავლური სწავლების გზით პიროვნების ყოფიერების წესის გაუმჯობესება.

### **დასკვნა**

ინდური მიდგომა პიროვნებისადმი არის უძველესი სიბრძნის საგანძური, რომელიც გთავაზობს უნიკალურ პერსპექტივას პიროვნების განვითარებასა და თვითრეალიზაციაზე. მისი აქტუალობა თანამედროვე დროში მოწმობს მის მუდმივ შეხედულებებსა და პრაქტიკულ გამოყენებას მათთვის, ვინც ცდილობს გააუმჯობესოს თავისი პიროვნება და იცხოვროს უფრო დაბალანსებულად და კოორდინირებულად. აღმოსავლურ სწავლებებში არსებობს სხვადასხვა მეთოდები, მათ შორის ინდურ სწავლებაში იოგა, რომლის გამოყენებით ადამიანს შეუძლია შეცვალოს თავისი პიროვნება ცხოვრების ნებისმიერ მომენტში. ჩინეთში ზენის სწავლების მეთოდი, რომელიც შთააგონებს ადამიანს, რომ ჩვენ არ შეგძლიათ მთელი ცხოვრებისეული სიტუაციის გაკონტროლება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ არ შეგძლიათ საკუთარი თავის ფლობა ფუნდამენტურად. ამიტომ, ამ და მსგავსი მოძღვრებების მიხედვით, ადამიანს თავისთავად უჩნდება ლტოლვა მიღმისეული სამყაროს შეცნობისა, პლატონის სიტყვებით „იდეების სამყაროს“, კანტის სიტყვებით „ნოუმენების სამყაროს“. თუ ადამიანი მიეცემა აწმყოთი თვითკმაყოფილებას და თავს მიანებებს შეუცნობელის შეცნობის სურვილს, მაშინ ადამიანთა სამყარო დაემსგავსება ერთგვარ უდაბნოს, სიცოცხლე კი უნაყოფო არარაობას.

## გამოყენებული ლიტერატურა:

- ჯორჯაძე, არჩილ. (1989). *წერილები*. გამომცემლობა: „მერანი“. თბილისი.
- უოტსი, ალან. (2016). „აღმოსავლური სიბრძნე და თანამედროვეობა“. თარგმანი ლევან თურმანაულის. გამომცემლობა „დიოგენე“. თბილისი.
- Alan, Watts. (1959). *Recollection. Eastern wisdom and modern live*. (Episode 7). Text sourced from <https://www.organism.Earth /library/document/eastern-wisdom-7>. მოძიებულია: 12.01.2024.
- Karel, Werner. (1996). *Indian conceptions of human personality. Text sourced from*. <https://www.academia.edu/19561855/Indianconceptions-of-humanpersonality>. მოძიებულია:15.12.2023.
- Concept of personality: Indian perspective*. <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC3830173/>. მოძიებულია: 13.11.2023.
- Stanford Encyclopedia of Philosophy: Personhood in Classical Indian Philosophy* First published Mon Jan 3, 2022 ობ. <https://plato.stanford.edu/entries/personhood-india/> მოძიებულია:14.11.2023.
- Грицанов, А. А. (2001). *Всемирная философская энциклопедия*. Москва.



**Indian Conceptions of Human Personality  
(Alan Watts; Karel Werner)**

**Vardo Beridze**

Doctor of Philosophy.

Associated Professor at Philosophy Department of  
Batumi Sota Rustaveli State University,  
Georgia, 6010. Batumi, 32/35 Ninoshvili Str.  
+995577145426. vardo.beridze@bsu.edu.ge

<https://orcid.org/0009-0002-1095-3342>

DOI: <https://doi.org/10.61671/hos.7.2024.7831>

**Abstract**

The interest directed to a person and human being is as old as the history of humankind. The scale of conceptual meaning of a person, its comprehension and study is global. The issues associated with the concept of a person and its structure are studied and discussed by various sciences. They are studied by philosophy, psychology, history, social and political sciences.

Philosophical ideas concerning human beings formed and developed in ancient India and China. Philosophical contemplation of the human being was oriented on investigating the human being's internal nature, the degree of one's freedom, and perfecting the aim and meaning of life, focusing on the primary unity of the macro and micro cosmos, nature and the human.

Attitude to these issues formed in India is characterised by a special perspective which essentially differs from the Western philosophical traditions.

Allan Watts, a XX-century British writer and philosopher who is known as an interpreter of Eastern wisdom thinks that the habits and traditions common to Indian society are rather interesting. In the

book „Eastern Wisdom and Modern Life“ he discusses the human personality as a social or dramatic mask accepted in everyday life and attempts to thus demonstrate the specificity of Indian attitude to the human personality.

As an orientalist and researcher of the philosophy of religion, Karel Werner observes and concludes, that the nature of a human being is still obscure. He thinks that a reasonable definition of the human personality simply states that it has a complex structure and complex dynamic functions.

In sum, the research carried out by both of these scientists concluded that the force supporting everything that exists at the phenomenal level and a human person among them is „Brahman“. According to Brahman a human being himself/herself determines and chooses the way and means for his/her perfection and survival. A human being cannot change the world, he/she can change only oneself.

**Keywords:** civilization of India; person; mask; Brahman; Atman; Alan Watts; Karel Werner.

## **Introduction**

According to the thinking of Indians, it is necessary to analyse several fundamental conceptions, in particular, the ideas concerning the things that form a human being's character, behaviour and the method of self-realization. The theory of a human person is deeply rooted in ancient Indian texts and traditions. It unites philosophical, spiritual and psychological elements, ensures holistic comprehension of human character, and considers a person as a dynamic and developing aspect of an individual's life. According to contemporary philosophical thinking, the Indian tradition fully realizes the difficulties of the problem of understanding the human person and presents the theories of the person which stress the necessity of developing a personalistic philosophy. The article does not claim to have discussed the research topic from various aspects since the problem has a rich history of investigation.

## Method

While analysing the views of twentieth-century British philosopher Alan Watts and a Czech orientalist, and researcher of the philosophy of religion Karel Werner concerning a personalistic understanding of human nature analytical and synthetic methods as well as a comparativistic method were used to study the primary sources and corresponding texts.

## Results

Using analytical, synthetic and comparative methods to study the primary texts created by Alan Watts and Karel Werner, the avowed experts of the oriental philosophy, whose ideas are based on the books of ancient authors, it became evident that the Eastern wisdom contains such ancient and influential attitudes that are still in force in their civilization. The unique attitudes of Indian philosophy are actual at present.

## Discussion

Indian civilization is one of the most ancient civilizations. „If we know anything about this civilization, we do not receive this knowledge from historical sources (historiography did not exist then) but in main from the religious books of unknown authors, created in the ancient epoch“ (Jorjadze, 1989: 586).

It should be noted that metaphysical debates concerning individuals, the nature of the world and our place in it are among the most important issues in classical Indian philosophical tradition. These debates are focussed on the essence of person, I (Atman) or the substance of spirit. The term „person“ is not used in Indian philosophical and psychological thinking in the strict sense of the term; instead, the concept „Svabahaava“ used in the holy books implies all aspects of a perso<sup>55</sup> (5. <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC3830173/>).

---

<sup>55</sup> Svabhaava: the seesnce of oneself: the conception of Svabahaava unites the core of a person. It contains the influences of Purushottama (the supreme truth), I (consciousness and “I” which developed during the human being’s life) and Jiva (immortal soul with the memory of the past and future lives). Understanding Svabhaava is the first step in the development of a person. For the Svabhaava conception see <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC3830173/>.

In classic Indian schools of philosophy, it is more difficult to find an equivalent term for a person. In the Buddhist philosophy the concept „Pudgala“ which signifies a psycho-physical complex is translated as a person. There are several terms in Sanskrit, e. g. „Jiva-atma“, „Purusha“, and „Manusia“ which are often used to denote a person, though they have a wider meaning and cannot be used in attitude to persons in their immediate meanings. The concept of a person was the central concept in the classic Indian philosophy (6. Stanford Encyclopedia of Philosophy, 2022).

Considering the contemporary opinions, the Indian attitude toward a person implies the following elements: holistic comprehension, spirituality, the transformation of a person, participation of Ayurveda, the ancient wisdom for contemporary life, and cultural and individual variation.<sup>56</sup>

The work is an attempt to analyse the views of the researchers of Indian philosophy Alan Watts<sup>57</sup> and Karel Werner<sup>58</sup> on the idea of a person taking into account the Indian perspective.

Alan Watts in the series of lectures „Recollection“ in his „Eastern Wisdom and Modern Life“ focuses on the idea of Eastern India, namely, on the idea that we have forgotten who or what we are in reality and are trying to restore our self via identifying ourself with an individual person. Watts considers a person or „persona“ as a social or dramatic mask accepted in everyday life. Interestingly, Plato was the first to

---

<sup>56</sup> **Holistic attitude:** unites physical, psychological, and spiritual dimensions. This attitude can help the individuals to more perfectly understand their selves. **Spirituality:** in difference to many western attitudes which are in main focussed on psychological aspects, Indian attitude stresses spirituality. It acknowledges impact of the human being's spiritual travelling on one's personality and behaviour. **Transformation of person:** according to this attitude, individuals can transform their personality by means of intentional efforts, spiritual practice and self-cognition. **Participation of Ayurveda:** such teachings of Indian attitude as Ioga, meditation and Ayurveda are rather actual in the present day accelerated world. They provide tools to improve person's well-being. **Cultural and individual variation:** this attitude recognises that persons can vary according to their culture and individual experience. It respects the variety of experience and expression of the human beings.

<sup>57</sup> Alan Watts, a XX-century British writer and philosopher is known in the Western thinking tradition as an interpreter of Eastern wisdom.

<sup>58</sup> Karel Werner (1925-2019) Indologist, Orientalist, researcher of philosophy of religion.

associate the notion of a theatrical mask with life.<sup>59</sup> Watts speaks about the self-cognition of a human being in general. He thinks that though „our self is the closest to us, it is still difficult to see. We sometimes forget ourselves“ (3. Watts, 1959). He tells us an old tale about an Indian king who wakes up one morning and turns towards the mirror to look at himself. As Watts says one side of old bronze mirrors was polished while the other side was not. In the morning the king took the mirror and looked into it with tired eyes, but he looked into the unpolished side of the mirror and said: „Where is my head? I have lost it!“ He called all his servants and began to run around the house looking for his head. When the servants came, they told him: „But, your Highness, long live to you, your head is on your shoulds as it used to. You are looking into the wrong side of the mirror“. Watts thinks that this story is an illustration of the greatest topic of Indian philosophy: recalling or remembering what humankind seems to have forgotten. When it is said in Indian philosophy that everything aims to remember or recall the forgotten, what does it mean? It means recalling who or what we are in reality. As Watts says, at the beginning, a human being is an actor's mask – whether it be an ordinary dramatic performance or a ritual. These masks, as we have already said, were called personas in the Greek-Roman world. Ancient masks that were made for a Grek-Roman stage looked like megaphones and were made of linen. A person was given the name of mask. As Watts says, this word is still used when in the title of a play we see a list of dramatic persons, e.g. „drama personas“. In the beginning, it was a list of those masks which were to be used by the actors and therefore it is not strange that the

---

<sup>59</sup> As it is accepted, the concept of „person“ is linked to the concept of a mask. Greeks called a mask „prosopon“. Nowadays persona is used to denote a reasonable being, self-conscious individual, and perposeful human, who can act freely and is responsible for his/her acts. There are various definitions of the concept of person in history of philosophy. Tertulian was the first to use the word „persona“. As he explained, „God is substance and three persons together“. „Persona is an indivisible substance of a reasonable being“ (Boetius). „You will learn more about a person if you play with him for an hour, than if you talk to him for a hole year“(Plato). „Person is the only reality which we comprehend and which we build form within“ (Mounier) (Грицанов, 2001: 224).



word „human“ which originally meant „mask“ signified that which we really and truly feel to be, explained Watts.

Watts compares a given state of a human being to a certain state of confusion and tries to clarify whether in real life we depend upon and are inclined to fix ourselves through certain roles. Answering this question Watts recalls such an example: when you go to a party and meet numerous strangers there, the hostess introduces you to them and always gives certain hints so that the other person can identify your role. She says: „Oh, I would like you to meet Mr. Smith. Mr. Smith is an artist“, „Meet Mr. Jones, please. Mr. Jones is a banker“. Thus, Mr. Smith and Mr. Jones know who they are. But the thing they know is not precisely what they are in reality, they know what roles they perform in society and because of the knowledge of their roles, they can talk without problems. In other words, you have a starting point for a conversation. It can be something rather trivial, says Watts, because by performing this role you can hide yourself from other humans.

The only exception from this are children who do not need such role keys to communicate, says Watts. A child does not hesitate to tell you „Oh, what a pretty face you have!“ or „Isn't your nose funny?“ A child can enter the conversation without meeting your personality, your mask and therefore, great philosophers and sages always admired children and tried to imitate them in this respect.

As Watts observes, the roles which human beings have in Indian society are castes as we know it now. There is an interesting habit, an interesting tradition in Indian society. This habit or tradition implies, that when a human being settles down in his/her role type at about the middle period of life, he/she passes his/her profession, business, shop management etc on to his/her eldest son and tells him: „Now you continue it“. A human being who gives up his/her job, or rejects his/her role becomes the being that is called „a forest dweller“. He/she surrenders active life, changes his/her name, and refuses his/her role. As Watts shows, in Indian tradition it is called liberation and is denoted by the term „moksha“ which means „become nobody“.

You give up your identifying role. In other words, you leave to find the big question of the whole life: who am I beyond these masks, beyond the roles performed in my life, who am I in reality? We often speak about finding our selves when we discuss our work: am I doing the job I am relevant to? Am I married to the right person? Do I live in the part of the world that suits my nature? Though these questions naturally give rise to the following one: what is the fundamental nature of human beings? And, as Watts says, if you more carefully consider this question, you will begin to get rid of masks or skins and look deeper until you reach the final enigma: what is there beyond all these that is the foundation of my consciousness? What am I in reality? Watts thinks that Induist philosophy always has an answer to this question: beyond plenty of world masks – be they human masks, animal masks, plants, stars or mountains – there is one actor, the supreme I of the world, who is called Brahman. Brahman (Brahma in a personal form) is a name which is given to one actor, who performs all other persons. The deepest „I“ in human beings is called Atman.<sup>60</sup> A great formula of Indian philosophy is the following: Atman is Brahman. What you are, fundamentally is Brahman. You are no longer only a fragmentary individual. So, to go back to Watts's question: what is a human being's fundamental nature? According to the Indian idea, it is Brahman.

Having comprehended everything, Watts explains the essence of the given situation and says that it does not mean that you part with human emotions, that you are not afraid any more, are not sad, do not have to love other people because you see that everything is one and therefore it does not matter. It is not so. Watts resorts to Buddhism and says: „Buddism says that our aim is not to make a stone Budda but a live Budda. A stone budda is a symbol of an ultra stoic human being who suppresses his/her fears and emotions so that nothing is left. But it is not what is implied here. It is implied that you are no more afraid of

---

<sup>60</sup> A Sanskrit term „Atman“ which is translated as self, signifies what the essence (Manusia) or psychophysical complex (Pudgala) which embraces mind, body and sense organs of an individual human being should not be.

fear, are no more afraid of grief, pain, or feeling. In other words, you are not afraid to enter life full of joy“. Watts says that according to the Indian idea, we, human beings are not alone in this life (he does not mean a single individual), that behind all our emotions there is a guardian. To prove this idea Watts gives an example of a Chinese Buddhist master, whom one of his apprentices asked „What is Tao?“. „Tao“ in one sense means „a road of nature“. It has almost the same meaning as Brahman. They are the same reality which is the basis of the whole world. „Tao“ also means „the way of life“, or „the mode of behaviour“. Therefore both meanings were implied in his question. What is the ultimate reality? What is the mode of behaviour through which a human being corresponds to it? The teacher answered him shortly: „Just walk“. Watts compares this situation to a policeman who in the street full of people says „Walk along, walk along!“ He thinks that considering everything, walking means retaining life and not blocking it (Watts, 2016:75).

Watts offers one more interesting illustration – the moving of a ball in a stream. Just imagine a table tennis ball in the water: the ball continues dancing, dancing, dancing and it never becomes boggy. It never ceases movement. The ball always instantly reacts to the water movement. Watts recalls a proverb „He who hesitates, is lost“. Buddhist thinking means attachment in the negative sense of the word; an evil attachment to the world. It does not mean love. It does not mean joy. It means blocking love, blocking of grief, and fear. It is the attachment from which a wise man tries to get free (Watts, 2016: 98).

It is clear from Watts' ideas what comprehension of the unity of the world and one's self as involved in this unity would be like. He builds this picture using an Induist dramatic idea of the world and sees the world as a performance in difference to the Western vision which sees the world as a construction. According to the Induist vision, Brahman, and I are hiding from each other. Therefore, according to the Induist position, everyone here is a deity, which intentionally hides to „entertain“. As Watts concludes, it is the main idea which is characterized by simplicity and elegance at the same time.

Applying modern ideas to the ancient Indian principles in considering the problem of a person, it becomes evident that Watts exploits a holistic approach to the problem and engages the attitudes of transformation and spirituality. Watts clearly shows in his works that the main concern of the ancient Indian philosophers was to find the road to helping individuals to set free from sufferings or, at least, to better their present or future lives.

A XX-century Czech Indologist and the expert on philosophy of religion Karel Werner draws similar conclusions and thus strengthens Watts' position. According to Karel Werner, some characteristics of the personality of a human being such as its complexity, continuity and feeling of personal identity accompany a human's life from childhood till old age and constantly challenge him/her that cannot be ignored by philosophers and psychologists. The nature of a human's personality is still not quite clear though as Werner states one thing is evident, namely the fact that a person is a complex structure and carries various dynamic functions (4. Werner, 1996).

Karel Werner discusses the meaning of Brahman and says that immediate comprehension of Brahman makes a human being immortal. Comprehension of Brahman and immortality can be understood as reasonable existence (as a perfect person) without merging with Brahman. He gives such an example: Sage Ianjnavalkia was asked during a public discussion, what is left after a human dies. His answer is the following: „Name, as a name is endless, the endless are all Gods“. „Name“ signifies the structural configuration of this universal divine constituents which make an individual character of a person and corresponds to a wide meaning of Tanu in Vedas. Karel Werner concludes that the force that supports everything existing on the phenomenal level including a person is Brahman. It was stated in the process of looking for the divine essence and source of the world and was identified with Atman which, in its turn was found in the process of looking for the essence of life in general and of individual beings. He thinks that the concept of being or persona is a bridge to understanding the status of liberation.

Karel Werner observes that there is a certain similarity between Indian and Existential understanding of personality, namely, concerning the idea that existence precedes essence.

Based on an in-detail study of Alan Watts' and Karel Werner's works it becomes evident that the foundations of personalistic philosophy can be found at the early stages of the origin and development of Eastern thinking. They show that though the Eastern thinkers do not exclude or reject the unity of a human being, person and individual, they see the cause and reason of this unity only in „Brahman“, and comprehend human beings as a part of the world unity and not as an independently existing being.

Summing up all the above stated, it should be said that the search for ways of human self-cognition and self-realization is a certain core of philosophical thinking. Every epoch posed the problems of a person's self-realization, and the essence of life in its way and gave optimistic or pessimistic answers to them. These issues are actual at present and it means that present-day humans find it difficult to understand their conditions, determine their place and lead meaningful lives. Traditional philosophy considered humans and, correspondingly, personas against the background of transcendental and metaphysical values; the same can be said about the attitude to existential issues (life and death, solitude, freedom, etc.) The present-day human being is a transitory stage between the devaluation of traditional values and the establishment of new ones. A human freed from the transcendental is looking for his/her essential abilities and the road to reach personality. Researches carried out by Alan Watts and Karel Werner offer the ways out of such difficult situations to those who seek methods of improving the being of persona via Eastern doctrines.

### **Conclusion**

Indian attitude toward a person is a treasury of ancient wisdom which offers a unique perspective of developing and realizing a person. Its actuality is proved by those who share the ideas given in it and practice them trying to improve their personality and lead more

balanced and coordinated lives. Eastern teaching contains various methods, among them Yoga in Indian theory, using which humans can change their personalities at any stage of their lives. In China, we have the teaching of Zen which instructs that it is impossible to control the whole life or that it is impossible to fundamentally master one's self. That's why according to these and similar doctrines, humans develop a striving to understand the other world – the world of ideas, as Plato said, or the world of „noumena“ according to Kant. If a human is fully satisfied with the present and gives up any attempts to grasp the unknown, then the human world will resemble a desert and life will become fruitless nothingness.

### **Bibliography:**

- Jorjadze, Archil. (1989). *Letters*. Publishers: „Merani“. Tbilisi (in Georgian).
- Watts, Alan. (2016). „*Eastern Wisdom and Modern Life*“. Translated by Levan Turmanauli. Publishers: „Diogene“. Tbilisi. (in Georgian).
- Alan, Watts. (1959). *Recollection. Eastern wisdom and modern life.* (Episode 7). Text sourced from <https://www.organism.Earth/library/document/eastern-wisdom-7>). retrieved: 12.01.2024.
- Karel, Werner. (1996). *Indian conceptions of human personality*. Text sourced from [https://www.academia.edu/19561855/Indian-conceptions-of-human\\_personality](https://www.academia.edu/19561855/Indian-conceptions-of-human_personality). Retrieved: 15. 12.2023.
- Concept of personality: Indian perspective. <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC3830173/>. retrieved: 13.11.2023.
- Stanford Encyclopedia of Philosophy: *Personhood in Classical Indian Philosophy* First published Mon Jan 3, 2022 ob. <https://plato.stanford.edu/entries/personhood-india/> retrieved: 14.11.2023.
- Gricanov, A.A. (2001). *The World Encyclopedia of Philosophy*. Moscow.



თარგმანი  
TRANSLATION

---

---

საბაჰათინ ალი (1907-1948) - „ვილონჩელო“

ნატო ხარშილაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, 0179, თბილისი,  
ილია ჭავჭავაძის გამზირი №1,  
+995551424252, nkharshiladze@cu.edu.ge  
<https://orcid.org/0000-0001-8366-8820>  
DOI:<https://doi.org/10.61671/hos.7.2024.7832>

აბსტრაქტი

მე-20 საუკუნის გამოჩენილი თურქი მწერალი საბაჰათინ ალი 1907 წელს თურქეთში დაიბადა. მამა, რომელიც ადრე გარდაეცვალა, ოფიცერი იყო. ოჯახს საცხოვრებელის შეცვლა ხშირად უწევდა. მწერალმა კარგი განათლება ჯერ სტამბოლში მიიღო. იქ დაამთავრა პედაგიური სასწავლებელი და ქალაქ ოზგატში მასწავ

1928-1930 წლებში საბაჰათინ ალი ბერლინის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა, სადაც ეროვნულ ნიადაგზე ნაცისტ სტუდენტთან ჩხუბი მოუხდა. მწერალი იძულებული გახდა უნივერსიტეტი დაეტოვებინა და სამშობლოს დაბრუნებოდა. ქალაქ აიდინში, კონიასა და ანკარის სკოლებში გერმანულ ენას ასწავლიდა. არაერთხელ იყო გასამართლებული თურქეთის მთავრობის მიმართ კრიტიკული აზრის გამოხატვისთვის. 1948 წელს სამშობლოს დატოვება და ევროპაში გაპარვა გადაწყვიტა, მაგრამ ახლო მეგობარმა პოლიციაში დაასმინა. მწერალი

თურქეთ-ბულგარეთის საზღვარზე დააკავეს. ერთ-ერთი ვე- რს- ით იქვე დახვრიტეს, მეორე ვერსიით კი- პოლიციაში დაკით- ხვისას მოკლეს.

**სკვანძო სიტყვები:** ვიოლონჩელო; მუსიკა; მოგზაურები; აფრიკა; სიყვარული.

## თურქულიდან თარგმნა ნატო ხარშილაძემ

### „ვიოლონჩელო“

მზეს სახეზე მწვანე ფოთლების მარაო აეფარებინა და დარ- ცხვენილი ქალივით მსხვილფოთლოვან ხეებს მიღმა იმალებ- ოდა. სხვადასხვა ეროვნების ადამიანებისგან შემდგარი მოგზა- ურთა ჯგუფი სოფელში შევიდა, რომელიც ყვითელი ბალახე- ბისგან დაწნული სახლებით ფუტკრების სკას მოგაგონებდათ. ტომის ბელადი უკვე ოცი წელი იყო რაც აქ, აფრიკის ამ შორეულ კუთხეში ცხოვრობდა. თეთრკანიანები თითქმის არ სტუმრო- ბდნენ ამ მხარეს, ამიტომ მათთან შესახვედრად საგანგებოდ მორ- თულ-მოკაზმული მძივებით და სპილოს ძვლის ორნამენტებით, ხელით მოჩუქურთმებული დიდი მშვილდით, გარემოცვასთან ერთად სოფლის მოედანზე სტუმრებს ელოდებოდა.

რამდენიმე საჩვენებელი ცერემონიის შემდეგ დაღლილი მოგზაურები ბელადის ქოხში მიიყვანეს დასასვენებლად. თარ- ჯიმანი, რომელსაც სოფელში შემოვლა უნდა გაეკეთებინა, სირბ- ილისგან დასისხლიანებული ფეხებით მოვარდა კარავთან და ორმოცდაათიოდე ნაბიჯის მოშორებით დადგა.

-ხის ქოხი ვნახე, ევროპელის გაკეთებული უნდა იყოს, - გახშირებულ სუნთქვას ძლივს ამოაყოლა სათქმელი.

გოლფის შარვლის ქვეშ წინდების ჩაცმის დრო აღარ იყო და ყველანი მითითებული ადგილისკენ გაიქცნენ. თარჯიმანი მართ- ალს ამბობდა. ეს იყო უსწორმასწორო ხისგან გაკეთებული ქოხი,



წინ ველური ყვავილებიგან ბალის მსგავსი მიწით. ბელადის თქმით ლამის ორი წელი იყო გასული, რაც ამ ადგილას თეთრკანიანი დასახლებულა.

-სად არის თვითონ? - ჰკითხეს თარჯიმანს.

-ვინ იცის, - თქვა ბელადმა. - აიღებს ინსტრუმენტს და მიდის, არავინ უწყის როდის დაბრუნდება. როცა უნდა, მაშინ მოდის.

-რა ინსტრუმენტია?

-დიდია... პატარა ნიანგს ჰგავს თითქოს.

-არფაა ვითომ? ერთმანეთს ჰკითხეს მოგზაურებმა.

-ჯოხზე გადაჭიმული ცხენის ძუით იკვრება, - თქვა ბელადმა.

-თუ ასეა, კონტრაბასიც შეიძლება იყოს, ან სულაც ვიოლონჩელო.

-კი, კი, ალბათ უფრო ვიოლოჩელო.

-სად უკრავს? - კვლავ ჩაეძიენ მოგზაურები. თარჯიმანმა ხელი ტყისკენ გააწვდინა და იქო, ანიშნა.

-კარგი, შეგიძლია წაგვიყვანო?

-არ შეიძლება. როცა ის უკრავს, არავინ უნდა ნახოს...

-ჩვენ შორს ისე დავდგებით, რომ ვერც მიხვდება, -დაიჟინეს მოგზაურებმა.

ბელადი დათანხმდა. შებინდაბისას სოფელი დატოვეს და ტყისკენ გაემართნენ. ქოხთან მიახლოვებისას ვიოლინოს ხმა მოესმათ. გაირინდნენ.

-შემოდგომის სიმღერაა! - თქვა ერთ-ერთმა მოგზაურმა.

-ჩაიკოვსკის! -დაამატა რუსმა.

ტყეში შევიდნენ, ბელადი დაახლოებით ათი ნაბიჯის მოშორებით გაჩერდა და დიდი ბაობაბის ხის ტოტებქვეშ სილუეტზე მიუთითა: -აი!..

შორიახლოს ჩასაფრებული მოგზაურები დიდი ინტერესით უყურებდნენ და უსმენდნენ უცნობ მუსიკოსს. ჩრდილი არ მოძრაობდა, იგივე ნაწარმოებს დიდი ოსტატობით ასრულებდა. ჩელოს ბგერების საოცარი გაშლისას ხის ტოტები ირხეოდნენ, ფოთლები ერთმანეთში თრთოდნენ.

-ვინ შეიძლება იყოს ეს კაცი? -იკითხა ბრიტანელმა მოგზაურმა.

-ხელოვანი, სასოწარკვეთილი ხელოვანი. საწყალი, დაუფასებელი, რომელიც ხალხს გაურბის, -თქვა ფრანგმა.

-არა, ის შეძლება საზოგადოების უსამართლობის გამოა აქ. იქაურობას გამოექცა და ხელოვნებით ინუგეშებს თავს, -აზრი დააფიქსირა რუსმა.

-მე თუ მკითხავთ, თქვა გერმანელმა, - ეს არის ბრძენი ადამიანი, რომელმაც ცივილურ სამყაროსთან დაპირისპირებას აქ, ამ თავისუფალ სივრცეში უდარდელი, მშვიდი ცხოვრება და ეს უბრალო კეთილდღეობა არჩია.

-მე ვფიქრობ, -დაამატა ინგლისელმა, -აქაური ველური მმართველობის ხელში ჩაგდების მიზნით თავისი მზაკვრული გეგმები აქვს... ეს არის გამჭირავი ადამიანი, რომელიც ყველა-ფერს მოთმინებით აკეთებს, შესაძლოა, საშიში არის კიდევ.

დალამდა. მთვარე ამოვიდა და მისმა შუქმა ტყისპატარა მოედანი გაანათა. მოგზაურებმა უკეთ დაინახეს მამაკაცი, რომელიც ვილონჩელოზე თვალდახჭული უკრავდა ქვებიან მიწის გროვას მიყრდნობილი... შავი, ხუჭუჭი წვერი ჩარჩოსავით შემორტყმოდა მის სახეს ისე, რომ ვერ გაარკვევდით სად იწყებოდა და სად მთავრდებოდა გაურკვეველი ასაკის ნაოჭები. შუბლზე ჩამოყრილი, არეული თმა ფერმკრთალ ლოყებს უჩრდილავდა.

-ყოველთვის აქ უკრავს?

-და ეს მიწის გროვა რა არის? - რიგ-რიგობით იკითხეს მოგზაურებმა.

-დიახ, აქ, ცოლის საფლავთან დგას და უკრავს, - უპასუხა ბელადმა.

-ცოლიც ჰყავდა?

-ჰყავდა და მოუკვდა...

გაჩუმდნენ. წავიდეთო, თქვეს. - სოფელში როცა დაბრუნდება, გავიგებთ... მაგრამ მეორე დილით დაბრუნებულ მამაკაცს თავისი ცხოვრების შესახებ თითქმის არაფერი მოუყოლია მათთვის.

-ჩვენი გემის კატასტროფის შემდეგ აქ მოვხვდით. მეუღლე გარდამეცვალა, მე სხვაგან წასვლა არ მინდოდა, - თქვა მან...

მოგზაურებმა დატოვეს ეს უცნაური ადგილი და გზა გააგრძელეს. თითოეულმა მათგანმა სხვადასხვა რამ დაწერა ჟურნ-

ალებში, მაგრამ არც ერთს არ მოუყოლია ამ კაცის რეალური ისტორია. ამბავი კი ასე დაიწყო:

ხმელთაშუა ზღვის ერთ-ერთ ზღვისპირა ქალაქში ახალგაზრდა კაცი ცხოვრობდა. ვინც მას ნახავდა, სამუდამოდ გულში რჩებოდა. ყველა ქალი მისი მორჩილი ხდებოდა, სიზმარში ელანდებოდათ. ყავისფერი, კვერნას ბეწვივით ნაზი უღვაში პატარა გოგონების გულებს იპყრობდა. მაგრამ ამ ახალგაზრდას ჰქონდა რაღაც უფრო ძვირფასი, ვიდრე მისი ტალღოვანი თმა, მუქი ლურჯი თვალები და აღმოსავლური მათრახივით მოქნილი სხეული. ეს მისი საცოლის სიყვარული იყო...

ოდესღაც ყველა ქალაქელი ბიჭის ფანტაზიას ავსებდა გოგონას მუდამ სევდიანი, ჩაფიქრებული სახე, ოდნავ დაძაბული შუბლი. ისინი მხოლოდ და-ძმურ კოცნას სჯერდებოდნენ, რადგან იცოდნენ, რომ გოგონას აღმოსავლური ვარდის მსგავს გაცრეცილ ვარდისფერ ტუჩებს სხვა პატრონი ჰყავდა, რომ ყავისფერი თვალები, რომელთა სულიერების არსს ვერავინ ჩასწვდა, მხოლოდ ერთი ადამიანისთვის ანათებდნენ ნაპერწკლებივით. ეს გოგონა ქალაქის საუკეთესო ვიოლონჩელისტი იყო.

გოგონა ინსტრუმენტზე დაკვრისას, სკამზე, რომელზეც იჯდა, ცალ ფეხს უკან გადასწევდა, წინ იხრებოდა და სავსე მკერდით ჩელოს ეყრდნობოდა; საკრავი კი ისეთ ხმებს გამოსცემდა, ქვეყნის ასაკოვანი ოსტატ-მუსიკოსებიც თავისდაუნებურად თვალებს ხუჭავდნენ, თავს უკან გადააგდებდნენ და ასე უსმენდნენ მონუსხულები.

გოგონა როდესაც საქმროსთან ერთად არ იყო, ჩელოს ელაპარაკებოდა. მას ათქმევინებდა იმას, რისი გაგონებაც სურდა საყვარელი ადამიანისგან; მაგრამ უყურედლებო ახალგაზრდამ ეს არ იცოდა და ცოტა არ იყოს ინსტრუმენტზე ეჭვიანობდა კიდევ ერთ დღეს:

-ოჰ, საყვარელო, არა მარტო შენი ნაზი სხეული, აბრეშუმის თმა, ვარდისფერი ტუჩები, არამედ მთელი შენი ვნება მინდა, რომ მე მეკუთვნოდეს, ძვირფასო. შეეშვი ჩელოს, მხოლოდ მე მომისმინე, ჩემ გულის სიმებზე შეეცადე დაუკრა მელოდიები.

რაოდენ ეგოისტურია სიყვარული!..

-რაკი არ გინდა, ჩემო სიყვარულო, მე აღარ დავუკრავ ვიოლონჩელოზე. მელოდიებს მხოლოდ შენ სიტყვებში მოვძებნი, - უთხრა გოგონამ. მის თვალეში უცნაური სევდა იყო ჯეირანისა, რომელიც ტყეს ტოვებს თავისი მომავალი პატრონისთვის. ხელოვნება, ღვთაებრივი ხელოვნება სიყვარულმა დაამარცხა... რაოდენ ძლიერია სიყვარული!..

-მაგრამ საყვარელო, -თქვა გოგონამ და თავისი ხელები ბიჭის ხელებს მოჰხვია. -რა თქმა უნდა ერთ დღეს დავბერდებით და სიკვდილი წაგვიყვანს. თუ ის ჯერ ჩემთან მოვა იცოდე, რომ ერთადერთი სურვილი მაქვს, როდესაც სიცოცხლეს თავლებს დავუხუჭავ, საწოლის თავთან ვიოლონჩელოს ხმა უნდა მესმოდეს; მპირდები ამას?

-კი, -უპასუხა ვაჟმა, - თუ სიცოცხლე ასეთ სასჯელს მარგუნებს, შენ ყავისფერ თვალეებს ვფიცავ, ცნობილ მუსიკოსს ყველაზე ლამაზ მელოდიას დავაკვრევენებ შენს საწოლთან.

ამის შემდეგ თავები უკან გადასწიეს და ნათქვამის დასადასტურებლად მათი ტუჩები ერთმანეთს მიეწება... რაოდენ ცეცხლოვანია სიყვარული!..

ვაი ბედნიერ ხელს, რომელსაც ადამიანების მოფერება უყვარს. არ დააგვიანა ამ ხელმა საბედისწერო სილის გაწვნა ახალგაზრდებისთვის, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ მხოლოდ ღიმილის და სიყვარულისთვის იყვნენ გაჩენილნი...

დაქორწინდნენ, ერთმანეთის გახდნენ, ბედნიერები იყვნენ. არ სურდათ საკუთარი ბედნიერება ჩარჩოში მოემწყდიათ, ყველასთვის უნდოდათ ეჩვენებინათ. ერთ დღეს ქალაქის ნავსადგურზე ჩამომდგარ გემში ჩასხდნენ და სამოგზაუროდ წავიდნენ. ყველაფერი, რასაც ნახულობდნენ და ათვალირებდნენ, ფიქრობდნენ, რომ მათი ბედნიერებისთვის იყო შექმნილი. ზღვა - სიყვარულის ზღაპარს, ხოლო ტყე - ერთგულების ამბავს უყვებოდა. განსაკუთრებით ზღვის სიღრმე და სივრცე იზიდავდათ. ზოგან წყალი ვაჟის თვალეებით უსაზღვროდ ლურჯი ხდებოდა, ზოგან კი - მათი გულებივით ნათელი და გამჭვირვალე. ტალღების ნაკეცებში წარმოქმნილი ზღვის ქაფი თეთრ თოლიებს მოგაგონებდათ.

ერთ დღეს ზღვის ჰორიზონტი გაშავდა. სშინელი ქარიშხალი ამოვარდა. გემმა რყევა და ნაწილ-ნაწილდაშლა დაიწყო, თითქოს ნეკნები უტყდებოდა ისეთი მტკრევის ხმა ისმოდა. შიშისგან თვალმდებულებული შეყვარებულები ერთმანეთს მაგრად ეკვროდნენ... მხოლოდ მეორე დღეს გაახილეს თვალები. ზღვის ვრცელ სანაპიროზე იწვნენ შავკანიანთა შორის, რომლებიც ველური ბალახებით მათ გონზე მოყვანას და განკურნებას ცდილობდნენ. შეყვარებულები სხვას ვერავის და ვერაფერს ხედავდნენ შორეულ კლდეებზე ნანგრევების გარდა...

შავკანიანთა სოფელში, რომელიც სანაპიროდან საკმაოდ შორს იყო, წყვილმა რამდენიმე თვეში მათი ენის შესწავლა დაიწყო, ეს იყო აფრიკის ერთ-ერთი ყველაზე უკაცრიელი ადგილი, სადაც ბოლო თვრამეტი წლის განმავლობაში თეთრკანიანს ფეხი არ ჰქონდა დადგმული. დროდადრო სანაპიროზე თევზაოდ მოსული ადამიანები ამბობდნენ, რომ ზღვაში შორიდან გამავალი გემიც კი არ უნახავთ არასდროს. ახლა კი გრძნობდნენ, როგორი მადლიერი უნდა ყოფილიყვნენ ბედის და ამ ველურების, რომ ქარშხალმა, როცა ისინი ნაპირზე უგონოდ დაყარა, სწორედ მათ შეიფარეს და სიცოცხლე აჩუქეს.

ვაჟმა თქვა: - რადგან ჩვენ ერთად ვართ და ერთმანეთი გვიყვარს, სადაც არ უნდა ვიყოთ, ბედნიერად უნდა ვიცხოვროთ, ჩვენს ბედნიერებას ჩრდილი არ უნდა მიაღდეს.

მაგრამ ქალი ავად იყო...

დიახ, ქალი ავად იყო. დღითიდღე დნებოდა და ყვითლდებოდა. როცა ზოგიერთ ხეს ადგილს უცვლიან და გადაადგილებენ, საუკეთესო მებაღის ხელშიც რომ იყოს, ვერ ცოცხლობს, კვდება. ახალგაზრდა ქალმაც ვერ გაძლო, ვერ იცოცხლა უცხო მიწაზე. კაცი თითქმის შიშველი ხელებით ყველა ხერხს მიმართავდა, ღონეს არ იშურებდა თუმცა ხვდებოდა, ვერ უშველიდა. ასეირნებდა ხეებს შორის, რომლებიც საოცარ სურნელს გამოსცემდნენ, აფრიკის ღამის მთვარის კაშკაშა შუქქვეშ, სუფთაწყლიანი მდინარეების ნაპირებზე ასეირნებდა, ლურჯი მარღვებით დაქსელილ ხამანწკის ნაჭუჭის მსგავს ყურში უმღეროდა

სიმღერებს, რომელიც ქალს სიამოვნებას ანიჭებდა. გრძნობდა, ყველაფერი ამო იყო, ქალს ერთი წელიც აღარ დარჩენოდა.

ვაჟმა რამდენიმე კვირა მოანდომა მაჰაგონის ხის ნაჭრისგან ჩელოს გამოთალას, ქალს მიუტანა და უთხრა:

-საყვარელო, ჩვენი ცხოვრება ისეთი მარტოსულია, ნახე, ახალი მეგობარი მოგიყვანე. ნეტავ იცოდე, როგორ ვნანობ მასზე დაკვრა რომ აგიკრძალე. გთხოვ, მეც მასწავლო, -დაამატა სევდიანად.

ახალგაზრდა ქალის ფერმკრთალი სახე ჩამავალი მზის სიწითლეს ირეკლავდა. აკანკალებული ტუჩებით:

-მე მოვკვდები, -თქვა მან, -შენ კი ჩემ საწოლთან დანაპირებს შეასრულებ და ჩელოს დაუკრავ.

ვაჟმა სწავლის დაწყებიდან მალევე დაიწყო პატარა ნაწარმოებების შესრულება. ქალი ცხოველის ტყავზე დაწერილ ნოტებზე საათობით ავარჯიშებდა ველურ ტყეში. ნოტის სუფთად აღებისას მოსწავლის მაღლიერების შემახილი უდიდეს შინაგან სიმშვიდეს ანიჭებდა მას. ზოგჯერ თვითონაც უკრავდა. თითქოს, ამ უფორმო ინსტრუმენტს და ცხენის ძუისგან გაკეთებულ ხემს სხვა სამყაროდან მოჰქონდა მელოდია ახალგაზრდა კაცის ყურამდე და იქედან სულში.

-ნახე, ეს არის „შემოდგომის სიმღერა“, -თქვა ერთ დღეს კომპოზიციის დასრულების შემდეგ ქალმა, რომლის მელოდიაც სასიამოვნო, უხილავი სითხესავით მიედინებოდა მის და- მდნარ სხეულში.

-აი, რას გთხოვ, როცა მოვკვდები...

-მომეცი, ვივარჯიშებ, -სიტყვა გააწყვეტინა ვაჟმა.

-არა! მოგცემ მაშინ, როცა სიკვდილის დღის მოახლოვებას ვიგრძნობ... და სხვა ნოტები გა- უწოდა.

ზოგჯერ სევდით გახანგრძლივებული, ზოგჯერ ცრუ სიხარულით მოკლული დღეები სწრაფად გადიოდა. ქალი ისე დაუძლურდა, ფეხზე ვეღარ დგებოდა. კაცი ხედავდა სიკვდილს, რომელიც საყვარელი ადამიანის ჩამავებულ თვალებს და თეთრ ტუჩებს დასტრიალებდა.

იქნებ, დიახ, იქნებ ორი-სამი დღე ჰქონდა ქალს დარჩენილი. როცა ტყავზე დაწერილ ნოტებს არჩევდა, რამდენჯერმე

ჩაუვარდა ხელში „შემოდგომის სიმღერა“, მაგრამ მაინც არ ასწავლა, რადგან ჯერ ასე ახლოს არ ეგონა სიკვდილი.

კაცს შიშობდა, რომ ქალის მოულოდნელი სიკვდილის გამო ბოლო სურვილი დარჩებოდა აუსრულებელი და ის ამ სიმღერას ვერასდროს დაუკრავდა. გრძნობდა, რაღაც უხეში ობიექტი ნელ-ნელა უახლოვდებოდა ქალის სხეულს. ნოტების მოთხოვნა შეუძლებელი იყო, რადგან ეს პაციენტისთვის სიცოცხლის დასასრულის ნიშანი იქნებოდა. ვაჟის ერთადერთი სურვილი იყო, რომ საყვარელ ქალს ბოლო დღეები მშვიდად გაეტარებინა, მაგრამ როგორ შეძლებდა ამის გაკეთებას?

ბოლოს, ერთ დღეს, როცა ქალმა კაცს სხვა კომპოზიცია გაუწოდა, თავი მკერდზე ჩამოუვარდა და გონება დაკარგა. ვაჟი გაიქცა, თიხის თასი მოიტანა, წყალი აპკურა. გოგონამ, როგორც კი თავლები გაახილა, გამხმარი ბალახების ბალიშის ქვემოდან „შემოდგომის სიმღერის“ ნოტები გამოიღო.

-აიღე, -უთხრა, -და სწრაფად ისწავლე. მეშინია, რომ ცოტა დრო დარჩა!

კაცი ტყეში გაიქცა, ნოტების ტყავი ბაობაბის ხის ქერქს მიამაგრა და დაკვრა დაიწყო. საათები გავიდა, მოსაღამოვდა. კაცი ჩელოთი და ნოტებით ხელში ქოხისკენ ტირილით მობოდა. ჩაუქრობელი ცეცხლი სწვავდა მის სხეულს, ენით აღუწერელი ტკივილი სტანჯავდა.

-ვაი, თუ მოკვდა, ვაი, თუ ვერ მივუსწარი!

ქოხში შევარდა, ქალს მოლოდინით სავსე თვალები კარიკენ მიეპყრო, სახეზე ღიმილი გამოესახა, ხელი გაუწოდა, კაცმა დაუჭირა, სახესთან მიიტანა და კოცნა დაუწყო. წვერებზე ნიაღვარივით ჩამოსდიოდა ცრემლები. ქალმა კვლავ გაახილა თვალები წამით და სამუდამოდ დახუჭა. კაცმა ეს იგრძნო, გიჟივით შემოეხვია ჩელოს და დაკვრა დაიწყო. სურდა, ქალს „შემოდგომის სიმღერ“ გაეგო, ყურადღებით აკვირდებოდა თვალს გაახელდა თუ არა. არა, არ ახელდა. სასოწარქვეთილმა, შეყვარებულის უკანასკნელი სურვილის ასრულება რომ ვერ შეძლო, უფრო ძლიერად დააჭირა ხემი ჩელოს, თითები უფრო მონდომებით ამუშავა. ვნებიანად უკრავდა, სჯეროდა, ხმა მისწვდებოდა საყვ-

არელი ქალის სულს, რომელიც ქოხის ირგვლივ ტრიალებდა. საწოლზე მწოლიარე მომდიმარ მიცვალებულს მიაჩერდა.

-არ გესმის? ნახე, რა დიდი სიყვარულით ვუკრავ, როგორ ლამაზად ვუკრავ, არ გესმის? -უნდოდა ეყვირა...

აქამდე ქოხში დაკრული ჩელო ველურებს არ ადარდებდათ, მაგრამ ახლა ეს სიმღერა, ეს კომპოზიცია, რომელიც ტანჯვით იღვრებოდა ჭაბუკის გულიდან ვიოლონჩელოს სიმებში, მათ გაყინულ გრძნობებს და გულს შეეხო, გაუთბო, გაულღო; გაიქცნენ, ქოხის გარშემო შე- იკრიბნენ. კართან ერთმანეთზე შემდგარი შავკანიანები შავი ყურძნის მტევანს ჰგავდნენ. დედის ფოთლოვანი კაბების კალთას ჩაბლაუჭებული ბავშვებიც ჩუმად იდგნენ. ყველა ტიროდა. კაცი იქამდე უკრავდა, ვიდრე გული არ წაუვიდა და საკრავით ძირს არ დაეცა... ორი დღის შემდეგ ველურებმა იმ ბაობაბის ხის ქვეშ მიიყვანეს, სადაც ჩელოზე უკრავდა ხოლმე. იქ უკვე ახალი საფლავი იყო...



## Sabahatin Ali (1907-1948) – „Cello“

**Nato Kharshiladze**

Tbilisi Ivane Javakhishvili State University  
Georgia, 0179, Tbilisi, Ilia Chavchavadze Avenue №1,  
+995551424252, nkharshiladze@cu.edu.ge  
<https://orcid.org/0000-0001-8366-8820>  
DOI:<https://doi.org/10.61671/hos.7.2024.7832>

### **Abstract**

The prominent Turkish writer of the 20th century Sabahatin Ali was born in Turkey in 1907. The father, who died earlier, was an officer. The family often had to change their residence. The writer first received a good education in Istanbul. He graduated from the pedagogical institute there and started working as a teacher in the city of Ozgat.

In 1928-1930, Sabahatin Ali studied at the Faculty of Philology at the University of Berlin, where he had a fight with a Nazi student on national grounds. The writer was forced to leave the university and return to his homeland. He taught German in schools in Aydin, Konya and Ankara. He has been tried several times for expressing a critical opinion towards the Turkish government.

In 1948, he decided to leave his homeland and sneak to Europe, but a close friend interrogated him in the police. The writer was arrested at the Turkish-Bulgarian border. According to one of the versions, he was shot there, and according to the other version, he was killed while being questioned by the police.

**Keywords:** cello; music; travelers; Africa; love.

**Translated from Turkish by Nato Karshiladze**



## თარგმანი TRANSLATION

---

---

ზია ფაშა (1829-1880) „ლექსი“

ასმათ ჯაფარიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, საქართველო.

+99599503356. japaridzeasmat@yahoo.com

Orcid ID : 0000-0001-6594-6049

DOI:<https://doi.org/10.61671/hos.7.2024.7833>

### აბსტრაქტი

განსაკუთრებულია **ზია ფაშას** (აბდულჰამიდ ზიაედინ) როლი თურქული ლიტერატურის ისტორიაში. მისი შემოქმედების ნოვატორობა იმთავითვე აღიარეს მისმა თანამოკალმეებმა. ზია ფაშას ნაწარმოებებში დასმულია ფილოსოფიური პრობლემები, გადმოცემულია სათუთი ადამიანური გრძნობები და განცდები. იგი მიეკუთვნება „თანზიმათის“ ეპოქის ავტორთა რიცხვს. მის კალამს ეკუთვნის, როგორც პროზაული, ასევე პოეტური ნაწარმოებები. ზია ფაშა ნამიქ ქემალთან და იბრაჰიმ შინასთან ერთად არის ახალი თურქული ლიტერატურის ფუძემდებელი.

**საკვანძო სიტყვები:** წუთისოფელი; დედამიწა; აღსასრული სამყარო; კოსმოსი.

თურქულიდან თარგმნა ასმათ ჯაფარიძემ

\*\*\*

ო, ეს ბრუნვა დედამიწის, უსასრულო,  
სასრულს განა ჰპოვებს ოდეს?!  
გაჩერება ნუთუ ტიალს არ ექნება არასოდეს?!

მიძინებულ ჩვენს გონებას  
ამ სამყაროს ბოლო ღამის გათენება გააოცებს.  
ის, ვინც მას წინ აღუდგება,  
არ დაინდობს, უსათუოდ დააჩოქებს.  
ოდითგანვე ასეთია მისი ზნე და  
არ ყოფილა დრო, როს ამ წესს ღალატობდეს.  
უთვალავი ოქრო-ვერცხლი გინდა გქონდეს?  
არ გეყოფა, დამიჯერე,  
მიზეზს ნახავ, დაემდურო წუთისოფელს.  
გარედან რომ დააკვირდე ამ სამყაროს,  
როგორ ფიქრობ, თვალს ვერ მოსწყვეტ?  
არა, რადგან დაინახავ მის სიბნელეს,  
სიპირქუმეს, სისამაგლეს, ისეთს,  
მართლაც, გულს რომ მოგგლეჯს.  
დასატევი დაიტია ამ პლანეტამ,  
მეტის ტვირთვა მას არ ძალუძს, აღარ შესწევს.  
ამ შუღლს, მტრობას ბოლო როდის მოედება  
და სამყაროც გზას ჭეშმარიტს როდის ჰპოვებს?!  
ჭეშმარიტება ხომ თვალწინ გვეფურცლება,  
როგორც წიგნი, გადაშლილი,  
ეს სამყარო ჩვენზე დიდ და ღრმა კვალს ტოვებს.  
ეს ფურცლები მკითხველს ეძებს,  
დიდ სიბრძნესთან უნდა ყველა გვაზიაროს,  
რათა გეზი სწორი გვქონდეს.  
თავის სკოლა უნდა ყველას გაგვატაროს,  
საიდუმლოს თვისას უნდა ზიარ გვყოფდეს.  
ამ მკვრივ სხეულს ეპიცენტრი სად აქვს, ნეტავ?  
რომელ ზღაპრულ ცხოველზე ზის მოგზაური?  
შენ, შემქმნელო, ყველასა და ყოველივეს,  
განმსაზღვრელო წესის, რიგის,  
გინდა ყველა შენზე სწორდეს.  
რა დიდი ხარ, ბუმბერაზი, უთქმელი და უცნაური,  
ვინც გაბედავს შენს დიდებას ხოტბა ჰკადროს,  
საჭიროა, ენა მეტად მჭევრი ჰქონდეს.

## Zia Pasha (1829-1880) „Poem“

**Asmat Japaridze**

Tbilisi Ivane Javakhishvili State University

Georgia, Tbilisi.

+99599503356. japaridzeasmat@yahoo.com

Orcid ID: 0000-0001-6594-6049

DOI:<https://doi.org/10.61671/hos.7.2024.7833>

### **Abstract**

Zia Pasha (Abdulhamid Ziaedin) is an innovator of Turkish poetry. Philosophical problems are posed in the works of Zia Pasha, tender human feelings and emotions are conveyed. He belongs to the number of authors of "Tanzimat" era. Both prose and poetic works belong to his pen. Ziya Pasha, together with Namik Kemal and Ibrahim Shinasi, is the founder of the new Turkish literature.

**KeyWords:** World; Earth; End; Universe; Cosmos.

**Translated from Turkish by Asmat Japaridze**



## მოგონება, მოღვაწეობა Memory, Work

ალბერტ მენტეშაშვილი - მ ო გ ო ნ ე ბ ა

**მარიამ გურეშიძე**

ილიას უნივერსიტეტის გ. წერეთლის  
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი  
ასისტენტ მკვლევარი. საქართველო, 0162.  
თბილისი, გიორგი წერეთელის ქ. 3  
+995551 127 855. mariagureshidze@gmail.com  
ORCID iD :0000-0002-9825-0651  
DOI:<https://doi.org/10.61671/hos.7.2024.7834>

გავიხსენებთ ადამიანს, რომელიც იყო საუკეთესო პედაგოგი, ძლიერი მეცნიერი, კარგი დიპლომატი, სახელმწიფო-ბრივი ხედვისა და ქმედებების პიროვნება. 1932 წლის 13 აპრილს



ქ. თბილისში დაიბადა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, რომელიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეწეოდა სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აზიისა და აფრიკის ისტორიის კათედრაზე ჩამოაყალიბა ეთნოკონფესიალური კვლევების ლაბორატორია. აღნიშნული კათედრის გამგის პოსტზე ყოფნის პერიოდში სტუდენტებთან და კოლეგებთან ერთად გამოსცემდა კრებულებს, რომლებშიც გამოტანილი იყო მრავალი მიმართულებით შესწავლილი და ანალიტიკურ ჭრილში განხილული ახლო აღმოსავლეთთან დაკავშირებული აქტუალური თემები. სხვადასხვა ქვეყნებში მივლინებებიდან პირადად ჩამოჰქონდა იმ პერიოდისთვის საბჭოთა კავშირში მიუწვდ-

ომელი მასალები. იწვევდა სხვადასხვა ქვეყნის ცნობილ აღმოსავლეთმცოდნეებს მეთოდური სამუშაოების ჩასატარებლად. საკუთარ დოქტორანტებს და კოლეგებს უწევდა ოპონირებას. დოქტორანტები მივლინებამიც კი წაიყვანა და ხელი შეუწყო ცნობილ მეცნიერებთან მათ პირადად დაკავშირებას. თითოეული დოქტორანტის დისერტაციის დაცვაში უდიდესი როლი მიუძღვოდა. სტუდენტებმა მისგან ისწავლეს ანალიტიკური სტატიების წერა და გუნდური პრინციპით წარმატებული მუშაობა. დოქტორანტებს საკუთარ ლექციებზე დასწრების საშუალებას აძლევდა, რათა მათ აეთვისებინათ მისეული სწავლების სტილი. არასოდეს ჯდებოდა ჩარჩოებში. კონკრეტულ საკითხს ფართოდ განიხილავდა და სტუდენტებს ეგზოტიკურ ინფორმაციებს აწვდიდა ახლო აღმოსავლეთთან დაკავშირებით. საოცარი იუმორის გრძნობით და კოლეგიალურობით გამოირჩეოდა. სტუდენტები მისგან ყოველთვის განსაკუთრებულ მზრუნველობას გრძნობდნენ.

ლექციების წასაკითხად მიწვეული იყო საფრანგეთში-სორბონის უნივერსიტეტში და ერაყის ქურთისტანის უნივერსიტეტში.

2002 წელს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გივი ჟორდანიას რედაქტორობით მან გამოსცა სახელმძღვანელო, რომელიც განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლის ისტორიის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტის სტუდენტების, მასწავლებლების, ასპირანტების, მეცნიერ-მუშაკებისა და აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

გამოცემული აქვს შემდეგი სამეცნიერო ნაშრომები:

1) ალ. მენტეშაშვილი. „ერაყელი ქურთების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიიდან 1919-1925“. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი. თბილისი, მეცნიერება, 1965.

2) ალ. მენტეშაშვილი, „თანამედროვე ერაყის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები“. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი. თბილისი, მეცნიერება, 1980.

3) ვ. დონაძე, ალ. მენტეშაშვილი, ი ცინცაძე. „აზიისა და აფრიკის ქვეყნების უახლესი ისტორია“. ტ. II, (1945-1968), (რედ. ვ.დონაძე). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1970.

